საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

8-14 აპრილი, 2009 №8

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით   ფასი 1 ლარი.   ელ.ფოსტა: info@geworld.net

# მიშა, აღარ გაგივა!

## როგორ დავიცვათ თავი „საფაღარათე აირის", იგივე CS-ის ზემოქმედებისაგან

**ქლორბენზილიდენმალონონიტრილი (CS)** ყველაზე ცნობილი და შესწავლილი ირიტანტია. მისი გამოყენება ნებადართულია უკრაინაში

**მოწამვლის კლინიკა:** ცრემლდენა, წვა, ბლეფაროსპაზმი (ქუთუთოების სპაზმი), სინათლის შიში, კონიუნქტივის დაავადება.

**საჭმლის მომნელებელი სისტემა:** ნერწყვის გამოყოფა, გულისრევა, ტკივილი პირის ღრუში, კუჭის აშლილობა.



„საქართველო და მსოფლიოს" ინფორმაციით, ეს გაზი გასაყიდად უკრაინაშია ნებადართული და, სავარაუდოდ, სწორედ ამ ქვეყნიდან შემოიტანეს იგი საქართველოში 9 აპრილის მიტინგისათვის.

# MISHA, NO PASARAN!

სახელმწიფო — ეს ვანოა!.. 4

განკულაკებულმა ნოღაიდელმა კულაკი გილაურს ჩაუშვა 5

9 აპრილს მომიტინგეებს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი შეუერთდება 6

ირაკლი კორძაია: კობა სუბელიანი დახვეწილი ნაძირალა და ფარისეველია 10

კახა ლომაიას პროტეჟე სამშობლოს ძარცვავს 13

ზურაბ გაგნიძე: აკაკი ასათიანი ქართული პოლიტიკის იანუსია 15

რუსეთის არმია ახალ იარაღს მიიღებს 28

ამერიკელი სამხედროს სკანდალური აღიარება 28

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაჟღერებულნი



**ბარაკ ობამა**
**აშშ-ის პრეზიდენტი**

ჩემსა და მედვედევს შორის კარგი დიალოგი შედგა, ჩვენი პოზიცია ასეთია: გავემიჯნოთ იმ ლიდერების აზრს, რომლებსაც რუსეთი და ამერიკა მტრები ჰგონიათ.



**სერგეი ლავროვი**
**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი**

პუტინის დავალებით თბილისში ჩავედი. მოლაპარაკებების შედეგად მივიღეთ გადაწყვეტილება საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების დაჩქარებული გაყვანის თაობაზე. სააკაშვილი დათანხმდა. ჩვენ გაგვყავს ბაზები, ვქმნით ერთობლივ რუსულ-ქართულ ანტიტერორისტულ ცენტრს... ხოლო საქართველო იღებს კანონს, რომ მის ტერიტორიაზე არასდროს იქნება ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს სამხედრო ბაზები... ჩვენ შეთანხმების ჩვენი ნაწილი შევასრულეთ, სააკაშვილმა კი არაფერი გააკეთა.



**მარიამ ცაცანაშვილი**
**პოლიტოლოგი**

ამერიკამ და რუსეთმა უკვე მოილაპარაკეს საქართველო-უკრაინის საკითხის ერთობლივი გადაწყვეტის თაობაზე. „ნატოზე“ ლაპარაკი დღეს სისულელეა, აბსურდია. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ყველა უცხოელი ექსპერტი სიტუაციის გართულებას ელოდება.



**ვიქტორ დომუხოვსკი**
**უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პოლიტემიგრანტი**

ვისზე ვისაუბროთ? პროფესიონალ დამამხობლებზე? ხაინდრავაზე, რომელიც გადაყენებიდან სამი დღე სააკაშვილის მისაღებში იყო ატუზული და ითხოვდა, — გამაგებინოს, რატომ გადამაყენა, ნეტავო? შევარდნაძის „ასინეთა“ კუკავაზე? ფიქრია ჩიხრაძეზე, რომელსაც, მისივე სიტყვებით, უნივერსიტეტის ბაღში უნდა მოეკლა თავი, თუ საქართველოში შევარდნაძე დაბრუნდებოდა? უპრინციპო რესპუბლიკელებზე თუ გამყრელიძეზე, რომლებსაც საკუთარი საპარლამენტო რესპუბლიკა თუ კონსტიტუციური მონარქია დავიწყებიათ და საპრეზიდენტოდ გამზადებულ ალასანიას ჩაბმიან — იქნება, გაგვათრიოსო?.. ალასანიას მთელი დამსახურება და მიღწევა კი დღემდე მხოლოდ სხვისი დაწერილი ტექსტის გაეროში წაკითხვით ამოიწურება.



**ზურაბ ვაშაკიძე**
**ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**

ვნახეთ ნოღაიდელის არაერთი აფერა, ვნახეთ ბურჯანაძის უნიათო და მომხვეჭელი ბუნება. მე იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ უსუფაშვილისა და ხიდაშელის მთავრობა სააკაშვილის მთვარობაზე უკეთესი იქნება. ვუყურებ ალასანიას გამომეტყველებას და ჩერჩილის სიტყვები მახსენდება: „არ შეიძლება, 40 წლამდე ასაკის ადამიანი დაინიშნოს მინისტრად, რადგან ის ქვეყანას თავისი მდივნის ბაყვებზე გაცვლისო“.



**სალომე ზურაბიშვილი**
**საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი**

მიხეილ სააკაშვილს არც გამძლეობა აქვს და არც ნერვები... აღარაფერი შერჩა — არც პოლიტიკური ძალა, არც ლეგიტიმურობა, არც ხალხის ნდობა და არც ჯარი და პოლიცია. სააკაშვილს შემორჩა მხოლოდ ბანდა, რომელიც მალე წარსულს ჩაბარდება.



**კონსტანტინე გამსახურდია**
**პარტია „თავისუფლების“ ლიდერი**

ჩემი თვალით ვნახე 5 დღის წინ სპეცრაზმის ვარჯიში. ფარებს ისე იმარჯვებდნენ და ხელებს ისე იქნევდნენ, აშკარად დასარბევად ემზადებიან.

# გადადგომა ან

**9 აპრილის აქციის დაწყებამდე სულ რამდენიმე საათი დარჩა. ბოლო დროის განმავლობაში ქართველი საზოგადოება დაახლოებით ისე გრძნობდა თავს, როგორც პაციენტი რთული ოპერაციის წინ, როდესაც გადარჩენის შანსი 50/50-ზეა, მაგრამ ოპერაციაზე უარის თქმა გარანტირებულად ფატალურ შედეგს მოიტანს. წინასწარ დათქმულ თარიღამდე დრო უსაშველოდ იწელებოდა და თითოეულ დღეს ახალი განცდა და სევდიანი მოლოდინი მოჰქონდა, თუმცა ეს ყველაფერი წარსულშია, კულმინაციას მხოლოდ რამდენიმე საათი გვაშორებს. შესაძლებელია თუ არა დაპირისპირება მძიმე შედეგების გარეშე დასრულდეს, თანაც ისე, რომ საკუთარი მისწრაფებების დაკმაყოფილება ასე თუ ისე ყველამ შეძლოს? — ერთი შეხედვით, ეს წარმოუდგენელია, რადგან მათ, ვინც ქუჩაში გამოვა, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის გარდა სხვა ვარიანტი არ დააკმაყოფილებთ. ხელისუფლება კი ამას არ თანხმდება. პოზიციების გადახედვას არავინ აპირებს და ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავალი არ ჩანს. თუმცა შეგვიძლია განვიხილოთ ერთი ჰიპოთეტური სცენარი, რომელმაც პრობლემის გადაწყვეტასთან, შესაძლოა, ისე დაგვაახლოოს, რომ ოპოზიციამაც მიაღწიოს საწადელს და ხელისუფლებაში მყოფმა ძალამაც შეძლოს ,,სახის შენარჩუნება” და იმედიანად დარჩენაც.**

### მოკითხვა სტალინგრადიდან

**სამხედრო ისტორიაში მცდარი სტრატეგიის თანდათანობითი ჩამოყალიბების უამრავი მაგალითი მოიპოვება. მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი რომელიმე პოზიციის დაცვის იდეაფიქსად გადაქცევაა.** იქ დიდი ძალების თავმოყრა ხდება, პოზიციის გამაგრებაზე არაპროპორციულად ბევრი რესურსი მიდის (მაგალითი: ,,მაჟინოს ხაზი”). აზრი იმის თაობაზე, რომ მოწინააღმდეგემ შეიძლება თამამი მანევრირებით გვერდი აუაროს მას, გაიჭრას ზურგში, გადაჭრას კომუნიკაციები და საბოლოოდ ალყაში მოაქციოს დამცველები, იდევნება, რადგან სტრატეგიულ მარაზმში ჩავარდნილი გენერალური შტაბი მას ყურადღებას არ აქცევს. მაგრამ, როდესაც ,,წარმოუდგენელი და თავზარდამცემი რამ” მაინც ხდება და ესა თუ ის ტერიტორია კუნძულად იქცევა უკვე შორსგაჭრილი მოწინააღმდეგის ზღვაში, ჩნდება დილემა: გარღვევაზე წასვლა, ვიდრე მტრის რკალი ჯერაც არ არის მყარი, თუ პოზიციების დაცვა იმის იმედით, რომ მის დებლოკირებას მთავარი ძალები მოახდენენ (მაგალითი: პაულუსის არმია სტალინგრადში)?

**დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში ხელისუფლებაში მყოფ პირთა პოზიციას სააკაშვილისთვის სავარძლის და უსაზღვრო უფლებების შენარჩუნება წარმოადგენს. მათი გამარჯვება თუ მარცხი სწორედ ამ პოზიციის ფლობაზეა დამოკიდებული.**

მათი რეალური ძალაუფლება დღითიდღე (უკვე საათიდან საათამდე) სუსტდება, პოლიტიკური მოწინააღმდეგე კი სულ უფრო ძლიერდება და თამამად შემტევი ხდება. რამდენჯერაც უნდა დაარბიოს მიტინგი ხელისუფლებამ, მისი მოწინააღმდეგეები კვლავ დაბრუნდებიან, კიდევ უფრო გაძლიერებულნი, რაზეც სავსებით სამართლიანად მიუთითა ბრიტანეთის ყოფილმა ელჩმა საქართველოში დონალდ მაკლარენმა სააკაშვილისადმი მიმართულ ღია წერილში. **რაოდენ დიდ ტაქტიკურ წარმატებასაც უნდა მიაღწიონ, რამდენი შეტევაც უნდა მოიგერიონ (რაც საკუთარი რესურსების კიდევ უფრო დიდ ხარჯვას გამოიწვევს), სტრატეგიული თვალსაზრისით, ალყა დარჩება ალყად; მით უფრო, რომ 2007 წლის ნოემბრისაგან განსხვავებით, გარედან (დასავლეთიდან) არავინ მოვა ამ პოზიციის დებლოკირების მოსახდენად.**

ერთი შეხედვით, გამოსავალი არ არსებობს, თუმცა რაოდენ პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, სააკაშვილს და მის გარშემო შეკრებილ ადამიანებს ჯერ კიდევ აქვთ ალყიდან გამოსვლის და ბრძოლის გაგრძელების შანსი, ოღონდ სხვა დროს და სხვა ვითარებაში, თუმცა ამისათვის თამამი გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო — ალყაშემორტყმული პოზიციის დატოვება და ერთგვარ გარღვევაზე წასვლა.

### გადადგება თუ არა?

უახლოესი საათების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ ექნება არაორდინარული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა: თუ იგი მოახერხებს ყველა იმ ამბიციის, წყენის, სურვილისა და ოცნების, რომელიც მისთვის კონცენტრირებულია „ა” წერტილში (დღევანდელობა), „ბ” წერტილში (მომავალში) გადატანას (დასაწყისისთვის წარმოსახვაში), კერძოდ, ვიდრე პროცესები შეუქცევად ხასიათს მიიღებს, გააკეთოს განცხადება გადადგომის შესახებ (სამოქალაქო დაპირისპირების არიდების საბაბით), მაგრამ ამასთანავე განაცხადოს, რომ დარწმუნებულია საკუთარი შეხედულებების სისწორეში და თანამოაზრეებთან ერთად პოლიტიკურ ბრძოლას განაგრძობს. **აქ საუბარია არა იმ ტიპის მანევრზე, რომელიც 7 ნოემბრის შემდეგ განხორციელდა, ანუ ფორმალურ გადადგომასა და მყისიერ დაბრუნებაზე, არამედ უფრო ხანგრძლივი პაუზის აღებაზე.**

დღევანდელი გადასახედიდან აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ სააკაშვილს ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ უკან დაბრუნების რაიმე შანსი ჰქონდეს. **თუმცა აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის უახლეს ისტორიაში ხელისუფლებიდან საყოველთაო ზიზღით გარემოცული ვამპირები წასულან, მაგრამ 5-10 წელიწადში ტრიუმფით უკანვე დაბრუნებულან. ამდენად, აჯობებს, წინა ფრაზაში სიტყვა ,,წარმოუდგენელი” ,,ძნელად წარმოსადგენით” შევცვალოთ.**

თუ სააკაშვილი თავს აარიდებს ძალადობას, საზოგადოებაში ეს სათანადო რეაქციას გამოიწვევს, ხოლო დასავლეთში მას საბოლოოდ „არ ჩამოწერენ“, გარკვეული ჯგუფები დარჩებიან მასთან კონტაქტში და შესაძლოა, მომავალში გამოიყენონ კიდეც თავიანთი კომბინაციებისთვის **(პრინციპში, ჯორჯ ბუშის წინადადების მიღმა, რომელმაც სააკაშვილი მის მიერ დაფუძნებულ სასწავლებელში სამუშაოდ დაპატიჟა, ამ ქვეტექსტის დანახვაც შეიძლება).** სავარაუდოდ, სააკაშვილის და მისი გარემოცვის ხელში დარჩება დიდი და აღურიცხავი ფინანსური რესურსი, რამდენიმე ვაგონი კომპრომატი, აგრეთვე, კავშირები გარკვეულ პირებთან (მარტივად რომ ვთქვათ, აგენტურასთან) აღმასრულებელ სტრუქტურებში, რაოდენ გულმოდგინედაც უნდა წმინდოს ისინი ახალმა ხელისუფლებამ; დარჩებიან საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში მიმოფანტული სააკაშვილის მხარდამჭერებიც **(ისინი გაცილებით ნაკლებნი არიან, ვიდრე ხელისუფლებაში თვლიან, მაგრამ ბუნებაში ნამდვილად არსებობენ).**

მომავალი ხელისუფლება ობიექტური მიზეზების გამო სტაბილური არ იქნება. სათანადო საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ამ გარემოების ეფექტიანი გამოყენება. საერთოდ, განხილული სავარაუდო მანევრი, მისი წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში, სახელმძღვანელოებში ნამდვილად შევა. **გარისკვა უდავოდ ღირს, მითუმეტეს, რომ ალტერნატივა (ჯდომა და იმის ლოდინი, თუ როდის ჩამოიღებენ აჯანყებული მასები კარებს) ნამდვილად არასახარბიელოა.** თუმცა იმისთვის, რომ რაღაცას მიაღწიოს მომავალში, სააკაშვილი ახლა უნდა გადადგეს. დროულად გაკეთებული განცხადება შესაძლებლობას მისცემს ბევრი, მომავალი ბრძოლისთვის აუცილებელი, თითქოსდა შეუმჩნეველი პლაცდარმი (სხვადასხვა გარანტიის სახით) შეინარჩუნოს, თუმცა ამისთვის გადადგომის ინიციატივა მისგან უნდა მომდინარეობდეს. ამისთვის კი სულ უფრო ცოტა დრო რჩება. ძალიან მალე ვნახავთ, თუ რა არჩევანს გააკეთებს სააკაშვილი.

### პირველად იტალიის ისტორიაში

კობა დავითაშვილისა და გოგა ხაჩიძის შთამბეჭდავ ორრაუნდიან დებატებში, რომელიც ტელეკომპანია ,,კავკასიის” ეთერში გაიმართა, ერთი დაუვიწყარი მომენტი იყო, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელმა, მისი აზრით, ქვეყნისთვის ყველაზე საჭირბოროტო საკითხების ჩამოთვლისას კანალიზაციის პრობლემაზე ისაუბრა. **ხაჩიძე ისე ემოცი-**

## ფოტორეპლიკა



მაგრად ჩაბერე, გიიიიი-ვიიიიი...



ოღონდ წადი, თან წაიღე...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კანალიზაცია



**ურად, ისე გულისამაჩუყებლად მსჯელობდა იმაზე, რომ ქვეყანას არ აქვს ნორმალური კანალიზაცია და პრობლემა სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებს, რომ ბუნებრივად გაჩნდა იმის განცდა, რომ აუცილებლად უნდა გავათავისუფლოთ ეს გულანთებული ახალგაზრდა და მისი თვალებანთებული თანაგუნდელები სხვა დატვირთვისაგან და მივცეთ შესაძლებლობა, ამ პრობლემის მოგვარებაზე სრული კონცენტრირება მოახდინონ.** მეტიც, ყველანაირი პირობა შევქნათ საიმისოდ, რომ ეს ხალხი წამითაც არ მოსწყდეს ესოდენ მნიშვნელოვან საქმეს, დრო უქმად არ დაკარგოს და მუხლჩაუხრელად იმუშაოს კანალიზაციის პრობლემის მოგვარებაზე მის საბოლოო გადაწყვეტამდე ისე, როგორც სტალინის დროს მოსკოვის „მეტროპოლიტენის“ მშენებლები შრომობდნენ დედამიწის ზედაპირზე ამოუსვლელად.

ხუმრობის გარეშე ძალიან უცნაური საუბარი გამოდის. **ეკითხებიან პოლიტიკურ თავისუფლებებზე, — ისინი ასფალტზე პასუხობენ; ესაუბრებიან ადამიანის უფლებებზე და პასუხად 100 საავადმყოფოზე ან საწარმოზე იწყებენ მსჯელობას; მნიშვნელობა არ აქვს, რას ჰკითხავენ შემდეგ. საუბრის თემად მაინც საწიაღვრე სისტემას აირჩევენ.** ჩვენ ვნახეთ, რით დასრულდა ხელისუფლების ზრუნვა ქვეყნის ტერიტორიულ გამთლიანებაზე და იოლად შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, თუ რა ნაყოფს გამოიღებს მისი გადამეტებული ყურადღება ეკონომიკის მიმართ.

## განსაკუთრებით თამამი ფანტაზიის მქონეთ ისიც შეუძლიათ, წარმოიდგინონ, რა შედეგით დაგვირგვინდება ზრუნვა კანალიზაციაზე. ყოველივე ამის უკან ძალიან საშიში ტენდენცია დგას.

ისტორიაში არსებობს უამრავი ცუდად დასრულებული მაგალითი იმისა, თუ როგორ ანიჭებდა ესა თუ ის ერი დიქტატორებს განუსაზღვრელ ძალაუფლებას ეკონომიკური და სხვა პრობლემების მოგვარებისათვის, მაგრამ პრინციპული განსხვავება ჩვენი სიტუაციისგან იმაში მდგომარეობს, რომ ამ დიქტატორების უმრავლესობა რომელიმე დარგში გარკვეული წარმატებების მიღწევას მაინც ახერხებდა.

**ბენიტო მუსოლინის მმართველობის პირველი წლები:** 1923-ში უმუშევართა რიცხვი 541 ათასიდან 122 ათასამდე შემცირდა, ჯერ კიდევ დაუსაქმებლებს ღირსეული ცხოვრებისათვის საკმარისი შემწეობა დაენიშნა. შემოიღეს ხუთდღიანი სამუშაო კვირა და 8-საათიანი სამუშაო დღე, აიკრძალა ქალების და ახალგაზრდების მუშაობა ღამის საათებში, დაწესდა მშრომელთა დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან, დარეგულირდა ავადმყოფებზე შემწეობის გაცემის საკითხი. **ყოველივე ეს „პირველად იტალიის ისტორიაში“.**

**დაიწყო პირველი ავტოსტრადების მშენებლობა, შედეგად იტალიამ მიიღო საუკეთესო გზები ევროპაში (ოღონდ მართლა). ცნობისათვის: გერმანული სიტყვა „ავტობანი“ იტალიური „ავტოსტრადის“ საგანგებოდ შექმნილი კალკია, ხოლო ჰიტლერის ავტობანების პროგრამა — დუჩეს პროგრამის ადაპტირებული ასლი.**

მთელი ქვეყანა დაიფარა საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების და ქალთა კონსულტაციების ქსელით, სამუდამოდ დამარცხდა იტალიის ძველი სენი — ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობა. ხელმოკლე ოჯახებმა მიიღეს პრაქტიკულად უფასო დასვენების შესაძლებლობა ახალ ტურისტულ ბაზებზე, ხდებოდა ტურიზმის, სპორტის და, ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესის ფართოდ დამკვიდრება. შემწეობები ბავშვებზე ხელმოკლე ოჯახებიდან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პიკზეც კი შეადგენდა საშუალოდ 350 მილიონ ლირას წელიწადში; ისეთი ფენომენი, როგორიც იყო კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან კარგად ცნობილი შიმშილისგან გაძვალტყავებული იტალიელი ბავშვი-მაწანწალა, წარსულს ჩაბარდა. ამ 350 მილიონ ლირას იმ დროის ჯერაც სრულფასოვან დოლარებში თუ გადავიყვანთ, 15 მილიონს მივიღებთ, რაც იმ პერიოდისთვის ძალიან სერიოზული თანხა იყო, თუმცა ციფრებით ოპერირებას აჯობებს იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ ამ პროგრამისათვის დუჩეს დაუღალავად ასხამდა ხოტბას ისეთი ნათელი პიროვნება, როგორიც მაჰატმა განდი იყო.

**საინტერესო ფაქტი: უმბერტო ეკოს პირველი ნაწარმოების (მაშინ 10 წლის იყო) სათაურია „რატომ უნდა გავწიროთ თავი მუსოლინის და იტალიის მარადიული დიდებისათვის“; დაწერა და მოსწავლეთა ოლიმპიადაშიც გაიმარჯვა. კაცს დღემდე არ ასვენებს ეს მოგონება, ისევ და ისევ უბრუნდება მას, შესაძლოა, იმიტომაც, რომ პატარა ჭკვიანი უმბერტო (ასაკის გამო) სახლში დარჩა, ხოლო ვიღაც, მსგავსი იდეებით გზააბნეული უფროსკლასელი, წავიდა და მართლა გასწირა თავი.**

ეკონომიკური წარმატებები ძალიან დიდი იყო. ციფრებით მანიპულირების ნაცვლად აჯობებს, იმ დროის კიდევ ერთი ავტორიტეტული მოღვაწის, პრეზიდენტ რუზველტის აზრი მოვიშველიოთ, რომელიც იტალიის ეკონომიკური წინსვლის შეფასებისას პირდაპირ ამბობდა: **„მუსოლინი აღტაცებას იმსახურებს“, „ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რასაც მან მიაღწია“... სხვა წარმატებებიც იყო, დარგების მიხედვით ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.**

ეს სულაც არ არის ფაშიზმის პროპაგანდა. დუჩემ ცუდად დაამთავრა და მშვენივრად ვიცით, რატომაც; ფაქტების ჩამოთვლა კი იმისთვის დაგვჭირდა, რომ შემდეგი აზრის ილუსტრირება მოვახდინოთ: **თუ საკუთარ თავს განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებ, რაიმე სერიოზულ შედეგს მაინც უნდა მიაღწიო, დიქტატურას (პირობითი) გამართლება მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება.** ლიბერალური ეკონომიკური მოდელის ფარგლებში შეგვიძლია, განვიხილოთ პინოჩეტის მმართველობა, რომელიც სინამდვილეში არ ყოფილა ისეთი ბრწყინვალე, როგორადაც ხშირად წარმოაჩენენ, მაგრამ ეკონომიკაში პრინციპული ხასიათის წარმატებებს ადგილი ნამდვილად ჰქონდა.

ვთქვათ, ეკონომიკური წარმატებების მიღწევა შეუძლებელია, ომის მოგებაც არ გამოდის და დიქტატურის შესაძლებლობები მხოლოდ მმართველთა კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის გამოიყენება, მაგრამ ჩვენში ვერც საზოგადოების ეფექტიანი კონტროლის სისტემის შექმნა მოხერხდა, მისი დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, აჯანყდა. **საერთოდ, დიქტატურა ძალიან საშიში, ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტია. უმწიფარი პოლიტიკოსების სამსახურში იგი ისეთივე საფრთხეს წარმოადგენს, როგორც სამართებელი ფსიქოპათის ხელში. უფუნქციო, უაზრო დიქტატურა კი შემდგომი გართულებების თავიდან არიდების მიზნით სასწრაფო და საიმედო დემონტაჟს ექვემდებარება.**

**დიმიტრი მონიავა**

## ფოტორეპლიკა



მე რას მერჩით, ყველაფერი ამან შეჭამა...



ჭამა ლაპარაკის ნაცვლად

## გაღიზიანებულნი

**ზურაბ ნოღაიდელი**
**ყოფილი პრემიერ-მინისტრი**



პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც მე ვიცნობდი და პატივს ვცემდი, შეუძლოდ გახდა 2007 წლის 7 ნოემბერს და 2008 წლის 8 აგვისტოს გარდაიცვალა. ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ უგუნურ, ლაჩარ, მოღალატე ადამიანს, რომელთანაც არაფერი მაქვს საერთო.

**თემურ გოცაძე**
**მხატვარი**



სირცხვილით თავი სად უნდა გამოყო? ამის მერე როგორ ცხოვრობ, როგორ არსებობ? სადღაც ღობის ქვეშ იყავი შემძვრალი და თავზე ვილაცები გასხდნენ. ამის მერე როგორ გაქვს ქვეყნის მართვის პრეტენზია?

**მამუკა ღლონტი**
**ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალური დირექტორი**



საზოგადოებრივი მაუწყებელი უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ განყოფილებად იქცა. ეჭვი არ მეპარება, რომ შსს მსგავსად, მასაც ექნება ახალი დადგმული სპექტაკლები.

**მიხეილ ლეონტიევი**
**ტელეწამყვანი**



ის ე.წ. ოპოზიცია, რომელიც წარსულში სააკაშვილის თანამოაზრე იყო და რომელიც სულ ახლახან გადმობარგდა ოპოზიციაში, ვგულისხმობ ყოფილ პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ალასანიას, არანაირად არ შეიძლება იყვნენ მხარდაჭერილები, თუნდაც რუსული კაპიტალით, რადგან მათი სისხლხორცეული დონორები ამერიკელები არიან!

ვიცი, რომ საქართველოში არცთუ პოპულარული რუსი ვარ, მაგრამ მინდა, აბსოლუტურად გულწრფელად გითხრათ, რომ, თუკი თქვენი ხალხი ბურჯანაძეს, ალასანიას და იმ პრემიერ-მინისტრს, მისი გვარიც არ მახსოვს, დაიყენებენ ლიდერებად და ქართული პოლიტიკის მხსნელებად გამოაცხადებენ, ყველაფერი ისევე დამთავრდება, როგორც ეს გასულ წლებში იყო!

**რევაზ მიშველაძე**
**მწერალი**



შე კაი კაცო, რა ფოკუსს მიტარებ ასეთს, ეს ჩვენი პატარა ბიჭი, გიორგი თარგამაძე რომ დაიბარე ამერიკაში, საყაენოში? გამაგებინე, შვილო, რისთვის გიბარებენ და რისთვის დარბიხარ ამ ურდოში?!

**პაატა ზაქარეიშვილი**
**ექსპერტი**



სანდრა რულოვსი თავის შვილებს გაიყვანს საქართველოდან, თვითონ იქნება ბობოყვათში და აქ ყველაფერს წარმართავენ ვანო მერაბიშვილი, ახალაიები და მისი რაზმი. თბილისში არ იქნება არც მაჭავარიანი და ა.შ.

**დაჩი ცაგურია**
**მოძრაობა „7 ნოემბერი“**



ესენი იარაღით ვერ შეგვაშინებენ! თუ მაგარი ბიჭები არიან, სადაც სასროლი იყო, იქ ესროლათ. გორში საცვლებით რომ დარბოდნენ, მეც იქ ვიყავი და ვნახე, როგორი შეშინებულები დარბოდნენ საცვლებით. ამათ შეურაცხყვეს ქართველი პოლიციელის და ჯარისკაცის მუნდირი. როგორ უნდა მეშინოდეს გეგეჭკორის და გრიგალაშვილის, რომელმაც ფორმა გაიხადა და გადაყარა, რათა გორიდან ცოცხალი გამოსულიყო?

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სახელმწიფო — ეს ვანოა!..

**მათიას იორში — ცნობილი უნგრელი ლიბერალი და საქართველოს ევროპელი მამასახლისი, დიალოგისკენ მოუწოდებს ხელისუფლებასა და ოპოზიციას. უფრო მართებული იქნებოდა თქმა, რომ ოპოზიციას მოუწოდებს, თორემ ხელისუფლებასთან საშვილიშვილოდ აქვს გადაფსკვნილი ყველაფერი, რისი გადაფსკვნაც შეიძლება. ამაში შარშანაც დავრწმუნდით: ხომ გახსოვთ, ყავარჯნებით რომ „თავს დაგვესხა“ და „კასტილები“ მოიქნია თავისი უმრწემესი ძმების დასაცავად. დაახლოებით ისე, როგორც განძს დახარბებული ევგენი ევსტიგნეევის გმირი იქნევს შესანიშნავ ფილმში „იტალიელების დაუჯერებელი თავგადასავალი რუსეთში“.**

იორშიც „განძს ეხარბება“ და, ლევან ბერძენიშვილივით საბოდიშოდ რომ არ გავიხადოთ საქმე, ნუ გავუსვამთ ხაზს მის წარმომავლობას. ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, იორში უნგრელი ებრაელია თუ ავლაბრელი სომეხი.

**მთავარია მისია, რომლითაც იორში გვსტუმრობს ხოლმე და მერე ჩვენი ხელისუფლება თავს იწონებს მათთვის მისაღები მათიასეული გუნდრუკის კმევით.**

**ახლაც გაუჭირდა პრეზიდენტ სააკაშვილს და იორშიც დაბარებულივით აქ გაჩნდა. რაღა დაბარებულივით, ალბათ, მართლაც დაიბარეს და ჩამოვიდა. ეს ჩვენი ოპოზიციაც, ჯერ „გუბერნატორ“ ბრაზასთან ხომ ჩადგა რიგში და, მერე იორშს ეახლა. თუ პირიქით, — რა მნიშვნელობა აქვს.**

ევროპელმა მაღალმა სტუმარმა რჩევები არ დაიშურა. მათგან კი განსაკუთრებით ერთი გამოირჩეოდა: **9 აპრილის მასობრივი აქციის დაწყებამდე ოპოზიციამ მოლაპარაკება უნდა გამართოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილთან, რისი მიზანიც დაგეგმილი აქციების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნებაო.**

ჩვენ კი ვიცით, მაგრამ ჩვენი ევროპელი ზედამხედველი თუ ასე ლიად გვეტყოდა სახელმწიფოს პირველი ვიოლინოს ვინაობას, ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა.

**არც პირველს — პრეზიდენტს, არც მეორეს — პარლამენტის თავმჯდომარეს, არც მესამეს — პრემიერ-მინისტრს, არა, უპირველესად, ვანოს მოელაპარაკეთო.**

ოპოზიციამ ქვა ააგდო და, თავის შეშვერას ვინ ჩივის, ჩამოვარდნასაც აღარ დაელოდა, ისე გავარდა რეგიონებში „ხალხის გამოსაფხიზლებლად“, — **რა ვანო, რის ვანო, მაგას რაზე ველაპარაკოთ, მაგას ვინ ჰკითხავს, პრეზიდენტი უნდა გადადგესო.**



**ვანო ელოდა, როდის მივიდოდნენ ოპოზიციონერები „სადიალოგოდ“, მაგრამ არავინ მისულა.**

იორშმა თავისი თქვა და წავიდა. ვანო ელოდა, როდის მივიდოდნენ ოპოზიციონერები „სადიალოგოდ“, მაგრამ არავინ მისულა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვინახავს მასთან მოსაუბრე პოლიტიკოსები, რომლებმაც ძალიან გაიოცეს, ვითომ არ იცოდნენ, რომ ვანო...

**დიახ, ქართული სახელმწიფო — ეს ვანოა!..**

საერთოდ, „სახელმწიფო — ეს მე ვარ“, ქვეშევრდომისადმი მეფის უკიდურესი დესპოტური დამოკიდებულების ამსახველი ფორმულაა, რომელსაც საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV (1638-1715) მიაწერენ.

**ჩვენ შემთხვევაში, გვეგონა, რომ სახელმწიფო პრეზიდენტი სააკაშვილი იყო. კონსტიტუციაც ამას გვიდასტურებს, მაგრამ, თურმე, ასე არ ფიქრობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და ნაციონალური მოძრაობის თუ თავისუფლების ინსტიტუტის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი აკაკი მინაშვილი.**

**„როცა ლაპარაკია მერაბიშვილთან დიალოგზე, აქ არა მხოლოდ კონკრეტულად შინაგან საქმეთა მინისტრი, არამედ სახელმწიფო იგულისხმება, რომელიც ვალდებულია, ქვეყანაში მშვიდობიანი ვითარება უზრუნველყოს“,** — სწორედ ასე განაცხადა ლევან რამიშვილის ბუდიდან აფრენილმა „არწივმა“.

**ვამბობთ სახელმწიფოს და ვგულისხმობთ ვანოს. პირიქითაც შეიძლება, პარტიისა და ლენინის „პონტში“.**

მინაშვილის პოლიტიკურ ზრდასრულობაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ნაადრევია, მაგრამ ამასაც აქვს თავისი პლუსები. **ბავშვების პირით ჭეშმარიტება ღაღადებსო, — ნათქვამია და ეს სწორედ ის შემთხვევაა: ნაციონალური ჭეშმარიტება ჯერ მათიას იორშმა გვიქადაგა და, რაკი ვერ შეგვასმინა, მერე აკაკი მინაშვილმაც გვიღაღადა.**

**სახელმწიფო — ეს ვანოა!** — აი, დღევანდელი საქართველოს ფორმულა, რომლის საშუალებითაც სააკაშვილი თავისი ამოცანის ამოხსნას, უფრო სწორად, საკუთარი თანამდებობის ოპოზიციური ალყისგან გამოხსნას ცდილობს, ოპოზიცია კი ამ ფორმულის იგნორირებით შესაძლოა, ჩიხში აღმოჩნდეს.

ყველას თავისი ამოცანა აქვს და ამ შემთხვევაში ამოცანაც და ფორმულაც ერთია — **ეს ვანოა!**

# პირველი გადმოგდებული მერი

**„ვარდების რევოლუციის“ წინადღეებში ოპოზიციონერ სააკაშვილს გურულმა გლეხმა ხანჯალი აჩუქა, — წადი და ამით შევარდნაძეს თავი მოჰკვეთეო. ახლა იმის გარკვევის დრო არ არის, ის ხანჯალი იმ გლეხს მამა-პაპამ დაუტოვა და საგვარეულო განძი გაიმეტა თუ ნაციონალების მორიგი პიარელემენტი იყო ხანჯალიცა და მისი ტელეკამერების წინ გადაცემაც, მაგრამ ამ აქციამ თავისი შედეგი, გარკვეულწილად, გამოიღო: მართალია, პრეზიდენტ შევარდნაძეს თავი მხრებზე შერჩა (პირდაპირი მნიშვნელობით!), მაგრამ ექს-პრეზიდენტ შევარდნაძეს სააკაშვილმა თავი მთელი მსოფლიოს წინაშე რომ მოსჭრა, ამაზე თვით ნაციონალურ მოძრაობაშიც საუბრობენ.**

ლანგრით მირთმეულ პრეზიდენტობას თუ ასე მალე და, თანაც, ასეთი კატასტროფით დაასრულებდა მისი მემკვიდრე, ეს თვით იმ შევარდნაძისთვისაც წარმოუდგენელი იყო, რომელიც სააკაშვილს „ჩვენს პრეზიდენტს“ უწოდებდა და რომელმაც შარშან, ნოემბერში, განვლილ პერიოდს „ბოროტების ხუთი წელი“ უწოდა.

**ამ ხუთი წლის მანძილზე სააკაშვილი მარტო არ ყოფილა. მისი თანაგუნდელები, ახლა რომ ოპოზიციური მანტია მოუსხამთ და მის კალთებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ენერგიულად აფრიალებენ, კარგად იცნობენ მიშას ტექნოლოგიებს და კუთხე-კუთხე, სოფელ-სოფელ, უბან-უბან, შარა-შარა, ჩქარა-ჩქარა დადიან და ეძებენ... გლეხს, რომელიც ხანჯალს აჩუქებს პრეზიდენტისთვის თავის მოსაჭრელად. ხანჯალს, ანდა, სულაც, ცულს — „ცუნცულასა, ხელეჩოსა, წალდუნასა“...**

აკი ასე დაიმუქრნენ კიდეც — „ცულს მოვიტან, ცუნცულასაო...“

**ჯერ ვერ იპოვეს ვერც ის გლეხი და ვერც ცული. სამაგიეროდ, მათმა მეროჭიკეობამ შედეგი გამოიღო და ჟამანაკებარეულმა ხელისუფლებამ დათმობებზე წასვლა გადაწყვიტა. ჯერ „ლაითად“ გახმიანდა, მერე კი „ლაივში“ გამოვიდა და დედაქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევის ინიციატივა გაახმიანა თვით დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ.**

მისი თქმით, პირდაპირი არჩევნების დროს დემოკრატიის უფრო მაღალი სტანდარტი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მმართველ პოლიტიკურ გუნდში ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, არის ინიციატივა, რომ თბილისში 2010 წლის ადგილობრივი არჩევნები პირდაპირი წესით ჩატარდესო.

გესმით, რას ამბობს არაპირდაპირი წესით არჩეული მერი? **„პირდაპირი არჩევნების დროს დემოკრატიის უფრო მაღალი სტანდარტი არსებობსო!“** ბიჯოს, ამას ნამდვილად ახალი რევოლუციის მოლოდინში ნაჭამმა მოხარშულმა სიმინდმა გაუხსნა გონება ერთი ანეკდოტის გმირივით. **როცა არაპირდაპირ, ანუ საკრებულოში აირჩიეს მერად, მაშინ რატომ არ გაახსენდა „დემოკრატიის უფრო მაღალი სტანდარტი“? მაშინ ეს არც სხვებს ახსოვდათ. მაგალითად, გიგა ბოკერია ყველას არწმუნებდა პირდაპირი წესით არჩევის უპირატესობაში, — ასე ჯობია, აი, ეს არის ნამდვილი დემოკრატიაო. მთელი ნაცელიტა ხალხს უტიფრად უცხადებდა, ასე ჯობს, თორემ თქვენ შეიძლება შეცდომა დაუშვათ პირდაპირი არჩევნების დროს, ასე კი დაზღვეულები ვიქნებითო. ხალხის პასუხს, — თუკი პრეზიდენტს ვირჩევთ პირდაპირი წესით, ახლა რა ფარსაგი დაგვემართებაო, — ყური არავინ ათხოვა, თუმცა თვითონაც კარგად მოეხსენებოდათ, როგორ შეაცდინეს თუ შეცდა ეს ხალხი.**



**გიგი უგულავა განსაკუთრებული დიეტით დაყენებულ ტანზე საპრეზიდენტო ჩოხის მოსარგებად ემზადება**

უგულავა კი „თავისი“ ინიციატივის რამდენიმე მიზეზს ასახელებს: **„პირველი მიზეზი არის ის, რომ ყველას შეეძლება, საკუთარი თავი წარმოაჩინოს და საზოგადოებას შესთავაზოს, როგორც შესაძლო კანდიდატი. ეს ეხება დამოუკიდებელ და არაპოლიტიკურ სუბიექტებსაც. მეორე და მნიშვნელოვანი მიზეზი არის დემოკრატიის მაღალი ხარისხი და ამ შემთხვევაში საარჩევნო სისტემისადმი ნდობა იქნება გაცილებით მეტი. აქედან გამომდინარე, ჩვენ მზად ვართ, პოლიტიკურ ოპონენტებთან ერთად დავსხდეთ და ეს საკითხი განვიხილოთ“.**

მისივე თქმით: **„ჩვენ ყოველგვარ რიგგარეშე არჩევნებს გამოვრიცხავთ, რადგან ეს აბსოლუტურად უსარგებლო ინიციატივაა რამდენიმე მიზეზის გამო. შარშან იყო არჩევნები და მეორე ის, რომ ეს არის ძვირი სიამოვნება და ყოველ წელს რიგგარეშე არჩევნები ვერ ჩატარდება“.**

ადგილობრივი არჩევნები ისედაც 2010 წელს არის დანიშნული, გიგი უგულავა კი გვთავაზობს, რომ 2010 წლის შემოდგომის ნაცვლად, არჩევნები 2010 წლის გაზაფხულზე გაიმართოს. თანაც, ამ ვითომ სიახლეს ისეთი საკაზმით გვაწვდის, თითქოს ხელისუფლების პოლიტიკურ გუნდში ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. **იმაზე კი არაფერს ამბობს, განსაკუთრებული დიეტით დაყენებულ ტანზე საპრეზიდენტო ჩოხის მოსარგებად რომ ემზადება და ერთი სული აქვს, როდის დადგება ეს დღე. აზრთა სხვადასხვაობა კი მხოლოდ იმან შეიძლება გამოიწვიოს, თუ ვინ იქნება ამ მუდამ ბავშვისსახიანი მერის შემცვლელი დედაქალაქის უსახური საკრებულოს უნიათო შემადგენლობიდან.**

ეს ბლეფი ხელისუფლებას მხოლოდ საპროტესტო მუხტის შესანელებლად რომ სჭირდება, თვითონაც კარგად მოეხსენება. ახლა მხოლოდ ის არის გასარკვევი, **რატომ მოისურვა პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირველი ბარტყის — გიგი უგულავას გადმოგდება და, თანაც, — მომავალი წლისთვის. ეს ის საკითხი არ არის, რომელზეც ოპოზიცია და ხელისუფლება შეთანხმებას შეძლებს, რადგან ეს ბარტყი არავის არაფერში არგია.**

**პოლიტიკური პროცესები კი ისეთ სახეს იღებს, მალე პრეზიდენტი სააკაშვილი ახალი ბარტყების გადმოყრასაც დაიწყებს. გადმოყრის, ყველას გადმოყრის საკუთარი სავარძლის გადასარჩენად, მაგრამ გადარჩება?**

**ჩიტ ჩიორასაც ასე ეგონა და...**

გვერდი მოამზადა **ბონდო მძინარაშვილმა**

# განკულაკებულმა ნოღაიდელმა კულაკი გილაური ჩაუშვა

**პრეზიდენტის განცხადებას, რომ „ენერგო-პროსთან“ კონტრაქტი თავის დროზე საკმაოდ ცუდად გაფორმდა, კოლექტიური მრიცხველების გამო სოფლებში დიდი სოციალური უსამართლობა ხდება და მეზობლები ერთმანეთს გადაეკიდნენ, რომ ამ მიმართულებით ვითარება მკვეთრად შესაცვლელია და საქმეში იუსტიციის სამინისტრო და გენერალური პროკურატურა უნდა ჩაერთოს, ნოღაიდელის პასუხიც მოჰყვა. ნოღაიდელმა სააკაშვილს ენერგეტიკის მაშინდელ მინისტრ გილაურზე მიუთითა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილსა და მის გარემოცვას ბიზნესებიდან გაპანღურებას დაჰპირდა, ალბათ, ისევე, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება ცდილობს მის გაპანღურებას ბიზნესებიდან.**





ლეიბორისტული პარტია დიდი ხანია, საუბრობს, რომ ჩეხური ენერგოკომპანია „ენერგო-პროს“ უკან ნოღაიდელი დგას. თუმცა დღემდე ნოღაიდელის კომპანია ჩვეულ რეჟიმში განაგრძობდა მუშაობას და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თითქმის ყველა იმ რეგიონში, რომელსაც ელექტროენერგიით „ენერგო-პრო“ ამარაგებს, ამ კომპანიის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, ხელისუფლება წარმატებით გადასცემდა მას სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ჰესებს.

ნოღაიდელს შეიძლება გილაურის „გაფუჭება“ უფრო ხელს აძლევდეს, მაგრამ ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს მთავრობის ბოლო განკარგულება „ენერგო-პროსა“ და სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელსაც პრემიერ-მინისტრ გეგა მგალობლიშვილის ხელმოწერა ამშვენებს. **სამი თვის წინ იმ კომპანიას, რომლის საქმიანობამაც მართლაც უდიდესი როლი ითამაშა მეზობლების ერთმანეთისთვის წაკიდებაში და რომლის გამოც არაერთი მკვლელობა მოხდა, სახელმწიფომ „ორთაჭალჰეს 2007“ მიჰყიდა თბილისში. იალბუზის ქუჩაზე მდებარე ჰესის საწესდებო კაპიტალი 1 768 670 ლარია. „ენერგო-პრომ“ აუქციონზე იგი 25 250 000 ლარად შეიძინა.**

საერთო მრიცხველების დამონტაჟებას ნოღაიდელი ელექტროენერგიის ტარიფის დაწევით ხსნის. მისი განცხადებით, ინდივიდუალური გამრიცხველიანება ტარიფის ზრდას გამოიწვევდა და ამიტომაც მისი შენარჩუნება ამართლებდა მსგავს გადაწყვეტილებას. **თუმცა, ყოფილ პრემიერს ავიწყდება, რომ საერთო მრიცხველების გამო ერთნაირად ბნელში ისხდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც ელექტროენერგიის საფასურს კეთილსინდისიერად იხდიდნენ და ისინიც, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებდნენ დავალიანების გადახდას. სწორედ ასეთი ფაქტები გახდა არაერთი მკვლელობის თუ სხეულის დაზიანების საბაბი.** თუმცა მოსახლეობისთვის ეს ერთადერთი პრობლემა არ ყოფილა. სანამ საქმეში პრეზიდენტი ჩაერეოდა, პროკურატურას „ენერგო-პროს“ საქმიანობით დაინტერესების მოთხოვნით „ხალხის პარტიის“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძემ მიმართა. მისი განცხადებით, ენერგოკომპანიის მიერ დაზარალებული მოსახლეობის თითოეული ფაქტი უნდა იქნეს გამოძიებული, კომპანიის ხელმძღვანელთა მიმართ კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. პროკურატურაში „ენერგო-პროს“ წინააღმდეგ 7 ინდივიდუალური და ერთი კოლექტიური წერილი შევიდა.

გაცილებით ადრე კი ლეიბორისტებმა ამ საკითხზე სტრასბურგის სასამართლოს მიმართეს. პაატა ჯიბლაძის განცხადებით, **სოფელ ნორიოსა და ნასაგურის მოსახლეობას „ენერგო-პროს“ წარმომადგენლები ელექტროენერგიის გადასახადს დახარჯულზე გაცილებით მეტს ახდევინებენ და მრიცხველების საკუთარი ხარჯებით შეძენას აიძულებენ. მიუხედავად ამ კომპანიის წინააღმდეგ პერმანენტული აქციებისა, „ენერგო-პრომ“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ დეკემბერში კიდევ ერთი ჰესი შეიძინა. ამ კომპანიის საკუთრებაში არსებული ჰესების ნუსხაში ეს იყო მეცხრე ჰესი.** თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არაერთი საჩივარი თუ პროტესტის ფორმა ხელისუფლების მხრიდან აქამდე უყურადღებოდ რჩებოდა და გაძარცვულ მოსახლეობას არად აგდებდენ, პრეზიდენტის ეს განცხადება მეტისმეტად საეჭვოდ გამოიყურება.

**ძნელი დასაჯერებელია, რომ „ენერგო-პროს“ სააკაშვილის ენერგეტიკისა თუ პრემიერ-მინისტრებმა ისე გადაულოცეს ქონება, რომ აზრიც არ უკითხავთ და საქმის კურსშიც არ ჩაუყენებიათ. თანაც, თუ ამას ნოღაიდელის ბრალდებასაც დავუმატებთ, პრეზიდენტმა ყველაფერი კარგად იცოდა, რადგან პრემიერი მასთან შეუთანხმებლად ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს არ იღებს და უმჯობესია, მთავრობა იმით დაინტერესდეს, რატომ მისდით საერთო მრიცხველების აბონენტებს ორჯერ მეტი გადასახადი?!. შემთხვევით, მათ გარეგანათებისა და სახელმწიფოს ხარჯები ხომ არ ერიცხებათ?.. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ბიზნესით მარტო ნოღაიდელს არ უხეირია.**

ამჯერად კი გაოპოზიციონერებული ჩინოვნიკის განკულაკების პროცესი მიმდინარეობს. ბოლოს და ბოლოს, ეს ხელისუფლებისთვის აპრობირებული მეთოდია, მითუმეტეს, რომ პოლიტიკური აქტივობის ასეთ პერიოდში ხელისუფლებას მდიდარი ოპოზიციონერები ხელს სულაც არ აძლევს. ამ პროცესში ძნელად გამოსაცნობი მხოლოდ ისაა, როგორ გაართმევს თავს პროკურატურა პრეზიდენტის დავალებას ისე, რომ ნოღაიდელის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგეს, ხოლო „ენერგო-პროსა“ და სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ხელმომწერი სხვა ჩინოვნიკები, მათ შორის, ნოღაიდელის მიერ „ჩაშვებული“ პრემიერი გილაური და ექს-პრემიერი მგალობლიშვილი მშრალად გამოძვრნენ.

**მანანა ჭელიძე**

# ომბუდსმენი ერეკლე კოდუას წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს

**სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ბადრი პატარკაციშვილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისათვის ერეკლე კოდუას მიმართ წინასწარი გამოძიების დაწყებას ითხოვს. სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, 2007 წლის 23 დეკემბერს ლონდონში, არკადი პატარკაციშვილის სახლში, კანონის დარღვევით განხორციელებული აუდიოჩანაწერის გამო სახალხო დამცველმა 2009 წლის 9 მარტს რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს, დაიწყოს წინასწარი გამოძიება ერეკლე კოდუას მიმართ.**



როგორც სისხლის სამართლის საქმეშია მითითებული, 2007 წლის 23 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლების დამხობის გეგმის დეტალების განსახილველად ერეკლე კოდუა ლონდონში ჩავიდა და არკადი პატარკაციშვილს შეხვდა. შეხვედრაზე განისაზღვრა კოდუას კონკრეტული დავალება შინაგან საქმეთა მინისტრის ნეიტრალიზების გეგმის ჩათვლით. **სანაცვლოდ კოდუამ პატარკაციშვილისგან ფინანსური და პოლიტიკური გარანტიები მიიღო. საუბარი ერეკლე კოდუამ ფარულად ჩაიწერა. როგორც შემდგომში სასამართლოზე მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადა, ჩამწერი ლონდონში საკუთარი ინიციატივით წაიღო, ვინაიდან თვითონ უნდოდა საუბრის ჩაწერა.**

**2007 წლის 26 დეკემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ზ. შანშიაშვილის დადგენილებით, კოდუას მიერ პატარკაციშვილის სახლში გაკეთებული ფარული აუდიოჩანაწერი ნივთმტკიცებად იქნა ცნობილი.**

შემდეგში პატარკაციშვილისა და კოდუას საუბრის ფარული აუდიოჩანაწერი დაედო საფუძვლად ბადრი პატარკაციშვილისა და ვალერი გელბახიანის ბრალდებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულების მომზადების ფაქტზე (დანაშაულში გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით).

**საქმის მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ კოდუას მიერ ინგლისში განხორციელებული ფარული აუდიოჩანაწერი სრული კანონდარღვევითაა მოპოვებული და მას არ შეიძლებოდა მინიჭებოდა იურიდიული ძალა, ვინაიდან ფარულად ჩაწერის ინიციატივა არ მოდიოდა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტიდან. იგი მოხდა კოდუას პირადი ინიციატივით და არც შემდეგში დაკანონებულა სასამართლოს მიერ, — აცხადებს სახალხო დამცველი.**

მისივე აზრით, ჩანაწერის კანონიერ მტკიცებულებად მიჩნევისათვის ინგლისში კოდუას მივლინება და ფარული აუდიოჩაწერა უნდა მომხდარიყო კანონით დადგენილი წესით. კოდუამ კი საუბრის ფარულად ჩაწერით ფაქტობრივად დაარღვია არკადი პატარკაციშვილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

**2007 წლის 17 დეკემბერს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორმა ერეკლე კოდუამ პატაკით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ამირან მესხელს, სადაც აღნიშნული იყო, რომ მას დაუკავშირდა ყოფილი მოსამართლე მარინა გაბუნია და სოლიდური თანხის საფასურად შეეცადა მის მოსყიდვას სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის მისაღებად. პატაკის საფუძველზე შსს სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა იმავე დღეს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულების მომზადების ფაქტზე. სოდ-ის დირექტორის მოადგილემ ე. როგავამ მიიღო დადგენილება — დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობის გამოვლენა-დოკუმენტირებისა და აღკვეთის მიზნით, დანაშაულებრივ ჯგუფში ოპერატიულ თანამშრომლად ჩართულიყო სოდ-ის დირექტორი ერეკლე კოდუა.**

18 დეკემბერს მარინა გაბუნიას შუამავლობით ერეკლე კოდუა სამოქმედო გეგმის კონკრეტული დეტალების დასაზუსტებლად არკადი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის უფროსს ვალერი გელბახიანს შეხვდა. გელბახიანმა დაადასტურა, რომ პატარკაციშვილი მზად იყო, პირადად შეხვედროდა კოდუას.

2007 წლის 23 დეკემბერს ერეკლე კოდუა ლონდონში პატარკაციშვილთან ჩავიდა, სადაც საქართველოს ხელისუფლების დამხობის გეგმის დეტალები განიხილეს და ფინანსური და პოლიტიკური გარანტიები განსაზღვრეს.

**ერეკლე კოდუას მიერ (როგორც ოპერატიული მუშაკის) მტკიცებულებათა მოპოვება უნდა მომხდარიყო 'ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ" კანონით დადგენილი წესით — სასამართლო ბრძანების საფუძველზე. რადგან ეს წესი არ იქნა დაცული, ლონდონში მოპოვებულ აუდიოჩანაწერს არ შეიძლებოდა მინიჭებოდა მტკიცებულებითი ძალა.**

შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ზ. შანშიაშვილის მიერ, ნივთმტკიცებად ცნობის ნაცვლად, იგი უნდა მიჩნეულიყო დაუშვებელ მტკიცებულებად და ამოღებულიყო სისხლის სამართლის საქმიდან.

**სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს, იმის გამო, რომ არ მოხდეს დაუშვებელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვალერი გელბახიანის ბრალდება, კოდუა-პატარკაციშვილის საუბრის ფარული აუდიოჩანაწერი არ დაედოს საფუძვლად ვალერი გელბახიანის საბრალდებო დასკვნას.**

ამავე დროს, ინგლისში კოდუა-პატარკაციშვილის საუბრის ფარული აუდიოჩანაწერის მოპოვებისას ერეკლე კოდუამ აშკარად გადაამეტა თავის უფლებამოსილებას, რამაც გამოიწვია არკადი პატარკაციშვილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა და შედეგად კანონდარღვევით მტკიცებულების მოპოვება.

**ვინაიდან ერეკლე კოდუას აღნიშნული ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს ზურაბ ადეიშვილს, დაიწყოს წინასწარი გამოძიება ამ ფაქტზე.**

**მედიანიუსი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## კობა ნარჩემაშვილი:

# მინდა, საერთო-სახალხო პროტესტს შევუერთდე...

**შს ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი 9 აპრილს მიტინგზე გავა... „ვარდების რევოლუციიდან“ 6 წლის შემდეგ იგი შეიძლება ბარიკადის იმ მხარეს აღმოჩნდეს, სადაც თავის დროზე მიხეილ სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები იდგნენ. მაშინ ერთადერთმა, შს მინისტრმა გაუწია რევოლუციონერებს წინააღმდეგობა და რამდენიმე წუთით ხალხის ნაკადი შეაკავა კიდეც... ნარჩემაშვილსა და სააკაშვილს შორის მცირედი შელაპარაკება კამერებმაც დააფიქსირეს, თუმცა იმასაც ამბობენ, შს მინისტრმა ექსცენტრიკულ რევოლუციონერს სახეში გაარტყაო... დღეს კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში პროტესტის ნებისმიერ ფორმაში მიიღებს მონაწილეობას. იგი 6 წლის შემდეგ „ვარდების რევოლუციას“ ამორალურს უწოდებს. „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ინტერვიუს შს ექს-მინისტრთან კობა ნარჩემაშვილთან, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ გაზის შემოტანისთვის გაასამართლა...**



**„ვვარაუდობ, რომ 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე დაახლოებით 100-150 ათასი ადამიანი მივა!“**

— **ბატონო კობა, საზოგადოება 9 აპრილს მოვლენათა განვითარების რამდენიმე სცენარზე საუბრობს... თქვენ, როგორც შს ყოფილი მინისტრი, რა მოსალოდნელ სცენარებს ხედავთ?**

— შეიძლება, ოპოზიციამ ვითარების გამწვავების სცენარი პირველსავე დღეს აირჩიოს და შენობების პიკეტირებას ან სხვა მსგავს მეთოდებს მიმართოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი ძალიან მაღალია, შესაძლოა, თავის მოთხოვნებში ოპოზიციის ლიდერებზე უფრო რადიკალური ხალხი იყოს. ოპოზიციაც იძულებული გახდება, ანგარიში გაუწიოს ხალხის მოთხოვნას. თუ სიტუაცია დაიძაბება, ხელისუფლება შეეცდება, რაღაც ფორმით გაანეიტრალოს ვითარება. მაგრამ თუკი ძალზე კრიტიკული მდგომარეობა არ შეიქნა, საეჭვოა, ხელისუფლებამ 9 აპრილს ძალა გამოიყენოს. ჩემი აზრით, და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ 7 ნოემბერი აღარ განმეორდეს.

— **თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები დღესაც, ისევე, როგორც ნოემბრის მოვლენების დროს, აცხადებენ, რომ ისინი კონსტიტუციურ წესრიგს დაიცავენ...**

— სხვა რა უნდა თქვან ხელისუფლების წარმომადგენლებმა?! ახლა ბევრი ექსპერტი გამოჩნდა, განსაკუთრებით, პროსახელისუფლებოდ განწყობილი, რომლებიც აცხადებენ, რომ, თურმე, აქციის თითოეულმა მონაწილემ უნდა გაიაზროს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. გვესმის, ბატონებო, და ძალიან დიდი მადლობა, რომ ამას შეახსენებთ ხალხს, მაგრამ ყველას ავიწყდება ერთი რამ: ასეთ შემთხვევაში 90% პასუხისმგებლობისა ხელისუფლებას ეკისრება. რასაკვირველია, ხელისუფლებამ უნდა დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და ეს მისი ვალდებულებაა. თუ შეხედავენ, რომ სიტუაცია სცდება კონსტიტუციურ ჩარჩოებს, მათ ადეკვატურად უნდა იმოქმედონ. მაგრამ შეიძლება ეს ადეკვატური ნაბიჯი ხელისუფლების გადადგომაც კი იყოს.

— **კონსტიტუციურ ჩარჩოებს ვითარება 2003 წელსაც გასცდა, როცა რევოლუციონერები პარლამენტში შეიჭრნენ... თქვენ რატომ არ დაიცავით მაშინ კონსტიტუციური წესრიგი?**

— მაშინ ჩვენ წინაშე იდგა ასეთი ამოცანა: ან საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოგვეცხადებინა და დავპირისპირებოდით ხალხს, ან უნდა წავსულიყავით. ჩვენ ავირჩიეთ კონსტიტუციური გზის სწორედ ის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს გადადგომას. თუ საგანგებო მდგომარეობას გამოვაცხადებდით, სამართლებრივად ეს გამართლებული იქნებოდა, მაგრამ შედეგი დადგებოდა ძალიან მძიმე და ამიტომაც ვარჩიეთ გადადგომა.

— **რატომ ხართ ასე ოპტიმისტურად განწყობილი, რომ ხელისუფლება მიტინგს უკიდურეს შემთხვევაში დაარბევს?**

— ჩემი აზრით, ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება, ძალა არ გამოიყენოს. 7 ნოემბერი ხელისუფლებამ თვითონ შექმნა. ძალიან დიდი იყო ცდუნება, სურდათ, გაეგოთ, გაამართლებდა თუ არა ბოლომდე ძალის არამართლზომიერი გამოყენების პოლიტიკა, რასაც ისინი წლების მანძილზე ეწეოდნენ. ეს იყო მათი სტილი და აინტერესებდათ, მოერგებოდა თუ არა 7 ნოემბერი ამ სტილს. აღმოჩნდა, რომ 7 ნოემბერი ამ სტილში არ ჩაჯდა! ხატოვნად რომ ვთქვათ, 7 ნოემბერი ხელისუფლებისთვის იყო ის თოფი, რომელიც პიესაში პირველ მოქმედებაში გამოჩნდა და მესამე მოქმედებაში აუცილებლად უნდა გაისროლოს. ხელისუფლებამ 2004, 2005, 2006 წლები გაატარა მზადყოფნაში და ემზადებოდა არა მარტო საგარეო საფრთხეების წინააღმდეგ, არამედ საკუთარი ხალხის ნების დასათრგუნადაც. დღეს მან კარგად იცის, რა მოჰყვება ხალხთან ძალადობას და ისიც მშვენივრად უწყის, რომ თავისუფლად შეუძლია მიტინგები დაშალოს, ამის პოლიციური ძალა შესწევს, მაგრამ შედეგები ძალიან მძიმეა. ამას მოჰყვა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და ეს ნაბიჯი დიდი ხალისით ნამდვილად არ გადაუდგამს სააკაშვილს. გარდა ამისა, 7 ნოემბერს ქვეყნისა და მათი იმიჯის სერიოზული შერყევა მოჰყვა. ამიტომაც ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რომ გამწვავება თავიდან აიცილოს!

— **კიდევ რა სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები? მაგალითად, „გრეჩიხამ“ თქვა, რომ თბილისი გახდება სიბნელის ქალაქი და პროტესტის ნიშნად დაიკეტება ყველა ორგანიზაცია...**

— ამის მიღწევა ძალიან რთულია... თუ მიტინგი დროში გაიწელება, ძალას და პროტესტის მუხტს დაკარგავს... მაგრამ თუ ხალხზე ძალას იხმარენ, ეს ბევრად უფრო მწვავე საპირისპირო რეაქციას გამოიწვევს, ვიდრე 7 ნოემბერს იყო. შეიძლება მოხდეს სერიოზული შეტაკება!!! ვფიქრობ, ხელისუფლებას ძალიან კარგი მაგალითი აქვს 7 ნოემბრის სახით, თუმცა არაერთხელ ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ მან ნაცად მეთოდს — ძალადობას მიმართა. 7 ნოემბერს მიტინგის დარბევის შემდეგ ხელისუფლება იძულებული გახდა, დაერბია ტელეკომპანია „იმედი“ და მერწმუნეთ, ამას არცთუ დიდი ხალისით აკეთებდნენ. ვფიქრობ, ახლა ისინი თავს შეიკავებენ ძალადობისგან, ლოგიკა ამას მკარნახობს.

— **რას ფიქრობთ იმ ჩანაწერებზე, რაც საზოგადოებამ რამდენიმე დღის წინ იხილა?**

— მოდი, თავი დავანებოთ ამ მასალების ოპერატიულსამძებრო და სამართლებრივი ასპექტის განხილვას. ეს უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის შექმნის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა. ხელისუფლებამ ამ ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაცია დაამთხვია 9 აპრილის წინაპერიოდს. მას იმდენად არ აინტერესებდა სამართლებრივი შედეგი და მისი ოპერატიული განეიტრალება, რამდენადაც ეს საზოგადოებრივ აზრზე იყო გათვლილი და, ჩემი აზრით, სწორედ აქ ვერ მიაღწიეს იმ შედეგს, რასაც ხელისუფლება ელოდა. 7 ნოემბერს, გნებავთ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ამგვარი მასალების გამოქვეყნებამ უფრო დიდი ეფექტი იქონია, ვიდრე დღეს. მიზეზი მარტივია: დღეს უფრო დიდი საპროტესტო მუხტია და ხელისუფლებამ დაკარგა ნდობის მანდატი საზოგადოებაში.

— **როგორ გგონიათ, საზოგადოებაში მართლა არის იმის მოთხოვნა, რომ, თუნდაც, იარაღის ძალით შეიცვალოს ხელისუფლება?**

— ვფიქრობ, არა! მასობრივად ასეთი მოთხოვნა თუ სურვილი არ არსებობს, თუმცა შესაძლებელია, არიან ადამიანები, რომლებიც, თუნდაც, იარაღით დაუპირისპირდებიან ხელისუფლებას. არავინ უსვამს ხაზს ერთ გარემოებას. მე ყველაზე მეტად იმან შემაშფოთა, თუ რატომ გაჩნდნენ საზოგადოებაში იარაღისმაძიებელი ადამიანები... იქნებ დაფიქრდეს ამაზე ხელისუფლება?! ამ ადამიანებმა ხომ არ ამოწურეს ხელისუფლებასთან ურთიერთობის სხვა ფორმები?! ხელისუფლება კრიმინალთან ხომ არ გააიგივა საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა?! ეს დასაფიქრებელია...

— **გამორიცხავთ, რომ პროვოკაცია უფრო ხელისუფლებას აძლევს ხელს?**

— თუ გავითვალისწინებთ არჩევნების წინა პერიოდში განმუხურის ინციდენტს, რაზეც შემდეგ საერთაშორისო ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ასეთ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია და ეს ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული, შეიძლება ასეთ რამესაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ეს იქნება ძალიან ცუდი შედეგის მომტანი. დღეს ასეთ მდგომარეობაში იმიტომ ვართ, რომ „ვარდების რევოლუცია“ თავისი შინაარსით ამორალური იყო!

— **ამორალური რატომ? იმიტომ, რომ არჩევნები გაუყალბა თქვენმა ხელისუფლებამ ოპოზიციას და მან საკუთარი უფლებები და ხმები დაიცვა?**

— საქართველოს ისტორიაში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები იყო ყველაზე ობიექტური. ამაზე კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება! მაშინ პირველად იყო იმის საშუალება, რომ 6 პოლიტიკური ძალა მოხვედრილიყო პარლამენტში. ხელისუფლებამ კი ხმების 20 თუ 22% მიიღო.

— **სააკაშვილს არ წაართვით ხმები?**

— პირადად მე არავისთვის არაფერი წამირთმევია და ხატზე შემიძლია, დავიფიცო, რომ იმ არჩევნებში არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია! წელიწადნახევარში ჩატარდებოდა საპრეზიდენტო არჩევნები და შევარდნაძე კონსტიტუციურ ვადაში წავიდოდა. რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, დღეს გაცილებით წინ ვიქნებოდით.

— **ბატონო კობა, მართლა იტირეთ, შევარდნაძე რომ გადადგა?**

— მე?! ვინ გითხრათ? რაო, ზლუქუნებდა კობა ნარჩემაშვილიო?! სასიხარულო ამაში არაფერი იყო, მაგრამ ის, რომ, თურმე, ვტიროდი, ღიმილისმომგვრელია...

— **დავანებოთ 2003 წლის მოვლენებს თავი და დავუბრუნდეთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. საინტერესოა, როგორი იქნება თქვენი, ასე ვთქვათ, რეკომენდაცია, როგორ უნდა მივიდეს ხალხი მიტინგზე... ამბობენ, დიდი რაოდენობით გაზია შემოტანილი... პირბადეებით მისვლა, ალბათ, ყველაზე მარტივი გამოსავალია...**

— მაშინ ვარდები ეჭირათ... ჩემი აზრით, ეს იქნება მშვიდობიანი აქცია. ნიღბებით მიტინგზე მისვლა საინტერესო იდეაა. თუ ვითარება აქამდე მივიდა, პირბადეები აუცილებლად დასჭირდება ხალხს, ერთი-ორი ჭიქა შავი ღვინოც უხდება ამ ამბავს, ნაკლებად მოქმედებს მერე გაზი... *(იცინის)*

— **მოკლედ, ბოლო დღეებში თბილისში ჭორი დადის — ახალი სახის გაზი აქვთო შემოტანილი...**

— *(სიტყვას მაწყვეტინებს)* არ ვიცი, მე ამ სფეროში სპეციალისტი არ ვარ... კი მაბრალებენ, მაგრამ...

— **გაბრალებენ? სასჯელს ხომ აზერბაიჯანიდან გაზის შემოტანისთვის იხდიდით?**

— მე რაღაც სისულელეზე მედავებოდნენ. ბრალი არ დამიდასტურდა... მაგრამ მერე თავად გამოიყენეს გაზი და ამის დიდად არ მორიდებიათ. დღეს თუ მოინდომებ და ამაზე წამსვლელი ხარ, გაზის შეძენა პრობლემა არაა... გასულ წელს აკუსტიკური იარაღიც კი იქნა გამოყენებული... არ უნდა მივიდეს საქმე აქამდე, თორემ ასეთი შემთხვევისთვის ხელისუფლება კარგად იქნება მომზადებული. მინდა, იმედი დავიტოვო, რომ ხელისუფლება ამაზე არ წავა, რადგან მისი მხრიდან ეს დიდი უგუნურება იქნება.

— **და რისთვის გადაიხადეთ ფული?**

— არაფრისთვის!.. ცოცხალი რომ დავრჩენილიყავი... მე ჯანმრთელობა და ჩემი მომავალი ვიყიდე... თავი დამნაშავედ არ მიცვნია და არცერთ დოკუმენტზე ხელი არ მომიწერია...

— **სამართლებრივად განმარტეთ თქვენი დაპატიმრება და გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება...**

— ვერაფერს გეტყვით, ამ სამართალში მე გარკვეული არ ვარ...

— **ბატონო კობა, ხუმრობის ხასიათზე ხართ...**

— სერიოზულად გეუბნებით... ბრალდების არცერთ ნაწილში თავი დამნაშავედ არ ვცანი.

— **ბოლოს და ბოლოს, მართლა შემოიტანეთ გაზი? ისე, ამბობენ, 7 ნოემბერს ნარჩემაშვილის შემოტანილი გაზი გამოიყენესო...**

— ჯერ ერთი, ჩვენ არ შემოგვიტანია, გამოგზავნა კოლეგა სამინისტრომ, თუმცა მისი გამოყენება აზრადაც არავის მოსვლია. 22 ნოემბერს შემოვიდა გაზი და 23 ნოემბერს მე გადავდექი... ახლა 7 ნოემბრის ცოდვასაც მე ნუღარ ამკიდებთ!

— **ამბობენ, ახლა სიესის გაზი აქვთ შემოტანილი, რაც კუჭის აშლას იწვევსო...**

— მერე ამდენი საპირფარეშო სადაა?! *(იცინის)* მაშინ ერთი რეკომენდაციაც დავამატოთ და, ყოველი შემთხვევისთვის, ხალხმა პამპერსებიც წამოიღოს მიტინგზე... *(გულიანად იცინის)* პამპერსი, ორი ჭიქა ღვინო და ნიღაბი...

— **თქვენ თუ მიდიხართ 9 აპრილს მიტინგზე?**

— აუცილებლად, ტრიბუნასთან არ გამოვჩნდები, მაგრამ მინდა, საერთო-სახალხო პროტესტს შევუერთდე... იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება.

— **დავუშვათ, რომ თქვენი ოპტიმისტური განწყობა არ გამართლდა და ხალხმა სახელმწიფო ორგანოების პიკეტირება გადაწყვიტა. პიკეტირებაშიც მიიღებთ მონაწილეობას? თანაც შეგახსენებთ, რომ 2003 წელს თქვენ გიწევდათ პარლამენტის შენობის დაცვა...**

— სიმართლე გითხრათ, არა მგონია, აქამდე მივიდეს საქმე, მაგრამ მშვიდობიანი პროტესტი, რა ფორმითაც უნდა იყოს გამოხატული, ყველა ფორმაში მივიღებ მონაწილეობას.

— **დაბოლოს, დაახლოებით რამდენი ადამიანი შეიძლება მივიდეს 9 აპრილს მიტინგზე?**

— ვვარაუდობ, 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე დაახლოებით 100-150 ათასი ადამიანი მივა! თუმცა დღის განმავლობაში მიმსვლელთა საერთო რიცხვმა შესაძლოა, ნახევარ მილიონსაც კი მიაღწიოს, როგორც ეს 2 ნოემბერს იყო...

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როგორ დავიცვათ თავი „საფაღარათე აირის“, იგივე CS-ის ზემოქმედებისაგან




**ძვირფასო მკითხველო, როგორც ვხედავთ, სააკაშვილის რეჟიმს „განკითხვის დღე“ კარს მიადგა — ხვალ 9 აპრილია. საქმე ისე მიდის, რომ მარტო პოლიტიკოსებისა და ექსპერტების რჩევა-დარიგებები არაფერს გვშველის, ვითარება გვკარნახობს, ყური ვუგდოთ სხვა პროფესიის ადამიანებსაც, თუნდაც იმისთვის, რომ შეძლებისდაგვარად მომზადებული დავხვდეთ „ნაცების“ მხრიდან მიტინგის დასაშლელად მოფიქრებულ ახალ ხრიკებს.**

ვინიცობაა, მიშას ბიჭები 7 ნოემბერს ნაცად „ხერხს“ მიმართავენ, **თითოეული მომიტინგე ვალდებულია, მაშინდელი შეცდომები აღარ გაიმეოროს...** სამხედრო ექსპერტთა განმარტებით, რეზინის ტყვიებისა და წყლის ჭავლისგან თავის დასაცავად ერთადერთი საშუალება მიმალვაა, ხოლო, თუ რა პირველადი დახმარება უნდა ჩაუტარდეს ცრემლსადენი გაზის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანს, ამაზე ექიმი-ტოქსიკოლოგი **სოსო კუტუბიძე** გვესაუბრება.

— საერთოდ მიტინგებისა და მანიფესტაციების დასაშლელად იყენებენ ჩვეულებრივ ცრემლმდენ გაზს, რომელიც იწვევს თვალისა და სასუნთქი ორგანოების ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას. ამ ნივთიერების ზემოქმედების შედეგად ადამიანს ეწყება ხველა, ცემინება, ცრემლდენა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოდის მწყობრიდან. ეს გრძელდება დაახლოებით ათ-თხუთმეტ წუთს, რის შემდეგაც ადამიანი ჩვეულებრივ მდგომარეობას უბრუნდება.

ეს გაზი არ არის სამხედრო დანიშნულების (ანუ საწამლავი) და შესაბამისად არც მისი მავნებლობის ხარისხია იმდენად მაღალი, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე რამე სერიოზული კვალი დატოვოს, თუმცა ასთმიანებისთვის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და სხვა მსგავსი დაავადებების მქონე პირთათვის შესაძლოა, მისი ზემოქმედება საბედისწერო აღმოჩნდეს.

გარდა ჩამოთვლილი სიმპტომებისა, ზოგიერთ ცრემლმდენ გაზს ახასიათებს კუჭ-ნაწლავის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებაც, რაც იწვევს კუჭის აშლას და ტკივილს მუცლის არეში. ამ დროს რეკომენდირებულია დიდი რაოდენობით მინერალური ან ჩვეულებრივი ხისტი წყლის მიღება და გასვლა სუფთა ჰაერზე; თვალის ლორწოვანი გარსის გაღიზიანების დროს კი — 1%-იანი სოდიანი წყლით დასველებული დოლბანდის დაფენა ორისამი წუთის ხანგრძლივობით.

ასევე დასაშვებია რამე მსუბუქი დამამშვიდებელი საშუალებების მცირე დოზით მიღება, რათა არ მოხდეს ადამიანის ფსიქოლოგიური გადაძაბვა და სტრესული მდგომარეობის გაუარესება. ეს ხშირად ემართებათ ხოლმე დარბეული მიტინგიდან მობრუნებულ ადამიანებს (იცინის).

**ღმერთმა ნუ ქნას, ამ რჩევების გამოყენება თუნდაც ერთ მომიტინგეს დასჭირდეს, მაგრამ ნათქვამია: „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“. ჰოდა, ჩვენი სიფრთხილეც ახლა სწორედ ეს რჩევებია, რომელთა გათვალისწინება შესაძლოა, უფრო „სასარგებლო“ აღმოჩნდეს, ვიდრე ცრუპენტელა პოლიტიკოსების ეიფორიულ გამოსვლებზე ტაშის დაკვრა... რაც შეეხება ე.წ. „საფაღარათე აირს“, მას ქართული საზოგადოება კარგად, უფრო ზუსტად კი საბედისწეროდ იცნობს. საუბარია ჯერ კიდევ 1989 წლის 9 აპრილიდან კარგად ნაცნობ „სიესზე“. „საქართველო და მსოფლიოს“ ინფორმაციით, ეს გაზი გასაყიდად უკრაინაშია ნებადართული და სავარაუდოდ, სწორედ ამ ქვეყნიდან შემოიტანეს იგი საქართველოში 9 აპრილის მიტინგისათვის. კონკრეტული კონცენტრაციის პირობებში იგი იწვევს ფაღარათს. გამეორდება თუ არა ისტორია ოცი წლის შემდეგ და გამოიყენებს თუ არა სააკაშვილის ხელისუფლება სიესს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ხვალ ზეგ გაირკვევა, მანამდე კი ჩვენ მოვიპოვეთ აღნიშნული აირის მოქმედების, აგრეთვე, განეიტრალების ზუსტი აღწერილობა, რასაც აქვე გთავაზობთ:**

**ქლორბენზილიდენმალონონიტრილი (CS)** ყველაზე ცნობილი და შესწავლილი ირიტანტია. მარტო აშშ-ში 1958 წლიდან 1973 წლამდე CS 1366 ვოლონტიორზე გამოსცადეს. მისი გამოყენება ნებადართულია უკრაინაში, შეიცავს რუსული „სირენი“ და უცხოური გაზის ბალონების უმეტესობა (მათ რიცხვში სარეკლამო წარწერით: ნერვულ-პარალიტიკური).

**ეფექტიანად აღიზიანებს თვალებსა და სასუნთქ გზებს.**

**პირველად გამოიყენეს 1956 წელს კვიპროსში. 60-იანი წლების შუა ხანებში, კრემნიუმის ნაერთის საფუძველზე შეიმუშავეს ჰიდროფობული მიკროკაფსულირებული კომპოზიციები — CS-1 და CS-2. CS-1-ის რეცეპტურა შეიცავს სილიკაგელის 5%-ს და წარმოადგენს ტალკისმაგვარ ფხვნილს. CS-2 — ესაა წყალგამძლე სილიკონით დამუშავებული CS-1. მათი ეფექტიანობა ნარჩუნდება 5 დღე-ღამიდან (CS-1) თვე-ნახევრის (CS-2) განმავლობაში. თხევადი CSX — ესაა CS სითხე ტრიოქტილფოსფატში, 1:99-ის პროპორციით, რომელიც საწვრთნელ მომწამლავ ნივთიერებად გამოიყენება.**

CS მაღალი ტემპერატურისა და დეტონაციის მოქმედების მიმართ მდგრადია, რაც მისი გამოყენების საშუალებას იძლევა ჭურვების, ვაზნებისა და პიროტექნიკური საშუალებების აღჭურვილობისთვის.

1961 წელს ის ამერიკის შეიარაღებაში ჩართეს და ფართოდ გამოიყენებოდა ვიეტნამის ომის დროს. 1966 წელს ამერიკულმა ჯარებმა გაზის ყველაზე მასობრივი იერიში განახორციელეს. ამ დღეს ჯუნგლების თავზე, კამბოჯის საზღვრის მახლობლად 12 ტონა CS გააფრქვიეს, ხოლო 1964 წლიდან 1969 წლამდე აშშ-მა ვიეტნამის ტერიტორიაზე 7000 ტონამდე CS და მისი რეცეპტურები — CS-1 და CS-2 გააფრქვიეს.

**ვიეტნამში მასობრივი გამოყენებისას გაზმა გამოავლინა ტერატოგენური თვისებები (იწვევს ემბრიონულ სიმახინჯეებს), რის შემდეგაც ბევრმა ქვეყანამ ის პოლიციის შეიარაღებიდან ამოიღო. CS უკრაინაში არ იწარმოება, არ არსებობს საამისოდ საჭირო ნედლეულიც. შემოაქვთ საზღვარგარეთიდან „ტერენის“ ზოგიერთი მოდიფიკაციის აღჭურვილობაში გამოსაყენებლად.**

**მარკირებულია: ea 1779, cbm, cb (საფრანგეთი), „სირენი“, „პროდუქტი 65“ (იწარმოებოდა სსრკ-ში). 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიის ნაწილებმა თბილისში გამოიყენეს k-51 სპეცსაშუალების სახით.**

**საზღვარგარეთ მისი სავაჭრო დასახელებებია: mace cs, chemical shield, freeze m, saber და სხვა.**

**მოწამვლის კლინიკა:** ცრემლდენა, წვა, ბლეფაროსპაზმი (ქუთუთოების სპაზმი), სინათლის შიში, კონიუნქტივის დაავადება.

**კანი:** მწვავე ტკივილი, სიწითლე. ოფლიანობა, მაღალ ტემპერატურასა და ჰაერის ტენიანობას აძლიერებს CS-ს გამაღიზიანებელი მოქმედება. ირიტანტის წყლით ჩამობანის მცდელობა ტკივილს ამძაფრებს. CS-ს კონტაქტური დერმატიტის გამოწვევაც შეუძლია.

**სასუნთქი გზები:** ხველა, ცემინება, წვა, ცხვირიდან ლორწოს გამოყოფა, სისხლდენა, გულმკერდის სპაზმი, ფილტვების შეშუპება.

**საჭმლის მომნელებელი სისტემა:** ნერწყვის გამოყოფა, გულისრევა, ტკივილი პირის ღრუში, **კუჭის აშლილობა.**

ადამიანების მგრძნობიელობა CS-დმი სხვადასხვაგვარია. ექსპერიმენტებმა უჩვენა,

რომ CS-დმი დიდი მდგრადობა გამოავლინეს ცდის ინტელექტის მაღალი კოეფიციენტის მქონე პირებმა; მნიშვნელობა აქვს კანისა და თვალების ფერსაც.

**მკურნალობა:** ადგილობრივად — კორტიკოსტეროიდული მალამოები, იარების სამკურნალოდ აზოტმჟავა ვერცხლის სითხის კომპრესები, მეორადი ინფიცირებისას — ანტიბიოტიკები, აუცილებლობის შემთხვევაში — ანტიჰისტამინური პრეპარატები. მძიმე დაზიანებებისას საჭიროა კორტიკოსტეროიდების დანიშვნა შინაგანი მიღებისთვის.

მოამზადა
**ჯაბა ჭვანიაძე**



## სააკაშვილის რეჟიმი ქართველი ხალხისგან გასამართლებას იმსახურებს

**საქართველოში შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის გზების შესახებ ეროვნულ პარტიათა ალიანსის წევრებმა ორიოდ დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. მათი განცხადებით, ჯანსაღი პოლიტიკური სპექტრი უნდა გაემიჯნოს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს.**

სახალხო პარტიის ლიდერის მამუკა გიორგაძის განმარტებით, უნდა მოხდეს გამიჯვნა სააკაშვილის დანაშაულებრივი, ქვეყნის ორგული და არალეგიტიმური რეჟიმის პოლიტიკისგან, სააკაშვილის სატელიტი, ფსევდოოპოზიციური და სააკაშვილთან ერთად ქვეყნის დანგრევაში მონაწილე ძალებისგან.

„სააკაშვილს აქვს სურვილი, ფსევდოდიალოგის რეჟიმში გადაგვიყვანოს, რათა, ერთი მხრივ, ჩააცხროს მუხტი 9 აპრილის აქციისა და ამ აქციიდან სხვა თემაზე გადაიტანოს ყურადღება; მოახდინოს საზოგადოების დეზორგანიზება. მოლაპარაკებაში უნდა მონაწილეობდეს გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი პირი. გადაწყვეტილება უნდა იყოს გამჭვირვალე და საჯაროდ გაცხადებული“, — განაცხადა მამუკა გიორგაძემ.

## ანდრეი ნესტერენკო: ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში 2007 წლის 7 ნოემბერი აღარ განმეორდება

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ანდრეი ნესტერენკოს განცხადებით, ოფიციალური მოსკოვი იმედოვნებს, რომ საქართველოში აღარ განმეორდება 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები, როდესაც „ხელისუფლებამ მშვიდობიანი აქცია სასტიკად დაარბია“.**

როგორც ნესტერენკომ სააგენტო „როსბალტს“ განუცხადა, მოსკოვს იმის იმედიც აქვს, რომ ქართველი ხალხი ღირსეულად გამოვა არსებული შიდა დაპირისპირებიდან და უარს იტყვის საზღვარგარეთიდან თავსმოხვეულ სცენარებზე.



## „ჭრელ კაბაში დაგაბეროს ღმერთმა...“

**პოეზიის სამსახურში დამაშვრალ ნიჭიერ ქალბატონს თინათინ მღვდლიაშვილს გულითადად ვულოცავთ ხარების ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელიც, ღვთის ნებით, მისი დაბადების დღეცაა. ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, შემოქმედებით წინსვლას. დაე, მის სულში მუზების მიერ დანთებულ ცეცხლს სულ ეგიზგიზოს. მრავალჯერ გაეხარებინოს მისი პოეზიის თაყვანისმცემლები ასი და ასჯერ ათასი ლექსით, ასევე ახალ-ახალი წიგნების პრეზენტაციებით.**

**დიდი სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით,**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ქართველი ხალხის არჩევანი და მიხეილ სააკაშვილის არადანი

**1991 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეჩვიდმეტე პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი საქართველოს განსაკუთრებული მისიით ეწვია. ამერიკელებისთვის დამახასიათებელია ახალი ლიდერების გასაცნობად მოქმედი თუ ყოფილი ჩინოვნიკების გაგზავნა. ჩვენთან დიპლომატიის წვრილფეხა წარმომადგენელი კი არა, თვით ნიქსონი ჩამობრძანდა და პირადად გაარკვია, თუ საით ეჭირა გეზი ნადისიდენტარ გამსახურდიას.**



დიდი სახელმწიფოს თავისტკივილია პატარა დამოუკიდებელი ქვეყნები, რომელთა ხელისუფლებების მოქმედების განჭვრეტა წინასწარ შეუძლებელია. საქართველოს შემთხვევა სწორედ ასეთთა რიგს მიეკუთვნებოდა. მსოფლიო პოლიტიკას ყოველთვის თავსატეხად ექცეოდა ხოლმე დისიდენტების მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავება.

საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებული იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის პროცესში ყველაზე მეტი რადიკალიზმით სწორედ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოირჩეოდა.

**პრეზიდენტი ნიქსონი საქართველოს 1991 წლის მარტის მიწურულს ესტუმრა, სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველოს არჩევანი უნდა გაეკეთებინა დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. ნიქსონი რეფერენდუმსაც დაესწრო, სადაც ქართველმა ხალხმა და საქართველოს ეროვნულმა უმცირესობებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს დამოუკიდებლობას. 31 მარტის რეფერენდუმმა შვა 1991 წლის 9 აპრილი — საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების დღე.**

კარგად დააკვირდით ამ სურათს, დააკვირდით, როგორი შემართებით წარმოთქვამს პრეზიდენტი გამსახურდია სადღეგრძელოს, როგორ უსმენს მას პრეზიდენტი ნიქსონი. აუცილებლად დააკვირდით მაშინდელი პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას გამომეტყველებას.

რაზე უნდა ესაუბრა დამოუკიდებელი ქვეყნის ლიდერს უდიდესი სახელმწიფოს ემისართან? — ალბათ, თავისი სამშობლოს განთავისუფლებით გამოწვეული სიხარული გაუზიარა; ალბათ, ქართველი ხალხის გაუტეხლობაზე ესაუბრა, ისტორიის მანძილზე გადატანილი არაერთი ბრძოლა და ქრისტესთვის არაერთგზის ჯვარცმაც გაიხსენა. შესაძლოა, საქართველოს სულიერი მისია ამაღლებულ ხარისხში წარმოადგინა და "ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველებასაც აზიარა მაღალი სტუმარი.

სამშობლოში დაბრუნებულმა ნიქსონმა პრეზიდენტ ბუშთან ამბავი ჩაიტანა ქართული სტუმარმასპინძლობისა და, უფრო მეტად კი, ქართველთა მისწრაფებების შესახებ, რასაც ქართველი ხელისუფალნი ბავშვური გულუბრყვილობით უზიარებდნენ. მაგრამ დიდი სახელმწიფოების ინტერესებში არასოდეს შედის პატარა ქვეყნების სწრაფვა სუვერენიტეტისკენ. სულ მალე პრეზიდენტმა ბუშმა გააკეთა საქართველოსთვის (და არა მხოლოდ მისი ლიდერისთვის) საბედისწერო განცხადება — **„პრეზიდენტი გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“.** საქართველოს მეთაურის პასუხმა — **„დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან“** — აშშ ადმინისტრაციას საბოლოო გადაწყვეტილება მიაღებინა. ამის შესახებ ყველასთვის ცნობილია (და არა მხოლოდ საქართველოში).

ერთ-ერთ პირველ ბარიერად და „დინების წინააღმდეგ მოცურავე“ გამსახურდიას შესაჩერებლად მოიფიქრეს განხეთქილების პროვოცირება მისსავე ხელისუფლებაში. პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას ამბიციურობა შესანიშნავად გამოიყენეს სპეცსამსახურებმა და ქვეყნის პრეზიდენტს დაუპირისპირეს.

**თენგიზ სიგუა დიდი პოლიტიკური გამჭრიახობით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ დღეს რომ მას შეიარაღებული დაპირისპირების შიში არ აქვს, ამას, ალბათ, გული უგრძნობს. მან ძალიან კარგად იცის, როგორ დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება 1991 წელს და როგორი კატასტროფით დასრულდა ეს საქართველოსთვის.**

მან ისიც კარგად იცის, რომ მაშინდელი და დღევანდელი მდგომარეობა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. სიგუას აზრით, „იმდროინდელი და დღევანდელი მოვლენების შედარება არ შეიძლება. მაშინ ყველაფერი „აშვებული“ იყო, დისციპლინა არ არსებობდა. ამათ კი ერთი პლუსი აქვთ: ხალხი დააშინეს და დისციპლინა დაამყარეს“. სიგუა იმაზე არაფერს ამბობს, რა იყო ამ „აშვებულობის“ მიზეზი და ვის აძლევდა ხელს მაშინდელი უდისციპლინობა. არც იმაზე ამახვილებს ყურადღებას, ვინ იყო პრეზიდენტთან მაშინდელი დაპირისპირების ინსპირატორი და თვითონ რა როლს ასრულებდა ამ საქმეში.

**ორგზის ნაპრემიერალი** (შეგახსენებთ, რომ სიგუა 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ კვლავ პრემიერ-მინისტრად მოევლინა საქართველოს, და ისევ ცოტა ხნით: სახელმწიფოს მეთაურმა შევარდნაძემ იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა, თუმცა ამ შემთხვევაში სიგუამ შევარდნაძესთან ღია კონფრონტაცია ვერ გაბედა) **სიგუა ფარისევლურად აცხადებს, რომ „კომუნისტების წასვლის შემდეგ საქართველოში სამი ხელისუფლება იყო. სამივემ ერთი და იგივე შეცდომა დაუშვა — დაპირება არც ერთმა არ შეასრულა... როცა ხელისუფლებაში მოდიხარ, დაპირების 80 პროცენტი უნდა შეასრულო, ოც პროცენტს ხალხი გაპატიებს, — ჩვეულ ამპლუაში რიცხვებითა და პროცენტებით ჟონგლიორობს არშემდგარი პრემიერი, — თუ 30 პროცენტი არ შეასრულე, ხალხს უფლება აქვს, ქუჩაში წალდით გამოვიდეს და ხელისუფლება მოიშოროს“!**

ნიშანდობლივია სიგუას ეს სიტყვები, რადგან „დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია. 1991 წელს ასეთი დაძაბულობა არ იყო“. მაშ, რით ახსნის ნაპრემიერალი სიგუა იმ მოვლენებს, რაც 1991 წლის შემოდგომაზე განვითარდა საქართველოში?! **რატომ გადაიქცა იგი არა მხოლოდ პრეზიდენტ გამსახურდიას მოწინააღმდეგედ, არამედ საქართველოს კონსტიტუციური გზით განვითარების წინაშე აღმართულ ამბიციურ ბარიერად?**

„სამოქალაქო დაპირისპირება დღეს უფრო მძლავრიაო“, — მოჭირნახულე კაცივით აცხადებს სიგუა და იქვე არც ხალხის შეურაცხყოფა ავიწყდება, — საქართველოში მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ავადმყოფი, ფანატიკოსია. ფანატიკოსებმა ჩამოიყვანეს შევარდნაძე. დღეს, ვისაც სააკაშვილის სჯერა, ფანატიკოსია“.

რა გამოდის, ჩვენ ყველანი, ანუ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ავად ვყოფილვართ და ეს, მართლაც „ჯანმრთელი“ კაცი, დიაგნოზსაც გვისვამს და უტიფრად გვლანძღავს. თან ჭკვიანი კაცის პოზით გვმოძღვრავს: დასავლეთი და ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი ორ კანდიდატურას — ნინო ბურჯანაძეს და ირაკლი ალასანიას ამზადებს. დასავლეთს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა 80 პროცენტით გადაწყვეტილი აქვსო. **სიგუა იმასაც გვიმხელს, რომ „ამერიკის მუშაობის სტილი“ იცის, „ამერიკელები მუშაობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში პრორუსული ძალა არ მოვიდეს... მსოფლიოს ას ქვეყანაში მათი დასმული კაცი ზის. თუ ფულით ვერ იყიდეს ხელისუფლება, იარაღზე გადადიან“.**

**ახლა მიხვდით, რა მოხდა 1991 წლის შემოდგომაზე? ახლა მიხვდით, რატომ გახდა საჭირო იარაღი საქართველოს პირველ პრეზიდენტთან „საქმის გასარჩევად“?**

ნაპრემიერალი სიგუას გონიერების მასშტაბურობაზე ისიც მეტყველებს, რომ შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ შეკითხვას — საქართველო რუსეთს დარჩება თუ ამერიკას? — ასე პასუხობს: „რუსეთს არანაირი შანსი არა აქვს, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს“...

ამ სიტყვების კომენტარი ძალიან ძნელია. მაგრამ ერთის თქმა ნამდვილად ღირს: თუკი ეს ხანმოთეული კაცი თავისი მეცნიერული „ბაგაჟით“ და პრემიერული გამოცდილებით იმას ვერ ხვდება, საქართველოს დედაქალაქიდან 35 კილომეტრში ტანკებით მოსულ რუსეთს აქვს თუ არა რაიმე შანსი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის სათამაშოდ, მაშინ, გულახდილად თუ ვიტყვით, მართლაც დიდი შეცდომა დაუშვა პრეზიდენტმა გამსახურდიამ მისი პრემიერ-მინისტრად დანიშვნით და ამისთვის ძალიან მძიმე საზღაურიც გაიღო.

ერთ რამეში კი მართლაც უნდა დავეთანხმოთ თენგიზ სიგუას: „როდესაც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ასეთი დაპირისპირებაა, დათმობაზე ყოველთვის ხელისუფლება უნდა წავიდეს“. პრეზიდენტი გამსახურდია დათმობაზე არ წავიდა, რადგან ფიქრობდა, რომ „დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან“.

**რას იზამს ქართველი ხალხის პირისპირ მდგარი პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც მიუღებელ ადამიანად არის გადაქცეული არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო ლიდერებისთვისაც? ისინი მასაც და მის "მოღვაწეობასაც" ერთმნიშვნელოვნად აფასებენ! ამიტომ, არჩევანს ქართველი ხალხი გააკეთებს. სააკაშვილს არჩევანის უფლება აღარ აქვს, მას მხოლოდ არადანი დარჩა!**

**ბონდო მძინარაშვილი**

# ერეკლე მეორეს საზოგადოების მიმართვა თანამემამულეებისადმი

**ერეკლე მეორეს საზოგადოება მოწიწებით მიესალმება საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაკეთებულ განცხადებას 9 აპრილისთვის დაგეგმილი საპროტესტო გამოსვლების თაობაზე, სადაც საპატრიარქო მიმართავს ხელისუფლებასა და ოპოზიციას, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენონ ძალისმიერი მეთოდები, მოსახლეობას კი სიმშვიდისკენ მოუწოდებს. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი გამოსვლების დროს თითოეული ჩვენგანის უპირველესი მიზანი სამოქალაქო დაპირისპირებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილებაა. ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია მოწოდებები მთავრობის ძალადობრივი გზით შეცვლისკენ არა მხოლოდ მსხვერპლისა და ზიანის დაუშვებლობის გამო.**

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში ტრადიციად დამკვიდრდა სამართლიანი ან გაყალბებული არჩევნებით მოსული ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა. პირველ შემთხვევაში მას სამარცხვინო სამოქალაქო ომი და შევარდნაძის ბნელი პოლიტიკა მოჰყვა, ხოლო მეორე შემთხვევაში საქართველოს სათავეში მოვიდა უხეში ძალა, რომელმაც ქვეყანა ერთ დიდ ციხეს დაამსგავსა, სადაც უნდობლობა, გაუტანლობა, ეჭვი და შიში დათესა. სწორედ დღევანდელი ხელისუფლების სულსწრაფობამ, ამბიციურობამ, პოლიტიკურმა უმწიფრობამ და სიბეცემ მიგვიყვანა 2008 წლის 8 აგვისტომდე, რომლის მწარე ნაყოფი ქართველთა კიდევ მრავალ თაობას მოჰკვეთს კბილს.

ერეკლე მეორეს საზოგადოების წევრები, დღევანდელი ხელისუფლებისადმი ჩვენი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, მოიქცეს მხოლოდ საღი გონების კარნახით. თუ საქართველოში ხელისუფლება კვლავ ძალადობრივი გზით შეიცვლება, ქვეყანაში საბოლოოდ დამკვიდრდება აზრი, რომ ხალხის გამოყენებით ნებისმიერი ხელისუფლების გაძევება შეიძლება, რაც სახელმწიფოს სტაბილურობისთვის დამღუპველია.

2009 წლის 9 აპრილს, ისევე, როგორც 20 წლის წინათ, უნდა მოხდეს ჩვენი ერის კონსოლიდაცია. ჩვენი მოთხოვნა უნდა იყოს რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა, ხოლო არჩევნების ჩატარებამდე უნდა ვაიძულოთ საკანონმდებლო ორგანო, შეცვალოს დრაკონული საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც ოპოზიციას კანონიერი საშუალებებით ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობას არ უტოვებს. მხოლოდ ასეთი გზით შევძლებთ, დავიწყოთ ჭეშმარიტი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა და ავირჩიოთ ხელისუფლება, რომელიც დაიცავს ქართველი ხალხის ინტერესებს, მის რწმენასა და ტრადიციებს, და, რაც მთავარია, ანგარიშვალდებული იქნება ერის, და არა ოკეანისგაღმელი „პატრონების“, წინაშე.

2009 წლის 3 აპრილი

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### არნო ხიდირბეგიშვილი:

# „იაფი ოფოფის“ უკანასკნელი იუბილე,

## ანუ იდიოტიზმის ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში

**დასაწყისიდანვე აღვნიშნავ, რომ იაპ ჰოოპ სჰეფერის, ისევე როგორც ნიდერლანდების სხვა მოქალაქეების, მიმართ მტრულად განწყობილი სულაც არ ვარ. უფრო მეტიც — 2004 წლიდან, ნატოს გენერალურ მდივნად მისი დანიშვნის შემდეგ (რაც საქართველოში „ვარდების ყვავილობის ხანას“ დაემთხვა!), გასაგები მიზეზების გამოისობით, მისდამი თითქმის ნათესაური გრძნობებიც კი აღმეძრა... უბრალოდ, მისი სახელი ქართულად ისე ჟღერს, როგორც „იაფი ოფოფი“...**



სამწუხაროდ, ადრე თუ გვიან ყველაფერ „კარგს“ დასასრული აქვს — სხეფერის ვადაც ამოიწურა, გასულ კვირას გამართული **ნატოს 60 წლის საიუბილეო სამიტი** მისთვის მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა... **„საქართველო ალიანსის წევრი გახდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად!“** — დაგვაიმედა მან **3 აპრილს**, გამომშვიდობებისას და რატომღაც უცბად გამახსენდა, რომ ჩიტუნია **ოფოფს** სხვანაირად **მყრალსაც** კი უწოდებენ... თუმცა ამან უეცრად საქართველოს პატრიოტადქცეულ, შორეული ნიდერლანდების მოქალაქესთან დამშვიდობებით გამოწვეული „სევდა“ ვერ გამიქარვა.

მანამდე ერთი დღით ადრე — **2 აპრილს დიმიტრი მედვედევმა** „G 20“-ის სამიტის დასრულების შემდეგ, ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ლონდონის სკოლაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მოუწოდა, იმოქმედოს პრინციპით **„არ ავნო“**, ხოლო ქართველი სტუდენტის შეკითხვაზე — **„აპირებთ თუ არა, აღიაროთ შეცდომები, რომლებიც საქართველოსთან მიმართებაში დაუშვით, ან თუ ფიქრობთ საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე?“** — მიუგო: *„შევეცდები, იმდენად გულწრფელად გიპასუხოთ, რამდენადაც ეს მესმის. ჯერ ერთი, ვფიქრობ, რომ ის დრამატული მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, სრულებითაც არ ასახავს რუსი ხალხის რეალურ დამოკიდებულებას ქართველებისადმი; ჩემი ვარაუდით, ის არ არის იმ ისტორიულ გადაწყვეტილებათა გამოხატულებაც, რომლებსაც იღებდნენ XVIII-XIX საუკუნეებში ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად რუსეთის ხელისუფალნი. ყველაფერი, რაც მოხდა, სრულებით გულწრფელად გეუბნებით, საქართველოს ხელმძღვანელობის სინდისზეა. ეს ჩემი პირდაპირი, თვალსაჩინო პოზიციაა. მეტიც, შემიძლია გითხრათ: როცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი გავხდი, ბატონ სააკაშვილს შევხვდი და ვუთხარი, რომ ჩვენ მზად ვართ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაგეხმაროთ, მაგრამ ამისთვის საჭიროა მართებული მოქმედებები. ვფიქრობ, გესმით, რომ სამხედრო მოქმედებები არასდროს უწყობდა ხელს სახელმწიფოს განმტკიცებას. ერთი კაცის შეცდომის გამო ძალიან ბევრმა ადამიანმა ზღო. ჩვენ გვსურს საქართველოსთან კარგი, კეთილმეზობლური ურთიერთობები გვქონდეს. ვიმეორებ: ჩვენ გვიყვარს და ვაფასებთ ქართველ ხალხს. არ მსურს რაიმე ურთიერთობა პრეზიდენტ სააკაშვილთან და არც ვაპირებთ, მაგრამ თუ დემოკრატიული პროცესების შედეგად საქართველოში ხელისუფლება ადრე თუ გვიან შეიცვლება, ჩვენ მზად ვიქნებით ნებისმიერი თემის განსახილველად.“*

**კიდევ რა უნდა თქვას რუსეთის პრეზიდენტმა, რომ რუსულ-ქართული კულტურული და ისტორიული კავშირების მიმართ გამოხატოს თავისი ღრმა პატივისცემა, სიმპათია — ქართველი ხალხისადმი; საქართველოს პატრიოტულად განწყობილი საზოგადოების ნაწილთან კი ნებისმიერი (მათ შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებზე) დიალოგისთვის მზად იყოს.** განა ღიმილი, რომლითაც ის ქართველი სტუდენტის შეკითხვას შეხვდა და გულწრფელი, მეგობრული პასუხი მასზე, მტრული იყო? — **„ჩინებულია!“** — კმაყოფილებით წარმოთქვა მან, როდესაც შეიტყო, რომ შეკითხვის ავტორი საქართველოდან იყო. ამგვარად გამოხატა მან კმაყოფილება იმის გამო, რომ პოლიტიკისა და ბიზნესის მსოფლიო სტანდარტების ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟული კადრების სამჭედლოში ქართველი ჭაბუკი სწავლობდა! ვიმედოვნებ, რომ ლონდონის უმაღლესი სკოლის (რომლის დევიზიცაა **„ჩასწვდი საგანთა არსს!“**) მომავალი კურსდამთავრებული **ჩასწვდებოდა საგნის არსს**, კერძოდ იმას, **რომ რუსეთი მეგობარია და არა — მტერი, რომ ცოტა თუ არსებობს დედამიწაზე უფრო ახლობელი ხალხები, ვიდრე მართლმადიდებელი რუსი და ქართველი...**

ამ მოვლენებამდე ერთი კვირით ადრე, **27 მარტს, რუსეთის პრეზიდენტმა** არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის“ (საქართველო)** საზოგადოებრივი საბჭოს წევრების მიმართვის პასუხად თბილისში ამ ორგანიზაციის პრეზენტაციასთან დაკავშირებით მისასალმებელი წერილი გამოგზავნა, რომელშიც ნათქვამია:

*„დიდი ყურადღებით გავეცანი თქვენს მიმართვას. იმ პირობებში, როცა რუსეთისა და საქართველოს ხალხების ურთიერთობები სერიოზულ გამოცდას გადის, აუცილებელია ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ჩვენი საერთო წარსულის ფაქტების პირუთვნელი ასახვა.*

*სამწუხაროდ, ბოლო წლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უფრო და უფრო ხშირად მახინჯდება, ანდა ხელახლა იწერება ცალკეულ პოლიტიკოსთა კონიუნქტურული მისწრაფებების გამო. ასეთი ფალსიფიკაციების წინააღმდეგ მიმართული ქმედება, წინაპართა მიერ დანატოვარი უმდიდრესი მემკვიდრეობის შენარჩუნება მეცნიერთა პროფესიული ღირსების საქმეა.*

*ამასთან დაკავშირებით თქვენი ინიციატივა დროული და აქტუალურია. ეს მნიშვნელოვანი რესურსია, რომელიც ხელს შეუწყობს რუსეთისა და საქართველოს ხალხების ურთიერთპატივისცემის განმტკიცებას. დარწმუნებული ვარ, თქვენ საქმიანობას რუსი მკვლევარები მხარს დაუჭერენ, რადგან ისინი თქვენსავით დაინტერესებულნი არიან ჩვენი ქვეყნების ისტორიის ობიექტური წარმოჩენით, რითაც ერთად შეგვიძლია ვიამაყოთ“.*

საქართველოში კი რა ხდება? — **ღრმა მწუხარებით უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს მთელი პოლიტისტებლიშმენტი — ხელისუფლება, ოპოზიცია, მედია და ე.წ ექსპერტები — არაადეკვატურნი არიან: არავინ ამბობს სიმართლეს, რომელიც ყველამ იცის!** სიმართლეს, რომ საქართველოს და რუსეთს ერთად სავალი გზა აქვთ, რომ არ არსებობს პრობლემები, რომელთა გადაჭრა ერთობლივად არ შეეძლოთ და რომ სხვა ალტერნატივა არ გვაქვს!

სამაგიეროდ, მთელი დღეები ტელევიზორების ეკრანებიდან აშკარა სიცრუისა და დეზინფორმაციის ნაკადს გვანთხევენ: გვიმტკიცებენ, რომ რუსეთი — მისი პრეზიდენტი, პრემიერი, დუმა, მთავრობა, არმია, ხალხი, უკლებლივ ყველა — ერთმნიშვნელოვნად საქართველოს მოძულე აგრესორია!

**ეს გასაკვირი არ გახლავთ ბატონებისგან (ხელისუფლების გაუმაძღარი მოღალატე პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, შორეული უცხოეთიდან დაფინანსებული ათასსი ჯურის NGO (არასამთავრობო ორგანიზაციების) და ფონდების ხელმძღვანელები), რომელთაც გვარის გარდა ქართული არაფერი შერჩენიათ.** საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მითიური „რუსული სამხედრო საფრთხით“ საზრდოობს (უწინ ამას „საბჭოთა სამხედრო საფრთხე“ ერქვა). მის გარეშე (ანუ გარე საფრთხის, პოტენციური მოწინააღმდეგის) ნაცარტუტად იქცევა ყველაფერი, რადგან იდეოლოგიური ღერძი გამოეცლება სახელმწიფო მანქანას, ხოლო ხელისუფლებას თავის საქციელსა და ხაზინიდან გაფლანგულ მილიარდებზე მოუწევს პასუხისგება! **ამიტომაც გვაშინებენ რუსეთის იმპერიით. დანარჩენები კი, ვითომც ოპოზიციური სპექტრი (თავისი უმეცრების, უნიჭობის, ლაჩრობის გამოისობით), რომელმაც არ იცის, როგორ მოახდინოს საგარეო პოლიტიკური კურსის კორექტირება და დაიწყოს დიალოგი რუსეთთან, უნებლიედ აქეზებს ხელისუფლებას (ბევრი იმის გამო, რომ მომავალში მაინც, „ხელმწიფის ნავში ჩაჯდომის“ პატივი ერგოს)!** ამით ზარალდებიან არა პოლიტიკოსები, არამედ ჩვენ, უმრავლესობა, საქართველოს მოქალაქეები...

### არის კი დღეს საქართველოში ლიდერი, რომელსაც უნარი შესწევს ქვეყნის აყვავებისა და მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის?

*„საქართველოს მთელი უბედურება ისაა, რომ ასეთი ლიდერი არ არსებობს. სანამ საქართველო არ შეიცვლის ვექტორს, მის მოსახლეობას არაფერი ეშველება. მან შორეულ მეგობრებს ახლო მეზობელი უნდა არჩიოს, შემობრუნდეს რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოძმე ხალხებისკენ და ერთ ოჯახად იცხოვროს. როგორც კი საქართველო ამ გულწრფელ ნაბიჯს გადადგამს, მაშინვე დაიწყება ყველა კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირება და თითოეული ქართველისათვის სასურველი ყოფითი კომფორტის შექმნა“,* — მიაჩნია ქართული დიასპორის ხელმძღვანელს, ქართველების კავშირის პრეზიდენტს რუსეთში **მიხეილ ხუბუტიას**. იგი დასძენს: ***„ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ ჩავერიოთ საქართველოს პოლიტიკაში“.***

მართლაცდა, შეუძლებელია არ აღნიშნო, რომ **რუსეთი დემონსტრაციულად სცილდება საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებას,** რათა უნებლიედ საბაბი არ მისცეს ჩვენს (ყველგან „რუსეთის ხელის“ დამნახავ) ხელისუფლებას, ყველაფერში „კრემლის აგენტები“ დაინახოს და უდანაშაულო ხალხის რეპრესიები დაიწყოს...

**აშშ-ც აღარ რისკავს უკვე**: რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვის“ შემდეგ ადასტურებს, რომ დრო, როდესაც აშშ და რუსეთი ერთმანეთს მტრებად მიიჩნევდნენ, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა; აღიარებს, რომ რუსეთთან საერთო ინტერესები აკავშირებს და იწყებს მასთან კონსტრუქციულ დიალოგს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბირთვული იარაღის არსენალის შემცირება, ტერორიზმსა და ექსტრემიზმთან ბრძოლა, ერთობლივი ძალისხმევა ეკონომიკური სტაბილიზაციისა და საერთაშორისო ეკონომიკის აღორძინების საქმეში, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება (*იხ. პრეზიდენტ დ. მედვედევისა და პრეზიდენტ ბ. ობამას ორი ერთობლივი განცხადება, აგრეთვე, „G 20“-ის სამიტის შედეგების შემაჯამებელი კომუნიკე*).

### თეთრი სახლი, ალბათ, დაკმაყოფილდება საქართველოს პოლიტიკაში პროამერიკული პოლიტიკური პარტიების არსებობით, როგორიცაა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი,

რომლის ლიდერი ლონდონის სამიტის დღეებში ვაშინგტონში მიიწვიეს (სადაც უწინ რიგრიგობით იწვევდნენ ქართული ოპოზიციის ყველა ლიდერს). არჩევანი მასზე შემთხვევით როდი შეაჩერეს. **გიორგი თარგამაძე**, მიუხედავად იმისა, რომ 35 წლის გახლავთ, დაჯილდოებულია საჭირო მოქნილობითა და ინტუიციით **(აბაშიძე-შევარდნაძე-პატარკაციშვილი-სააკაშვილი: თავისი პატრონების „ჩაძირული ხომალდებიდან“ ის უკანასკნელ, ყველაზე კრიტიკულ მომენტებში გარბოდა!)**. ამასთან, „საქმეში გამოცდილი“ რუსთავი 2-ის ყოფილი წამყვანებით დაკომპლექტებული პარტიის სახელწოდებაში **წაუგებელმა აქცენტმა (საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მაშასადამე — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრარქთან, უწმიდეს და უნეტარეს ილია მეორესთან — საქართველოში გაღმერთებულ, უდავო ავტორიტეტის მქონე ერთადერთ პიროვნებასთან სიახლოვის მიმანიშნებელი ქარაგმა)** ელექტორატი უნდა მოიზიდოს.

**P.S.** კითხვაზე — **რატომ არ შეგვიძლია ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა,** — დიდმა **მერაბ მამარდაშვილმა** უპასუხა: **„იმიტომ, რომ მდინარიდან არ ამოვსულვართ...“**

**რატომაა, რომ ქართველები დღემდე იმ მდინარეში ვსხედვართ, ამ 18 წლის წინ რომ შევედით (სსრკ-ს შემდეგ), დინებას ვეწინააღმდეგებით და ვითოშებით? ჩვენს მდინარეებში ხომ ყინულივით ცივი წყალი იცის!.. მაშ, რატომ არ ვებღაუჭებით ხელს, რომელსაც ნაპირიდან ძველი მეგობარი ივანე გვიწვდის?! ვისი იმედი გვაქვს? აშშ-ის ავიამზიდმა შარშან აგვისტოში ჩვენს დასახმარებლად ამ მდინარეში შემოსვლა ხომ იუარა — აქაოდა თავთხელიაო?! ნუთუ გარდა ზემოჩამოთვლილი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა, რაც ჩვენში პროქართულად მოაზროვნე რეალ-პოლიტიკოსების არარსებობის მიზეზია, არსებობს ფაქტორი, რომელიც სამედიცინო სფეროს უფრო განეკუთვნება?** თუ ასე გაგრძელდა, მსოფლიოში, ალბათ, ბევრი ალაპარაკდება **საქართველოს პოლიტიკაში საყოველთაო იდიოტიზმის ფაქტორზე!**

მათ კი, ვინც ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რომ მალე საქართველოში, მიხეილ სააკაშვილის წყალობით, სიტყვა „**ნატო**“-ს ხსენება გინების ტოლფასი იქნება (ისევე, როგორც სიტყვა „**პერესტროიკა**“-ს დაემართა მიხეილ გორბაჩოვის წყალობით), მკურნალობა მოუწევთ!

8 - 14 აპრილი, 2009 წელი. №8
www.geworld.net



## ირაკლი კორძაია:

# კობა სუბელიანი დახვეწილი ნაძირალა და ფარისეველია

### სუბელიანი კაზინო „აჭარიდან“ ვერ გამოჰყავთ და იქ ყოველ საღამოს ათასობით ლარს ტოვებს

**არასამთავრობო ორგანიზაცია „რატომ?“ სულ რამდენიმე დღეა, რაც დაფუძნდა და კონკრეტულ უწყებებთან ხმაურიანი აქციებიც მოაწყო. ბევრმა იგი მოძრაობა „კმარას“ შეადარა, ორგანიზაციას, რომელმაც შევარდნაძის ხელისუფლების დამხობაში გარკვეული როლი ითამაშა... ძნელი სათქმელია, რამდენად გადამწყვეტ როლს შეასრულებენ მასში გაერთიანებული ახალგაზრდები თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ამჟამად მათ უკვე ჰყავთ კონკრეტული სამიზნეები — ლევან ყუბანეიშვილი და კობა სუბელიანი... „საქართველო და მსოფლიო“ ორგანიზაციის — „რატომ?“ — დამფუძნებლებს ირაკლი კორძაიას და ლუკა წულაძეს ესაუბრა.**




**ირაკლი კორძაია:**

— საზოგადოებრივ მაუწყებელში მისვლის იმპულსი იმ მითიური თენგოს ისტორიამ მოგვცა, რაც პირდაპირ ეთერში მოვისმინეთ. ჯერ ერთი, არავის გვჯერა ეს სისულელე და მეორე, თუ პოლიცია ასეთი ადეკვატური ჟურნალისტებზე მომხდარი ზეწოლის ფაქტებისადმი, რატომ არ დაიწყო გამოძიება ბოლო 5 წლის განმავლობაში ასობით ჟურნალისტზე განხორციელებული ზეწოლის დროს?! რატომ გახდა ეს ახალგაზრდა ბიჭი, ვინმე მახარაშვილი, ასეთი ინტერესის ობიექტი პროკურატურისთვის?!

— **რატომ?**

— ჩვენ გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ამ უნიჭო ფარსის მიმართ და ტელევიზიაში მივედით ლოზუნგით „მე ვარ თენგო“. იმ ადამიანთან ჩვენ არანაირი პრეტენზია არ გვაქვს, რადგან ის ბრმა იარაღია და, ალბათ, არცთუ უანგაროდ ასრულებს ამ დავალებას. ფაქტია, რომ ამ ყველაფერს ის საბრალო ბიჭი თვითონ ვერ მოიგონებდა, რომ არ ჰყოლოდა გვერდით ლევან ყუბანეიშვილი, ლევან გახელაძე და გია ჭანტურია. მას შემდეგ, რაც ამ ამბის ირგვლივ ჩვენი დამოკიდებულება დავაფიქსირეთ, გამოვითხოვეთ ტელევიზიის 2008-2009 წლის ბიუჯეტი და ამ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. ბუნებრივია, ჩვენ გვაქვს კონკრეტული ეჭვები.

— **კერძოდ?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ ეს ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდზე უნდა იყოს. როგორც შევიტყვეთ, ჩვენი აქციის შემდეგ აპირებენ, სასწრაფო წესით გახსნან ვებგვერდზე რაღაც ფანჯარა და განათავსონ ტელევიზიის ბიუჯეტი, თითქოს ყოველთვის ასეთი გამჭვირვალე იყო ეს ინფორმაცია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლევან ყუბანეიშვილს აქვს ინტერესთა კონფლიქტი ამ თანამდებობაზე ყოფნით. ის არის ბიზნესმენი, „თიბისი თივის“ მფლობელი, ამავე დროს, — საზოგადოებრივი არხის დირექტორი. ყველამ კარგად იცის, რომ „თიბისი თივის“ პროდუქცია საკმაოდ დიდი რაოდენობით გადის პირველი არხის ეთერით. გვაინტერესებს, რა თანხებზეა საუბარი და რამდენად სამართლიანად ხდება „თიბისი თივის“ პროდუქციის გაშვება პირველ არხზე. საქართველოში ძალიან ბევრი სხვა სატელევიზიო სტუდიაც არსებობს, იქნებ, მათაც შეუძლიათ ნიჭიერი და კარგი პროდუქციის შექმნა?! გვაქვს ეჭვი, რომ იგი სარგებლობს თავისი მდგომარეობით და აწარმოებს არაკეთილსინდისიერ ბიზნესს, რაზეც მწვანე შუქი ხელისუფლებისგან აენთო, რადგან მისი ნების ყურმოჭრილი აღმსრულებელია. ეს ტელევიზია უნიჭო პროპაგანდისტულ მანქანად იქცა.

***საუბარში ორგანიზაციის — „რატომ“ — ერთ-ერთი დამფუძნებელი ლუკა წულაძე ერთვება:***

— ჩვენ ასევე გვაინტერესებს, რა ბიუჯეტია გამოყოფილი სემინარებსა და ტრენინგებზე, რომელთა ორგანიზებასაც აწყობს საზოგადოებრივი მაუწყებელი. ამას წინათ ბაკურიანში ჩატარებულ ტრენინგს ტელევიზიის



## ლევან ყუბანეიშვილი თამარ კინწურაშვილის ცუდი ვარიანტია

ტოპმენეჯმენტის ყველა წარმომადგენელი ესწრებოდა: დირექტორი, გენერალური დირექტორი, გენერალური პროდიუსერები... ასე ვთქვათ, ტელევიზიის ელიტა. სემინარებსა და ტრენინგებს აწყობენ იმისთვის, რომ წავიდნენ გუდაურში, ბაკურიანში და ეს პერიოდი გამოიყენონ გართობისა და დასვენებისთვის. ყველასთვის ცნობილია, რომ გასვლითი სემინარები საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ისინი ამას საკუათარი გართობისთვის იყენებენ. როგორც წესი, მსგავსი სახის ღონისძიებებს აფინანსებენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. ყუბანეიშვილი და მისი ამფსონები კი თავს უფლებას აძლევენ, საკუთარი გართობა-დასვენება ტელევიზიის ბიუჯეტიდან დააფინანსონ!

**ირაკლი კორძაია:**

— თუ ლევან ყუბანეიშვილი კეთილსინდისიერი პიროვნებაა, მაშინ, არც მას და არც ლევან გახელაძეს, რომელიც მას მატროსოვივით გადაეფარება ხოლმე ყოველთვის (და მისი ფუნქცია ამით ამოიწურება ტელევიზიაში), დისკომფორტს არ უნდა უქმნიდეთ მსგავსი კითხვები. თუ ეს ინფორმაცია საჯაროა და არაფერი აქვთ დასამალი, რატომ ასაიდუმლოებენ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ინფორმაციას?!

**ლუკა წულაძე:**

— ტელევიზიის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შავი ხვრელები არსებობს და ჩვენ ზუსტად ვიცით, რა უნდა გამოვიძიოთ. ლევან ყუბანეიშვილი თამარ კინწურაშვილის ცუდი ვარიანტია. კინწურაშვილმა მოდულის ჯურღმულებში შექმნილი ფილმი „7 ნოემბრიდან 7 ნოემბრამდე“ გაუშვა ტელევიზიით. ისიც ხელისუფლების დაკვეთების უსიტყვო შემსრულებელი იყო, თუმცა იმ ძველი პრობლემების გარდა, რაც ყუბანეიშვილმა მემკვიდრეობით მიიღო კინწურაშვილისგან, კითხვის ნიშნები ჩნდება ბიუჯეტთან დაკავშირებითაც. როგორც ვიცით, ლევან გახელაძე განათლების სამინისტროში კარგად დაეუფლა ბიუჯეტით მანიპულირებას და ახლა მათ არ გაუჭირდებათ შავი ხვრელების ამოვსება. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ კარგად ვიცით, რა უნდა გამოვიკვლიოთ. დადგება დრო, როდესაც ამით შესაბამისი უწყებები და ექსპერტები დაინტერესდებიან.

— **თუ თქვენი ეჭვები დადასტურდა, რას აპირებთ?**

**ირაკლი კორძაია:**

— ჩვენ ამას პირველ რიგში საზოგადოებას ვაცნობებთ. აუცილებლად შევიტანთ სარჩელს ლევან ყუბანეიშვილის წინააღმდეგ და სასამართლო პროცესები წარიმართება საპროტესტო აქციების ფონზე. შევეცდებით, კარგი გაგებით, ზეწოლა მოვახდინოთ სასამართლოზე, რათა სამართლიანი გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი. თუ ისინი დამნაშავეები არიან, პასუხი უნდა აგონ. ჩვენი მიზანია, თემას, რომელსაც ხელს მოვკიდებთ, ბოლომდე მივიყვანოთ. იგივეს ვაპირებთ დევნილებთან მიმართებაში.

— **თქვენ დევნილებისთვის სტატუსის მინიჭებას მოითხოვთ, თუმცა მათ სხვა პრობლემაც მრავლად აქვთ...**

— რადგან აგვისტოს ტრაგედია არ მოუშუშებია ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით, მათ, ვინც პირდაპირი დარტყმა საკუთარ თავზე მიიღო, გადავწყვიტეთ, ფოკუსირება ამ ადამიანებზე მოვახდინოთ. 8 თვეა, ატყუებენ და ყოველთვიურად ჰპირდებიან, რომ სტატუსს მიიღებენ. დევნილებისთვის სტატუსის მიუნიჭებლობა ხელისუფლებას აძლევს საშუალებას, მათ წინაშე იურიდიული პასუხისმგებლობა მოიხსნას.

— **ეს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ნაწილია და, ალბათ, დამეთანხმებით, ამ საკითხს მხოლოდ კობა სუბელიანი ვერ გადაწყვეტს...**

— მას ეს საკითხი არ დაუყენებია არც პარლამენტში, არც აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე. სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი შემსრულებელია კობა სუბელიანი, რომელიც ფარისევლობის მაგალითი გახლავთ.

— **კობა სუბელიანი, მთავრობის სხვა წევრებისგან განსხვავებით, საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობს...**

— კობა სუბელიანი დახვეწილი ნაძირალა და ფარისეველია. გეთანხმებით, რომ კარგი იმიჯი აქვს. ხან თავის სტიქაროსნობას ეფარება, ხან — რას. სინამდვილეში კი ის კაცია, რომელიც ბოლო დღეებია, კაზინო „აჭარიდან“ ვერ გამოჰყავთ და ათასობით ლარს ტოვებს ყოველ საღამოს იქ.

— **კაზინო „აჭარასთან“ რატომ არ უწყობთ მას აქციას?**

— ძალიან მალე მორიგეობას მოვაწყობთ კაზინოებთან და გვექნება ფოტო და ვიდეომასალა იმის შესახებ, როგორ დადის კაზინოში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი. რასაც გეუბნებით, უტყუარი ინფორმაციაა... დევნილებისთვის სტატუსის მინიჭების საკითხს დავუბრუნდეთ. ჩვენ მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ დასრულდეს ეს პროცესი. ესეც არ არის პანაცეა მათთვის, მაგრამ ამ გზით ისინი ყოველთვიურ ფულად, სამედიცინო და სასურსათო დახმარებას მაინც მიიღებენ, რაც სტატუსის ფარგლებში ეკუთვნით. ეს მინიმალური დახმარება მაინც ექნებათ გარანტირებული. ახლა კი, შეიძლება თვენახევარი არაფერი მისცენ, მერე კი მიუტანონ დაობებული პური, რაც მათთვის კიდევ ერთხელ სულში ჩაფურთხების ტოლფასია. აღარაფერს ვამბობთ იმ კოტეჯებზე, რომლებიც, ექსპერტთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, მცირე დროში აღმოჩნდება ავარიულ მდგომარეობაში.

**ლუკა წულაძე:**

— სუბელიანი დაგვპირდა, რომ 15 მაისამდე ყველა დევნილი მიიღებს სტატუსს. პირველ რიგში, მის ინტერესებში შედის, რომ ეს პრობლემა სწორედ ამ ვადაში მოგვარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გადავალთ აქტიურ არაძალადობრივ შეტევაზე. სუბელიანმა გვითხრა, რომ ორი კვირის წინ დაიწყეს ეს პროცესი... აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ 7 თვე გავიდა და ამდენ ხანს რას აკეთებდნენ?! თუმცა, ეს, ალბათ, რიტორიკული შეკითხვაა. მეტსაც გეტყვით, კვირების მანძილზე დგანან დევნილები სამინისტროში, იქ ათენებენ და აღამებენ და მათ მინისტრი არ ხვდება. სამაგიეროდ, დადის კაზინო „აჭარაში“ და იქ ერთობა. ამიტომაც ვამბობთ, რომ ეს ადამიანი არის ფარისეველი...

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**

## ძირს ლევანი, ძირს ლევანი, ძირს გია!

# საქართველო — ზვიადის შავი ვატერლოო?

**26 მაისი**

**მეოცე საუკუნეში საქართველოს ორჯერ მოუხდა დამოუკიდებლობის გამოცხადება. ერთნი ამ ფაქტს კმაყოფილებით აღიქვამენ, მეორენი კი გამუდმებით ოცდაერთი წლის თებერვალზე მიგვანიშნებენ და ამჯერადაც საბედისწერო აღსასრულს გვიწინასწარმეტყველებენ.**

**პირველი რესპუბლიკა, როგორც შ. ამირეჯიბი შენიშნავდა, „სნეული, ავზნიანი, იარებით სავსე და უდღეური აღმოჩნდა“. ისტორიის სამსჯავროც ერთობ მკაცრად გაგვიმასპინძლდა: „1918 წლის რესპუბლიკა უნდა დაღუპულიყო და დაიღუპა კიდეც“ (მ. წერეთელი).**



მაინც რა იყო „პირველი რესპუბლიკის“ დაღუპვის მიზეზი? თავის გახმაურებულ წერილში „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს“ კ. გამსახურდია სინანულით აღიარებდა: „ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზი ქართველი ერის შინაგან არსებაშია საძიებელი. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამ სამი წლის ეგზამენში ჩავიჭერით. ნურავინ დააბრალებს ამ კატასტროფას ნურც მარტოოდენ მეზობლებს, ნურც რომელიმე პარტიას“... და მაინც მწერლის კრიტიკა, არსებითად, ქართული პოლიტიკური ელიტისაკენ იყო მიმართული. ამ კრიტიკულ პათოსს კი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებაც ასაზრდოებდა. „ჩვენს პოლიტიკოსებს, როგორც შორეულ, ისე უახლოეს წარსულში სინამდვილეში ორიენტაციის ნიჭი აკლდათ. გადაჭარბებული იდეალიზმი ახასიათებდა ქართველი მეფეების, დესპანებისა და მინისტრების პოლიტიკას“ (კ. გამსახურდია).

საერთოდ, ე.წ. „პოლიტიკური ელიტის“ პრობლემა მუდამ მწვავედ იდგა ქართული სახელმწიფოს წინაშე. „ყოვლად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი“ — ასე ახასიათებდა სოციალ-დემოკრატ ლიდერებს ჩვენთვის კარგად ნაცნობი მიხაკო წერეთელი. „მათი საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ახალი თაობის ახალ საქმეს... ჩვენი 1918 წლის რესპუბლიკა ისეთმა ხალხმა შექმნა, რომელსაც საქართველოში სამშობლო არ ებადაო“, — შენიშნავდა ამ რესპუბლიკის ერთ-ერთი პირუთვნელი მემატიანე.

როგორადაც უნდა ვეცადოთ, დღეს ჩვენს შესაძლებლობებს დიდად აღემატება იმის წარმოდგენა, თუ რა ხდებოდა თბილისში 1918 წლის 26 მაისს. ამიტომ, ვფიქრობ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა იმჟამინდელ მოვლენათა შუაგულში მყოფი თვითმხილველის ერთ მეტად საყურადღებო დაკვირვებას, რომელშიც შეულამაზებლად არის დახატული ოთხმოცდაათი წლისწინანდელი დამოუკიდებლობის გამოცხადების რეალური სურათი:

„ამრიგად, საქართველო დამოუკიდებელი გახდა. მას ჰყავდა თავისი ეროვნული მთავრობა! მაგრამ ამ დღის შთაბეჭდილებანი სრულად არ იქნება გადმოცემული, თუ მარტო ამ სხდომის ოვაციაზედ და დამსწრე საზოგადოების ენთუზიაზმზედ ვილაპარაკებთ. იყო რაღაცა ელდა, რომელიც ახლდა ამ სიხარულს და რომელსაც განზრახ ყველა მალავდა ამ დღეს; საქართველო დამოუკიდებელი იყო, მას ჰყავდა თავისი ეროვნული მთავრობა, მაგრამ ის არ იყო გმირი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული ბრძოლის მოედნიდან მოვიდა. ეს იყო ხალხი, რომელმაც დიდხანს აბრეცინა თვალი საქართველოს... ქართველი სოციალ-დემოკრატები თვითონ შეძვრნენ ოდესღაც იმ ხვრელში, რომელსაც კავკასიის და სრულიად რუსეთის დემოკრატია ერქვა და იქიდან გამოძრომის დროს საქართველოს სახე დააკაწრეს.

როდესაც პარლამენტის კანცელარიის მდივანმა ილ. ზურაბიშვილმა ეს აქტი სასახლის აივნიდან ტფილისის ხალხსაც წაუკითხა, არც ეს „ხალხი“ იყო მაინცდამაინც მრავალი, და თვალი იქიდგანაც ამ აქტს წითელ დროშაზედ ჩამოხატულმა მარქსმა ჩაუკრა, — ამ დღეს ჩვენს პარლამენტზედ სოციალიზმის დროშა ფრიალებდა და ეროვნული დროშა, მგონია, მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ გაჩნდა იქ!..“ (შ. ამირეჯიბი).

როგორც დავინახეთ, ავტორი პირდაპირ მიგვანიშნებს „რაღაც ელდაზე“, თვალშისაცემ უხერხულობაზე, რომელიც იმით იყო გამოწვეული, რომ პირველი რესპუბლიკის მესვეურები ხელისუფლებაში მოვიდნენ არა „ეროვნული ბრძოლის მოედნიდან“, არამედ ანტიქართული ნიჰილიზმის ჭაობიდან, მოვიდნენ ილიას სისხლში ხელგასვრილები და „ახლა სწორედ იმის კეთება უხდებოდათ, რასაც ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა, მაგრამ საამისოდ აღარც თავი ჰქონდათ, არც გული, არც უნარი!..“ დღეს შეიძლება ვინმეს დაუჯერებელ ზღაპრად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრებაზე ხანგრძლივი დებატების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი გადაწყდა არა ერთსულოვნად, არამედ ხმათა უბრალო უმრავლესობით...

„ყველაფერს ნაჩუქარი ცხენის ფასი ჰქონდაო“, — მწუხარედ დასძენდა ისტორიკოსი.

## 9 აპრილი

9 აპრილი, ისევე როგორც 26 მაისი, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა სამუდამოდ დაუკავშირდა ამ თარიღს. ცხადია, ზვიად გამსახურდიას ეს დღე შემთხვევით არ აურჩევია. ოცი წლის წინათ ქართველი ახალგაზრდები შიშველი ხელებით დაუხვდნენ თბილისში შემოჭრილ ტანკებს და ჩვენს ეროვნულ ღირსებას შესაფერისი ძეგლიც დაუდგეს. „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, — აღნიშნავდა ზ. გამსახურდია, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“...

1991 წლის 9 აპრილს, უზენაესი საბჭოს სხდომაზე, საკმაო რაოდენობით იყვნენ „ეროვნული ბრძოლის მოედნიდან“ მოსული ადამიანები, მაგრამ მათ შორის ნამდვილი გმირი მხოლოდ ზვიად გამსახურდია იყო. ის მართლაც ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლებიდან მივიდა ხელისუფლებაში. თექვსმეტი წლისა იყო, როდესაც პირველად დააპატიმრეს და მას შემდეგ, სიკვდილამდე მოუსვენრად იცხოვრა. მამამისი, კონსტანტინე გამსახურდია ერთგან შენიშნავდა: „ყოველ ადამიანს უწერია ამქვეყნად ერთგვარ უღელტეხილთან მიღწევა, ყოველ მწერალს და მებრძოლს მოელის თავისი შავი ვატერლოო... ყოველი გმირი ბოლოს და ბოლოს უნდა დამარცხდეს“...

ზვიადი კი, თითქოს მამას ეპასუხებაო, დაბეჯითებით იმეორებდა: „როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეეწირება მსხვერპლად მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებას!“

1991 წლის 9 აპრილს საქართველოში „დიდმა საქმემ“ გაიმარჯვა! ზვიად გამსახურდიას ოცდაათწლიანმა ღვაწლმა, რომელიც ქართველი ერის ისტორიული ცნობიერებით იყო ნასაზრდოები, რეალობად აქცია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. მაგრამ ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე მას თავისი „შავი ვატერლოოც“ უნდა გამოეცადა.

შეუძლებელია, ზვიად გამსახურდია ჩვეულებრივი მოკვდავივით მშვიდად და განმარტოებით გამოეთხოვოს წუთისოფელს-მეთქი, ვუთხარი ერთხელ და თან დავამატე: თქვენისთანა ადამიანები თბილ ლოგინში კი არა, გოლგოთაზე ეთხოვებიან სიცოცხლეს-თქო...

ჩვენს მაშინდელ საუბარს ბევრი უსმენდა, მაგრამ არც ერთ მათგანს ნათქვამის უარყოფა არ უცდია!

თავადაც არაფერი უთქვამს, რადგან კვლავ მტკიცედ სწამდა: „როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეეწირება მსხვერპლად მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებას!“

იქნებ ამიტომაც იყო, რომ თავის გადასარჩენად არაფერი იღონა... თავის ერთ მშვენიერ ესსეში შენიშნავდა: „ნურავის გაუკვირდება, რომ მე შელლიზე საუბარს მისი აღსასრულით ვიწყებ. პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისა. ეს ფინალი მუდამ სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითებს“.

ზვიად გამსახურდიას აღსასრული, ტრაგიკული ფინალი, მართლაც ზუსტი გასაღებია მთელი მისი ცხოვრების გასაგებად.

„ცხოვრების დინების საწინააღმდეგოდ სვლა ჯერ კიდევ ადრე, სიჭაბუკეში გადაექცა ვნებადო“, — წერდა დიდი ინგლისელი პოეტისადმი მიძღვნილ ნარკვევში.

აქაც თითქოს თავის თავზე წერდა!

„ღუაწლი არს გაჭირვებაში ყოფნა და უფროისად ომში“. სულხან-საბას განმარტებით, მოღვაწე და მოჭირნახულე სინონიმური ცნებებია.

ზვიად გამსახურდია მე მუდამ „გაჭირვებაში მყოფი“ და „უფროისად ომში“ ჩაბმული მახსენდება. მან სწორედ ამ გაჭირვებასა და ომში დალია სული, რათა საქართველო გამარჯვებული ყოფილიყო.

## 26 მაისი და 9 აპრილი

ჩვენს ახლანდელ ხელისუფალთ გაჭირვებისა არაფერი ეტყობათ. სამაგიეროდ, საქართველოა მეტისმეტად გაჭირვებული.

იყო დრო, როდესაც ქართველი კაცი უიარაღოდ დგებოდა ტანკების პირისპირ და მოძალადის წინაშე ქედის მოხრა ეროვნული ღირსების მიუტევებელ შელახვად მიაჩნდა. ასე იყო ოთხმოცდაცხრა წლის აპრილში და ასე იყო შემდეგაც, როდესაც მან დამოუკიდებლობის მოპოვება განიზრახა.

სულ ახლახან კი ჩვენ სამარცხვინოდ დამარცხებული და მიწაზე გართხმული მთავარსარდალი ვიხილეთ, რომელსაც დღემდე ყოფნის თავხედობა და თავს გამარჯვებულად ასაღებს.

უფრო ადრე ქართულმა საზოგადოებამ ხელისუფლებისაგან ისეთი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დარტყმები იწვნია, რომელთა დავიწყებას ის, ალბათ, დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებს. დღესაც თვალწინ მიდგას მოძალადეთა ბრბო, რომელმაც მამა ბასილის „ასაყვანად“ ისეთი „სპეცოპერაცია“ ჩაატარა, იმდენ ბავშვსა და ქალს, მოხუცსა და ახალგაზრდას დასცა თავზარი, რომ სელჯუკთა შემოსევებიც კი დაჩრდილა ჩვენს პირქუშ ისტორიაში.

დამოუკიდებელ საქართველოს მსგავსი სირცხვილი არასოდეს უნახავს!

ქართველ ერს ასეთი ტკივილი იშვიათად განუცდია!

და ყოველივე ეს ჩაიდინეს ადამიანებმა, რომლებიც თავს, რატომღაც, ქართველებად მიიჩნევენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ პირჯვარსაც კი იწერენ.

გავიდა მცირე ხანი და ტელეეკრანზე კვლავ გაიელვა არანაკლებ თავზარდამცემმა კადრებმა. მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება საფლავებიდან ამოყრილი ჩონჩხებისა და თავის ქალების ფონზე საზოგადოების წინაშე თავმომწონედ მოლაპარაკე პოლიციის მინისტრი, რომელმაც რატომღაც სწორედ ასეთ „ნატურალურ“ გარემოში ისურვა პრესკონფერენციის გამართვა.

ბარბაროსობისა და ველურობის მსგავსი მაგალითი ჩვენს ისტორიაში ნამდვილად არ მოიძებნება!

ასეთი ფაქტები ავადმყოფური თვითგანდიდების, ცხოველური გახელებისა და მანიაკალური სადიზმის ქრესტომათიულ შემთხვევებს წარმოადგენენ.

ერთხელ მ. სააკაშვილმა უნებლიედ თავად ჩამოიხსნა ნიღაბი და ტელეეკრანიდან საჯაროდ ასეთი ძნელადდასაჯერებელი ამბავი გვაუწყა: „ერთმა მეგობარმა შემომჩივლა, ოპოზიცია ჩემზე ტყუილებს ლაპარაკობსო. მე იგი დავამშვიდე: ჩვენ მაშინ უნდა შეგვეშინდეს, როცა ჩვენზე სიმართლეს იტყვიანო“... დიახ, „პრეზიდენტი“ არაორაზროვნად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე აცხადებს — სიმართლის მეშინიაო!

მან დაუფიქრებლად გასცა თავისი თავი და თქვა ის, რასაც გონიერი მმართველი არაფრისდიდებით არ იტყოდა!

საცა სამართალია, სააკაშვილს სიცრუისა და ცილისწამების უზნეობაზე უნდა ჩამოეგდო სიტყვა, რაც ამ ვითარებაში სრულიად ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. მიზეზი უბრალო და მარტივია: ის ნამდვილად შეპყრობილია დამთრგუნველი შიშით, სიშიშვლის, ანუ უნიღბოდ დარჩენის შიშით! „მეფე შიშველია“ — ეს შეძახილი ხომ ყოველგვარი ძალაუფლების გაკოტრებაზე მინიშნებაა. ამიტომ სიცრუე მისი უერთგულესი თანამგზავრი და ხალხთან ურთიერთობაში გამოსაყენებელი ყველაზე მოსახერხებელი იარაღია. ამ იარაღის გარეშე ის თავს მუდამ უძლურად და დაუცველად გრძნობს.

დააკვირდით მის ქცევასა და საუბარს. ამ ადამიანს საერთოდ არ ძალუძს კონკრეტულ, სერიოზულ პრობლემათა ანალიზი. უფრო მეტიც: აშკარაა, რომ მას ძალზე უჭირს აზროვნება და, აქედან გამომდინარე, უჭირს გამართული მეტყველებაც.

მისი ნიღბის განუყრელი ატრიბუტია სიცილი, — ხშირად ყოვლად უაზრო და უადგილო, უმოტივო და უმისამართო... ნიღაბზე, აგრეთვე, აღბეჭდილია უსაფუძვლო ოპტიმიზმი და ცრუ შემართება, რასაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან.

უნიღბო პრეზიდენტი კი არანაკლებ თავზარდამცემად გამოიყურება, ვიდრე მისი ნიღბიანი სპეცრაზმელები...

ზემოთ ქართველ სოციალ-დემოკრატებზე ვსაუბრობდით. ცნობილია, რომ ისინი ჩვენი ერის კულტურულ-ისტორიული წარსულის აკვიატებული სიძულვილით იყვნენ შეპყრობილნი. ეროვნული ნიჰილიზმი მათი უკურნებელი სენი იყო. პირველი რესპუბლიკის მოქალაქენი, ალბათ, თვით ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში გავრცელებული ეს სახადი ოცდამეერთე საუკუნეშიც აფეთქდებოდა და ამჯერადაც სწორედ საქართველოს ხელისუფლებას შეეყრებოდა.

ჩვენს დღევანდელ ნაციონალებს და გუშინდელ სოცდეკებს, უწინარეს ყოვლისა, უსამშობლოობის, უქართველობის და უწარსულობის განცდა აერთიანებთ. მათი სულიერი ნათესაობა სხვა მხრივაც თვალშისაცემია. მაგალითად, სოციალ-დემოკრატებისდროინდელ საქართველოში, როგორც ერთი ისტორიკოსი შენიშნავდა, „თითქმის სავალდებულოდ იყო მიღებული, რომ ხელისუფლებას განსაკუთრებულად უჭკუო ხალხისათვის ადგენდნენ“. ასეთივეა ნაცმოძრაობის ხელისუფლებაც, რომელიც, იმედია, სულ მალე გაიზიარებს კოსმოპოლიტიზმით შეპყრობილ წინამორბედთა ხვედრს და სადმე „სხვა საქართველოს“ იპოვის.

**თემურ ქორიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## დავით იაკობიძე:

# ამერიკელებმა რუსებს დიალოგის, თანამშრომლობის ახალი ფორმატი შესთავაზეს

ღატაკი — უსირცხვილო გლახაკი.
სულხან-საბა ორბელიანი

**წინა კვირის განმავლობაში მსოფლიოს ყურადღება ლონდონისკენ იყო მიპყრობილი, ისე და იმდენად, რომ გახუნდა იუმორის დღე — 1 აპრილი. რა გვეიუმორებოდა, როცა G-20-ის ანუ დიდი ოცეულის სამიტზე განიხილებოდა მსოფლიო პრობლემები და მათ შორის (ეგებ) უმთავრესი — როგორ გამოვიდეთ ეკონომიკური და ფინანსური გლობალური კრიზისიდან. თუმცა ბრაზილიის პრეზიდენტმა ერთგვარად გაახალისა მოქუფრული ატმოსფერო, როცა კრიზისის მიზეზების ახსნას რასობრივი თეორიის საფუძველზე შეეცადა და განაცხადა, რომ კატასტროფა, რომელიც მსოფლიოს თავს დაატყდა „ცისფერთვალება და თაფლისფერთმიანი ბიჭების ბრალია". ამით შეეცადა, ხაზი გაესვა მდიდარი ჩრდილოეთისა და ღარიბი სამხრეთის დაპირისპირებისთვის.**
**ვის გაეღიმება, ვის — არა.**
**ჩვენთვის მთავარი სხვაა: ხომ არ ჩაიკარგება ლონდონის სამიტის მასშტაბურობაში საქართველოს ინტერესები?**
**ამ კითხვით მივმართეთ ჩვენს კონსულტანტს, პროფესორ დავით იაკობიძეს.**



**— ბატონო დავით, იქნებ ჯობს, არაფერი ვთქვათ ამის თაობაზე ახლა, ძველი ებრაული ანდაზისა არ იყოს, „რაბინების კამათისას მორწმუნენი ჩუმად არიანო"?**

— თქმით კი ვიტყვი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს რაიმე ორიგინალური შეხედულება მსოფლიო ფინანსურ კრიზისზე, რადგან ლონდონის სამიტისთვის სპეციალურად არ მოვმზადებულვართ, მაშინ როცა ოცივე წამყვან სახელმწიფოში სერიოზული მეცნიერული კვლევები ჩატარდა ამ მიმართულებით. მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო ჩვენი მეზობელი რუსეთი. საინტერესოა, რომ ამ პრობლემის შესწავლაში ყველა პოლიტიკური ძალა, შესაძლებლობის ფარგლებში, მხარში დაუდგა მთავრობას. მაგალითად, კომუნისტებმა სამრეწველო საწარმოებს პირდაპირი დახმარების პაკეტის მიწოდება შესთავაზეს, ამასთან, მოითხოვეს, გაუიაფონ დიზელის საწვავი მხვნელ-მთესველებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათთვის საერთო ხარჯების შემცირებას. ჟირინოვსკი ობშორებში „ჩაკარგული" ფულის სამშობლოში დაბეგვრის მექანიზმის შემუშავებით აპირებს ითანამშრომლოს კრემლთან და ა.შ.

მეწარმეთა და ეკონომიკის ექსპერტთა მონაწილეობით კრასნოიარსკში გაიმართა ეკონომიკური ფორუმი, შემუშავებული წინადადებები მთავრობას წარუდგინეს. მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელეს მექსიკაში, ინდოეთში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა წამყვან ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერება და სამეურნეო პრაქტიკა საბოლოო შედეგებზე კონცენტრირებული ისე, როგორც დღეს არის, არასოდეს ყოფილა.

ჩვენ რა? — პასიური დამკვირვებლის როლში აღმოვჩნდით და თანაც იმ დროს ყურადღება მედვედევ-ობამას შეხვედრაზე გვქონდა გადატანილი, სადაც, როგორც ველოდით, უნდა განეხილათ საქართველოს საკითხიც.

**— „თუ ქორწილში არ დაგპატიჟეს, ახალ ჩოხას არ შეიკერავო", — ნათქვამია. საქართველოს ადგილი დიდ ოცეულში, რა თქმა უნდა, არ იყო. ჩვენი პასიურობაც უთუოდ ამან განაპირობა.**

— ნუ შეიკერავ ახალ ჩოხას, მაგრამ ძველი ხომ უნდა გეცვას, კაცად რომ ჩაგაგდონ? სათქმელი არაფერი გვქონდა, რადგან უკვე დიდი ხანია, საერთაშორისო ასპარეზზე განვითარების გენერატორის როლის ნაცვლად დახმარების მიღების მომლოდინის დამამცირებელი როლით ვკმაყოფილდებით.

**— ასეთია ხელისუფლების საერთო პოლიტიკა.**

— მაგრამ ამან არ უნდა დაგვაჩლუნგოს და ძიების, განსჯის, ანალიზის სურვილი და უნარი არ უნდა ჩაგვიხშოს... სანამ სულ არ გამქრალა მეცნიერული პოტენციალი, რომელიც გვქონდა და გვეამაყებოდა.

**— თქვენ თქვით, რომ ლონდონის სამიტისადმი ჩვენი ყურადღება კონცენტრირებული იყო მედვედევ-ობამას შეხვედრაზე, სადაც საქართველოს საკითხი უნდა განეხილათ.**

— პირდაპირ გეტყვით: სრული სიცხადე ამ საკითხში არ გამოკვეთილა და, ვფიქრობ, მედვედევ-ობამას ივნისის შეხვედრამდე არც გამოიკვეთება. სამაგიეროდ ნათელი გახდა, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის იწყება დიალოგი, რომლის უმთავრესი თემები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა და ავღანეთის პრობლემის მოგვარებაა. საქართველოს საკითხი, აშშ-ის პრეზიდენტის აზრით, ექცევა ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატში, რომლისთვისაც არსებითი მნიშვნელობის მინიჭება საქართველოს ხელისუფლების ვალდებულება ხდება. ვფიქრობ, რომ, თქმულიდან გამომდინარე, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება აშშ-რუსეთის პრეზიდენტების ზაფხულის შეხვედრისათვის, რათა კვლავ არ დავიკრიფოთ გულზე ხელები და კვლავ მომლოდინის როლით არ დავკმაყოფილდეთ. საქართველოს პრობლემები პრინციპულად და არგუმენტირებულად უნდა გამოიკვეთოს. ამერიკელებმა რუსებს დიალოგის, თანამშრომლობის ახალი ფორმატი შესთავაზეს, რომელიც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს საქართველოს პრობლემების ცივილიზებული მეთოდებით გადაჭრას, მაგრამ ამისთვის, ვიმეორებ, ჩვენ თვითონ კარგად უნდა მოვემზადოთ, უნდა გამოვიდეთ იმ რეალობიდან, როცა ორმა უდიდესმა ქვეყანამ ურთიერთისკენ მიმართული კურსით დაიწყო მოძრაობა.

**— ჩვენი საინფორმაციო არხები კი უფრო რადიკალურ ჭრილში წარმოგვიდგენენ ობამა-მედვედევის პირველი შეხვედრის შედეგებს.**

— ეს ინერციით ხდება.

**სამწუხაროდ, შევეჩვიეთ, როცა ჩვენს ნაცვლად სხვები ლაპარაკობენ და აფასებენ, ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების მოგვარებას სხვებს ვაკისრებთ. ჩვენთან ახლაც მიამიტურად მიიჩნევენ, რომ აგვისტოს ომის გამო შური უნდა იძიონ (?!)**

მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ვისწავლოთ (გნებავთ, აღვიდგინოთ) ეკონომიკის ისეთი ორგანიზება, როცა ქვეყანაში იქმნება დოვლათი და ადამიანები საკუთარი შრომისნაყოფს იმკიან. უნდა ავითვისოთ მსოფლიო ეკონომიკის ცენტრებთან — დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში — პარტნიორული თანამშრომლობის ფორმები და მეთოდები. მაშინ შევძლებთ დიალოგის წარმართვას რუსეთთანაც და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთანაც. მაშინ მოგვისმენენ, რადგან ჩვენი ეკონომიკური სიძლიერე და განვითარების სწორი მიმართულება მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ჩვენივე პოლიტიკური უსაფრთხოების გარანტი.

**— ესე იგი, „მრეწველების" ძველ სლოგანს თუ გავიმეორებთ, „ეკონომიკა გადაარჩენს საქართველოს"?**

— ასეც შეიძლება ითქვას... ფაქტია, ჩვენს ეკონომიკას გაუჭირდა. ხალხი ხვალინდელ დღეზე ფიქრმა დააოსა. ვის ცალია გლობალური პრობლემებისთვის?!

მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენი უმოქმედობის საზღაურია.

როცა რომელიმე ქვეყნის მიღწევებზე საუბრობენ, ხშირად გაიგონებ — იქ ამ საკითხზე მთელი ინსტიტუტები მუშაობენო. ჩვენთან რატომ არ მუშაობენ ინსტიტუტები? განა არ გვაქვს საამისო პოტენციალი?

უმაღლეს სკოლაში მისაღები კონტიგენტი 2009 წელს 21000 სტუდენტს ითვლის, აქედან ეკონომიკური მიმართულებით სწავლის გაგრძელებას აპირებს 6770 ახალგაზრდა. მარტო ბაკალავრიატებში ეკონომიკურ ფაკულტეტებზე სწავლობს 28 ათას სტუდენტზე მეტი. ნორმატივებით, რომელთაც, ბოლონიის პროცესის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განათლების სამინისტრო სთავაზობს სასწავლებლებს, გასავლელია სასწავლო პროგრამა 240 კრედიტის ოდენობით, ძირითადად, ეკონომიკურ დისციპლინებში, შესაბამისად, ამ საგნების სწავლებაზე დასაქმებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე 1800-დან 2000 კაცამდე. აი არმია, რომლის სწორი ორგანიზების შემთხვევაში საქართველო შეძლებდა საკუთარი ორიგინალური და რაციონალური აზრის გამოთქმას მსოფლიო ფორუმებზე. რატომ ვერ ვახერხებთ ასეთი სერიოზული ძალების მობილიზაციას? აი სერიოზული პრობლემა. თუ ეს ადამიანები არ დგანან სათანადო სიმაღლეზე, ამას რატომ ეგუება განათლების სამინისტრო? მეცნიერული კვლევა მოწყდა სამეურნეო პრაქტიკას. ეს მაშინ, როცა კონკურენტულ ბრძოლაში სახელმწიფოები კი არ მონაწილეობენ, არამედ ფირმები. სახელმწიფომ სწორედ ეკონომიკური აზროვნების განვითარებითა და მხარდაჭერით უნდა შეუწყოს ხელი ქართველ მეწარმეებს. დღეს ქვეყანაში არ არსებობს საზოგადოებასთან თანამშრომლობის რაიმე სერიოზული მექანიზმები, ამიტომ ძალიან ხშირად შემთხვევითი ადამიანები გვმოძღვრავენ ეკრანებიდან. ასეთი მექანიზმები რომ არსებობდეს, როგორ წარმოგიდგენიათ, ოთარ ფაცაციას, ნოდარ ჭითანავას, ნოდარ ჯავახიშვილის, რესან კონცელიძის, ნუგზარ ფოფხაძის, თამაზ კუნჭულიას, მირიან მურჯიკნელის, ლადო პაპავას და სხვების თანდასწრებით შესძლებენ თვითმარქვია ექსპერტები თავის გამოყოფას? — მეტიც, თავის დროზე ასეთი „ფილტრი" რომ ჰქონოდა ხელისუფლებას, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ეკონომიკის მინისტრებად ბენდუქიძის, ჩოგოვაძის ან შარაშენიძის დანიშვნა? ან სოფლის მეურნეობას ეყოლებოდა შერვაშიძის, სიმონიშვილის, ცისკარიშვილისა და კვეზერელის მსგავსი მინისტრები? — რა თქმა უნდა, არა და ქვეყანაც მრავალ შეცდომას გადაურჩებოდა, რომლებმაც საქართველოს მატერიალური წარმოების სფერო ფიქციად აქცია.

ვის უნდა მოეკითხოს, რომ საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 51 პროცენტის წვლილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 8 პროცენტია, ან ის, რომ 2008 წელს საქართველოში დახნული სავარგულების რაოდენობა არ აღემატება 400 ათას ჰექტარს (მაშინ როცა შევარდნაძე 600 ათას ჰექტარს ხნავდა, ჩარკვიანმა კი 1951 წელს 1100 ათასი ჰექტარი მიწა დაამუშავა)? ვის უნდა მოვკითხოთ ისიც, რომ საქართველო ერთადერთია საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ქვეყნებიდან, რომელმაც ვერ გადააჭარბა ეროვნული პროდუქტის წარმოებით 1988 წლის დონეს? ეს მონაცემები, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს, რომ ჩამოვრჩით საკუთარ თავს, დახმარებას გადამთიელისგან ველოდებით და არც ვიცით, რა ფასად.

**გაღატაკებულ ადამიანს სულხან-საბა ასე განმარტავს — „უსირცხვილო უქონელი". წარმოიდგინეთ, რამდენად სამარცხვინოა სხვისი ხელის შემყურე ქვეყანა. თუ ღატაკი კაცი ოც ლარად ხმას მისცემს ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელზეც წარმოდგენაც არ აქვს, რას იზამს ღატაკი ქვეყანა საერთაშორისო სარბიელზე, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს.**

როცა საერთაშორისო მონეტარული ფონდი გვეხმარება, მისი მოთხოვნების შესრულება გვაყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც ვიმყოფებით და ამიტომ, ალბათ, მათხოვრობაზეც ლაპარაკი გარკვეული კორექტივებით შეიძლება.

ერთხელ ფროიდს უთქვამს საკუთარი ქალიშვილისთვის, რომელსაც ბანანი დაესიზმრა, რომ „ზოგჯერ ბანანი სიზმარშიც ბანანია და მეტი არაფერიო". ასეა, ბატონო, ჩვენთანაც — მათხოვრობა მხოლოდ მათხოვრობაა და მეტი არაფერი. იგი უსირცხვილო უქონელთა ხვედრია. ისიც ნიშანდობლივია, რომ იგივე მონეტარული ფონდი ვერ ეხმარება უნგრეთს, ლატვიას, ბულგარეთს, სლოვაკეთს და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს. მისი რესურსები ამოუწურავი არ არის, მაგრამ საქართველოს დახმარების ხელს უწვდის...

**— როგორც ვიცი, ლონდონის სამიტზე საერთაშორისო მონეტარული ფონდის საკითხიც განიხილებოდა. ინგლისის მთავრობა უკმაყოფილოა მისი მუშაობით, მას ბრაზილია და ჩინეთიც აკრიტიკებენ.**

— საერთაშორისო მონეტარული ფონდი არის საერთაშორისო ფულადი სისტემების ინსტიტუციური წარმომადგენლობა. მას დიდი ხანია, აკრიტიკებენ და მიიჩნევენ, რომ იგი მონეტარული კრიზისების მონაწილეა და არ ძალუძს, გადაწყვიტოს მსოფლიო ფულადი ურთიერთობების სტაბილური განვითარების პრობლემა. კრიტიკას მონეტარული ფონდი გაგებით ხვდება და აცხადებს, რომ, მისი რეფორმირების შემთხვევაში, იგი შეძლებდა მსოფლიო ფულადი სისტემის სტაბილიზაციას. ლონდონის სამიტზე ამ საკითხს პედალირებას უწევდა რუსეთი, ბრაზილია და სხვა რესურსებით მდიდარი ქვეყნები. სამაგიეროდ, ინგლისი ამ უკანასკნელის უფლებების სერიოზულ შეკვეცას მოითხოვდა, მაგრამ ფონდის წესდებით, მისი რეფორმა შესაძლებელია მხოლოდ ფონდის წევრი ქვეყნების ხმების 85 პროცენტის შემთხვევაში. ასეთი პროცენტი კი ამერიკის გარეშე ვერ მიიღწევა, რადგანაც ამ უკანასკნელს ფონდში აქვს ხმების 17 პროცენტი, ამიტომ მთავარია, რას შესთავაზებს ამერიკა, რომელიც კვლავ ცდილობს დოლარის მთავარ სარეზერვო ფულად ერთეულად ქცევას. ამერიკას მხარს უჭერს რიგი ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც, რადგანაც მათი ფულადი რესურსი მთლიანად დოლარს ემყარება. მონეტარული ფონდის რეფორმა დღის წესრიგში დგას, მაგრამ რეფორმირების მიმართულება ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული. შესაბამისად ჩვენც უნდა ვემზადოთ ამ რეფორმისთვის, რადგანაც მას შეუძლია ლარის განვითარებაზე არსებითი გავლენა იქონიოს.

ესაუბრა
**თორნიკე მანველიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მიშა ვერ შესწვდა ირაკლის

## ანუ რას ერჩიან ქიბარ ხალვაშს?!

**სააკაშვილი ყველაზე ხშირად და ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მიეცემა, ბიზნესის განვითარებაზე, ბიზნესმენებისთვის ხელის შეწყობასა და ზოგადად ნაციონალურ მხარდაჭერაზე საუბრობს. მას ასევე უყვარს გამოთქმები: „საქართველოში პირველად გაეხსნა ხელ-ფეხი ბიზნესს“, „ევროპისა და ამერიკის გასაკვირადაც კი, საქართველოს ისტორიაში პირველად, ბიზნესმენები გათავისუფლდნენ ხელისუფლების კორუფციული მარწუხებისაგან“...**



მოკლედ, საქართველოს პრეზიდენტს მაღალ მატერიებზე საუბარში ვერავინ შეედრება, ხალხის „დაბოლების“ უბადლო ოსტატია, თუმცა არაა გამორიცხული, სჯეროდეს, რასაც ამბობს; შეიძლება ვერც კი ხედავს, რა დღეში ჩააგდო „ნაცშპანამ“ რეალურად ბიზნესი... ვერც შევარდნაძე ხედავდა და ამიტომაც განუდგნენ ბიზნესმენები. მიუხედავად იმისა, რომ ედო ბაბუს პერიოდში ლაღებიც იყვნენ და ფულიც ჩეჩქივით ჰქონდათ, ვარდების რევოლუცია მაინც დააფინანსეს და ბაბუ კრწანისში წამოასკუპეს. მაგრამ შევარდნაძე მოხუცი იყო და ყველაფერს ლაქიების თვალებით ხედავდა, ამიტომ მომხდარი არცაა გასაკვირი, მაგრამ მიშა ხომ „ხორეშანივითაა“ (ქარიშხლის მიშასეული სახელწოდება), ერთს დაბზრიალდება და... მის თვალებს განა ვინმე რამეს გამოაპარებს?! **მაშ რა ხდება? რატომ გაიყო ქართული ბიზნესი ორ ნაწილად: კმაყოფილებად და უკმაყოფილოებად? რატომ არის მუდმივად კმაყოფილი თითქმის გაკოტრების პირას მისული ზოგიერთი ნაცბიზნესმენი და რატომ არ იღებენ ისინი ხმას, როცა მათივე კოლეგებს ნაციონალური დანა-ჩანგლით გულ-ღვიძლს აცლიან? თუ პრინციპის „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“ ნაციონალურ ჭრილში მოქმედების გამო ყველამ თავის მამიდას უნდა მიხედოს?!**

მიშას დიდი ძალისხმევა არ დაჭირვებია ბიზნესის გასათიშად — **ზოგს ფული „შეაწერეს“, ზოგს ფულიც და ბიზნესიც. ფულშეწერილები გაჩუმდნენ უარესის მოლოდინში, ფულბიზნესჩაძირულები კი სამართალს ნაცსასამართლოსა თუ ევროსასამართლოში ეძებენ.** ბოლო პერიოდის ყველაზე გახმაურებული და სკანდალური საქმე მაინც ქიბარ ხალვაშის ბიზნესის ჩაძირვა აღმოჩნდა. **გერმანიამ უკვე აღიარა ბიზნესმენი პოლიტიკური დევნილი რომ არის და პოლიტდევნილის სტატუსთან ერთად მას თავშესაფარიც მისცა. ნაცხელისუფლებამ ეს „უმნიშვნელო დეტალი“ უხმაუროდ გაატარა, მაგრამ სანამ ხალვაში ოქრუაშვილთან ერთად გერმანიაში ოპოზიციას არ შეხვდა.** როგორც კი ამ შეხვედრის შესახებ საჯარო განცხადება გაკეთდა, მეორე დღესვე მივიდა ხალვაშის დაყადაღებული ფირმების აუქციონზე გატანის დოკუმენტაცია „პრიზასა“ და „ბილდინგ კომპანიაში“... **საქმე ისაა, რომ სასამართლოს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, ჯერ ბოლომდე არ გარკვეულა, რა თანხით აზარალა ხალვაშმა სახელმწიფო, მისი ქონება კი უკვე აუქციონზე გამოაქვთ.** ხალვაშმა ამის საპასუხოდ ქართული ხელისუფლება გერმანიიდან გააფრთხილა: „ჩემი ქონების წართმევას არავის ვაპატიებო“. როგორ შეასრულებს დანაქადნს ხალვაში, სხვა საკითხია, მთავარი კი ისაა: **ვინ ვინ და ხალვაშმა ყველაზე კარგად იცის, როგორ ხდება წართმეული ქონების გადაფორმება, ამიტომ იგი ხელისუფლების „პადსტავნოი“ ბიზნესმენებსაც არ ურჩევს მისი ქონების შეძენას.** არადა, ეს ქონება ერთ დროს მართლა ქონება იყო, ახლა დამწვარი „არტ-ჯგუფი“ და გაკოტრებული „ბილდინგ კომპანი“ უპატრონო მკვდარივით გამოიყურება. აუქციონი მაინც შედგება, მიუხედავად იმისა, რომ მალე სტრასბურგის სასამართლო განიხილავს, რამდენად სწორად დანიშნა ეს აუქციონი ქართველმა „თვალახვეულმა თემიდამ“. ახლა საკითხი ასე დგას: **ვინ იყიდის ქიბარის ქონებას? აქ ორი ვარიანტი არსებობს: დავით კეზერაშვილი, ან რომელიღაც ებრაული კომპანია. ებრაელებისა არ ვიცით, მაგრამ კეზერაშვილი ძმებ ახალაიებთან ერთად ხალვაშის „შავი ჭირი“ რომ არის და სწორედ ის აპირებს ხალვაშის ქონების დარჩენილი ნაწილის ჯიბეში ჩადებას, ამას ზოგიერთი ნაციონალიც არ ფარავს პირად საუბრებში. ესეც რომ არა, მწარე გამოცდილება სახეზეა: თავის დროზე ბაჩო ახალაიას კაბინეტში მოხდა ხალვაშის ქონების გადაფორმება ხალვაშისავე თანამშრომელზე, რომელიც პასუხისმგებელი მხოლოდ ახალაიას წინაშე უნდა ყოფილიყო.** გორის სამხედრო ბაზის, გლდანის საპყრობილისა და სენაკის სამხედრო ბაზის ამშენებელ ხალვაშს, სახელმწიფო მას შემდეგ დაუპირისპირდა, რაც ირაკლი ოქრუაშვილი ეკონომიკის მინისტრის პოსტიდან გადადგა და მწარე-მწარე პოლიტიკური განცხადებები გააკეთა. სწორედ ამ დროს მიუგზავნეს ხალვაშს კეზერაშვილი. ამ შეხვედრას თავად ხალვაში ასე იხსენებს: **„19 ან 22 სექტემბერს შევხვდი კეზერაშვილს. მას აინტერესებდა, ვაპირებდი თუ არა ოპოზიციაში გადასვლას. პოლიტიკა არ მაინტერესებს-მეთქი, ვუთხარი... მას შემდეგ რაც ოქრუაშვილმა ტელევიზიით განცხადებები გააკეთა, დაიწყეს ჩემი კომპანიების დატერორება. ყველა ფირმაში შევარდა ფინანსური პოლიცია, ყველაფერი დააყადაღეს, კეზერაშვილი დამემუქრა, თუმცა, ამან რომ ვერ გაჭრა, საქმეში ძმები ახალაიები ჩაერთვნენ“...** ამ ფონზე დაიჭირეს ხალვაშის ძმა, თანამშრომლები. **„კეზერაშვილმა მითხრა, ყველაფერს წაგართმევო. ვიცოდი ყველაფერს რომ წამართმევდნენ, მაგრამ ღირსებას ვერ დავთმობდი... იმავე დღეს გვიან საღამოს მითხრეს, ახალაიები გეძებენო. ასე კარგად ჰქონდათ საქმე აწყობილი — ერთი ძმა (დათა) იჭერდა, მეორე (ბაჩო) ამუშავებდა, კეზერაშვილი კი ფინანსურ საკითხებს წყვეტდა... როცა მიხვდნენ არაფერი გამოუვიდოდათ, ჩემი ძმა დააკავეს“,** — ასე იხსენებს წარსულის ლაქას ხალვაში. დღეს კი, დღეს ხდება ის, რასაც მალე გაარჩევს სტრასბურგის სასამართლო. არც თავდაცვის სამინისტრო და არც იუსტიცია ხალვაშს მშენებლობებზე (გლდანი, გორი, სენაკი) ჩატარებული სამუშაოების თანხას არ აძლევს და პირიქით, ედავება ორ ათეულ მილიონს. უფრო მეტიც, ხალვაშს არ უბრუნებენ 5 მილიონზე მეტად შეფასებულ სამშენებლო მასალებს, რაც მის ფირმებს დარჩა გორში და გლდანის საპყრობილის ტერიტორიაზე. **დღეს შაშკინი, გუშინ კი ახალაია, თავს რომ იწონებდნენ ევროპული სტანდარტის საპყრობილით, რომელშიც ორმილიონიანი გენერატორები დევს, არც ბალანსზეა აყვანილი და არც ფული აქვთ გადახდილი. ხოლო გორის ბაზაზე დარჩენილი ქონებიდან ერთი ამწეც დღიურად რომ გააქირავო, 2 ათასი დოლარი ღირს... ეს ქონება ნაციონალურმა ქარმა წაიღო და ნაციონალურ ჯიბეში აღმოჩნდება მალე...** ქიბარ ხალვაშის ქონება ოქრუაშვილთან მეგობრობას რომ ეწირება, ეს სახალხო დამცველის დასკვნაშიც წერია და გერმანიამაც აღიარა, როცა მას თავშესაფარი მისცა. ხალვაშს ხელისუფლებამ არჩევანის წინაშე დააყენა: ან გამოსულიყო საჯაროდ და დაპირისპირებოდა ოქრუაშვილს, ან წაართმევდნენ ყველაფერს. ხალვაშმა ქონებას ოქრუაშვილი არჩია, ამიტომ მან გადაუხადა ოქრუაშვილს პატირომბისგან დასახსნელი გირაოც და დღესაც მის გვერდითაა. ამ ფონზე რა გასაკვირია, ნაციონალები ცდილობენ „მიშას შეცდომის“ ანუ ოქრუაშვილის ბოლომდე დაძირვას. ისე, ამათზე ითქმის: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო“, მიშამ „ოქროს“ ვერაფერი დააკლო და სამეგობროს უკოტრებს...

**ნანა წიკლაური**

# კახა ლომაიას პროტექე სამშობლოს ძარცვავს

**გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2007 წლის 10 აგვისტოს ვერაგულად გამოძევებული ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლებმა ამ რამდენიმე ხნის წინათ პარლამენტის შენობასთან სანახაობრივი აქცია გამართეს მოთხოვნით: „დაუბრუნეთ „სამშობლო“ ჟურნალისტებს“. მოთხოვნას პარლამენტის ანტიკრიზიკული საბჭოც გამოეხმაურა. მისმა ერთ-ერთმა წევრმა მაშინ პირობა დადო აქციის მონაწილეებთან, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებდა ღირსებაშელახული ჟურნალისტების უფლებების დასაცავად.**



მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა და ძალისხმევამ შედეგი გამოიღო — ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე მიდის და შესაძლოა, მალე წლინახევრის წინ ქუჩაში კინწისკვრით გამოყრილი რედაქციები მართლა დააბრუნონ „სამშობლოში“, თუმცა ვიდრე ეს მოხდებოდეს, „სამშობლო“ იძარცვება...

**ხელისუფლება ჩქარობს. ტექნიკური ინვენტარი, რომელიც გამომცემლობის შენობაში ინახებოდა, ეტაპობრივად იყიდება, ეკონომიკის სამინისტრო ყველაფერს ასხვისებს და ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად გაანიავოს ქონება. ეს ყველაფერი ფარულად, ბენდუქიძისეული მეთოდებით, ანუ კანონის გვერდის ავლით ხდება, კვალის დასაფარავად კი ნაცმოძრაობისთვის დამახასიათებელ ასევე ბინძურ მეთოდებს მიმართავენ; ამბობენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, დანადგარებს გამომცემლობის შენობაში შეხიზნული ლტოლვილები იპარავენო, არადა, რომ არა ეს ლტოლვილები, ვერც გავიგებდით, ისე გაიყიდებოდა გამომცემლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული დანადგარი.**

საუბარია „ჰაიდელბერგის“ ფირმის საამკინძველო მანქანაზე, რომელიც საათში თხუთმეტი ათასამდე წიგნს კინძავს და უნიკალურია თავისი შესაძლებლობებით. მისი რეალური საბაზრო ფასი დაახლოებით 125 ათას ლარს შეადგენს, თუმცა „ნაცმოელებმა“, როგორც ჩანს, გულუხვობა გამოიჩინეს და დანადგარს ჩალის ფასი დაადეს — ორი დღის წინათ ეს მოწყობილობა 8000 ლარად უნდა გაყიდულიყო.

**უფრო სწორად, უკვე გაყიდულია და მყიდველის ვინაობაც ცნობილია, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროში ამაზე საუბარს თავს არიდებენ. გამომცემლობა „სამშობლოს“ ამჟამინდელი დირექტორი ალეკო დვალიშვილი კი თავს უცნაურად იმართლებს, ამბობს, საამკინძველო მანქანა, ჩემამდე ვინც იყო გამომცემლობის დირექტორი, იმან გაყიდაო. მოკლედ, პატივცემული დვალიშვილი მარტივ გამოსავალს მიმართავს — საკუთარ დანაშაულს აბრალებს ცხონებულ ზაზა კახაძეს, რომელიც ექვსი თვის წინათ გარდაიცვალა...**

რაც შეეხება ხსენებული დანადგარის მყიდველს, როგორც გაირკვა, ეკონომიკის სამინისტროს მიერ „შავ ბაზარზე“ გატანილი საქონლის შესყიდვას პოლიგრაფისტებში კარგად ცნობილი ლევან ფოფხაძე აპირებს. იგი გამომცემლობა „საქართველოს მაცნის“ და რამდენიმე სტამბის მეპატრონეა (კონკრეტულად სტამბები დიღომსა და ვაშლიჯვარშია) და, „რაც მთავარია“, დაახლოებულია სახელისუფლებო წრეებთან. მეტიც, ბატონი ფოფხაძე ნაცმოძრაობის იდეური მამების მფარველობით სარგებლობს და, შესაბამისად, მისი საქმიანობაც ხელშეუხებელია. ამიტომ, ბუნებრივია, ხელისუფლების მიერ გასაჩანაგებლად და გასაოხრებლად გამეტებული გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან რაც დასჭირდება, ყველაფერს წაიღებს, თანაც ჩალის ფასად ან სულაც უფასოდ.

ასევე აღსანიშნავია, რომ ფოფხაძის „ვაიბიზნესს“ განსაკუთრებულად ალექსანდრე ლომაია მფარველობს. შემთხვევით როდი იყო, რომ მისი განათლების თუ „ჩაბნელების“ მინისტრობის დროს გამოცემული ავადსახსენებელი სახელმძღვანელოების უმეტესობა სწორედ ფოფხაძის „საამქროში“ გამოიცა. ერთი სიტყვით, ეს ვინმე ლევან ფოფხაძე ოფიციოზის დაკრულზე „უსიტყვოდ“ მოცეკვავე პიროვნებაა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა, თავად სულაც არ იყოს დაინტერესებული გამომცემლობა „სამშობლოს“ ტექნიკური ინვენტარის შესყიდვით, მაგრამ რადგან „იდეური მამები“ უბრძანებენ, იძულებულია, შეასრულოს...

**P.S. ეკონომიკის სამინისტროს მიერ საამკინძველო დაზგის გაყიდვის ფაქტს ჟურნალისტთა გარკვეულ წრეში მყისიერი რეაგირება მოჰყვა. გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობის წინ მდუმარე აქცია გაიმართა. აქციამ შედეგიც გამოიღო — ეკონომიკის სამინისტრო იძულებული გახდა, დაშლილი და წასაღებად გამზადებული დანადგარი დროებით ადგილზე დაეტოვებინა.**

**ჯაბა ჟვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# სქემა, რომლითაც სააკაშვილის ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებს დევნიდა

**სახალხო დამცველმა საკმაოდ ვრცელი მოხსენება გამოაქვეყნა. ბუნებრივია, მასში დიდი ადგილი ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ დევნას დაეთმო. ეს საკითხი საქართველოში მუდმივად აქტუალურია, განსაკუთრებით მაშინ, როცა პოლიტიკური აქტივობის მაღალი ტემპერატურაა. ამჯერად თქვენს ყურადღებას სახალხო დამცველის მოხსენების სწორედ ამ ქვეთავზე შევაჩერებთ, რადგან დევნის მეთოდები არ იცვლება და 9 აპრილამდე თუ მას შემდეგ, ალბათ, მსგავსი ფაქტების გამეორებას უნდა ველოდეთ.**



სახალხო დამცველმა 2007 წლის მეორე ნახევრისა და 2008 წლის პირველი ნახევრის ანგარიშებში დეტალურად ისაუბრა პოლიტიკურ დევნასა და ქვეყანაში ამ კუთხით არსებულ ტენდენციებზე. ორივე პერიოდი გამოირჩეოდა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების დევნითა და მათ მიმართ რეპრესიების გატარებით. ასევე ხშირი იყო მათზე თავდასხმისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. **2007 წლის მეორე ნახევარში განსაკუთრებით ხშირი იყო იმ პირთა დევნის, ცემისა და დაპატიმრების შემთხვევები, რომლებიც მონაწილეობდნენ ოქტომბერ-ნოემბრის საპროტესტო აქცია-მანიფესტაციებში, ან რომლებიც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრები თუ აქტიური მხარდამჭერები იყვნენ. 2008 წლის პირველ ნახევარში გრძელდებოდა იგივე ტენდენცია, თუმცა ამ პერიოდში განსაკუთრებით საგანგაშო მასშტაბები შეიძინა იმ პირთა სასტიკმა ცემამ, ვინც პოლიტიკურ ოპოზიციას აქტიურად უჭერდა მხარს 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, — ნათქვამია სახალხო დამცველის მოხსენებაში.** სოზარ სუბარი ასევე საუბრობს სამართალდამცავთა მხრიდან ოპოზიციური აზრის მატარებელი პირების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა აშკარა ლოიალობაზე. ამის მაგალითად კი მაშინდელი პარლამენტის წევრებზე — ბეჟან გუნავასა და ბიძინა გუჯაბიძეზე, განხორციელებული თავდასხმა მოჰყავს. მაშინ, როცა სახეზე იყო დანაშაულის აშკარა ნიშნები, სამართალდამცავები მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით შემოიფარგლნენ.

**საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დროის მოკლე პერიოდში, ფიზიკური ანგარიშსწორების ობიექტი გახდა 14 პირი: მამუკა კვარაცხელია, რამინ აბულაძე, დავით საზანიშვილი, ამირან იობაშვილი, ნუგზარ ხუცურაული, გიორგი თავდგირიძე, გიორგი შერვაშიძე, ბორის ძანაშვილი, ლევან ჯღარკავა, ლევან გვარჯალაძე, დავით მეტრეველი, იოსებ ბორცვაძე, ზურაბ გიგუაშვილი და ნონა საღარეიშვილი.** არცერთ მათგანზე საქმე გამოძიებული არ არის. **სახალხო დამცველი მოხსენებაში ასევე საუბრობს 2007 წლის 4 ნოემბერს გამართულ საიდუმლო თათბირზე. ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება 9 აპრილის მოსალოდნელი აქციის გამო, ალბათ, ღირს. „ვანო მერაბიშვილმა დამსწრეებს ოპოზიციასთან და მიტინგის მონაწილეებთან ბრძოლის ტაქტიკა გააცნო. კერძოდ, უნდა შეედგინათ მიტინგებში მონაწილეთა სიები და არცერთი მათგანი არ უნდა დარჩენილიყო გაულახავი. მისი თქმით, ეს საქმე უკვე დაწყებული ჰქონდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს, მაგრამ საჭირო იყო ამ ფრონტის გაშლა და მასში მეტი ადამიანის ჩართვა. ცემა უნდა მომხდარიყო ძირითადად თირკმელებში და მუცელში, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში სახეშიც შეიძლებოდა. მიტინგის ზოგიერთი მონაწილისთვის, განსაკუთრებით „მოშავო ტიპებისთვის", ნარკოტიკები უნდა ჩაედოთ, ოპოზიციის მხარდამჭერ ბიზნესმენებს კი კეზერაშვილი მიხედავდა."** სახალხო დამცველმა არაერთი დასკვნა და რეკომენდაცია გამოაქვეყნა, რომელშიც ითხოვდა მიტინგის დარბევისა და მომიტინგეების სასტიკი ცემის ფაქტების გამოძიებას. თუმცა დღემდე არცერთი ფაქტი არ გამოძიებულა.

პოლიტიკური ოპონენტების მიმართ სხვადასხვა მეთოდით ანგარიშსწორება რომ კვლავ გრძელდება, სახალხო დამცველს ამის მაგალითად მოჰყავს ლეიბორისტული პარტიის წევრის არჩილ ბენიძის საქმე. იგი 2008 წლის 25 ივლისს საქართველოს კონსტიტუციური დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელმა დავით გოგატაშვილმა დააკავა. ის ეჭვმიტანილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. სახალხო დამცველმა შეისწავლა ბენიძის საქმე და მიაჩნია, რომ გამოძიება ტენდენციურად წარიმართა. „საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ, ბრალდების თანახმად, დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ჯგუფის ორგანიზატორად სავარაუდოდ მოიაზრება „ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი, „სავარაუდოდ", ვინაიდან მასზე არც სისხლის სამართლებრივი დევნაა დაწყებული და მოწმედაც არ დაკითხულა. მით უმეტეს, რომ გამოძიების მიერ დაკმაყოფილდა არჩილ ბენიძის ადვოკატების შუამდგომლობა შალვა ნათელაშვილის დაკითხვის თაობაზე, რაც სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი." ეს ფაქტი მართლაც საეჭვოდ გამოიყურება მოსალოდნელი ოპოზიციური შეტევის ფონზე და არ არის გამორიცხული, რომ თუ საქმეს დასჭირდა, შალვა ნათელაშვილის დაკავება ხელისუფლებამ ამ ფაქტს მიაბას და სწორედ ამიტომ ინახავდეს საჭირო დროისთვის მის დაკითხვას.

სახალხო დამცველი საუბრობს ნორა კვიციანზეც. საქმეში არსებული არაერთი ხარვეზი და ნორა კვიციანისთვის იმ ფაქტებზე ბრალის წაყენება, რაც 1994 წლიდან არსებობდა კოდორის ხეობაში და არასდროს ჩათვლილა სოფლის გამგებელთა დანაშაულებრივ საქმიანობად, ბუნებრივია, პოლიტიკური ანგარიშსწორების ნიშნებს შეიცავს. „აღნიშნული გარემოებების ქრონოლოგია თავისთავად ბადებს ეჭვს, რომ ნორა კვიციანი-არღვლიანის მიმართ ხორციელდება მიზანმიმართული სისხლისსამართლებრივი დევნა მისი ძმის ემზარ კვიციანის დანაშაულებრივი ქმედებების გამო, რაც უფრო ანგარიშსწორებას ისახავდა მიზნად, ვიდრე კანონის სწორი გამოყენებით მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი ჩამდენი პირის დადგენას. სახალხო დამცველმა ასევე შეისწავლა მაია თოფურიას, თეიმურ ჟორჟოლიანის და სხვათა სისხლის სამართლის საქმეები. 2006 წლის 6 სექტემბერს **ეჭვმიტანილის სახით დააკავეს თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ვარლამ გალდავა, რევაზ ბელია, ვახტანგ ტალახაძე, იაკობ კვინიკაძე, გიორგი მეტრეველი, რამაზ სამნიძე, მაია თოფურია, ზაზა დავითაია, კახაბერ ქანთარია, გურამ პაპუკაშვილი, მაია ნიკოლეიშვილი, გიორგი ახობაძე, ხოლო 2006 წლის 7 სექტემბერს სსკ 307-ე და 315-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მათ ბრალი წარედგინათ. აღნიშნულ პირებს სასამართლო გადაწყვეტილებით შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა.**

შესწავლის შედეგად აღნიშნულ სს საქმეში გამოიკვეთა მრავალი ხარვეზი, რაც დაწვრილებითაა აღწერილი 2008 წლის მეორე ნახევრის მოხსენებაში. აქ ნათლადაა ნაჩვენები, რომ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. კერძოდ, ძირითადი მტკიცებულება სასამართლო ეტაპზე იყო მოწმეთა ჩვენებები. **2007 წლის აპრილსა და მაისში განსასჯელთა ადვოკატების მიერ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი 11 მოწმის ჩვენება ლინგვისტური ექსპერტიზისთვის გაეგზავნა აშშ-ში ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის პროფესორს როჯერ ვ. შუის. დასკვნის თანახმად, 7 ანონიმური მოწმის მიერ გამოყენებული წინადადებების სტრუქტურის მსგავსება აბსოლუტურად არ ჰგავს იმას, რომ ისინი შეიძლება წარმოქმნილი იყოს რაიმე კარნახის გარეშე. „ამ საქმის დასახელებული და ანონიმური მოწმეების ჩვენებების ლინგვისტური შედარების საფუძველზე სავარაუდოა, რომ მათ ჩვენებებზე მოხდა რაიმე სახის ზეწოლა, ...რომლის ახსნაც არ შედის ლინგვისტის როლში."**

პოლიტიკური პატიმრის სტატუსით მოიხსენიებს სახალხო დამცველი ირაკლი ოქრუაშვილსაც. სახალხო დამცველს არაერთხელ დაუყენებია თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის, შიდა ქართლის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ ქარელისა და ასევე მარლენ ნადირაძის პასუხისმგებლობის საკითხი. სახალხო დამცველი ზემოთ ხსენებულ პირებთან დაკავშირებით საკუთრების უფლების დარღვევასა და მედიაზე ზეწოლის შესახებ მიუთითებდა. ხელისუფლების წარმომადგენლები იმ დროისათვის ირაკლი ოქრუშვილსა და მიხეილ ქარელს თანამდებობის სანიმუშო პირებად თვლიდნენ. მათ მიმართ სამოხელეო დანაშაულის თავით სისხლისსამართლებრივი დევნა მას შემდეგ დაიწყო, რაც ახალი ოპოზიციური მოძრაობის შექმნის შესახებ საჯაროდ გაცხადდა და „ტელეიმედის" ეთერში ირაკლი ოქრუაშვილმა მწვავე პოლიტიკური განცხადებები გააკეთა. ჩადენილია თუ არა დანაშაული ამ პირების მიერ, ეს ერთი საკითხია. ამ შემთხვევაში საინტერესო სწორედ ისაა, რომ კონკრეტული პირების სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მაშინ, როცა ისინი ოპოზიციაში გადადიან. ამის უამრავი ფაქტი არსებობს. მათ შორის, წინამდებარე მოხსენებაში, და ეს ნათლად მიუთითებს, რომ ქვეყანაში გრძელდება ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების დევნა, ხოლო სამართალდამცავი სტრუქტურები: შსს, პროკურატურა, შემოსავლების სამსახური, სამხედრო პოლიცია და სხვები პოლიტიკური დევნის იარაღს წარმოადგენენ.

ხელისუფლების მიერ მიღებულ პოლიტიკურ სარგებელზე შეიძლება ვისაუბროთ მერაბ რატიშვილისა და იოსებ ჯანდიერის საქმესთან დაკავშირებით. მერაბ რატიშვილისგან გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვდნენ ინფორმაციას ოპოზიციის ლიდერებზე. 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის აქტიური მონაწილე ჯანდიერი საკმაოდ დაახლოებული იყო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან. მიუხედავად ამისა, სიტყვით გამოვიდა მიტინგზე, რაც ღალატად იქნა აღქმული. ამის გამო კი განხორციელდა მასზე ანგარიშსწორება. ასევე გამოდგება მაგალითად სამი ყოფილი სამართალდამცველის — რევაზ კლდიაშვილის, დავით ტატიშვილისა და მიხეილ გიორგაძის საქმეები. **„მას შემდეგ, რაც ყოფილი სამართალდამცავები ხდებიან ოპოზიციური პარტიის წევრები, მონაწილეობენ მასშტაბურ საპროტესტო აქციებში, ყოფილ კოლეგებს საჯაროდ მოუწოდებენ — არ გამოიყენონ ძალა მშვიდობიანი მომიტინგეების წინაშე, როგორც ეს გიორგაძემ გააკეთა, ამგვარ მოვლენებს მოსდევს მათგან ჩხრეკის შედეგად იარაღის, საბრძოლო მასალისა და ნარკოტიკების ამოღება. რამდენად უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, წარსულში სწორედ ზემოხსენებულ ყოფილ სამართალდამცავებს ადანაშაულებდნენ იმ არაკანონიერი ქმედებების ჩადენაში, რომელთა მსხვერპლი დღეს ისინი თავად გახდნენ, სწორედ მათ მიერ ხდებოდა იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით ხელისუფლების ოპონენტებისათვის მტკიცებულებათა ფაბრიკაცია."** „ერთიანი ეროვნული საბჭოს" მიერ გამოქვეყნებულ პატიმრების სიაში ვხვდებით ხუთ პიროვნებას — ზაალ ქოჩლაძეს, ლევან ბარაბაძეს, ლევან მინაშვილს, ილია წურწუმიასა და როსტომ ონიანს, რომლებიც დააკავეს სწორედ სსკ 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენისთვის. ყველა მათგანი მონაწილეობდა საპროტესტო აქციებში. ასე რომ, ხელისუფლების ხელწერა იგივეა, თუმცა, გარდა ფიზიკური ანგარიშსწორებისა და ციხეში გასტუმრებისა, ხელისუფლების ზეწოლის ბევრი სხვა მეთოდიც აქვს; ერთ-ერთი მათგანი სამსახურიდან დათხოვნაა, რომლის მსხვერპლიც არაერთი გამხდარა.

**მანანა ჭელიძე**





საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# აკაკი ასათიანი ქართული პოლიტიკის იანუსია

**ლიდერის ფსიქიკის ძირითადი სწრაფვაა, ხალხს ემსახუროს, მისი კეთილდღეობისთვის სრულად გაიღოს შემოქმედებითი სულიერი ენერგია; საზოგადოების ინტერესებს დაუქვემდებაროს საკუთარი ინტერესები, წინ აღუდგეს უმეცრებას, უსამართლობას და ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის პროგრესს. ლიდერს თვით საზოგადოება ავლენს, აღიარებულს კი მაქსიმალურ მოთხოვნილებებს უყენებს, მაგრამ სრულყოფილებისაკენ სწრაფვა კაცობრიობის შექმნის დროიდან მოდის. ლიდერის ფსიქოპორტრეტის ძირითადი შტრიხები ჩვენს ერამდეა შედგენილი და მარკუს ავრელიუსის დროიდან მას მნიშვნელოვანი არაფერი შემატებია. თუმცა ამ შტრიხების გაცნობა ამა თუ იმ ინდივიდში, ვფიქრობთ, ამომრჩევლებს გონიერ დახმარებას გაუწევს. საზოგადოების მხრიდან დიდია მოთხოვნილება, პროფესიონალის თვალით შეფასდეს ლიდერობის პრეტენზიის მქონე ამა თუ იმ პიროვნების ფსიქიკური წყობა, მისი სულიერი უნარების შესაძლებლობები.**
**ამჯერად გაგაცნობთ ტრადიციონალისტთა პარტიის ლიდერს აკაკი ასათიანს, რომლის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



— **ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით აკაკი ასათიანის ფსიქოტიპის ძირითად მახასიათებელ შტრიხებზე?**

— ბატონი აკაკი ტემპერამენტით ფლეგმატურობისაკენაა მიდრეკილი. ის ზედმეტად ფრთხილია და მოშიში, რაც ლიდერს არაფერში არგია. ამიტომ ვერ იპყრობს საზოგადოებრივ ყურადღებას. თუ მის პოლიტიკურ მოღვაწეობას ფსიქოლოგიური ასპექტიდან დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ აკაკი ასათიანი ქართული პოლიტიკის იანუსია, ერთი მხრივ, უცნობი, დაფარული ზრახვებით. დიდი პოლიტიკა, ქვეყნის მეორე კაცად ყოფნა მისთვის ბეწვის ხიდად იქცა. ზვიადის გვერდში დგომისას ერთგულება და თავდადება არ ჰქონია და ამის გამო პოლიტიკურ არენაზე აშკარად წაბარბაცდა. გააჩნია, ამ ფაქტს რა რაკურსით შევხედავთ; ზოგიერთისთვის, როგორც პოლიტიკოსი, ჩაიძირა საკუთარი „მე“-ს გადარჩენის ჟამს. ფაქტია, ბრძოლასა და თანადგომას დამალვა არჩია, რითაც თვითდაზღვევის მსხვერპლი გახდა. მძიმე წუთებში მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა, საკუთარი და თანამდგომთა სიცოცხლის გადასარჩენად ბეწვის ხიდზე ვერ გაიარა, ეს კი ასე ფასდება: აკაკი ასათიანი არ არის ღია, მებრძოლი და იმედიანი სულიერი წყობის სუბიექტი.

— **ბატონო ზურაბ, მეტისმეტს ხომ არ ვთხოვთ ბატონ აკაკის, ისიც ხომ მოკვდავია...**

— ფასეულობათა სისტემა და ორიენტაცია განსაზღვრავს ლიდერის სულიერ სიმაღლეს.

**აკაკისთვის საკუთარი სიცოცხლე უფრო ფასეული აღმოჩნდა, ვიდრე ქვეყნისა და იდეის სამსახური. გეთანხმებით, ეს ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მისატევებელია, მაგრამ სახელმწიფოს მეორე პირი, როდესაც ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრება, პირველი პირის სიცოცხლის საკითხი ეჭვქვეშ დგას, ის გარბის და ჩრდილში იყუჟება, ასეთ საქციელს დაძაბულ სიტუაციაში ხალხი ღალატსა და მუხანათობას ეძახის.**

უფრო მეტიც, ამის დამამტკიცებელი ფაქტიც არსებობს: 1991 წლის სექტემბერში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანს ეუბნებოდა: **„ზვიადი უკვე ჩაძირულია, მიგულეთ თქვენს გვერდით“.** ასეთი რეაგირებით მწვავე და კონფლიქტურ საკითხებზე ის დიდი ხანია, გაეთიშა საზოგადოებას, აკაკი ასათიანი ზუსტად ისეთია, როგორც იქცეოდა ერის სულიერი აფეთქებებისა და პოლიტიკურ მოვლენათა გამძაფრების ჟამს.

— **ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ ტრადიციონალთა პარტიის ლიდერის საქმიანობას?**

— მის ფსიქოტიპში ზვიადისდროინდელ ცივ სიბნელე-იდუმალებას ტრადიციონალისტთა პარტიით მშვიდი სითბო შეენაცვლა. არასოდეს მინახავს აკაკი ასათიანი ჩვენი ტრადიციონალური იდეოლოგიის, „ხმალამოღებული“ დამცველი, როგორც ამას ცხონებული გურამ შარაძე აკეთებდა. ის მოქმედებს ყოფითი ფსიქოლოგიური სიბრძნით — „ცხელ გულზე კომენტარს თავი აარიდოს“ და „აცალე, სხვები რას იტყვიან“. მას ახასიათებს „ნოტა ბენე“ (ცოტა მოითმინე), რაც მისი ქმედების შინაგანი ორიენტირია. არასოდეს ამბობს იმას, რასაც ფიქრობს. პოლიტიკურ შეფასებებში მუდმივად საშუალო, ზომიერ აქტიურობას იჩენს. ამას შეგნებულად სჩადის, რათა პოლიტიკაში ყოფნის უფრო ხანგრძლივი შანსი ჰქონდეს და ერთი ბუდიდან მეორეში ადვილად ჩაფრინდეს. პატივმოყვარეობა აწუხებს. მისი იდეალია უინსტონ ჩერჩილი. სურს, ისევ დაბრუნდეს ერთ-ერთ დიდ პოლიტიკურ პოსტზე. ფსიქოანალიზით, კაკო ასათიანი წარსულის ინერციითაა პოლიტიკოსი, რაც ფსიქოტიპის ინიციაციაა შიდა და გარე სამყაროსთან. ამიტომ ხშირად ორჭოფობს, ნიღბებს იცვლის და ფარისევლობს. არც ის შეიძლება დავივიწყოთ, რომ ტრადიციონალისტების პარტიაში გაიზარდნენ ცნობილი სოროსელები: დავით დარჩიაშვილი, მაია ნადირაძე და ძმანი მათნი. მათ რადიკალურ-ეროვნული პოზიცია შეიცვალეს პროამერიკული პოზიციით. ეს კი მიგვანიშნებს, რომ ტრადიციონალისტთა პარტია და მისი ლიდერი მუდმივად გზაჯვარედინზე დგანან. მათ ვერც დაუნდობელი ბრძოლის გზა აირჩიეს და ვერც ნანატრი სტაბილურობა მიიღეს, თუმცა ის პოლიტიკურ მოვლენებს ჭვრეტს და თავისი ოპტიმალური ზონაც აქვს. მისი კრედოა: წადი ქაოსიდან, რომ დარჩე უკან დახევისას კი უკანდასაბრუნებელი ბილიკი დაიტოვე! ის მიმდინარე მოვლენებში აქტიურად არ მონაწილეობს. მისი პოზიცია ამგვარია, დაკვირვებით უცქერის პოლიტიკურ ჭადრაკის დაფას, დიდხანს ფიქრობს შესაძლებელ ვარიანტებზე და ისე აკეთებს ახალ სვლას. მისი გამოსვლები და შეფასებები კი ოთხგანზომილებიანია: პირველი ადგილი „მე“-ს გაფართოებულ პოზიციას უკავია, მეორე — ნიღბებს, მესამე — არაცნობიერებიდან ამოტივტივებულ წარსულის ფრაგმენტებს, ხოლო მეოთხე — კომენტარს, რომელიც მუდმივად ორმაგი მნიშვნელობით აღიქმება. ხშირია მის ფსიქიკაში ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები და ხედვის კუთხეთა ცვლა, რაც პოლიტიკაში ყოფნის სიძნელემ ასწავლა. ის მიდის მიზნისკენ ზიგზაგური გზით, ფართო შრეს ერიდება. კარგად ახსოვს საქართველოში პოლიტიკურ არენაზე ბრძოლა „ქართველითა ქართველისა დამთრგუნველი“. მან ხომ საკუთარი თვალით იხილა, როგორ გადაუარა კაენის ჩრდილმა ყოფილი ტრადიციონალისტის თენგიზ კიტოვანის სახით საქართველოს.

— **ბატონო ზურაბ, როგორ ახსნით აკაკი ასათიანის თავდაჯერებულობას (ის ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს სააკაშვილის შესახებ რომ მოვინდომო, წავაო)?**

— სააკაშვილი ცრუ კერპია, რომელიც უნდა წავიდეს, ეს გათვლაა და არა ჯიუტი თავდაჯერება. ბევრად საინტერესოა ის ფაქტი, რომ სააკაშვილის წასასვლელად ბატონი აკაკი ეროვნული კრების მოწვევას ფიქრობს, რათა დაიკმაყოფილოს პატივმოყვარეობა და ამბიცია, უპასუხოს ჩინმოთნეობას. ამ ინიციატივას რა აქტიურობით გამოეხმაურება ხალხი, რომელსაც ეს კაცი მიტინგებზე არ უნახავს, ხალხი, რომელიც მას ზვიადისდროინდელ პოზიციას ვერ შეუნდობს?

**თანაც, უმრავლესობას ასათიანი მაია ნადირაძის პოლიტიკურ ტრამპლინად მიაჩნია და შემსწრეა მისი პოლიტიკური აქტივობის მოდუნებისა. ახლა თავისი ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით კოკო გამსახურდიას, გია მაისაშვილსა და გუგული მაღრაძეს შეეკრა.**

მათთვის მოულოდნელად კი მომძლავრებულ პრობლემათა ხედვასა და გადაწყვეტილებებში გიორგი თარგამაძეც ჩართო. მას არ ასვენებს ჩერჩილის ლანდი და ფარულად პრემიერმინისტრობაზე ოცნებობს. ამიტომ სურს პრეზიდენტის ინსტიტუტის გარდაქმნა პრემიერმინისტრის პოსტად. ამ უკანასკნელმა ცდამ მისი პოლიტიკური ფიგურა ხალხის თვალში საკმაოდ მიუღებელი და კვლავაც საეჭვო გახადა. მის ბოლოდროინდელ ინტერვიუებს თუ გაეცნობით, ნახავთ, რომ ნინო ბურჯანაძის ოპოზიციონერობა ხალხის სამსჯავროს მიუგდო განსახილველად. როგორც ყოველთვის, საკუთარი პოზიცია არ დააკონკრეტა. პოლიტიკოსი კი სხვა არაფერია, თუ არა მრწამსი და პოზიცია. შეფასებებში კვლავაც სიფრთხილისა და ტაქტიანობისკენ იხრება. თანაც, შეუმჩნეველ ირონიულ განწყობილებას არ კარგავს. ეროვნული კრებისა თუ რეფერენდუმის ინიციატორობა ქართულ პოლიტიკაში კაკო ასათიანის როლისა და ადგილის გაზვიადება იქნება. ეს მისი მხრიდან დიდი ცბიერებით გათვლილი ნაბიჯია გავლენის გაფართოებისთვის. მას სურს დაშვებული შეცდომების გამოსწორება. უკანასკნელ წლებში სხვადასხვა მოსაზრებათა გამო მან არაერთხელ იცვალა ფერი პოზიციისა და მრწამსის დათმობით, შეიზღუდა პოპულარობა და აქტიური კონტაქტი საზოგადოებასთან. უმეტეს შემთხვევაში, ის მხოლოდ აფასებდა გულგრილი მაყურებელივით მოვლენებს, მაგრამ არცერთი მათგანის მოგვარებაში არ ჩარეულა. ეს მისი ფსიქიკური წყობის დამსახურებაა. დღეს ლიდერთა გამოვლენაში ისევ აქტიურია საზოგადოების „დამუშავების“ პოლიტიკური ტექნოლოგიები, რომელთა გავლენით ჩვენს სინამდვილეში თავს იჩენს ხოლმე ერთ მოცემულ პიროვნებაზე (იქნებ შემოგდებულ სუბიექტზეც) დადებითი აზრებისა და შეხედულებების მონოპოლიზება. არ მგონია, პოლიტფსონი აკაკი ასათიანზე იყოს დადებული. ეს პროექტი მაშინაა წარმატებული, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური ძალები დაქსაქსულია, მათი მუშაობა არაგეგმაზომიერია და არა წინასწარგამიზნული, უმეტესობა კი გაორებულია, აკლია ოპერატიულობა და ბრძოლის ჟინი, შეიმჩნევა პარტიების დაპირისპირების მცდელობა.

ხალხში ყველაზე დაბალი რეიტინგით ის პოლიტიკოსები სარგებლობენ, რომელნიც გაურბიან პასუხისმგებლობას და პირველ „ხმასაც“ იშვიათად ამბობენ. ხალხი ეჭვობს — უნდათ კი ამ ძალებს ის, რისკენაც მოგვიწოდებენ?!.

— **ბატონო ზურაბ, თქვენ ფიქრობთ, რომ ხალხი ასეთივე უნდობლობით შეხვდება რეფერენდუმის ჩატარებას?**

— ეს საკითხი თუ დროში გაიწელა, ვფიქრობ, საერთოდ არ შედგება. აკაკი ასათიანს ყოველთვის ჰქონდა ასპარეზი და ტრიბუნა, სადაც შეეძლო აზრების ჩამოყალიბება. მის გაწონასწორებულ, გონიერ საუბარში შეიძლებოდა სალი აზროვნების მარცვლებიც გვეპოვა, მაგრამ ყოველთვის აკლდა გულწრფელობა და ემოციური მუხტი. ამ დროს მის გვერდით ქუხდნენ უკიდურესი რადიკალობით განწყობილი პოლიტიკოსები. მათ შორის აკაკის უკვე ველარ ამჩნევდნენ. „საქმემან შენმან”... — გვასწავლის რელიგიური სიბრძნე... ვერც ნაკეთები საქმით დაამახსოვრა თავი ერს. მისი სიტყვიერი მოჩვენებითი სიბრძნის უკან სულ სხვა ქვეტექსტი იკითხება უხერხულობის დამფარავი ღიმილით. ამის ამოცნობა არც ისე ძნელია, თუ გავიხსენებთ, როგორი ნებაყოფლობითი თვითშეზღუდვით ეპასუხებოდა ერის სულიერ აფეთქებებს. თუ გაინტერესებთ, რა კუთხით გამჟღავნდება მისი სულიერი უნარები ახალი გზის ძიებისას ან რას გვპირდება სამომავლოდ, — გიპასუხებთ, რა ნიშნებსაც ატარებს მისი ეროვნული კრების მოწვევის იდეა. არ არსებობს ერთიანობა მის პიროვნებას, მისი პარტიის მიზნებსა და ხალხს შორის. მას, როგორც პოლიტიკურ ლიდერს, არ შეუძლია ეროვნული ზრახვების, იდეალების ბაირახტარობა. ობიექტურად აკაკი ასათიანის პოლიტიკა მთლიანობაში აბსტრაქტულ-რებუსულია, რაც მის რეპუტაციას სასწორზე დებს და ხალხს რეალურ საფუძველს აძლევს, მისადმი სკეპტიკურად განეწყონ. თუ მხოლოდ იმას ამბობს, რომ სააკაშვილი ცუდია, უნდა წავიდეს, — ეს ყველამ იცის. მთავარია, რით უპირისპირდები და რით აპირებ ამის განხორციელებას. გასათვალისწინებელია, რა საზომებით, რა სურვილებით, რა იდეალებით გიცხოვრია და ცხოვრობ, რა პასუხისმგებლობას გრძნობ ერისა და დროის წინაშე. შეუძლია კი აკაკი ასათიანს გათითოკაცებული, დაშლილი ხალხის რწმენით შეკვრა? — ხალხი მისი პიროვნებისადმი ეჭვითაა განწყობილი. ისედაც სასოწარკვეთილია და სული კბილით უჭირავს. ხალხმა იცის უტყუარი გუმანით, — ვინ ვინ არის. იგი ელის ლიდერს, თან შეშინებულია, კვლავაც არ შეცდეს. ამ გადასახედიდან კი აკაკი ასათიანი ლიდერის ფსიქიკურ წყობას ნამდვილად არ ატარებს. უფრო მეტიც, თავისი სულიერი უნარებით ლიდერის ფსიქოტიპს უპირისპირდება კიდეც.

**ესაუბრა:**
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# იუგოსლავიაში აშშ ომს სერბი ხალხის წინააღმდეგ აწარმოებდა

**2009 წლის 24 მარტს, დღის 12 საათზე, მთელ სერბეთში საჰაერო განგაშის სირენები ააკივლეს, საღამოს 19 საათსა და 45 წუთზე სერბეთის ყველა ეკლესიაში ზარები აგუგუნდა.**
**24 მარტს 10 წელიწადი შესრულდა ბელგრადსა და იუგოსლავიის სხვა ქალაქებზე ნატოს ბომბდამშენების თავდასხმის დაწყებიდან. ოპერაციას „გულმოწყალე ანგელოზი" დაარქვეს: ცინიზმის უკიდურესი გამომჟღავნება — ბომბები და გულმოწყალება!**



ამ „გულმოწყალების" შედეგად დაიღუპა 2000-მდე ადამიანი და საბოლოოდ დაიხლიჩა იუგოსლავია: სერბეთს გამოეყო კოსოვოს მხარე, მოხდა მისი ძალისმიერი სუვერენიზაცია.

რამდენიმე დღის წინათ ბელგრადში გამართულ ფორუმზე, რომელშიც მონაწილეობდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ის, რუსეთისა და სერბეთის 500-ზე მეტი წარმომადგენელი, შეეცადნენ, გაეანალიზებინათ ათი წლის წინანდელი ომის მიზეზები და ის შედეგები, რაც იუგოსლავიის დაბომბვას მოჰყვა. უფრო ზუსტი იქნებოდა, მეთქვა: **კიდევ ერთხელ გაეანალიზებინათ**, რადგან ბოლო დროს ამ პრობლემაზე საკმაოდ ბევრი დაიწერა, ბევრმა ავტორმა, მათ შორის, იუგოსლავიის ომის ინიციატორმა. აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა, რომელმაც თავისი მემუარები რუსულ ენაზეც გამოსცა, ფართო საზოგადოებრიობას საკუთარი დასკვნები უკვე გააცნო.

მიაჩნიათ, რომ **ეს იყო ამერიკელების ომი, რომელიც მათ წამოიწყეს ევროპაში საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, იუგოსლავიის კრიზისის თავიანთ სასარგებლოდ გადასაწყვეტად და ეს ყველაფერი მოიმოქმედეს იმისთვის, რომ ყურადღება აშშ-ის შიდა პოლიტიკური კრიზისიდან, რომელიც პრეზიდენტ ბილ კლინტონის იმპიჩმენტად ყალიბდებოდა, საგარეო საკითხებზე გადაეტანათ.**

მადლენ ოლბრაიტმა ამ ომს **„მადლენას ომი"** უწოდა. შეიძლება ითქვას, რომ სახელი ზუსტადაა მისადაგებული, რადგან ცნობილია ამ ქალბატონის უკომპრომისობა, რომელიც მან ომის დაწყების საკითხში გამოიჩინა. თუმცა ზოგიერთი მიმომხილველი ფიქრობს, არცთუ ცინიკური მინიშნების გარეშე, რომ ასეთივე წარმატებით ამ ომს შეიძლება ვუწოდოთ **„მონიკას ომი",** ბილ კლინტონის მორიგი გატაცების მთავარი მიზეზის — მონიკა ლევინსკის სახელიდან გამომდინარე.

მაგრამ თავი დავანებოთ ამ სასიყვარულო ინტრიგას, მსოფლიოს ისედაც ბევრი დრო დაეკარგა ამ მეორეხარისხოვანი შემთხვევითობის განსჯა-განხილვაში.

კონფერენციის მონაწილეთა აზრით, ამერიკელები არა მხოლოდ ომის ინიციატორები არიან, არამედ მათივე მეთოდის — დაბომბვის გამოყენებისაც, როცა თავდამსხმელი დაუსჯელი რჩება. ამასთან, ამ მეთოდს აძლიერებდა **„ომი ტელეფონით"**, რომელსაც სხვებთან ერთად მადლენ ოლბრაიტიც აწარმოებდა. ეს მეთოდი რომ არა, რომლითაც ნატოში აშშ-ის უახლოეს მოკავშირეებს დაშინების და ზემოქმედების სხვა საშუალებების გამოყენებით აიძულებდნენ, ეაქტიურათ, საეჭვოა, იუგოსლავიის ომი ამერიკის ადმინისტრაციისათვის შედეგიანი ყოფილიყო.

პოლიტოლოგების დასკვნით, ეს ომი იუგოსლავიის ჯერჯერობით უკანასკნელი ტრაგედია იყო. ომი არა მხოლოდ ამ ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ სერბების, როგორც ხალხის, ეთნოსის წინააღმდეგ.

ასეთი დასკვნა შემთხვევითი არ არის, რადგან მადლენ ოლბრაიტი თავის მემუარებში დაუფარავად აღნიშნავს — ამ ომის სულისჩამდგმელები თავიანთი მრწამსით სერბოფობები იყვნენ და ეფუძნებოდნენ ძალიან ზედაპირულ წარმოდგენას ბალკანეთის ისტორიაზე. ცდილობდნენ, წარმოეჩინათ ეს ომი ბრძოლად სიკეთესა და ბოროტებას შორის, აქედან — ოპერაციის სახელწოდებაც — „გულმოწყალე ანგელოზი". მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოს ღაღადებს: ეს იყო ომი იუგოსლავიის შემდგომი დანაწევრებისთვის. აკი ჰპირდებოდნენ თავიანთ უმცროს პარტნიორებს „კოსოვოს გათავისუფლების არმიიდან": მოითმინეთ და პერსპექტივაში დამოუკიდებლები იქნებით".

ასკვნიან, რომ **ეს იყო ომი ევროპისა** და **გაეროს წინააღმდეგ**. ევროპა იძულებული იყო, დამორჩილებოდა აშშ-ის დიქტატს. ნატოს ქვეყნები თავიანთი ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩაებნენ ამ ომში და შემდეგ ბევრი კი იცეს თავში ხელი, მოსახდენი მომხდარი იყო. მას მერე, რაც საბჭოთა საშიშროება გაქრა და ამერიკელების მფარველობის აუცილებლობა მოიხსნა, გერმანია გაერთიანდა, როცა შეიქმნა ევროკავშირი და ძველი კონტინენტის ქვეყნებმა თავიანთი კეთილდღეობის ამაღლებას შედეგიანად მიხედეს, ბუნებრივია, ამერიკას თავისი გავლენის აღსადგენად არაორდინარული ღონისძიების განხორციელება დასჭირდა.

შეერთებულ შტატებში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საამისოდ ევროპის სხეული უნდა დაედაღათ შეუხორცებელი ჭრილობით მაჰმადიანური სახელმწიფოს სახით, რომელიც იარსებებდა ძარცვის, რეკეტის, ნარკოტრაფიკის ხარჯზე, რათა კოსოვოს მეშვეობით წარმოექმნათ პროგნოზირებადი ლოკალური კონფლიქტები და საფუძველი გამოეცალათ არა მარტო ევროსთვის, არამედ დამშვიდების იმედისთვისაც კი კონტინენტის ამ რეგიონში.

ეს ომი აშშ-ს სჭირდებოდა იმისთვისაც, რომ დემონსტრაციულად დაეძლია გაეროს სინდრომი, კრიზისულ სიტუაციაში მისთვის მიმართვის აუცილებლობა.

როცა დიდი ბრიტანეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ კუკმა დაურეკა ოლბრაიტს ომის დაწყების წინ და უთხრა, რომ ბრიტანელ იურისტებს მიაჩნიათ, გაეროს რაღაც სანქცია მაინც აუცილებელია, სხვაგვარად არ გამოვაო, ქალბატონმა მადლენმა უპასუხა: „მაშინ შეცვალეთ იურისტები".

ვერ ჩაეტია ამერიკა გაეროს სტრუქტურის ჩარჩოებში, იმ საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თვითონ გახლავთ.

**ეს ომი**, ფიქრობენ ექსპერტები, **პიროვნულად სლობოდან მილოშევიჩის წინააღმდეგ მიმართული ომი იყო**. დასავლეთის პოლიტიკოსების არც თუ მცირე რაოდენობას მიაჩნდა, რომ მილოშევიჩის მოცილება აუცილებელია, ამისთვის კი იუგოსლავიის მოსახლეობა მის წინააღმდეგ უნდა განეწყოთ. ხსენებული მადლენ ოლბრაიტის წიგნის ერთ თავს ასეთი სათაური აქვს — „საქმე მილოშევიჩშია". ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ლაპარაკია პირად ვენდეტაზე. ოლბრაიტი წერს, როცა მილოშევიჩმა ამერიკელების







# ამერიკელებმა კარაჯიჩი მოატყუეს

**ბოსნიელი სერბების ყოფილ ლიდერს, ამჟამად კი ჰააგის ტრიბუნალის განსასჯელს რადოვან კარაჯიჩს, არაერთხელ განუცხადებია, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია დაჰპირდა — თუ იგი ბოსნიის პოლიტიკური ცხოვრებიდან წავიდოდა, მის დევნას განახორციელებდა. ვაშინგტონი ამას კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ ახლახან კარაჯიჩის ნათქვამი დაადასტურეს... თვით ამერიკელებმა.**

გაზეთმა „ნიუ იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ აშშ-ში გამოიცა გამოკვლევა ბალკანეთის სიტუაციის შესახებ. ნაშრომში „პირისპირ იუგოსლავიის წინააღმდეგობებთან" დასტურდება, რომ აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ბალკანეთის საკითხებში რიჩარდ ჰოლბრუკი მართლაც გაურიგდა სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რადოვან კარაჯიჩს.

**შეთანხმება, რომელსაც ამერიკელებთან 1996 წელს მიაღწიეს, ითვალისწინებდა არა მხოლოდ იმას, რომ აშშ-ის ხელისუფლება შეწყვეტდა კარაჯიჩის დევნას, არამედ იმასაც, რომ მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას გაუწევდა ბოსნიელი სერბების ყოფილ ლიდერს. ამას გააკეთებდნენ იმის სანაცვლოდ, თუ კარაჯიჩი წავიდოდა ყველა სახელმწიფო და პოლიტიკური თანამდებობიდან.**



**ამ გარიგების თაობაზე რადოვანმა ჰააგის სასამართლოს დარბაზში განაცხადა. სახელმწიფო დეპარტამენტმა კი მის სიტყვებს სიცრუე უწოდა. რიჩარდ ჰოლბრუკი, რომელიც ახლახან დაინიშნა აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენლად ავღანეთსა და პაკისტანში, კვლავ ირწმუნება, რომ არავითარი გარიგება არ შემდგარა.**

აი, ჩარლზ ინგრაო კი, აღნიშნული გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორი, ადასტურებს, რომ ამერიკის ოფიციალურმა პირებმა, რომელთა შორის სახელმწიფო დეპარტამენტის სამი მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკი იყო, განაცხადეს, რომ გარიგება მართლაც შედგა. მათი მონათხრობიდან გაცხადდა, რომ ჰოლბრუკმა დაავალა თავის თანაშემწეს კრისტოფერ ჰილს, მოემზადებინა მემორანდუმის ტექსტი, რომელსაც კარაჯიჩი მოაწერდა ხელს. შუამავლები იყვნენ იუგოსლავიის ოფიციალური პირები (მათ შორის — სლობოდან მილოშევიჩი). ჰილის მომზადებულ დოკუმენტს ჰოლბრუკმა ხელი არ მოაწერა და განაცხადა, რომ სერბებს „ზეპირ დაპირებას" აძლევს — აშშ არ აპირებს დევნის განხორციელებას. კარაჯიჩმა კი მოწმეთა თანდასწრებით ხელი მოაწერა გამზადებულ მემორანდუმს.

**2000 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ კარაჯიჩი თითქოს საიდუმლოდ მონაწილეობს სერბეთის დემოკრატიული პარტიის საქმიანობაში. თვითმხილველები ჰყვებიან, რომ ამ ცნობამ ფრიად გააბრაზა ჰოლბრუკი, რომელმაც განაცხადა: „ძაღლისშვილია ეგ კარაჯიჩი! ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, რომ, თუ იგი პოლიტიკას თავს დაანებებდა, ჩვენ არ განვახორციელებდით მის დევნას".**

შარშან, ზაფხულში კარაჯიჩი ბელგრადში დააპატიმრეს და ჰააგის სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის საკითხს განიხილავს. მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ, მიუხედავად იმისა, დადასტურდება თუ არა ამერიკელების კარაჯიჩთან გარიგება, ეს გავლენას ვერ მოახდენს სასამართლო პროცესზე. კარაჯიჩს წაყენებული აქვს ბრალდება გენოციდსა და სხვა დანაშაულში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ულტიმატუმი მიიღო, „ჩვენ დამათრობელი აღტაცების გრძნობამ თავბრუ დაგვახვია“.

თქმულიდან გამომდინარე, ასკვნიან, რომ **აშშ-ს უნარი არა აქვს, მარტო გაუძლვეს მსოფლიოს და მზრუნველობით მოეკიდოს მას, რადგან ყოველ წუთს შეუძლია გასწიროს იგი**, როგორც ეს მილოშევიჩისა და სადამ ჰუსეინის შემთხვევაში მოხდა, როცა შიდაპოლიტიკურ პრობლემებს მსოფლიოს მშვიდობა ანაცვალეს.

დაბოლოს, **ეს იყო ომი რუსეთის წინააღმდეგ**, რომელიც შეეცადა, აღედგინა საკუთარი ეროვნული ღირსება.

და, როგორც ყოველთვის ხდება ასეთ შემთხვევაში, ეძებენ და პოულობენ კონკრეტულ დამნაშავეებს, ვინაც ვერ შეძლო რუსეთის მხრიდან ღირსეული წინააღმდეგობის ორგანიზება.

ერთ-ერთ ასეთ უარყოფით სუბიექტად მიიჩნევენ **იგორ ივანოვს**, რომელიც პრიმაკოვის დროსაც და მის შემდგომ მთავრობებში, პუტინის მთავრობის ჩათვლით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებდა, ამჟამად კი მოსკოვში, საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში მოღვაწეობს. სწორედ ივანოვი არის ის მინისტრი, რომელმაც მიაჩვია დასავლეთი, სერიოზულად არ მოჰკიდებოდა რუსეთის წინადადებებს.

ფრიად საინტერესოა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იუგოსლავიის ოპერაციამ ერთგვარად შესაძლებელი გახადა ოპერაცია სამხრეთ ოსეთში. ამას ამტკიცებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, დსთ ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინე ზატულინი. მისი აზრით, აგრესიას საქართველოს მხრიდან ბიძგი მისცა დაუსჯელობის სინდრომმა, რომელიც იუგოსლავიის კონფლიქტის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრდა.

მაგრამ ეს, თურმე, მიზეზთა მხოლოდ ერთი მხარეა. არის მეორე მხარეც, კერძოდ, მოღალატეთა მხილება, საკადრო ცვლილებები, რომლებიც არ განხორციელდა. ზატულინს გართულება იგორ ივანოვზე აქვს: „ჩვენ არაერთგზის ვიხილეთ იგორ ივანოვი საქართველოში, — წერს ზატულინი, — რომელიც რატომღაც ეხმარებოდა მიხეილ სააკაშვილს, რათა ტახტზე დაბრძანებულიყო „ვარდების რევოლუციის“ შედეგად. ფრიად საეჭვოდ იქცეოდა აჭარაში, სადაც მას, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანს, უნდა მოეთხოვა აჭარის ავტონომიის უფლებათა დაცვა. მაგრამ ამის ნაცვლად გაარიდა აქაურობას ასლან აბაშიძე და სააკაშვილს გამარჯვების გემო აგრძნობინა, რამაც იგი შემდგომ სამხრეთ ოსეთში მიიყვანა“.

ახლა სერბეთში ისეთი მდგომარეობაა, როცა ამ ქვეყნის ხელისუფლება გაურბის წარსული ომის გახსენებასაც კი. სერბეთის პარლამენტს განცხადებაც არ მიუღია იუგოსლავიის ომის თაობაზე. არცაა გასაკვირი, რადგან სერბეთის ამჟამინდელი ხელისუფლება დასავლეთის მხარდაჭერით, მილოშევიჩის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან მოვიდა, იმათი რიგებიდან, ვინაც იგი გასცა და გაიმეტა.

# აშკარა აგრესია სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ

**ასე შეაფასა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ 10 წლის წინათ ნატოს ძალებით იუგოსლავიის დაბომბვის ფაქტი.**

**მისი აზრით, რაც რუსეთის საგარეო უწყების პოზიციას სრულად ემთხვეოდა, ამით ერთმა საერთაშორისო სტრუქტურამ — ნატომ უხეშად დაარღვია მეორე სტრუქტურის — გაეროს წესდება, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები კოსოვოს პრობლემის მოწესრიგების თაობაზე.**

დიპლომატმა განაცხადა, რომ ამ აქციამ, რომელიც ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით იყო განხორციელებული, გამოიწვია ლტოლვილთა ტალღა, რომლებმაც ვერ შეძლეს, დაბრუნებოდნენ მშობლიურ კერას, გამოიწვია მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი, გაანადგურა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის სისტემები. სერბეთის ეკონომიკა დღემდე ვერ გაიმართა წელში დამანგრეველი აგრესიის შედეგად, რომელიც განადგურების უახლესი საშუალებებით განხორციელდა.

**„სერბების დარბევა, ეროვნულ უმცირესობათა მისწრაფების უგულებელყოფა, უმოქმედობა, როცა მხარეში ანგრევდნენ მართლმადიდებლურ სიწმინდეებს, კრიმინალი და ორგანიზებული დანაშაული, კოსოვოს სტატუსის შესახებ გამართული ფსევდომოლაპარაკებები, სადაც მხოლოდ პრიშტინას აზრი დომინირებდა — ასეთია არასრული ჩამონათვალი იმ პოლიტიკის შედეგებისა, რომელმაც მხარის დამოუკიდებლობის ცალმხრივ აღიარებამდე მიგვიყვანა, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ განხორციელდა“,** — ხაზი გაუსვა მან.

მოსკოვმა საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოუწოდა, ობიექტურად შეაფასოს 10 წლის წინანდელი მოვლენები, გააკეთოს სათანადო დასკვნები, მსგავსი მოვლენების დაუშვებლობის მიზნით.

## ევგენი პრიმაკოვი:

# ბელგრადის დაბომბვამ გზა გაუკვალა ამერიკელების მოქმედებას ერაყში

**თავის დროზე მოსკოვი იუგოსლავიაში ნატოს სამხედრო კამპანიის განხორციელების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ამას ადასტურებდა რუსეთის იმდროინდელი მთავრობის თავმჯდომარის ევგენი პრიმაკოვის გადაწყვეტილება, როცა მან, აშშ-ში ვიზიტად მიმავალმა, ატლანტიკის თავზე მყოფი თვითმფრინავი მოსკოვისკენ შემოაბრუნებინა. ასეთი არაორდინარული გადაწყვეტილების მიზეზი იუგოსლავიის დაბომბვის დაწყების შესახებ მიღებული ცნობა იყო. ეს მოხდა 1999 წლის 24 მარტს. ამის შესახებ ევგენი პრიმაკოვმა რუსულ ტელეარხ „ვესტის“ დაწვრილებით მოუთხრო.**



ჰენრი კისინჯერი და ევგენი პრიმაკოვი

— ერთი წლის წინათ, როცა რუსეთი სერბეთის მთლიანობას იცავდა, ჩვენ ისეთ ტერმინებს ვხმარობდით, როგორიცაა „პანდორას ყუთი“, „დომინოს ეფექტი“. როგორ ფიქრობთ, დარჩა რაიმე საშიშროება, რაც კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივ გამოცხადებას კიდევ შეიძლება მოჰყვეს?

— ვფიქრობ, რომ დღეს მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, ჩვენ სწორი პოზიცია დავიკავეთ, როცა კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარების წინააღმდეგ გავილაშქრეთ. მოვლენებმა, რომლებიც ამას მოჰყვა, დაადასტურა ჩვენი შეშფოთება იმ მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების თაობაზე, რაც ამ აქტის შედეგად მივიღეთ. ჩვენ მაშინ შევეცადეთ, თავიდან აგვეცილებინა მოვლენების ასეთი განვითარება. მახსოვს, 16 მარტს ტელეფონით ვესაუბრე იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს (მეგობრული ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან). მან მითხრა, რომ შეერთებულ შტატებს იუგოსლავიის დასჯა სურს, რომ აუცილებელია იუგოსლავიის დათანხმება პრობლემის პოლიტიკურ გადაწყვეტაზე, რაც იმ დროს განიხილებოდა.

**— ესე იგი, ევროპაში ჰქონდათ ასეთი პოზიცია?**

— დიახ, მაგრამ რუსეთმა ამის გაკეთება ვერ შეძლო, თუმცა მილოშევიჩს რამდენჯერმე ვთხოვეთ კოსოვოდან თავისი ჯარების გაყვანა, რაზეც უარით გვიპასუხა. ამ დროს დაემთხვა შეერთებულ შტატებში ჩემი გაფრენა... ატლანტიკაზე შემობრუნება სულაც არ იყო გმირობა. ასე მოიქცეოდა რუსეთის ნებისმიერი, ნორმალური პრემიერ-მინისტრი. საქმე შემდეგში იყო: ჯერ დამირეკა გორმა (სწორედ გორს უნდა შევხვედროდი ეკონომიკური საკითხების გადასაწყვეტად). იყო ასეთი კომისია — ჯერ გორი-ჩერნომირდინი, შემდეგ — გორი-პრიმაკოვი. ჩემთან ერთად ბიზნესმენების დიდი ჯგუფი მოფრინავდა, მათ შორის, ალეკპეროვი და ხოდორკოვსკი... გორმა დამიდასტურა, რომ ისინი მზად არიან, გამოიყენონ ძალა. ორნახევარი საათი იყო დარჩენილი ამერიკის ტერიტორიამდე მისაფრენად. მოვიწვიე ხომალდის უფროსი, თვითმფრინავის უფროსი და ვუთხარი, რომ შემობრუნება იყო საჭირო.

**— ამაზე დიდხანს იფიქრეთ?**

— ბევრს მოვეთათბირე... ვუთხარი, რომ ასე და ასე გადავწყვიტე, დამეთანხმნენ, საწინააღმდეგო არავის არაფერი უთქვამს. დავურეკე პრეზიდენტ ელცინს და შევატყობინე ჩემი გადაწყვეტილების თაობაზე.

**— ვაშინგტონში რომ მიფრინავდით, რა უნდა გეთქვათ ამერიკელებისთვის? დრო უნდა გაგეწელათ?**

— დაბომბვის შესახებ გადაწყვეტილება რომ არ მიეღოთ, ბუნებრივია, ვეტყოდი იმას, რაც ტელეფონით ვუთხარი გორს თვითმფრინავის ბორტიდან. ვუთხარი, რომ ეს ისტორიული შეცდომაა, ძალიან ინანებთ, არ შეიძლება, გაეროს გვერდის ავლით იმოქმედოთ. მან მიპასუხა, რომ ეს იძულებითი გადაწყვეტილება იყო, რომლის დამადასტურებელი რამდენიმე არგუმენტიც დამისახელა, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არგუმენტები არაფერს ნიშნავდა, რადგან სიმართლეს არ შეეფერებოდა. შემდეგ მთხოვა, მასთან ერთად ხელი მომეწერა მემორანდუმისთვის, რომ ვიზიტი გადადებულია. ვუპასუხე, რომ ამას არ გავაკეთებდი. თუ გსურთ, გამოაცხადეთ, რომ ვიზიტი შევწყვიტე იმიტომ, რომ თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება იუგოსლავიის დაბომბვის თაობაზე.

**— ამ ომის თავიდან აცილება თუ შეიძლებოდა?**

— რა თქმა უნდა. რეტროსპექტულად, სტრატეგიული თვალსაზრისით რომ შევხედოთ, ვფიქრობ, რომ ბელგრადის დაბომბვამ გზა გაუკვალა ამერიკელების მოქმედებას ერაყში, კვლავ გაეროს გვერდის ავლით. ეს თავიდან რომ აგვეცილებინა, მსოფლიო სხვაგვარი იქნებოდა... დაბომბვები უკვე დაწყებული იყო, როცა რუსეთი მაინც ყველაფერს აკეთებდა მათ შესაწყვეტად. მაშინ დამირეკა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და მთხოვა, ჩავსულიყავი მილოშევიჩთან და შემეთავაზებინა, რაიმე ნაბიჯი მაინც გადაედგა ხელშესაწყობად, რადგან იგი ესაუბრა შეერთებული შტატების პრეზიდენტს და ორივეს დასკვნით, თუ მილოშევიჩი პოზიციების დაახლოებისთვის ხელის შესაწყობად რაიმე ნაბიჯს გადადგამდა, დაბომბვები შეწყდებოდა. მე მას ვკითხე: „ბატონო პრეზიდენტო, მიგაჩნიათ თუ არა საკმარის ნაბიჯად საკონტაქტო ჯგუფის მოწვევა?“ მან მიპასუხა: „დიახ“. გავფრინდით მილოშევიჩთან. იმ მომენტისთვის, როცა იქ ჩავფრინდით, დაბომბვები რამდენიმე საათით შეწყდა. ჩემთან ერთად იყვნენ თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელი და ჩვენი სამხედრო დაზვერვის — გრუ-ს ხელმძღვანელი. ძალიან მკაცრი საუბარი მქონდა მილოშევიჩთან. იგი ბევრ რამეში დაგვეთანხმა. გადაწყვიტა, რომ შეუძლია ალბანელი ლტოლვილების კოსოვოში დაბრუნების გარანტირება; თქვა, რომ სურს, დაიწყოს მოლაპარაკება ალბანელების ლიდერთან — რუკოვოსთან. მაგრამ ერთადერთი, რაზეც მან უარი განაცხადა, სპეცრაზმის გამოყვანა იყო. მიაჩნდა, რომ, თუ ამას გააკეთებდა, დაიწყებოდა სერბების გენოციდი, რაზეც იგი ვერ წავიდოდა. ბელგრადიდან შრედერთან ჩავედით ბონში. როგორც კი ავფრინდით, ამ აეროდრომის დაბომბვა დაიწყეს. შრედერი მაშინ ევროკავშირის თავმჯდომარე იყო. მან, ისე, რომ ბოლომდე არც მოუსმენია, განაცხადა, რომ ეს ყოველივე საკმარისი არ არის და დაბომბვები გაგრძელდებოდა.

**— მიზანი მიწასთან გასწორება იყო?**

— არა მიწასთან გასწორება, არამედ — დასჯა...

**— მილოშევიჩის სასამართლო პროცესის დროს თქვენ მის თანმიმდევრულ დამცველად გამოდიოდით?**

— დიახ, მის მოწმედ გამოვდიოდი. მან მე დამასახელა... ვამბობდი, რომ მილოშევიჩს ყველა ცოდვა არ შეიძლება მიეწეროს. მას, როგორც ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს, ჰქონდა თავისი შეცდომები.

და, საერთოდ, შეიძლება ვიკამათოთ, აქვს თუ არა ჰააგის ტრიბუნალს არსებობის უფლება, თუნდაც წმინდა ჰუმანური თვალსაზრისით. მილოშევიჩი ავად რომ გახდა, ჩვენ მოგვმართა. ჩვენ ვთქვით, რომ მზად ვიყავით მის სამკურნალოდ. სასამართლომ, ტრიბუნალმა მაშინ ლამის მოსთხოვა ჩვენს ხელმძღვანელობას, მიეცა გარანტია, რომ იგი უკან დაბრუნდებოდა. ეს გარანტია მივეცით, მაგრამ მაინც არ გამოუშვეს.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— ვფიქრობ, რომ მათ იგი აღარ სჭირდებოდათ, სურდათ, რომ მას სიცოცხლე საპყრობილეში დაემთავრებინა.

**— როგორ აფასებთ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიის დღევანდელ მდგომარეობას? კერძოდ, კოსოვოს პერსპექტივას?**

— როცა კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გულახდილად გეტყვით, არ ველოდი, მას უცებ თუ აღიარებდნენ მაკედონია და ჩერნოგორია...

**— რატომ აღიარეს?**

— ყველას სურს ევროკავშირში შესვლა, ყველა ოცნებობს, გახდეს ევროპის ნაწილი, მაგრამ ეს რაღაც ყალბი წარმოდგენაა. ბოლოს და ბოლოს, საქმე შეიძლება დამთავრდეს იმით, რომ კოსოვოს ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც სერბი მოსახლეობაა, შეუერთდეს სერბეთს. შეიძლება, ოდესმე საქმე აქამდეც მივიდეს.

**— შესაძლებლად მიგაჩნიათ სიტუაციის მორიგი გამწვავება?**

— გამწვავება შესაძლებელია, მაგრამ არა ამწუთიერი, მიმაჩნია, რომ სტაბილიზაცია უაღრესად გაძნელდება — ყოველთვის რაღაც ერთგვარი სტაბილურობა იქნება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## სახელმწიფო ნივას დაეხმარება

**სახელმწიფო კვლავაც გააგრძელებს რუსული ავტოწარმოების აქტიურ დახმარებას. ამის შესახებ რუსეთის სახელმწიფო დუმის მრეწველობის კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი დრაგანოვმა განაცხადა „ავტოვაზში“ („ავაზ“) გასამართი სამთავრობო სხდომის წინა დღეს. სხდომა რუსეთის საავტომობილო მრეწველობის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებებს მიეძღვნა.**

„თუ „მშვიდობიანობის“ პერიოდში კონკურენციის დაცვა ერთმნიშვნელოვნად აუცილებელია, მძიმე კრიზისის პირობებში გონივრული პროტექციონიზმია უპრიანი. მძიმე სიტუაციამ, რომელშიც ეს დარგი აღმოჩნდა, ინვესტიციური მოთხოვნილებების შემცირებამ, კრედიტების მიუწვდომლობამ მეწარმეების, დილერებისა და მომხმარებლებისთვის გამოიწვია ავტომანქანებზე მოთხოვნის შემცირება. 2009 წელს რუსული ავტომანქანების ბაზარი შეიძლება მესამედით შემცირდეს,“ — მიაჩნია დეპუტატს.

ავტოწარმოების დახმარების მოქმედი სქემა ჩვენს საერთაშორისო ვალდებულებებსა და არსებულ პრაქტიკას შეესაბამება, ასე ხდება მთელ მსოფლიოში — ბაზრები იხურება იმპორტული პროდუქციისთვის და უპირატესობა ენიჭება საკუთარს, — აღნიშნა დეპუტატმა.

მან განმარტა, რატომ აქცევს ასეთ ყურადღებას სახელმწიფო რუსულ ავტოწარმოებას: „ყველა მაჩვენებელი — დამატებითი ღირებულების გადასახადი, სამუშაო ადგილების რაოდენობა, ეკონომიკის მოდერნიზაციულ განვითარებაში შეტანილი წვლილი და ტექნოლოგიურობის დონე — ყველაფერი სამამულო ავტოწარმოების მხარეზეა, — აღნიშნა დრაგანოვმა. მისი თქმით, რუსული ავტოწარმოების მუშაობაზეა დამოკიდებული მეტალურგიაც, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, ელექტრონიკა.

სახელმწიფო ავტოწარმოებას არა მხოლოდ ფულადი სახსრებით, არამედ ავტომანქანებზე მოთხოვნის სტიმულირებითაც ეხმარება. იგულისხმება სახელმწიფო შეკვეთები და ფიზიკური პირებისთვის გამოყოფილ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირება, — აღნიშნა დეპუტატმა.

დეპუტატმა დამსწრეებს შეახსენა, რომ აპრილის დასაწყისიდან ამოქმედდა 350 ათას რუბლამდე ღირებულების ავტომანქანების მყიდველების მხარდასაჭერი ზომები. ამასთან დაკავშირებით მოუწოდა მწარმოებლებს, შეამცირონ ფასები.

„დარწმუნებული ვარ, ბრენდების უმეტესობას, რომლებიც მასობრივ მომხმარებელზეა ორიენტირებული, ფასების შესამცირებლად რეზერვები აქვს, რადგან ის, რაც ნებადართულია მზარდი ბაზრის პირობებში, დაუშვებელია დღეს,“ — განაცხადა დრაგანოვმა.

„ავტოვაზის“ მხარდაჭერაზე ლაპარაკისას დეპუტატმა აღნიშნა: „დღეს ყველა ელოდება, მიიღებს თუ არა „ავტოვაზი“ 26 მლრდ დოლარის დახმარებას. ამბობენ, რომ ასეთი დახმარება შედეგს ვერ გამოიღებს, მე კი პირიქით მგონია, რადგან 2009 წლის თებერვალში გაყიდული 30 ათასი „ვაზი“ უკვე სერიოზული არგუმენტია.“

სამომავლო მხარდაჭერის ღონისძიებებს შორის ვ. დრაგანოვმა ჩამოთვალა საწარმოებისათვის კრედიტების ტარიფების დაწევა, ავტოსამოქალაქო პასუხისმგებლობის აუცილებელი დაზღვევის ტარიფების შემდგომი დიფერენციაცია, ლიზინგის ლიბერალიზაცია, ტექრეგულირება. „ჩამოთვლილი ინსტრუმენტებისადმი კომპლექსური მიდგომა ბიზნესსა და ავტოწარმოებაში ძალაუფლების დემონსტრირებას მოახდენს,“ — შენიშნა მან.

**რუსეთის ყველაზე პოპულარულმა პოლიტიკოსმა, პრემიერ-მინისტრმა პუტინმა სამამულო ავტოწარმოების მხარდასაჭერი სარეკლამო კამპანია საკუთარი სახსრებით წამოიწყო — ავტომანქანა „ნივა“ შეიძინა. პუტინს რარიტეტული მანქანები უყვარს და, როგორც ჩანს, „ნივა“ მის კოლექციას (1960-სა და 1965 წელს გამოშვებული ორი „ვოლგა“) შეავსებს. ახალი შენაძენის გამოშვების წელზე დაზუსტებით არაფერია ცნობილი, მაგრამ თავად ავტომანქანა წარმოებაში 1977 წლის აპრილში ჩაუშვეს.**

**მარია სოლოვიოვა**

# დეფოლტი მოდის, გეშინოდეთ დეფოლტის

**მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო ერთიმეორის მიყოლებით, როგორც ჭიანი ნაყოფი ხიდან, ცვივა მცირე ქვეყნების მთავრობები. პირველი ასეთი ქვეყანა, რომელსაც ეროვნული ვალუტა გაუუფასურდა, ჯერ კიდევ წლევანდელ იანვარში იყო ისლანდია. თებერვალში ამავე მიზეზით ლატვიის პრემიერი გადადგა. ამჟამად კი ჩეხეთის მთავრობის ბედი ბეწვზე ჰკიდია.**

დღის წესრიგში უნგრეთისა და ბულგარეთის მთავრობების გადადგომა დგას. უკრაინაში ოპოზიციური რეგიონების პარტიამ მოითხოვა პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომა. რადამ 3 თვით შეუმცირა პრეზიდენტობის ვადა იუშჩენკოს. ამ უკანასკნელმა კონსტიტუციურ სასამართლოში უჩივლა პარლამენტს.

**მიზეზი, რომლის გამო მიწისძვრით დაბზარული თბილისური სახლებივით იშლება მცირე ქვეყნების მთავრობები, მოსალოდნელი დეფოლტია, რომელსაც დღე-დღეზე გამოაცხადებს ზოგიერთი მათგანი.**

შესაძლო დეფოლტის მიზეზი მთელ რიგ ქვეყნებში, ანუ საგარეო ვალების გადახდაზე უარის თქმა დღევანდელ პირობებში, არის ის უაღრესად მკაცრი მოთხოვნები, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მათ დაუწესა. მიღებული დახმარების გახარჯვა, როგორც წესი, შესაძლებელი იყო მხოლოდ ეროვნული ვალუტის კურსის შესანარჩუნებლად, რომელიც გამონაკლისის გარეშე მტკიცედაა მიბმული დოლარს ან ევროს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად.

**ასე იყო საქართველოშიც. ყველაფრიდან ჩანს, რომ სადაცაა დაგვახრჩობს ის ყულფი, რომელშიც, როგორც ყველა ახალი დემოკრატიის ქვეყანამ, ჩვენც გავყავით თავი.**

**თუმცა, ფაქტია, რომ სხვა გზა არც იყო.**

**ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებს კატეგორიულად უკრძალავდნენ „ფულის საბეჭდი დაზგის“ ამუშავებას საკუთარი ფულადი ნიშნების ემისიის მიზნით, რაც აუცილებელი იყო შიდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.**

**დაკაბალებაც ამას ჰქვია! სხვაგვარად ეს ორმაგი სტანდარტების პოლიტიკაა: დახმარება — კი, მაგრამ მხოლოდ დამხმარის მოთხოვნათა შესრულების პირობებში.**

ხელს არ გაძლევს? — წყალსაც წაუღიხარ! მოეჭიდები ჩემს ხავსს? — შეასრულე ჩემი მოთხოვნები, რომლებიც კეთილი სურვილებითაა ნაკარნახევი.

ორმაგი სტანდარტი სხვა რამეშიც იჩენს თავს: მაშინ, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასე გაფაციცებით ადევნებს თვალს ემისიის აკრძალვას, აშშ-ს ვერავინ შეუშლის ხელს, ჩამობეჭდოს 800 მილიარდი დოლარი ამერიკელ მეწარმეთა სტიმულირებისათვის.

**ეს მდიდრის უფლებაა!**

**ამის განხორციელებას კი შეიძლება, ინფლაცია მოჰყვეს არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში.**

**ევროკავშირის უმსხვილესმა ქვეყნებმა მრავალმილიარდიანი ინიექციებით ზურგი გაუმაგრეს თავიანთ ეკონომიკას.**



ამრიგად, მსოფლიო „ფინანსური ცენტრისთვის“ — აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რომლებიც უფროსობენ საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და კიდევ ერთ წამყვან საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციაში — მსოფლიო ბანკში, ერთი და იგივე წესები არსებობს, ხოლო მათი გავლენის სფეროში შემავალი „ფინანსური პერიფერიებისთვის“, რომლებიც ღარიბი ნათესავების როლში არიან — სულ სხვა.

გასაკვირი არაა!

ის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ და რომლებიც განვითარებულმა ქვეყნებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნეს, ჩამოყალიბდა იმისთვის, რათა მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნებიდან ნაკლებად განვითარებულებში გადაექაჩათ, ამ უკანასკნელებზე ფინანსური კონტროლის დასაწესებლად.

ასეც მოხდა. ეს ქვეყნები მთლიანად დამოკიდებული გახდნენ საერთაშორისო ფინანსურ სტრუქტურებზე, რაც გლობალურ-ფინანსური კრიზისის პირობებში ნიშნავს მათი ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, მთლიანი შიდა პროდუქტის ვარდნას და უმუშევრობის მასობრივ ზრდას.

**თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ბოლო პერიოდში უკვე გამოუყო მსხვილი სტაბილიზაციური კრედიტები უკრაინას, უნგრეთს, ლატვიას, ისლანდიას, სერბიას და რიგ სხვა ქვეყნებს.**

**მიიღე და გამოიყენე! მაგრამ, ერთი მხრივ, ხელისუფალთა უგერგილობისა და უუნარობის გამო (შეგიძლიათ, პარალელი საქართველოსთან გაავლოთ), მეორე მხრივ, მკაცრი პირობების გამო, რასაც ფონდი ამ კრედიტების გამოყენებისას მოითხოვს, შეთავაზებული სესხი, ჯერჯერობით მაინც, სერიოზულად ვერ დაეხმარა ხელგაწვდილ ქვეყნებს.**

მაგალითად: საერთაშორისო სავალუტო ფონდის 14 მილიარდი ოდენობის აშშ დოლარის კრედიტი, რომელიც უკრაინას გამოუყვეს, ჯერჯერობით ხელუხლებელია, რადგან კამათობენ და ვერ შეთანხმებულან კიევის მიერ ფონდის პირობების შესრულების თაობაზე. ლატვიას, რომელიც, აგრეთვე, დეფოლტის პირას დგას, განზრახული აქვს, დააყენოს იმ მოთხოვნათა გადახედვის საკითხი, რომლებიც ფონდის მიერ გამოყოფილი 10,4-მილიარდიანი სესხის ათვისების აუცილებელ პირობადაა წამოყენებული და მისთვის მიუღებელია.

**ლატვია გამონაკლისი არ არის, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბალტიის ქვეყნებში საერთოდ კრიტიკული სიტუაცია შეიქნა. საქმე ისაა, რომ ვეღარ ინარჩუნებენ ეროვნული ვალუტების კურსს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ევროს კურსთან.**

ამ სიტუაციიდან გამოსავალს სპეციალისტები ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ევროს ზონაში დაუყოვნებლად ჩართვაში ხედავენ. ამავე პოზიციაზე იდგნენ ამ ქვეყნების მთავრობები, მაგრამ ევროკავშირის ხელმძღვანელობამ მათ ცივი უარი უთხრა. უარის მოტივი ბანალურია: ამ სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ ვერ გაიარეს თავიანთი ეკონომიკების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების შესაბამისი პროცესი. ჯერ ვერაო.

**თუ ბალტიის ქვეყნებისთვის ევროსტანდარტები ჯერ კიდევ მიუწვდომელია, ადვილი წარმოსადგენია, რა შორსაა ისინი გურჯისტანისათვის...**

**ფინანსისტების პროგნოზით, მაგალითად, ლატვიის ლატი წლის ბოლოსთვის ორჯერ შეიძლება გაუფასურდეს, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი კი — 25 პროცენტით.**

წარმოუდგენელია, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდს მხედველობიდან გამორჩენოდა ის ნეგატიური პროცესები, რომლებზეც ვლაპარაკობთ. ამას ადასტურებს ის გადაწყვეტილება, რომელიც ერთი კვირის წინათ მიიღეს ფონდის კრედიტების ხელმისაწვდომობის პირობების მნიშვნელოვანი შერბილების თვალსაზრისით.

**მათ შორის მთავარია მოქნილ საკრედიტო ხაზად წოდებული სიახლე, რომლის გამოყენება „დამცავ მექანიზმად“ სესხის ამღებ ქვეყნებს შეეძლებათ ნებისმიერ დროს.**

**ამაში ცუდი არაფერია, ერთი “მაგრამ” რომ არ იყოს წამოყენებული მთავარ პირობად: ეს საკრედიტო ხაზი გათვალისწინებულია მხოლოდ იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც აქვთ კარგად მართული ეკონომიკა, ძლიერი ფუნდამენტური მაჩვენებლები და ეკონომიკური სტრატეგია.**

მოკლედ, წინასადეფოლტო ვითარებაში მყოფი სახელმწიფოებისთვის ეს სიახლე გათვალისწინებული არ არის.

მით უფრო არ არის იგი გათვალისწინებული ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებსაც არც ეკონომიკა და არც ეკონომიკური სტრატეგია გააჩნია.

დიახ, ჩვენზე მოგახსენებთ, საქართველოზე, რომლის მსოფლიო კრიზისის აზბოქრებულ ოკეანეში სტაბილურობის კუნძულად ყოფნის ხელისუფლებასაც არ სჯერა, თუმცა დაჟინებით ცდილობს, სწორედ ეს სასწაული ჩაგვიჭედოს ტვინში — ორიოდ დღეში 9 აპრილია, მასობრივი პროტესტის დღე, რომლის ეფექტის შერბილებას ხელისუფალნი ასეთი ტყუილითაც ცდილობენ...

დეფოლტს დავუბრუნდეთ.

**მთელი რიგი ქვეყნებისა — ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, საუდის არაბეთი, კანადა და მექსიკა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების საკითხს უჭერენ მხარს, რადგან მიაჩნიათ, რომ დრომ და პრაქტიკამ ეს საკითხი აქტუალური გახადა.**

მაგრამ, სანამ ამ პრობლემას და კიდევ გლობალური ფინანსური სისტემის რეფორმირებას თავს დაადგამენ, საგარეო ვალდებულებებზე დეფოლტის გამოცხადება, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, შეიძლება გახდეს „პერიფერიული“ სახელმწიფოებისთვის ჩიხიდან სწრაფად გამოსვლის საშუალება.

**დავაზუსტოთ: სახელმწიფო დეფოლტი არ ნიშნავს იურიდიული ან ფიზიკური პირის გაკოტრებას. ფიზიკურ პირს (მოვალეს) ვალის გასასტუმრებლად მევალეებმა შეიძლება მთელი ქონება წაართვან. სახელმწიფო (სუვერენული) ვალი კი იმით განსხვავდება, რომ არ ვრცელდება მოვალის ქონებაზე.**

ქვეყნის მიერ დეფოლტის გამოცხადება ნიშნავს, რომ მას ამჟამად არ შეუძლია ვალების გადახდა. რაღაც დროის შემდეგ, როცა ფული ექნება, შეიძლება ანგარიში გაუსწოროს საგარეო კრედიტორებს.

**ქვეყნის მიერ გამოცხადებული დეფოლტი მოქალაქეებისთვის დიდად ზარალიანი შეიძლება აღმოჩნდეს: დაეკარგებათ ფული, რომელიც სახელმწიფოს ასესხეს, „დაეწვებათ“ თანხა მთლიანად. წელში გატყდებიან კერძო ბანკები და ფინანსური კომპანიები, რომლებიც სესხს სახელმწიფოსგან იღებდნენ. ისიც ფრიად მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ, რაც ქვეყანა საგარეო ვალების გადახდას დაიწყებს, მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად სახელმწიფოს არავითარი ან ძალიან ცოტა საშუალება დარჩება...**

**თორნიკე მანველიძე**



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ორი განრისხებული ამომრჩეველი

**დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლებას ხელი ამომრჩეველთა მაჯაზე უნდა ედოს და განუწყვეტლივ მათ პულსაციას ზომავდეს, რათა შეიტყოს, თუ რა გრძნობითაა მის მიმართ ხალხი გამსჭვალული. ამის მაგივრად სოციალური გამოკითხვის ათას ყალბ მონაცემს აქვეყნებს საკუთარი მაღალი რეიტინგის საჩვენებლად. ეს კი იმისთვის სჭირდება, რომ ყალბი რეიტინგი მოწინააღმდეგეებს პირში ბურთივით ჩასჩაროს, ხალხს კი — თვალებზე ააფაროს. ხალხმა ნდობა დაკარგა და მამხილებლის გამკიცხავი როლიც მოქალაქეობრივი გამბედაობით ხელში აიღო. საზოგადოებრივ აზრს კი ყველა დროში სხვა ფასი აქვს და სხვა ათინათს გამოსცემს. ისტორიის უკიდეგანო გზაზე ქართველი კაცის გონებრივი შეფასება არასოდეს ცდება. მოვუსმინოთ მათ.**


ცისანა სხიერელი


გურამ გავაშელიშვილი

**ცისანა სხიერელი,** *დიასახლისი:*

**— ქალბატონო ცისანა, თქვენ ერთ დროს პრეზიდენტ სააკაშვილის გულმხურვალე მხარდამჭერი ყოფილხართ, მის საარჩევნო კამპანიაში აგიტატორად მუშაობდით, რატომ შეიცვალეთ პოზიცია?**

— ჩვენ დღეს დამარცხებული ქვეყანა ვართ, უსაშველოდ შეჭირვებული, გაღატაკებული. მე, როგორც დიასახლისს, ქვეყანა დიდ ოჯახად მიმაჩნია და როდესაც ის გაპარტახებულია, დიახაც პასუხისმგებლობას თავკაცს ვაკისრებ და ქარცეცხლიანი კრიტიკოსი ვხდები. **ამას თუ პოზიციის შეცვლა ჰქვია, არ ვიცი. ჩემი აზრით, ეს ჭკუაზე მოსვლა უფროა. „ყეფა" გაჭირვებამ მასწავლა. გულზე რაღაც მწარედ მაწევს, როდესაც მახსენდება, რომ მხარს ნაცმოძრაობასა და მის ლიდერს ვუჭერდი.** ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება გრძელდება და აღარ თავდება. სულ ვკითხულობ, როდის გვეშველება? პასუხის გამცემი კი არ ჩანს. ახლა რასაც გეტყვით, შეიძლება ბევრს არ მოეწონოს — რად გვინდოდა საბჭოეთის დანგრევა, თუ უკეთესს ვერ ავაშენებდით. **თუ კაცი ძველ სახლს ანგრევს, მისი მიზანია, ახალი და უკეთესი ააშენოს. ესაა ნგრევის ლოგიკა. ჩვენ კი ძველი დავანგრიეთ, ახალი კი ვერ ავაშენეთ და ქვეყანა თავზე ჩამოგვექცა. საქართველოს პრეზიდენტად შევარდნაძე მუხლისჩოქვით მოიყვანეს, ერის დაცემა მაშინ დაიწყო.** ის რომ „ტაძრამდე" ვერ მიგვიყვანდა, ცხადი იყო. ჭაობში ჩაფლული ცხოვრების სიჩუმეში ვარდოსან სააკაშვილის ძახილი ბოროტების ჩასახშობად ბულბულის სტვენასავით გაისმა და მეც მთელი შეგნებით ახალ ძალას გვერდში დავუდექი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს ახალი ძალა ძველის გაგრძელება იქნებოდა, თანაც უფრო აგრესიული და ენერგიული. **ქვეყნის უბედურების მასშტაბი გაიზარდა, უფრო მეტი ტერიტორია დავკარგეთ, ლტოლვილები უფრო გაგვიმრავლდა, აღარაფერი ადგილობრივი აღარ არსებობს, დედაუნივერსიტეტი კოლეჯს დაამსგავსეს, თანამედროვე ქართული ფილმი გვენატრება, დედაენამ მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა შეინარჩუნა, ცხოვრება გაგვიძვირდა. ასფალტების დაგებით მხოლოდ თავს იმდიდრებენ. კორუფცია მოვსპეთო და მათი შემოსავლები მილიონებს ითვლის. რა უნდათ ჩვენს ბიჭებს ერაყსა და ავღანეთში?** გენოფონდი ისედაც ილევა. „ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო", ჩვენი საქმე ასეა. თუ ბრძოლის თავი ჰქონდათ, რატომ გვაქვს დანგრეული, გადამწვარი სოფლები და მიტოვებული სახლები? ათასობით ადამიანი გამოდის ხელისუფლების შესაცვლელად, ერთხელ მაინც ხომ უნდა ჰკითხოს თავს მიშამ, რა მჭირს, რა მაკლიაო? — მას ქვეყნის სიყვარული აკლია და თავმოყვარეობაზეც უზრად არის, რადგან თავის სკამს სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის ჩაბღაუჭებული.

## ახლა ამბობენ, მიშას მაგივრად ამერიკა სხვა კაცს ამზადებსო. არ ვიცი, თუ ამერიკელების მიერ ხდება ჩვენში პრეზიდენტის არჩევა, რაღა დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ! მაშინ ვაღიაროთ, რომ კოლონია ვართ დამოუკიდებლობის ფასადით.

**ქვეყნის გადარჩენა თუ გვინდა, შევკავშირდეთ, ხმა ამოვიღოთ და მოვიპოვოთ უფლება — ქვეყნის მეთაური თვითონ ავირჩიოთ. ბოლო არჩევნებში სააკაშვილმა თბილისში ვერ გაიმარჯვა.** თბილისი ხომ საქართველოს გულია და მინდა, პრეზიდენტს ვუთხრა, თუ გულს არ უნდა, უნდა წახვიდე, რადგან ჩათრევას ჩაყოლა სჯობია. ჩვენს პრეზიდენტს, რომ იტყვიან, საქართველოში გული არ უდგება, სულ საზღვარგარეთ დადის და კარგი იქნება, ბოლოს და ბოლოს, იქ დარჩეს.

**გურამ გავაშელიშვილი,** *ფიზიკოსი:*

**— ბატონო გურამ, თქვენ ვის უჭერდით მხარს არჩევნებში და ნანობთ თუ არა თქვენს არჩევანს?**

— ვის ვუჭერდი მხარს, არ გავამხელ. ეს ჩემი კონსტიტუციური უფლებაა. **იმას კი გეტყვით, რომ ხელისუფალთა მადა უნაპირო გახდა და სადაცაა მთელი ქვეყანა შემოეჭმებათ. საქართველო დამსმენთა და აგენტთა საუფლოდ აქციეს საქმის კეთების ნაცვლად. არის გაუთავებელი მოსმენები და ბნელ ოთახში კატის ძებნა, რაც უკვე გროტესკულ სახეს იღებს.** ჩინოვნიკები და პარლამენტარები უსაქმობისაგან კაბინეტებში ამთქნარებენ და გაუთავებელი ლოდინით გაბეზრებულ მოქალაქეებსა და ჟურნალისტებს საგულდაგულოდ ემალებიან. შეთავაზებული წინადადებები თუ მათ კარიერისტულ მიზნებს არ ეთანხმება, ოპოზიციაში გარბიან, როგორც უპატრონო პოლიტიკოსთა თავშესაფარში, რათა ხელახლა გაიარონ მოჯადოებული წრე მაღლა ასახტომად. **თვალთმაქცურად გვატყუებენ, თვალში ნაცარს გვაყრიან, იმასვე აკრიტიკებენ, ვისაც გვერდით ედგნენ. ყოველგვარი კაცურკაცობის გარეშე ახალ ვითარებას ერგებიან. რომ იტყვიან, ჩვენს პოლიტელიტას მეთოდები დაუძველდა. არც იმის ტვინი აქვთ, რამე ახალი მოიფიქრონ და თავიანთ გაქცევა-უკუქცევაში ახალი კორექტივები შეიტანონ.**

## პრეზიდენტს კი დღეს უკვე თავისი ჩრდილისაც ეშინია. ამერიკის მიერ გამოყვანილი ეს პოლიტიკოსი-ჰიბრიდი სავალალოდ ამთავრებს თავის კარიერას, რადგან რუსეთთან წაკიდებით გლობალური ბალანსი დაარღვია და არა საქართველოს მდგომარეობის გამო. ამერიკა მიხვდა, რომ დემოკრატიის შუქურა გადაიწვა, ველარ ანათებს და საჭიროა ნათურის გამოცვლა.

ეს ოპოზიციურმა ძალებმაც იყნოსეს და გადაწყვიტეს, მის გადადგომაში „ლომის წილი" შეიტანონ, საკუთარი ინტერესების თანახმად გაიწ-გამოიწიონ და პრეზიდენტსაც უკიჟინონ. ეს პოლიტიკური „ნამუსია". ასე რომ, მიშას პოლიტიკური ფინალი მწიფდება, „მიშა მიდის და ფეხის ხმა ჩაესმით". სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში კი ერთი სანთელიც არ ანთია, რომელიც ბოლომდე დაიწვება და ხალხს ბილიკს დაანახვებს. ამერიკას თავისი ინტერესები აქვს და ისეთ ხისა და ცულის მსგავს იარაღს ამზადებს, ტარი ქართული რომ ექნება (თორემ ისე რას დაგვაკლებს).

ხალხი ჭრელია, ეს არშემდგარი სამოქალაქო საზოგადოების მახასიათებელია. ესაა ჩვენი სატკივარი, მხოლოდ იმას უსმენენ, ვისგანაც გულის მოსაფხან სიტყვას გაიგონებენ. ვერა და ვერ გავცდით ამ პროვინციულ დონესა და შეზღუდულობას და წლების განმავლობაში ერთმანეთზე უარეს მეფობის მოწადინე ჭინჭრაქას ვუჭერთ მხარს. ამიტომ განვაცხადოთ, რომ აღარც პრეზიდენტი გვინდა და აღარც მისი გუნდი, გვსურს საპარლამენტო ქვეყანა. თქვენც აღარ შემეკითხებით, არჩევნებში მხარს ვის ვუჭერდი.

**რაც შეეხება მონანიებას, ჩემი მონანიების ობიექტი უფრო დიდი და ღრმაა. ეს დაქცეული ჩემი სამშობლოა, ასე ნაწილნაწილ გაყიდული, სამოსშემოძენძილი, გასხვისებული, უპატრონო საყდარს დამსგავსებული, მედროვეთა ხელში ჩავარდნილი, ტაშფანდურის ბუფონადაში დამარცხებული. ვნანობ, რომ ვერ გამოვადექით, ვერ დავიცავით. ნუ გგონიათ, ამ საქმეში მარტო პრეზიდენტია დამნაშავე, უფრო მეტიც — ჩვენმა უნიათობამ აქცია დამნაშავედ. დაუმსახურებელი ქება ძაგებაზე უარესია, მანაც დაიჯერა იმიტომ, რომ გულნამცეცა იყო.** ჩვენ კი აღვაზევეთ პრეზიდენტი და მისი ხროვა. ჩვენ სად ვიყავით, რატომ არ ავყევით ამღვრეულ წყალს სათავემდე, რატომ დავუშვით წყლის ამღვრევა გაბინძურებამდე, ხომ ხედავთ ნაპირს გადმოსულმა ლამის დედაბუდიანად წაგვლეკოს?.. **მე ერთი ვიცი: „სადაც ერი, იქ ბერი". როდესაც სიყალბით გამარჯვებულ პრეზიდენტს ღვთის კურთხევა ეძლეოდა, 500000 გაყინული ქართველი სტადიონზე იდგა და როდესაც მოვლენები საეჭვოდ შეიცვალა, ცხვრის ფარასავით გაიფანტა და არ იკითხა — რატომ? ამ დუმილმა უთანასწორო ომამდე მიგვიყვანა, ქართლი მოგვითხარა. დღითიდღე უფრო ნათელი ხდება, რომ ქვეყნის პატრონობა ხალხმა უნდა იკისროს, მანვე უნდა გადაწყვიტოს, ვის ან რომელ ძალას ენდობა. როდესაც ქვეყანა ინგრევა, ხალხსა და ხელისუფლებას შორის სადერმაკაციო ხაზი იშლება. ჩვენ, ქართველები, სხვისი სიძლიერით თავბრუდახვეულები ზესახელმწიფოთა ნასუფრალით კი არ უნდა ვიკვებებოდეთ, არამედ მყარად უნდა დავდგეთ ნაციონალურ ნიადაგზე და ილიასებურად გულში უნდა ამოვიჭრათ „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს".** ამაში, მერწმუნეთ, შეუძლებელი არაფერია. ჩვენზე მცირერიცხოვანმა ერებმა მოახერხეს, დამოუკიდებლობის გზას დასდგომოდნენ. **ხომ ხედავთ, რა ხდება — ამერიკის თეთრ სახლში ფერადკანიანმა პრეზიდენტმა შეაბიჯა. დროა, გამოვფხიზლდეთ, რათა ჩვენი პოლიტიკური მრწამსი და არჩევანი სანანებელი არ გაგვიხდეს.**

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

## ლევან კალაძის განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულის საქმეს ევროსასამართლოში გაასაჩივრებენ

**ფეხბურთელ კახი კალაძის ძმის ლევან კალაძის განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებული ლევან ცინცაძის ადვოკატები ცინცაძის გამამტყუნებელი განაჩენის ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ.**

პრესკონფერენციაზე ცინცაძის ერთ-ერთმა ადვოკატმა ზვიად ბრეგაძემ განაცხადა, რომ კალაძის მკვლელობის საქმე ცუდად კი არა, საერთოდ არ არის გამოძიებული. ეს არის უნიჭოდ გაყალბებული საქმე, რადგან სამართალდამცველების მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ლევან კალაძის მკვლელობა ნებისმიერი მეთოდით გახსნილიყო.

ადვოკატის თქმით, საქმეში რამდენიმე გარემოება სერიოზულ ეჭვს იწვევს. ერთ-ერთი გარემოება ის არის, რომ უცნობი მამაკაცის გვამს, რომელიც, სამართალდამცველთა მტკიცებით, ლევან კალაძისა იყო, მოცილებული ჰქონდა ქვედა ყბა და აკლდა რამდენიმე ნაწილი.

აშშ-სა და უკრაინაში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში კი ნათქვამია, რომ ექსპერტიზა სხეულის იმ ნაწილებს ჩაუტარდა, რაც თბილისის ვაზისუბნის ხევში ნაპოვნი უცნობი მამაკაცის გვამს აკლდა. ზვიად ბრეგაძისავე განცხადებით, ლევან ცინცაძის ბრალეულობა მხოლოდ ორ მტკიცებულებას ეფუძნება: ეს არის ამავე საქმეში ბრალდებული მერაბ ამისულაშვილის ჩვენება და ის სატელეფონო ნომერი, რომლითაც ცინცაძე თითქოსდა დანაშაულის ჩადენის დროს სარგებლობდა.

თუმცა, ადვოკატის თქმით, ორივე მტკიცებულება გაყალბებულია და ლევან ცინცაძეს სრულიად დაუსაბუთებლად აქვს მისჯილი 25-წლიანი პატიმრობა.

როგორც ადვოკატმა ნანა ციკოლიამ განაცხადა, საქართველოში არ მოიძებნა არც ერთი ინსტანცია, რომელიც ამ საქმეს ობიექტურად გამოიძიებდა. უზენაესმა სასამართლომ საქმის განხილვაზეც კი უარი თქვა. ადვოკატ ლია მუხაშავრიას შეფასებით კი, ლევან ცინცაძის მიმართ გამოტანილი და უკვე ძალაში შესული განაჩენი დაუსაბუთებელია და ევროკონვენციის მესამე, მეექვსე და მეცამეტე მუხლებს ეწინააღმდეგება. ეს მუხლები, შესაბამისად, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და სახელმწიფოს შიგნით ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის არსებობას ითვალისწინებს. სარჩელი უკვე მზად არის და ის ევროსასამართლოში ერთ კვირაში გაიგზავნება.

ცნობისთვის: ლევან კალაძე 2001 წლის 23 მაისს გაიტაცეს. მისი მკვლელობის საქმეში ლევან ცინცაძესთან ერთად მსჯავრდებულნი არიან დავით ასათიანი, მერაბ ამისულაშვილი და თემურ გაგნიძე.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რისთვის გავუშვი ჩემი შვილი ცხრა მთას იქით, ვის მკლავებში დალია სული?..

**დღეს ქართველების მასიური მიგრაცია უცხო ქვეყნებში სულაც არაა იმ ზღაპრული სურვილით ნაკარნახევი, რომელსაც ქართველი კაცი საუკუნეების განმავლობაში გულის სიღრმეში ატარებდა — სამყაროს შესაცნობად „ცხრა ზღვასა და ცხრა მთას“ იქით გადაეხედა. საკუთარ ნიადაგსა და ფესვებს მოწყვეტილი ათასობით ქართველი დღეს მხოლოდ სიცოცხლის გადასარჩენად ტოვებს სამშობლოს. ეს ეროვნული დრამა საერთო სიცრუის, მიუსაფრობის, დაუცველობისა და გულგრილობის ფონზე მიმდინარეობს. ეს პროცესი მცირერიცხოვანი ერის საბედისწერო შეცდომაა. ხელისუფლება კი, რომელიც ნაციონალური აღორძინების დროშით გამოდის, საკუთარ სურვილებში დაყურსული მშვიდად უცქერის, თუ როგორ გადაუხვია ერის ისტორიამ ათასწლეულების კალაპოტს და სულ სხვა მიმართულებით იწყო დინება. ახლებურმა დინებამ კი შეიძლება ბევრი მორევში ჩაითრიოს, ბევრიც ნაფოტივით აქეთ-იქით მიმოფანტოს...**

**ამ წერილში ერთ თბილისელ ბიჭზე — ალეკო დიდიძეზე გიამბობთ, რომელიც შვეიცარიაში გარდაიცვალა. რამ წაიყვანა უცხოეთში? — ლამაზად და უზრუნველყოფილად ცხოვრების სურვილმა, მაგრამ „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა“...**

**ძალინ ძნელი იყო ალეკო დიდიძის დედასთან, ქალბატონ ლამარა იმერლიშვილთან საუბარი...**

**— ქალბატონო ლამარა, ძნელი და მტკივნეულია თქვენთვის ამის გახსენება, რისთვისაც ბოდიშს გიხდით, როდის და როგორ გაუშვით ალეკო საზღვარგარეთ?**

— ნუ მებოდიშებით, მინდა ყველამ გაიგოს, ყველას გულში მოხვდეს ჩემი აუტანელი მდგომარეობა, იქნებ ამით დარდი შემიმსუბუქდეს. ჩემმა ბიჭმა იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ბუნებით აქტიური, ასაკთან შედარებით ძალიან ჭკუადამჯდარი და ღრმად რელიგიური იყო, თანაც დაუზარელი და ხელმარჯვე. მისი ხელითაა აშენებული გლდანის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის სამრეკლო, ყველას უშურველად ეხმარებოდა. აქ რომ სიტუაცია აირია, ზვიადს მგზნებარედ თანაუგრძნობდა. თითისტოლა ბიჭი ბარიკადებზე ათენაღამებდა. მომხდარმა მოვლენებმა ბიჭობიდან პირდაპირ კაცობაში გადაიყვანა, შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალშიც იბრძოდა. უზრუნველი და ლამაზი წლები თითქმის არ ჰქონია. მეუბნებოდა — „ჩვენს ქვეყანაში მტაცებლური დროა, ძლიერმა სუსტი უნდა დაახრჩოს, დიდმა მცირე უნდა შთანთქას, ხოლო უბრალო ხალხმა ქვეწარმავლებივით სიბნელესა და სიცივეში უნდა ვიხოხოთ ან ძლიერთა ყურმოჭრილ მონებად ვიქცეთ, რომ როგორმე ჩვენი უბადრუკი არსებობა გადავარჩინოთო“. ნიჭიერ, ენერგიულ ბიჭს სამსახური უნდოდა, თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. დიდხანს ეძება. არც იმას თაკილობდა, თუ მისი ცენზისთვის შეუფერებელი სამუშაო იქნებოდა, მაგრამ ამაოდ. სახლში დაბრუნებისას დიდ ახსნა-განმარტებებს არ მაძლევდა, მაგრამ ვხვდებოდი, მისი სიმუნჯის უკან დიდი უიმედობა იმალებოდა, რომელიც დღითიდღე მატულობდა. ალეკოს საუკეთესო საძმო ჰყავდა, რომელნიც ერთდროულად სკოლელებიც იყვნენ და უბნელებიც. ერთად ხშირად იკრიბებოდნენ და შუაღამემდე საუბრობდნენ. ყველა



ლამარა იმერლიშვილი



ალეკო დიდიძე

უმუშევარი იყო და ამ საკითხის დაძლევის გზებს ერთად ეძებდნენ. ერთხელაც ალეკომ გამომიცხადა: დედა, საზღვარგარეთ უნდა წავიდე ჩემს მეგობრებთან ერთად, სირცხვილია, ამხელა კაცი მამაჩემის კისერზე ვიჯდე. ხომ ხედავ, მასაც როგორ უჭირს. შენ ნუ გეშინია, წავალ, ცოტა რამეს ვიშოვი, ასე გულხელდაკრეფილი ვერ ვიჯდებიო. ეს იყო 2001 წლის ივლისი და უკვე 12 ივლისს ხუთმა ბავშვობის მეგობარმა ვიზები აიღო და გერმანიაში სამუშაოს საძებნელად გაეშურა. მართალი გითხრათ, ძალიან მიჭირდა შვილთან განშორება, მაგრამ პრაქტიკულად სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. გერმანიაში ბიჭებს სამუშაოს შოვნა გაუჭირდათ, თანაც ყველანი პროცენტიანი ვალით წავიდნენ. ალეკო კვირაში 3-4-ჯერ რეკავდა. მეუბნებოდა, დედა, მამაკაცებისთვის სამსახურის შოვნა საქართველოზე მეტად აქ ჭირსო, მაგრამ, თუ იშოვნე, ანაზღაურება სოლიდურიაო. თუ გახსოვთ, ტელევიზიაში ამ დროს რეკლამა გადიოდა, უცხოეთს წასული უმუშევარი ბიჭი მშიერი, დათრგუნული და ფეხსაცმელდაგლეჯილი, ოჯახის წევრებს თავის მდგომარეობას რომ უმალავდა... ამ რეკლამაზე ვტიროდი. ვგრძნობდი, უმოწყალოდ იმედგაცრუებული იყო ჩემი შვილიც. მალე შემატყობინა, აქ გაჩერებას უკვე აზრი აღარ აქვს და ფულიც შემოგველია, შვეიცარიაში გადავდივართო, თან დაუმატა, რას იზამ, ცხოვრება ბრძოლააო.

**— შვეიცარიაშიც ბიჭებთან ერთად წავიდა? მოსწონდა ეს ქვეყანა?**

— დიდი სულიერი სიმტკიცისა და გაუტეხელი ბუნების ბიჭი იყო, წინააღმდეგობების გადალახვა შეეძლო, რითაც მეგობრებზე ზემოქმედებას ახდენდა. ყოჩი ბიჭი იყო. ერთხელ ნათესავმა მითხრა: „ლამარა, ალეკო ძალიან მიყვარს და კიდეც მეშინია მისი“. ეს შიში არ იყო, ეს იყო რიდი კაცისა, რომელიც არასოდეს დააღალატებდა ვინმეს და პირადი მაგალითით ირგვლივ მყოფთ ანამუსებდა.

შვეიცარიაში, სოფელ ვალენდტატში სოფლის მეურნეობაში იშოვეს თითქმის აუტანელი სიმძიმის სამუშაო. ის სულიერად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ფიზიკურად. კუჭი აქაც აწუხებდა, მაგრამ დიეტური კვება, ოჯახური კერძები, სითბო, ზრუნვა და ყურადღება ამ ტკივილს შეუმჩნეველს ხდიდა. იქ კი ტკივილიც და დამქანცველი შრომაც უნდა აეტანა. მეუბნებოდა, შვეიცარია თავისი მთა-გორებით საქართველოს ძალიან ჰგავსო. დედა, ნეტავი განახა, რა სუფთა და მოწესრიგებული ქვეყანაა. მათ ბანკებში მსოფლიო მილიონერების ფული ინახება, რადგან ანაბრების საიდუმლო გარანტირებულია. ძალიან გამრჯე და მუყაითი ხალხია. ყველაფერი თავიანთი აქვთ, მანქანებიდან დაწყებული წამლებით დამთავრებული. საუცხოო შოკოლადი აქვთ (ტკბილეული უყვარდა). მთელი არსებით განიცდიდა ჩვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ქვეყანაზეც და ახლობლებზეც, ბავშვურ გულჩვილობას იჩენდა. მერე გავიგე, ავად იყო, მაგრამ მონურ შრომას არ შეეშვა, რადგან ამას არ აპატიებდნენ, ხელშეკრულების ერთი მუხლიც რომ დაერღვია, უკაპიკოდ ტოვებდნენ. კლინიკებითა და სამკურნალო დაწესებულებებით სავსე ქვეყანაა, მაგრამ იმდენად ძვირია, რომ ემიგრანტებს ექიმთან ვიზიტზე ფიქრიც კი არ შეუძლიათ. გამოსავალი ისევ რელიგიაში ნახა — მარხვა, ლოცვა და რწმენა მტკივნეული არსებობის შემსუბუქებაში ეხმარებოდა. მე კი ყველაფერს მიმალავდა. ბოლო დროს საშინელი წინათგრძნობა გამიჩნდა, მაგრამ ამას ვერ წარმოვიდგენდი. ალეკო რომ დამელაპარაკა, ბებიის წლისთავზე ვესაუბრე. გაყუჩული მისმენდა. ბოლოს მკითხა, ფული გყოფნით, იცოდეთ არაფერი დააკლოთო. მიუხედავად გულისხმიერებისა, მის ხმაში სამდურავის კილო ვიგრძენი. ახლა ვხვდები, ბედსაც ემდუროდა და ხვედრსაც, რომ ნათესავთა ჭირილხინიდან „მოკვეთილი“ იყო. ყველაზე მეტად ეს საყვედურგარეული ხმა მახსოვს, რომელიც ყველასა და ყველაფრის მიმართ იყო გაჟღერებული. ის უკვე შინაგანად გრძნობდა საბედისწერო აღსასრულის მოახლოებას.

**— მაინც როგორ მოხდა... ნუთუ იქ მყოფებმა მასზე არ იზრუნეს, ის ხომ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო?**

— წლისთავის შემდეგ, საქმეს გვიანობამდე შევყევი. როდესაც ფანჯრებს ვკეტავდი, მეზობელთა ჩოჩქოლი მომესმა. ამ დროს თურმე მთელმა კვარტალმა უკვე იცოდა, რომ ალეკო გულით დაიღუპა. გულს არასოდეს უჩიოდა. მართალია, მთელი ვალენდტატი მის გადარჩენას ცდილობდა, მაგრამ ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. მეორე დღეს დავრეკეთ შვეიცარიის ქართულ საკონსულოში, სადაც მისი გარდაცვალება დაგვიდასტურეს. ბიჭები დამპირდნენ, რომ მის გადმოსვენებას მოახერხებდნენ და ხარჯებსაც თავად დაფარავდნენ, რაც მთელი რიგი ოფიციალობის გარდა, საკმაოდ ძვირი ჯდება. შვეიცარიაში ბევრი ქართველი მუშაობს, ახალგაზრდა ქართველი ემიგრანტის უდროო სიკვდილმა მთელი სათვისტომო შეძრა. ბიჭებმა გერმანიაში მყოფი ქართველებიც შეაწუხეს და გარდაცვალებიდან 10 დღის შემდეგ უზარმაზარი მანქანების კოლონა თბილისის აეროპორტისკენ მიდიოდა მასთან შესახვედრად. თვითონ კი ცივი, გაშეშებული, თვალდახუჭული და გამოშიგნული დამიბრუნდა. მის კუბოს თავს ვურტყამდი... რისთვის გავუშვი ჩემი შვილი ცხრა მთას იქით, რა უნდოდა მას ასე შორს, ვის მკლავებში დალია სული?.. (გულამოსკვნილი შვილდაკარგული დედა საოცარი სიფაქიზითა და მგრძნობელობით დიდხანს გოდებდა).

ბიჭებმა მიამბეს, პეტრე-პავლეს მარხვას გულმოდგინედ ინახავდა, ბოლოს ეზიარა კიდეცო. ნერვები დაჭიმული ჰქონდა... თუმცა ყველა მასე ვართო. ვწვალობთ, ვჯახირობთ, ვირჯებით დილიდან დაღამებამდის, მაგრამ უსიხარულო ცდაში ვართ ჯვარცმულნი, ჯერჯერობით მხოლოდ პროცენტიან ვალს ვისტუმრებთ.

## მართალია, სამყარო იმდენად კულტურული გახდა, მათრახის ცემით აღარ გვერეკებიან სამუშაოზე, მაგრამ უამრავი დახვეწილი ხერხებით მაგრად გვთრგუნავენ. ხშირად გველახება თავმოყვარეობა და ღირსებაც.

ამგვარ პირობებში ჯანმრთელობასაც ნელ-ნელა ვკარგავთ. უცხოეთში ყოფნა და მუშაობა შრომა-გასწორების კოლონიას ჰგავს, არ შეიძლება წუთით მოცდე, ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანო, შვეიცარული საათივით ზუსტი თვითკონტროლით უნდა იმუშაო. შენ იქ ადამიანი არ ხარ, ოფლადდაღვრილს კი, საკუთარ მოქალაქეებთან შედარებით, მიზერულს გიხდიან. ამ ტრაგიკული ბედით ბევრი ჩვენთაგანია გულატკივებული. ესაა მწარე სიმართლე. ვიღაცეები კი იძახიან, იმიტომ წავიდნენ, რომ ქ კარგი ცხოვრება აქვთო. ქალბატონო ლალი, მე გეკითხებით, თუ ახალგაზრდა კაცს 21-ე საუკუნეში ღირსეულად ცხოვრება უნდა, დანაშაულია?

ალეკო მეგობრებს უფრო გულახდილად ესაუბრებოდა, მე დარდისთვის ვერ მიმეტებდა. ერთისთვის უთქვამს, შვეიცარიაში უცხოთა მიმართ სიყრუე და გულგრილობა ახასიათებთო. ეს ლამაზი ქვეყანა მზეთუნახავს ჰგავს, თვალს ახარებს, გვხიბლავს, მაგრამ ვერ მიეკარებიო. გულდაწყვეტილი შევცქერი ჩემს გვერდით გალაღებულ ევროპელებსო.

ხშირად მსტუმრობენ შვეიცარიაში მყოფი ალეკოს მეგობრების მშობლებიც. წუწუნებენ, რომ წლობით დაშორებამ მათი შვილები გააქსუა, ახლობელთა ზარებს სიტყვაძუნწობით პასუხობენ, მძიმე სამუშაომ არაქათი გამოაცალათ, გაატლანქათ და გააუხეშათო. ალეკო ხშირად მირეკავდა, ახლაც კი ტელეფონის ზარზე მისი ხმის გაგონებას ველოდები... მენატრებითო — მეუბნებოდა და ყელში ბურთი ეჩხირებოდა. მე კი ჩვენსკენ გამოწვდილ მის ხელებს ვერ ვამჩნევდი. მას ისეთი ნებისყოფა ჰქონდა, მეგონა, სხვებზე უკეთ აუღებდა ალღოს უცხო ქვეყანას.

**— ქალბატონო ლამარა, თქვენი შვილის დაღუპვაში ვინმეს ადანაშაულებთ?**

— უპირველესად ჩემს თავს, ჩვენმა თაობამ ჩვენს შვილებს ისეთი ქვეყანა ვერ დავახვედრეთ, სადაც ეცხოვრებოდათ. ისტორიულ გამოცდებს ბევრი მსხვერპლი მოაქვს. ჩემი შვილი მარტო მე არ მომიკვდა, ის ქვეყანას დააკლდა.

## ჩემი შვილი უცხოეთში გარდაიცვალა, მაგრამ ირინა ენუქიძეს ბიჭი თვალწინ მოუკლეს... უკვე მეორედ ომის ქარცეცხლში ახალგაზრდა თაობების მთელი წყება მიწაში ჩააწვინეს, ზოგი კი ქუჩაში ლუკმა-პურის საძიებლად უპატრონო ძაღლებივით გამორეკეს.

ჩვენმა ხელისუფლებამ ბოროტი დედინაცვალივით გარეკა „სახლიდან“ უნუგეშოდ დარჩენილი ჩვენი შვილები და ქვეყნის კარიბჭე თვალწინ მიუკეტა. სამშობლო წაგვართვეს და საჯილდაო ქვად აქციეს, დედა-ენა შეგვიგინეს და მამათა კვალზე გაზრდილი ჩვენი ბიჭები ცხრა მთას იქით გადაკარგეს, რითაც სიცოცხლის სიყვარული მოუსპეს და სულიერი სიმშვიდე დაუნგრიეს. ზუსტად დანაშაულებრივი პოლიტიკის ბრალია, რომ ჩემი შვილი უცხოელთა მოსამსახურედ და გლახად იქცა. იხტიბარს კი დღესაც არ იტეხენ, უაზრო სიტყვების ჟღარუნით ქვეყნის მომავალს დასაღუპავად იმეტებენ. ამ ბნელეთის მოციქულებმა დაღუპვის ულმობელი განაჩენი ქვეყანას უფრო ადრე გამოუტანეს, ვიდრე ამას ხალხი მიხვდებოდა... წლების მანძილზე მამულის სამსხვერპლოზე ასე წვეთწვეთად იღვრება ჩვენი შვილების სისხლი, რომელიც მოთმინებადაკარგულ ხალხს შურისსაძიებლად ამზადებს. ვიცი, ახალი საქართველო დაიბადება, საცაა მერცხლებიც დაბრუნდებიან თავიანთ ბუდეებში. ჩემი შვილი კი აღარასოდეს დამიბრუნდება.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამ კაცთან ვასილ ჯუღაშვილმა სტალინის სიცოცხლეში სასამართლო პროცესი წააგო

**მტკვარზე გაზრდილმა პლეხანოველმა ბიჭმა 21 წლის ასაკში მოსკოვში, სმოლენსკის მოედანზე მიიღო ბინა, პრესტიჟულ სახლში, სადაც ცხოვრობდნენ შინაგან საქმეთა და უშიშროების თანამშრომლები, მათ შორის რუსეთისთვის და, კერძოდ, მოსკოვისთვის კერპადქცეული ლეგენდარული ფეხბურთელი სერგეი სალნიკოვი (სალა). ეს ის დროა, როდესაც ვლადიმერ ვისოცკის თავის ცნობილ სიმღერაში ერთი ასეთი ფრაზაც ჰქონდა: „На тридцать комнат одна уборная“. ეს ის დროა, როდესაც მოსკოვის საცხოვრებელი ბინების კარზე მიმაგრებული ზარის ღილაკები აკორდეონის კლავიშებს მოგაგონებდათ.**

ჰოდა, მოსკოვის ცენტრში, ოროთახიან იზოლირებულ ბინაში (მიწისქვეშა გარაჟით) ცხოვრობდა ერთი ქართველი ბიჭი — პეტრე (კაკო) მშვენიერაძე. ვინ იყო იგი და რა დამსახურება ჰქონდა მას, როგორც სპორტსმენს, ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ. მოვიშველიებ მხოლოდ გაზეთში „სოვეტსკი სპორტი“ დაკრძალვის დღესთან დაკავშირებით დაბეჭდილი სტატიის სათაურს: „პეტრე (კაკო) მშვენიერაძე იყო წყალბურთის დიდი პეტრე პირველი და წყალბურთის პელე“. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, კაკოს შეეძლო, იმდენი ბურთი გაეტანა მოწინააღმდეგის კარში, რამდენიც საჭირო იყო მოგებისთვის. უპირატესობა გამოიხატებოდა წყლიდან ზეადამიანური, დელფინისებრი ამოვარდნით. მსოფლიოში სპორტის ამ სახეობაში უძლიერესნი იყვნენ უნგრელები. ბუდაპეშტში წყალბურთზე გამოცემული წიგნის გარეკანს პეტრე მშვენიერაძის ფოტო ამშვენებდა წარწერით: „მსოფლიოს საუკეთესო მეკარეთა რისხვა“. საილუსტრაციოდ საკმარისია ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: იმ დროისთვის საჰაერო ძალების სარდალი გახლდათ ვასილ ჯუღაშვილი, რომელმაც, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მოიტაცა პეტრე მშვენიერაძე და „ვვს“-ის გუნდს ჩაუყენა სათავეში. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ შინაგან საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე აბაკუმოვი და ვასილ ჯუღაშვილი. საბოლოოდ თვითონ კაკომ გადაწყვიტა თავისი ბედი, უცვლელი კაპიტანი მოსკოვის „დინამოს“ დაუბრუნდა. ვასილმა თვითნებობისთვის იგი სასამართლოს გადასცა (იმ დროს სტალინი ცოცხალი იყო). სტალინის შვილმა პროცესი წააგო. სასამართლო დარბაზიდან ჯუღაშვილმა კაკო თავის ბინაში დაპატიჟა. შინ ავტომანქანიდან დარეკა, ვახშამი მოამზადებინა და კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ ორივე სერიის მიტანა დაავალა. იმ დღეს თბილისიდან შვილთან სტუმრად ჩავიდა კაკოს დედა — ნადეჟდა. კაკოს დედის ნახვა უნდოდა და სახლში წასვლა ეჩქარებოდა. გაიგო რა ვასილმა მისი წუხილის მიზეზი, მაშინვე დედასთან დარეკვა შესთავაზა. რაკი კაკოს ბინაზე ტელეფონი არ ჰქონდა (მაშინ ბინის ტელეფონი ხომ ფუფუნება იყო), ვასილმა იმწამსვე აიღო ყურმილი და თავის ადიუტანტს უბრძანა: „სარქისოვ! ახლავე დაუდგით მშვენიერაძეს ტელეფონი ბინაზე და მომახსენეთო“. რამდენიმე საათის შემდეგ ნადეჟდას აღელვებული და გაკვირვებული ხმა ისმოდა ყურმილში.



ძლიერი ფიზიკური მონაცემების გარდა კაკოს მეტად გამჭრიახი გონება, შორსმჭვრეტელობა და საოცარი იღბალი ჰქონდა. მასთან დანიძლავება წაგების ტოლფასი იყო. ასეთი რამ, რასაც ახლა მოგიყვებით, ალბათ, ზღაპარში თუ ხდება მხოლოდ. თბილისში ჩამოსული კაკო კამოს ქუჩაზე, მშობლიურ სახლში ჩერდებოდა. მეგობრების თავმოყრის ადგილი ლუდის ქარხნის ეზო იყო, ვერთობოდით — ვთამაშობდით ნარდს, ჭადრაკს, ვსვამდით ლუდს და ხანდახან ოთხ კამათელსაც ვაგორებდით — ვინც ნაკლებს გააგორებდა, თამაშიდან გადიოდა. თორმეტმა ბიჭმა სალაროში ჩავდეთ 1200 მანეთი. ათნი გავვარდით თამაშიდან. დარჩა ორი — კაკო და მამია. მამია სიხარულიძემ გააგორა ორი შაში და ორი ბეში. კაკო ეუბნება მამიას: **„მომე ჩემი ასი მანეთი და კამათელს არ გავაგორებ“.** მამია იცინის, იღებს 1200 მანეთს და ჯიბეში იდებს. მდგომარეობა იძაბება. ხმაურზე გამოდის ქალბატონი ნადეჟდა, კითხულობს: — რა ამბავია, რა ხდება? კაკო განმეორებით მიმართავს მამიას, თან კამათლებს ხელში ათამაშებს: **„მამია, ხომ იცი, დედაჩემი როგორი მორწმუნეა, ღმერთია ჩვენი მფარველი“**. ამ სიტყვების დამთავრებისთანავე კაკომ კამათლები აყარა. ღრიალმა შეძრა იქაურობა — სამი შაში და ერთი ბეში იჯდა დაფაზე.

**მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში რამდენჯერმე ნამყოფ კაკო მშვენიერაძეს მხოლოდ თბილისი და შავი ზღვა იზიდავდა. ნიკო კეცხოველის რექტორობის პერიოდში მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში დაიცვა. ბატონ ნიკოს განსაკუთრებით უყვარდა კაკო. ამაყობდა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის სპორტსმენი, დიდი ავტორიტეტის მქონე, საბჭოთა კავშირის ნაკრების და მოსკოვის „დინამოს“ კაპიტანი, ოლიმპიური ჩემპიონი, მრავალგზის პრიზიორი მისი სტუდენტი იყო.**

ასევე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო კაკოს მეუღლე ნათელა გოგუა, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის მოსკოვში ნაღდი ქართული ოჯახის შენარჩუნებაში, ვაჟების ქართული სულისკვეთებით აღზრდაში. შვილები — ნუგზარ და კახა მშვენიერაძეები, მამის კვალს გაჰყვნენ. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი ნუგზარი და ოლიმპიური ჩემპიონი კახა თბილისში, კამოს ქუჩაზე მდებარე სამშობიარო სახლში დაიბადნენ... მოსკოვში მშვენიერაძეების ბინა საქართველოდან და, განსაკუთრებით, თბილისიდან ჩასულების გასაჩერებელი ადგილი გახლდათ. ტრადიცია ახლაც გრძელდება. კაკოს თბილისში ჩამოსვლა კი ჩვენთვის დიდი დღესასწაული იყო. ყველაზე დიდ დროს საცურაო აუზს უთმობდა. მთელი „ლაგუნა-ვერე“, ვლადიმერ გოიაშვილის მეთაურობით, პეტრეს მიმართ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა.



**კაკოს უამრავი მეგობარი ჰყავდა როგორც მოსკოვში, ისე თბილისში. ზღვაზე დასვენების ადგილი მუდამ აფხაზეთი იყო, ხოლო შემდეგ — ქობულეთი, ბათუმი და სარფი.**

ერთხელ ბიჭვინთაში ვისვენებდით და რიწის ტბაზე ავედით. კაკოს თან ახლდა ცნობილი წყალბურთელი ვალია პროკოპოვი. ჩვენთან ერთად იყვნენ ქ-ნი მედეა ჯაფარიძე და ბ-ნი რეზო თაბუკაშვილი, ბ-ნი ეროსი მანჯგალაძე და გაგრის პროკურორი. რიწის ტბის მიდამოები ხალხს ვერ იტევდა. იმ დროს მხატვრული ფილმის გადაღება მიმდინარეობდა. მთავარ როლებში მედეა ჯაფარიძე და ეროსი მანჯგალაძე იყვნენ დაკავებულები... ერთი უცნობი მამაკაცი მომიახლოვდა და მეკითხება:

— **ჩვენ აქ დანიძლავებულები ვართ და გვაინტერესებს, ეს პეტრე მშვენიერაძეა?**

— დიახ, — ვუპასუხე.

— **მაშინ ერთი წინადადება მაქვს, თუ შეიძლება.**

— კი ბატონო, მითხარით, რაშია საქმე?! — იყო ჩემი პასუხი.

— **5000 მანეთს ვდებთ, თუ მშვენიერაძე რიწის ტბას გადაცურავს.**

რიწის ტბაში ცურვა დაბალი ტემპერატურისა და უცნაური სიღრმის გამო რეკომენდებული არ იყო, მაგრამ კაკოსთან შეთანხმებით წინადადება მიღებულ იქნა. თანხა ქალბატონ მედეას ჩავაბარეთ. მე, ყოველი შემთხვევისთვის, კატერი დავიქირავე და მოვლენების განვითარებას დაველოდე. საზოგადოებაში წამსვე გაჟონა ამ ამბავმა და სანაპირო მაყურებლებით გაივსო. კაკო თავით გადაეშვა წყალში. მაგრამ მოხდა საოცრება. მშვენიერაძე წყლიდან ნაპირზე ამოხტა. ხალხმა იღრიალა. კაკო კვლავ გადაეშვა ტბაში და ისეთი სიჩქარით გაცურა მეორე ნაპირისკენ, რომ კატერიც კი ვერ დაეწეოდა. საღამოს რესტორანში სუფრა გაიშალა. თამადა ეროსი მანჯგალაძე გახლდათ. მოგებული თანხა, რა თქმა უნდა, რესტორანში დარჩა და იქვე გულახდილადაც აღინიშნა:

— **ჩვენ ვიცოდით, პეტრე მშვენიერაძე რომ გადაცურავდა რიწას. მიზანი თქვენი გაცნობა და დაახლოება იყოო.**

პირადად მე, კაკო უკვდავი მეგონა, მაგრამ სიკვდილს არ ცოდნია. უკვდავება ჩვენ ვიცით, მისმა მეგობრებმა.

წლეულს კაკო მშვენიერაძე 80 წლის გახდებოდა. მაშ, გაუმარჯოს კაკოს იმქვეყნიურ უკვდავებაში!..

იგი ტროეკუროვის სასაფლაოზე განისვენებს. გულზე თბილისის მიწა აყრია. საფლავის ქვას ერთ მხარეს ქართული წარწერა — „წმიდა გიორგი“ — ამშვენებს.

წერილი პეტრეზე, აკაკი ბაქრაძის სიტყვებით მინდა დავამთავრო: „მე იმ ადამიანების რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც სწამს სულის უკვდავება, და ღრმად მჯერა, რომ ჩვენი შეხვედრა ისევ შედგება“.

**ჟანი სიხარულიძე**

## შეერთებულ შტატებში ხუთი ბავშვის ცხედარი იპოვეს

გასულ შაბათს ამერიკის ქალაქ გრეხემის (ვაშინგტონის შტატი) პოლიციამ 7-დან 16 წლამდე ასაკის ხუთი ბავშვის ცხედარი იპოვა. როგორც ოლქის გამომძიებლებმა განაცხადეს, ისინი ცეცხლსასროლი იარაღით მამამ დახოცა. ამ საშინელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ 35 წლის მამაკაცი მეზობელ ქალაქში გაემგზავრა, სადაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

**„იტარ-ტასი“**

## ბრაზილიამ ჩინეთს დოლარზე უარის თქმა შესთავაზა

ბრაზილიის პრეზიდენტმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელს შესთავაზა, ორივე მათგანისათვის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით უარი ეთქვა დოლარზე. როგორც ლუის ინასიუ ლულა და სილვამ ჟურნალისტებს განუცხადა, სწორედ ამაზე იყო საუბარი ხუ ცზინტაუსთან შეხვედრის დროს, რომელიც ოთხშაბათს ლონდონში შედგა, სადაც ფინანსური „ოცეულის“ სამიტი მიმდინარეობდა.

„ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი მექანიზმები, რათა არ ვიყოთ ასე ძალიან დამოკიდებული დოლარზე“, — განაცხადა ბრაზილიის პრეზიდენტმა, ისაუბრა რა ალტერნატიული მსოფლიო სარეზერვო ვალუტის მოძიებაზე. ამასთან, ლულა და სილვამ აღიარა, რომ საუბარი არ არის უბრალო პროცედურაზე. იმდენად, რამდენადაც ნაციონალურ ცენტრალურ ბანკებს აქვთ თავიანთი სპეციფიკური წესები, მოუწოდა მათ ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისაკენ. როგორც მოსალოდნელია, ეს თემა კვლავაც იქნება წამოწეული პეკინში მაისში დაგეგმილ ლულა და სილვას ვიზიტის დროს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ბრაზილიის ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორია. წარსულში ორმხრივმა საქონელბრუნვამ შეადგინა 36,4 მილიარდი აშშ დოლარი, ოთხი მილიარდი დოლარის გადამეტებით აზიის სახელმწიფოს ექსპორტის მხარეს. გასული წლის სექტემბერში ბრაზილია და არგენტინა აღმოჩნდნენ დოლართან და ვაჭრობაში ერთმანეთთან ანგარიშგასწორებულნი, გადაიანგარიშეს რა ყველაფერი ბრაზილიურ რეალზე და არგენტინულ პესოზე.

**„იტარ-ტასი“**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## იგორ პანარინი:

# პოსტსაბჭოთა სივრცის ხელმწიფე ვლადიმერ პუტინი იქნება

**მსოფლიო კრიზისი და აშშ-ის დასუსტება, რომელიც ამ ქვეყნის დაშლით შეიძლება დამთავრდეს, მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკას შეცვლის. უახლოეს წლებში სსრკ-ის ყოფილი ქვეყნები რუსეთის გარშემო ახალ — ევრაზიულ კავშირში გაერთიანდებიან თავისი ვალუტით, პარლამენტით და მას სათავეში ვლადიმერ პუტინი ჩაუდგება. ევრაზიული კავშირი ევროკავშირის პრინციპით აიგება. შედეგად მსოფლიოში ძალის სამი ცენტრი წარმოიქმნება: ჩინეთი, ევროკავშირი და ევრაზიული კავშირი. ასეთ სენსაციურ პროგნოზს გვთავაზობს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი იგორ პანარინი.**



**— ნახევარი წლის წინათ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ თქვენს პროგნოზს აშშ-ის დარღვევის შესახებ გრანდიოზული ეფექტი მოჰყვა. თქვენ მაშინ გამოდიოდით CNN-ით, თანაც „პრაიმტაიმში“; იბეჭდებოდით „უოლ სთრიტ ჯორნელის“ პირველ გვერდზე, მთელ მსოფლიოში კითხულობდით ლექციებს; ახლა — ახალი პროგნოზი და ახალი სკანდალი?**

— ევრაზიული კავშირის შექმნის პროგნოზით, ჯერ კიდევ 2006 წელს გამოვდიოდი. მაგრამ პოსტსაბჭოთა ინტეგრაციამ სწორედ ახლა მიიღო მძლავრი სტიმული ეკონომიკური კრიზისის სახით, რომელსაც ამერიკა ნგრევისა და დაშლისკენ მიჰყავს. მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები კოლოსალურ ცვლილებათა მიჯნაზე იმყოფება. ახლა შესაფერისი მომენტი დადგა იმაზე დასაფიქრებლად, თუ როგორი უნდა იყოს მსოფლიო არქიტექტურა. მისი პირველი კონტურები უკვე გამოჩნდა. ჩინეთმა უკვე დაუჭირა მხარი რუსეთის წინადადებას დოლარის ნაცვლად მსოფლიო სუპერვალუტის შექმნის თაობაზე. ეს აბსოლუტურად ესადაგება ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ლოგიკას: ჩინეთმა ხელი უნდა მოჰკიდოს წყნარი ოკეანის სივრცის ინტეგრაციას, რუსეთმა კი — პოსტსაბჭოთა სივრცისას, ეროვნულ ვალუტებზე დაყრდნობით. რუბლი და იუანი შეიძლება „მიზიდულობის ცენტრებად“ იქცეს სხვა სახელმწიფოებისთვისაც, სუპერვალუტად АКЮРЕ (რუსული აბრევიატურით).

### „ლიდერს ვუწოდებდი ხელმწიფეს“

**— ასეთი იდეები დიდი ხნის წინათაც გაჩენილა, მაგრამ მათ განხორციელებას ხელს უშლის სეპარატიზმი.**

— ამ თვალსაზრისით ახლა უნიკალური სიტუაცია ყალიბდება. ჯერ კიდევ გუშინ ბევრი ისეთი ფაქტორი მოქმედებდა, რომლებიც აბრკოლებდა ინტეგრაციას პოსტსაბჭოთა სივრცეში. დღეს კი მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ლოგიკა მოითხოვს ახლებურ მოქმედებას, რომელიც წარმატებით უნდა დაგვირგვინდეს... დღეს რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, შეიმუშაოს ევრაზიის ინტეგრაციის მოდელი ან ფორმულა.

**— ამ ფორმულამ თვისებრივად ახალი კავშირი უნდა მოგვცეს?**

— დიახ, ეს უნდა იყოს სახელმწიფოთაშორისი კავშირი, არა სსრკ-ის სქემით, არამედ ევროკავშირის სქემით. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროკავშირი, რომელიც ახალ წევრებს იერთებს, ამასთანავე ქმნის ბალანსის გარკვეულ მექანიზმებს, მაგრამ ევროკავშირმაც კი შემოიღო პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები. პოსტსაბჭოთა სივრცეს ასევე სჭირდება სახელმწიფოთაშორისი წარმონაქმნი. მის ლიდერს ვუწოდებდი „ხელმწიფეს“, სიტყვას, რომლის ხმარებაც უყვარდა მაკიაველს.

**— ვინ გახდება ხელმწიფე?**

— პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს ხელმწიფე პუტინი იქნება. მისი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი, ჯერ ერთი, ავტორიტეტით სარგებლობს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ ელიტაში და, მეორე, გვიჩვენა, როგორ ეფექტიანად უხელმძღვანელა რვა წლის განმავლობაში რუსეთს.

**— მაკიაველი ამბობდა, რომ ხელმწიფეს შეხამებული უნდა ჰქონდეს ლომისა და მელიის თვისებები. ლომი ძლიერია, მელიას კი შეუძლია გააცუროს ყველაზე ცბიერი მოწინააღმდეგეც კი. პუტინს ამ ორ თვისებათაგან რომელი უფრო ესადაგება?**

— ხელმწიფე ლომისა და მელიის თვისებებიდან ირჩევს იმას, რომელიც მოცემული სიტუაციისთვისაა უმჯობესი. რვა წლის განმავლობაში პუტინი ძირითადად მელია იყო: იგი დაკავებული იყო რუსეთის აღდგენითა და მოწყობით. შედეგს პრინციპულად მიაღწია, მაგრამ ლომად ყოფნაც უწევდა ჩეჩნეთის საკითხში, მიუნჰენში წარმოთქმულ სიტყვაში...

ახლა შეიქმნა სიტუაცია, როცა ამერიკელები კარგავენ მსოფლიო ლიდერობას. უეჭველად შემცირდება აშშ-ის როლი და გავლენა ევრაზიაში, შეიქმნება ვაკუუმი. აი, ამ დროს რუსეთი არჩევანის წინაშე აღმოჩნდება: ან დარჩეს მელიად და ელოდოს, სანამ სხვები გააძლიერებენ თავიანთ გავლენას პოსტსაბჭოთა სივრცეზე (ევროკავშირი, ჩინეთი, ირანი, თურქეთი...), ან იქცეს ლომად — ზუსტად გამოკვეთოს რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების სფერო, ააგოს კეთილმეზობლობის სარტყელი და, რაც მთავარია, უზრუნველყოს ეკონომიკური ინტეგრაცია.

### „რუბლი ინტეგრაციის საფუძველი უნდა გახდეს“

**— ანუ აღადგინოს საბჭოთა კავშირის სახალხო-სამეურნეო კომპლექსი?**

— არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ რუსეთის იმპერიისაც, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. ინტეგრაცია სწორედ ეკონომიკურ ბაზაზე უნდა განხორციელდეს...

**— სამხრეთ ოსეთზე საქართველოს თავდასხმა შეიძლება გახდეს ინტეგრაციის მიზეზი?**

— ევრაზიის ინტეგრაცია ფაქტობრივად 2008 წლის აგვისტოში დაიწყო. რუსეთმა მაშინ მთელი მსოფლიო გააკვირვა. ჩინეთში რომ ჩავედი, პოლიტოლოგებმა მითხრეს: ჩვენც და ამერიკელებიც ვვარაუდობდით, რომ რუსეთი ვერ გარისკავდა, ამიტომ იძულებული გახდებოდა, დაეტოვებინა ამიერკავკასია, საიდანაც გამოდევნებული აღმოჩნდებოდა. კავკასიაში მოვლენები სხვა შედეგით რომ დამთავრებულიყო, ევრაზიაში ინტეგრაციაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნებოდა.

**— ამის შემდეგ მხოლოდ კავკასიაში შეიცვალა დამოკიდებულება რუსეთის მიმართ?**

— ფაქტობრივად, შეწყდა გაუთავებელი თავდასხმები რუსეთზე. ამ დღეებში ევროკავშირმა აღიარა, რომ საქართველოს მოქმედება სწორი არ იყო. ჩვენ მივაღწიეთ გენოციდის შეწყვეტას სამხრეთ ოსეთში... 2009 წლის გაზაფხულისთვის შექმნილია ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო წანამძღვრები ევრაზიის სივრცეში ინტეგრაციული პროცესების დასაწყებად.

### „ჩინეთს კვლავ წყნარ ოკეანეში ვხვდებით“

**— ვლადიმირ პუტინი რუსეთის პრემიერ-მინისტრად მუშაობს. თქვენ თუ მის ევრაზიის ხელმწიფობას წინასწარმეტყველებთ, როგორ განხორციელდება უფლებამოსილების გადაცემა?**

— სისტემა „პრეზიდენტი-პრემიერი“ რუსეთისთვის მაინც და მაინც მდგრადი არ არის. მთელი ჩვენი ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ხელისუფლების ორი ცენტრი სტრატეგიულად დიდხანს ვერ იარსებებს. ამიტომ ყველაზე უფრო ოპტიმალური სქემა პუტინის პრემიერ-მინისტრობიდან თანდათანობითი წასვლაა.

**— როგორ ესადაგება ევრაზიული სახელმწიფოს შექმნა აშშ-ის დაშლა-დანაწევრების თქვენეულ პროგნოზს?**

— ევროკავშირი მიიერთებს ატლანტიკურ ამერიკას, როგორც თავისი გავლენის სფეროს. რუსეთი დაიბრუნებს ალიასკას, ჩინეთი კი თანდათან გაიერთიანებს წყნარი ოკეანის სივრცეს და იქ, წყნარ ოკეანეში ჩვენ კვლავ შევხვდებით ჩინეთს...

**— თქვენი ვარაუდით, რომელი ქვეყნები შევლენ რუსეთის მეთაურობით შექმნილ ევრაზიულ თანამეგობრობაში?**

— ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა, თავდაპირველად ბალტიისპირეთის გარეშე. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავერთიანდეთ ბელორუსთან და ყაზახეთთან... ლოგიკურია, თუ ინტეგრაციის ცენტრი სანკტ-პეტერბურგი იქნება, სადაც განთავსდება ახალი ევრაზიული პარლამენტის შტაბბინა.

პუტინი შეძლებდა, სათავეში ჩადგომოდა ახალ სახელმწიფოს 2012-2017 წლებში, შემდეგ კი ახალი ვადით, კიდევ 5 წლით აირჩევდნენ.

**— შემდეგ კი — დიმიტრი ანატოლიევიჩი?**

— შემდეგ შეიძლება დიმიტრი ანატოლიევიჩიც იყოს, მაგრამ ეს არ არის მთავარი... ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს შანსი. დარწმუნებული ვარ, მხარს დაგვიჭერს როგორც რუსეთის, აგრეთვე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობაც... არავითარი უფროსი ძმები! ყველა — თანასწორუფლებიანი პარტნიორი იქნება!

# იოსებ სტალინის საპირველაპრილო ხუმრობა

**როგორც ცნობილია, 1945 წლის გაზაფხულზე ანგლოამერიკელებს საკმარისი შანსი ჰქონდათ წითელ არმიაზე უწინ ბერლინში შეჭრისა. 27 მარტს სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტი კემპბელი, რომელიც 21-ე არმიას ახლდა, იუწყებოდა: „ისინი გერმანიის გულისკენ მიისწრაფვიან და გზაზე დაბრკოლებები არ ხვდებათ.“ ჟურნალისტმა ცოტა გააზვიადა — მოკავშირეების ჯარებს წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ ეს წინააღმდეგობა თანდათან სუსტდებოდა.**

ამ ფონზე 1 აპრილს იოსებ სტალინმა ევროპაში მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარების მეთაურს დუაიტ ეიზენჰაუერს გაუგზავნა ბარათი, რომელშიც ეწერა: „ბერლინმა დაკარგა თავისი უწინდელი სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომ საბჭოთა მთავარსარდლობა ბერლინის მხარეს მეორეხარისხოვანი ძალების გამოყოფას გეგმავს.“ მოიწონა რა საბჭოთა და მოკავშირეთა ჯარების შეერთების გზით მეორე დამატებითი რგოლის შექმნის ამერიკული გეგმა ვენა-ლინცი-რეგენსბურგის რაიონში, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელმა ეიზენჰაუერს აუწყა, რომ „საბჭოთა ჯარების მთავარი იერიში, სავარაუდოდ, მაისის მეორე ნახევრში დაიწყება.“

იმავე დღეს სტალინმა „ვენაზე შეტევის“ მომზადება დაიწყო „მაისის მეორე ნახევრისთვის.“ აი, როგორ იხსენებდა ამას გიორგი კონსტანტინეს ძე ჟუკოვი: „1945 წლის 1 აპრილს უმაღლესმა მთავარსარდალმა მოისმინა ა.ი. ანტონოვის მოხსენება ბერლინის ოპერაციის საერთო გეგმის შესახებ, შემდეგ კი ჩემი მოხსენება 1-ლი ბელორუსული ფრონტის იერიშის შესახებ და კონევის ანგარიში 1-ლი უკრაინული ფრონტის იერიშის თაობაზე. მან იქვე მიუთითა მარშალ კონევს: „ბერლინის აღმოსავლეთ მისადგომებთან მტრისგან სასტიკი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, რაც სავარაუდოდ, ასეც იქნება, და პირველი ბელორუსული ფრონტის იერიშის შესაძლო დაგვიანების პირობებში, უკრაინის პირველი ფრონტი მზად უნდა იყოს, ბერლინს სამხრეთიდან შეუტიოს... 2 აპრილის ღამეს ჩემი თანდასწრებით უმაღლესმა მთავარსარდალმა ხელი მოაწერა 1-ლი ბელორუსული ფრონტისთვის ბერლინის აღების მიზნით ოპერაციის მომზადების დირექტივას და ასევე განკარგულებას, 12-15 დღის მანძილზე ელბაზე გასვლის შესახებ. მთავარი იერიშის მიტანა კიუსტრინის პლაცდარმიდან გადაწყდა.

როცა ეიზენჰაუერს წერილს უგზავნიდა, სტალინმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ იმავე დღეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს აცნობებდა: „ვფიქრობ, პოლიტიკური თვალსაზრისით, უპრიანი იქნება, გერმანიაში აღმოსავლეთისკენ წავიწიოთ, და იმ შემთხვევაში, თუ ბერლინი ჩვენთვის ხელმისაწვდომ საზღვრებში აღმოჩნდება, ის უნდა ავიღოთ. ეს გონივრული იქნება სამხედრო თვალსაზრისითაც.“

ჩერჩილი, რომელიც საბჭოთა კავშირს პოტენციურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა, ვარაუდობდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების სტრატეგიასა და პოლიტიკაში გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო შემდეგი მოსაზრებები: „დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ახალი ფრონტი მის (საბჭოთა კავშირის) გამალებული წინსწრაფვის შესაჩერებლად; ეს ფრონტი ევროპაში აღმოსავლეთით რაც შეიძლება შორს უნდა გაიშალოს; ანგლოამერიკული არმიის მთავარი და ნამდვილი მიზანი — ბერლინი, ჩეხეთის გათავისუფლება და პრაღაში შესვლაა... არ მიმაჩნია, რომ ბერლინმა დაკარგა თავისი სამხედრო და, მით უფრო, პოლიტიკური მნიშვნელობა, ამიტომ უპირატესობას ვანიჭებ იმ გეგმას, რომლის საფუძველზე დავაჩქარეთ რეინი, კერძოდ, იმას, რომ მე-9 არმიამ, 21-ე არმიასთან ერთად, ელბისა და ბერლინისკენ წაიწიოს.“

თუმცაღა, „ახალი ფრონტის“ შექმნის დაშვებასა და „აღმოსავლეთით რაც შეიძლება შორს შეჭრას“ სტალინი სულაც არ აპირებდა. არ მოსწონდა ეს იდეა. მისი აზრით, „ახალი ფრონტი“ რაც შეიძლება შორს უნდა შეჭრილიყო დასავლეთისკენ. ჰოდა, გეოპოლიტიკური სიტუაციის საბჭოური ხედვის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად, 1945 წლის 16 აპრილს „სტრატეგიულმნიშვნელობადაკარგული“ ბერლინისკენ დამხმარე ძალები — ბელორუსიისა და უკრაინის პირველი ფრონტების ჯარები დაიძრნენ.

**სეგოდნია.რუ**



# უარი ნატოს! მივბაძოთ ნეიტრალიტეტის ფინურ ვარიანტს!

**ნატო — ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია — ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით ჩამოყალიბდა და 1949 წლის 4 აპრილს დაკანონდა. ამ ორგანიზაციის დამფუძნებელი ქვეყნებია: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია, ისლანდია, პორტუგალია. მათ 1952 წელს თურქეთი და საბერძნეთი შეუერთდა; 1955 წელს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; 1982 წელს — ესპანეთი; 1999 წლიდან ევროპის სამი ქვეყანა მიემატა, ხოლო 2004 წელს — შვიდი; დღეისათვის იგი ოცდაექვს ქვეყანას აერთიანებს.**

თავის დროზე, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, იგი სსრ კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იყო მიმართული, რასაც მისი დამფუძნებლები არც მალავდნენ.

ნატო-ს შექმნას წინ უძღოდა სამხედრო-პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა ქმედებები, კერძოდ: აშშ-ს მიერ ატომური ბომბების აფეთქება იაპონიაში (ომისშემდგომი მსოფლიოს დასაშინებლად); ტრუმენ-დალესის ვერაგული დოქტრინები; უ. ჩერჩილის სიტყვა-მოწოდება 1946 წლის მარტში; აშშ-ს სახელმწიფო მდივნის — მარშალის გეგმა ომისშემდგომი ევროპის დაკაბალებისათვის და ა.შ.

თავდაპირველად სსრ კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები თავს იკავებდნენ საპირისპირო სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნისაგან; მეტიც, 1954 წლის 31 მარტის ნოტით სსრ კავშირმა გააკეთა განცხადება: **თუ ნატო მართლაც მშვიდობისმყოფელია, სსრკ მზადაა მასში გასაერთიანებლად. ეს განცხადება მეხის გავარდნა იყო ნატო-ს ბანაკში. გაუძნელდათ, მაგრამ სსრ კავშირს უარი უთხრეს. ამდენად, საბჭოთა ნოტამ ნატო-ს ნამდვილ ზრახვებს მსოფლიოს წინაშე დიდებული ლუსტრაცია მოუწყო.** მხოლოდ ამის შემდეგ, 1955 წლის მაისში, სსრ კავშირმა ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად შექმნა ნატო-ს საპირწონე ბლოკი ვარშავის ხელშეკრულების სახით.

1991 წლის დეკემბერში სსრ კავშირი დაიშალა. ცოტა ადრე ვარშავის ხელშეკრულებაც გაუქმდა. პირობის თანახმად, ნატო-ც უნდა დაშლილიყო, მაგრამ ამერიკამ ეს არ ინება. უფრო მეტიც, მან იწყო ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთისაკენ, ახლა უკვე რუსეთის ფედერაციის დაშლის მიზნით.

**ნატო დღეს აშშ-ის ხელში მსოფლიოს გლობალიზების — „ახალი წესრიგის“ დამყარების იარაღია. აშშ მზადაა, დასაჯოს ყველა, ვინც მისთვის სასურველ პოლიტიკურ დინებას დაუპირისპირდება. აკი, დაისაჯნენ კიდეც: ზ. გამსახურდია — საქართველოში, ს. მილოშევიჩი — იუგოსლავიაში, სადამ ჰუსეინი — ერაყში და ა.შ.**

ნატო-ს „საქმენი საგმირონი“ განსაკუთრებული სისასტიკით 1999 წლის გაზაფხულზე იუგოსლავიაში გამოვლინდა, რომელიც მაშინ თავდადებით ებრძოდა საკუთარი მიწა-წყლის (კოსოვოს) შენარჩუნებისათვის აშშ-ის მიერ შეიარაღებულ ალბანელ სეპარატისტებს.

ნატო-ს გაერთიანებულმა ძალებმა ულმობლად დაბომბეს იუგოსლავიის ქალაქები, დაანგრიეს საცხოვრებელი სახლები, ეკლესიები, სკოლები, ამოწყვიტეს ათასზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე. მათი ვერაგობა ვერც აღდგომის დღესასწაულმა შეაჩერა — დაბომბვები კვლავაც გრძელდებოდა. აშშ-მა წაგლიჯა იუგოსლავიას კოსოვო, სურვილი აისრულა — ააგო იქ ევროპაში ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა შვიდი ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურისთვის.

დღეს ნატო გაეროს და ისეთი გაერთიანებების გვერდით, როგორიცაა ევროსაბჭო, ევროკავშირი და სხვები, საერთაშორისო პოლიტიკის ზედმეტი ბარგია. იგი კიბოს დაავადებას დაემსგავსა, რომლის მეტასტაზები სულ უფრო მეტად იჭრება რუსეთის საზღვრებისაკენ და უკიდურესად აღიზიანებს არა მარტო მას, არამედ მრავალ სხვა ქვეყანასაც. ნატო-ს დაშლას საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიესალმება, შვებით ამოისუნთქავს.

**მავანისაგან ხშირად გვესმის: რატომ გვიშლის ხელს რუსეთი, თვითონაც გაერთიანდეს ნატო-შიო. ასეთ „მავანებს“ ვურჩევთ, წაიკითხონ ამერიკელი პოლიტოლოგის, პრეზიდენტთა მრჩეველის — ზ. ბჟეზინსკის წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა“ და გაიგებენ, რომ რუსეთის ადგილი ნატო-ში არ არის, რადგან ამ შემთხვევაში ნატო თავის ძირითად მიზან-დანიშნულებას დაკარგავს. რუსეთი თავის საზღვრებთან ნატო-ს მიახლოებით გაღიზიანებულია, იგი ცოცხალი თავით არ დაუშვებს უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაერთიანებას.**

ქართველ „ნატოელებს“ ვერ შეუგნიათ, თუ რატომ აძლიერებს რუსეთი აშშ-ის გლობალისტური პოლიტიკის საპირწონე წიაღსვლებს ჩვენს კუთვნილ აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონებში. მათ ვუსვამთ კითხვას: როგორ რეაქციას მოახდენდა აშშ, რუსეთს რომ შეექმნა ნატო-ს საპირწონე სამხედრო ბლოკი მექსიკის, ნიკარაგუის, კუბისა და აშშ-ის სხვა მეზობელ ქვეყნებთან ერთად?

**პოლიტიკურ ძალებს — პოზიციას თუ ოპოზიციას — რომლებიც საქართველოს ნატო-კენ ეწევიან, ეროვნული ინტერესების მტრებად ვთვლით, რამეთუ სამხრეთ კავკასიის გეოსივრცე რუსეთ-ირანის სამეზობლო პირობებში ამას ლოგიკურად გამორიცხავს.**

დღესავით ნათელია, აშშ ერაყში რომ არ შეჭრილიყო; ავაზაკურად რომ არ დაებომბა იუგოსლავია, არ წაერთმია კოსოვო და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ გამოეცხადებინა; ნატო რომ არ მიახლოებოდა რუსეთის საზღვრებს; საქართველოს ხელისუფალთ და ვაიოპოზიციას „ნატო მინდას“ გაუთავებელი ძახილისაგან თავი რომ შეეკავებინათ; და ბოლოს, სააკაშვილს 7-8 აგვისტოს ცხინვალის მოვლენებით არ დაეგვირგვინებინა, მაშინ რუსეთის მხრიდან საპირისპირო ქმედებები და ვერაგული აგრესიაც არ იქნებოდა.

ცხადია, აშშ-რუსეთის ჭიდილში საქართველო თავისი გეოპოლიტიკური სიბრმავის გამო სასტიკად დაისაჯა — საკუთარი მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა, ასიათასობით ლტოლვილთა ქვეყნად იქცა და საკუთარი შვილების სიცოცხლეც გაწირა.

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს შანსი აქვს, კატასტროფას თავი დააღწიოს, ამისათვის კონსტიტუციაში უნდა შეიტანოს მუხლი: „გეოპოლიტიკური სივრცის კარნახით საქართველო ნატო-ში გაერთიანებაზე უარს ამბობს; მის ტერიტორიაზე დაუშვებელია უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზების განლაგება“. მხოლოდ ამის შემდეგ დაველაპარაკებით რუსეთს და დაკარგული მიწების ბედს ჩვენს სასარგებლოდ შემოვაბრუნებთ.

მაშ, უარი ნატოს! მივბაძოთ ნეიტრალიტეტის ფინურ ვარიანტს!

**გივი გურეშიძე**
**მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**
**ნუგზარ აკალიანი**
**მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**

# აპრილის შუა რიცხვებიდან მსოფლიო კარდინალურად შეიცვლება

**მსოფლიო კრიზისის პირობებში ნათელი მომავალი ზოგს გვირაბის ბოლოს გამოჩენილ სინათლედ ესახება, ზოგს — გლობალური ლიდერის პოზიციაზე გასვლადაც. კრიზისის დაძლევა მსოფლიო ლიდერობის ხელში ჩაგდებით — აი, ასეთი ორგანზომილებიანი პერსპექტივაა. დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ ამ პერსპექტივის ახალ ჩოხას ამერიკის შეერთებული შტატები თავის, ცოტა არ იყოს, შელახულ ტანზე (დაკნინებულ ეკონომიკასა და დაცემულ ავტორიტეტზე) ირგებს.**

**აშშ-მა, როგორც გლობალური ლიდერობის პრეტენზიის მქონე სახელმწიფომ, არსებული მსოფლიო ფინანსური სისტემის პირობებში მსოფლიო წესრიგი ვერ შეინარჩუნა.**

და, როგორც მსგავს ვითარებაში ხდება ხოლმე, გამოჩნდა სხვა სახელმწიფო, რომელსაც იმედი აქვს, რომ ჩაენაცვლება მას „ისტორიის ლოკომოტივის“ როლის შესრულებაში, თანაც არა შორეულ მომავალში, არამედ სამიოდ წლის თავზე — 2012 წელს.

**ეს სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაა.**

**შეძლებს? — მარტო ვერ გასწევს ამ ჭაპანს. მესამე ქვეყანაც დასჭირდება ასეთი გლობალური ამოცანის გადაწყვეტას.**

**სასიყვარულო სამკუთხედი არა, მაგრამ ის მესამე ქვეყანა, რომელიც შეკრავს სამკუთხედს მსოფლიო მეურნეობის „მკვდარი წერტილიდან“ გამოსაყვანად, არის რუსეთი.**

რაღაც ტრიუმვირატის მსგავსი? — სავსებით შესაძლებელია! ყოველ შემთხვევაში, არა „ერთპიროვნული მმართველობა“.

ასე მიაჩნიათ ექსპერტებს.

მაგრამ იგივე ექსპერტები ფიქრობენ, რომ საამისოდ რუსეთი ჯერ მზად არ არის.

ფიქრობენ და ეძებენ გამოსავალს, ენერგიულად, მასშტაბურად, წამყვანი ფინანსისტებისა და ეკონომისტების მოხმობით, თეორეტიკოსების და პრაქტიკოსების ერთობლივი ძალისხმევით.

მათი აზრით, „ხაროში ჩავარდნილი“ გლობალური ეკონომიკის ნორმალური განვითარების ფართე შარაგზაზე გამოყვანა დღევანდელი მსოფლიო ფინანსური სისტემის რეფორმის ენერგიას ხელეწიფება მხოლოდ.

**ეს — პრინციპულად და ზოგადად. კონკრეტულად კი ამ მოსალოდნელი (ან შესაძლო) რეფორმის მთავარი პუნქტი, გნებავთ, საკითხთა საკითხი შემდეგია: საჭიროა, რომ შეიცვალოს სიმდიდრის აღმნუსხველი ერთეული, რომლის როლს 1972 წლიდან ასრულებდა ოქროსთან კავშირგაწყვეტილი აშშ-ის ქაღალდ-ელექტრონული დოლარი.**

დღესავით ნათელია, რომ დღევანდელი მსოფლიო ფინანსური სისტემის მკვეთრი რეფორმა დოლარის კრახს და აშშ-ის გაკოტრებას გამოიწვევს. მიუხედავად ამისა, მიაჩნიათ, რომ რეფორმირება აუცილებელი და გარდუვალია, თუმცა ფორსმაჟორულ სიტუაციაში მისი 2-3 წლით გაწელვა კრიზისის გახანგრძლივებას გამოიწვევს. სწორედ ამიტომ ჯერ ჩინეთი, შემდეგ რუსეთი გამოდიან განცხადებებით, რომელთა პათოსი შემდეგია: საინვესტიციო ბანკების „დასესხების უნივერსალურ უფლებათა“ ნაცვლად გაიზარდოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის „დასესხების სპეციალური უფლებების“ როლი; ხოლო სპეციალური მცურავი საშუალებების ერთობლიობას (დოლარი, ევრო, იენი და ფუნტი, რომლებიც აშშ-ის დოლართან არის შეფარდებული), დაემატოს ჩინური იუანი, რუსული რუბლი და ოქრო.

ახლა კი, მივყვეთ ფინანსისტების განმარტებას, რომლებიც ამ დამატებასა თუ გაჯერებაში ვისთვის კრახს, ვისთვის აღზევებას ხედავენ.

**მათი აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ „დასესხების სპეციალურ უფლებათა“ მულტისავალუტო სისტემის კალათში ოქროს, როგორც „მარადიული ფასეულობის“ დამატება გამოიწვევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კალათის ვალუტების კოტირებას (შეფასებას) არა ქაღალდის დოლარის ვირტუალური (წარმოსახვითი) ღირებულების მიმართ, არამედ კეთილშობილი ლითონის წონის ერთეულის ნატურალური (ბუნებრივი) ღირებულების მიმართ.**

როგორც კი ეს მოხდება, დოლარი მსოფლიო ვალუტის ნაცვლად ეროვნულ ვალუტად იქცევა. ჩინური იუანის ღირებულება კი, რომელიც „ფაბრიკა XXI“ საუკუნის ნატურალურ მაჩვენებლებს, აგრეთვე, რუბლისა, რომელიც ბუნებრივი რესურსების ნატურალური მაჩვენებლებითაა განმტკიცებული, ოქროსთან შეფარდებაში ამაღლდება. დოლარის, ევროს, იენისა და ფუნტის ფასი, რომლებიც მაღალი ტექნოლოგიების „ცივილიზებულ რენტას“ ეყრდნობა, დაიწევს.

**მოკლედ, მსოფლიო ფინანსური ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლებს.**

ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ასეთ რადიკალურ ცვლილებას არც შეეგუება და, ბუნებრივია, არც ხელს შეუწყობს. პირიქით, ხელიდან არ გაუშვებს მართვის სადავეებს. ეს დადასტურდა ლონდონში გასულ კვირაში გამართული დიდი ოცეულის — G-20-ის სამიტზე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფინანსისტთა ინტერნაციონალი როტშილდების და ბარუხების ჯგუფის სახით, რომელიც მხარს უჭერს ჩინეთს, დოლარის კრახის წინააღმდეგ არ გამოვა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბანკების ოქროს სწორედ როტშილდები აკონტროლებენ.

**გიგანტების ამ ბრძოლას თავი დავანებოთ, მით უფრო, რომ პრობლემა „ვინ ვის“ ჯერჯერობით პრაქტიკულ სიბრტყეში არ გადასულა.**

**მთავარი იმის გარკვევაა, როგორი პერსპექტივა ისახება ადამიანებისთვის, რა არის მათთვის უფრო ღირებული — ნატურალური თუ ვირტუალური ფასეულობანი, „დასესხების უფლება“ თუ „დაგროვების უფლება“.**

**რუსეთ-ჩინეთის სტრატეგიულ ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ანდრეი დევიატოვის მტკიცებით, გლობალური ეკონომიკისათვის სარეზერვო ვალუტის შეთავაზება, რომელიც მიბმული არ იქნება ამა თუ იმ ქვეყნის სუვერენიტეტთან, შეუძლია რუსეთს.**

საინტერესოდ მსჯელობს ბატონი დევიატოვი: რუსეთს თითქმის არა აქვს ლითონის ოქრო სახელმწიფო საცავში, მაგრამ საბადოებზე მნიშვნელოვანი დადასტურებული მარაგი გააჩნია. სწორედ ის გარემოება, რომ ოქროს მიწის წიაღიდან ჯერ კიდევ არ არის მოპოვებული, უზრუნველყოფს მის დაცულობას გაძარცვისგან და გახარჯვისგან ვალების დასაფარავად. რუსეთის ფედერაციას მიწის წიაღში არსებულ ოქროს არ შეიძლება დაემართოს ის, რაც მსოფლიო საბანკო ოქროს დაემართა ამერიკის ფორტ ნოქსსში: აქედან იგი 1972 წელს გაქრა. აშშ დოლარების გაფართოებული ემისია, მისი აზრით, უზრუნველყოფილია მხოლოდ აშშ-ის სამხედრო ძლიერებით. სწორედ ამ ძლიერებამ, მაგრამ სამხედრო წარმატების დემონსტრირების გარეშე, გამოიწვია მსოფლიო საკრედიტო სისტემის კრიზისი.

**აშშ-ის მიერ სამ წელიწადში ერთხელ ორგანიზებული საომარი დარტყმები „ბოროტების ღერძის“ ქვეყნების წინააღმდეგ, რაც ბუშის კოვბოური საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო, 1999 წელს — იუგოსლავია, 2001 წელს — ავღანეთი, 2003 წელს — ერაყი, ვეღარ გაგრძელდა ირანსა და ჩრდილოეთ კორეაში ისტორიული წარუმატებლობის გამო ერაყში. ამ მოსაზრების ავტორი მიიჩნევს, რომ აშშ-ის ეკონომიკის გაკოტრებისგან გადარჩენა შეუძლია მხოლოდ ახალ საომარ კამპანიას „არასტაბილურ ზონაში“ სუეცის არხიდან (მიზეზი — სომალელი მეკობრეები) ჩინეთის სინცზიანამდე (მიზეზი — ნეოთალიბები) და სპარსეთის ყურიდან კასპიის ზღვამდე (მიზეზი — ქურთები).**

როგორ ცვლილებებს ელიან საქმეში ჩახედული სპეციალისტები უახლოეს მომავალში G-20-ის ლონდონის სამიტის შემდეგ?

უწინარეს ყოვლისა, შეიცვლება რუსეთის პოლიტიკური კურსი (ვარაუდობენ შუა აპრილისათვის), ხოლო შემდეგ (მაისის შუა რიცხვებისათვის) სავსებით მოსალოდნელია, კარდინალურად შეიცვალოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარება მსოფლიოშიც.

საინტერესოა, ამ პერსპექტივას თუ ითვალისწინებს საქართველოს ხელისუფლება თავის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიაში?

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კიევმა იაპონელებს ჰაერი მიჰყიდა

**საბჭოთა ფანტასტიკის კლასიკოსის კაზანცევის რომანში აღწერილი სცენის — „ჰაერის გამყიდველის“ — რეალიზაციას უკრაინაში ცოტა თუ მოელოდა. რამდენიმე დღის წინ უკრაინის ერთ-ერთმა ყველაზე რეიტინგულმა ტელეარხმა გაავრცელა ცნობა, რომ უკრაინის ხელისუფლება წარმატებით ებრძვის ეკონომიკურ კრიზისს. იულია ტიმოშენკომ სიხარულით აცნობა ხალხს, რომ იაპონიისთვის ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოფრქვევაზე კვოტის მიყიდვა 4,5 მლრდ გრივნად მოახერხა!**



პრემიერის თქმით, მთავარი ისაა, რომ მოსახლეობას ამის შედეგად გაზის საფასური ორჯერ შეუმცირდება. მის ხმაში შეფარული სიხარული ჟღერდა იმის გამო, რომ „ახლა აღარ მოუწევთ გროშების თხოვნა იმ წყეული მოსკალებისგან (დაცინვით ასე უწოდებენ უკრაინელები მოსკოველებსა და, ზოგადად, რუსებს) გაზის საფასურის გადასახდელად!

**აქ ერთი ძველი ოდესური ანეგდოტი გამახსენდა. რაბინოვიჩს, რომელსაც სსრკ-ის საგარეო ვაჭრობის სამინისტროში განყოფილების უფროსად მოწყობა უნდა, პარტკომის მდივანი სამ შეუსრულებელ ამოცანას: ეგვიპტეში — ქვიშის, გერმანიაში — ლუდის, ჩინეთში — ბრინჯის გაყიდვას ავალებს.**

პირველი ორი დავალება რაბინოვიჩმა ორ კვირაში შეასრულა, ჩინეთიდან კი ნახევარი წლის შემდეგ ძლიერ დაღონებული დაბრუნდა, რადგან ბრინჯი ვერ გაასაღა. „როგორ? — გაუკვირდა მდივანს, — თქვენ ხომ გაცილებით რთულ დავალებებს გაუმკლავდით?..“ — „ამხანაგო მდივანო, — მიუგო რაბინოვიჩმა, — საქმე ისაა, რომ ნახევარი წლის განმავლობაში ჩინეთში ერთ ებრაელსაც კი ვერ მივაგენი!“

ჰოდა, როგორც ჩანს, უკრაინის დელეგაციას გაუმართლა და იაპონიაში უკრაინელს მიაგნეს.

ეს ყველაფერი ძალიან სასაცილო იქნებოდა, ამ „ეკონომიკურ გარღვევას“ ზოგიერთი სამწუხარო შედეგი რომ არ მოჰყვებოდეს. ჯერ ერთი, რომ ატმოსფერული გამონაბოლქვების დონე გადამამუშავებელი ან ენერგეტიკული კომპლექსების საწარმოების სამუშაოთი დატვირთვის ხარისხზე მეტყველებს — თუ ისინი გაჩერებულია, გამონაბოლქვიც არ არის. გამოდის, უკრაინის მინისტრთა კაბინეტი ვარაუდობს, რომ ქვეყნის მეტალურგია და ქიმიური მრეწველობა გაჩერებული იქნება, ხოლო იაპონური საწარმოები, შესაბამისად, იმუშავებენ.

**მეორეც, პრემიერის თქმით, ეს 4,5 მლრდ კი არ შეიჭმება, არამედ „მოდერნიზაციას“ მოხმარდება. ალბათ, მხედველობაში აქვთ სახლების მოდერნიზაცია, და გაუგებარია, ეს როგორ შეამცირებს გაზის საფასურს?**

**მესამეც — რას გაყიდის უკრაინა მომავალში? წყალსა და მიწას? რატომაც არა! მოსახლეობა მაინც მცირდება, საფლავს კი ბევრი მიწა არ სჭირდება.**

**სეგოდნია.რუ**

# ყველაზე ძველი ანეკდოტები

**კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა მერი ბიარდმა რომის იმპერიის პერიოდში დაწერილ წიგნში Philogelos მსოფლიოში ყველაზე „წვერიანი“ ანეკდოტები აღმოაჩინა. წიგნის კვლევისას მერი ბიარდმა დაასკვნა, რომ ხუმრობათა ეს კრებული ამჟამად ცნობილთა შორის უძველესია. მისი შექმნის დრო ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნით თარიღდება.**



„ამ კრებულს ვერაფრით უწოდებ ძალიან სასაცილოს, მაგრამ ის წარმოდგენას გვიქმნის, თუ რაზე იცინოდნენ უძველეს დროში“, — ამბობს პროფესორი. მისი თქმით, კრებულში ანეკდოტები თემებად არის დაყოფილი. არის ციკლები „დაბნეულ პროფესორზე“ და „შარლატან წინასწარმეტყველზე“. თავად მერი ბიარდის საყვარელი ხუმრობა კი ასეთია: „სწავლულმა, დალაქმა და მელოტმა მოგზაურობისას ღამე ერთ შენობაში გაათიეს. ღამით დალაქმა სწავლულს თავი გადაჰპარსა. დილით, როდესაც სწავლული გააღვიძეს, მან თავი მოისინჯა და დაიყვირა, ჩემ მაგივრად შეცდომით მელოტი გაგიღვიძებიათო“.



კიდევ ერთი ხუმრობა 248 წლით თარიღდება, როდესაც რომში ათასწლეულის დასრულების აღსანიშნავად სპორტული თამაშები ტარდებოდა. შეჯიბრებაში დამარცხებით გულდაწყვეტილი სპორტსმენი ერთ-ერთმა მაყურებელმა ასე დაამშვიდა: „არა უშავს, შემდეგ ათასწლეულში კიდევ ცადე“. ანეკდოტების უძველეს კრებულში შევიდა, აგრეთვე, ხუმრობა პაციენტზე, რომელმაც ექიმს შესჩივლა, ყოველ დილით ადგომის შემდეგ ნახევარი საათი თავბრუ მეხვევა ხოლმეო. ექიმმა კი ურჩია, შენც ნახევარი საათით უფრო გვიან ადექიო.

აი, კიდევ რამდენიმე ანეკდოტი: „პედანტს უნდოდა, მისი ვირი ჭამას გადაჩვეოდა და საერთოდ არ აძლევდა საკვებს. როცა ვირი შიმშილით მოკვდა, პატრონმა დაიჩივლა: ესაა საქმე? ის-ის იყო, ჭამას გადავაჩვიე...“ ანდა: როდესაც კარის დალაქმა მეფეს ჰკითხა, როგორ ინებებდა გაკრეჭას, მონარქმა მიუგო: „უხმოდ“.

როგორც ჩანს, ძველ რომაელებს იუმორის გრძნობა სათანადო დონეზე ჰქონდათ... და სავსებით შესაძლებელია, ამ „წვერიანმა“ ანეკდოტებმა მალე რომელიმე თანამედროვე იუმორისტულ კრებულში პოვოს ადგილი.

# მარქსი მართალი იყო...

**კანადელ ფსიქოლოგთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მორწმუნეები ამოცანებს უკეთ უმკლავდებიან, ვიდრე ათეისტები. მუშაობისას ფსიქოლოგები უამრავ სხვადასხვა ტესტს იყენებენ, მაგალითად, რორშახის, ლიუშერის ცნობილ ტესტებს, IQ-ს და ა.შ. აქტიურად გამოიყენება, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული სტრუპტესტი, რომელიც ჯერ კიდევ 1935 წელს შეიმუშავა ფსიქოლოგმა ჯონ რიდლი სტრუპმა.**



ცდის პირებს „ამოსაცნობად“ წარუდგენენ რამდენიმე ათეულ სიტყვას, რომლებიც ერთნაირი, მაგრამ სხვადასხვა ფერის შრიფტით არის დაბეჭდილი. მან მხოლოდ ფერი უნდა დაასახელოს. მაგრამ ტესტის მზაკვრობა ისაა, რომ ეს სიტყვები სპექტრის ფერების დასახელებაა. ამასთან, სიტყვის ფერი მის მნიშვნელობას არ ემთხვევა, მაგალითად, სიტყვა „მწვანე“ ყვითლად არის დაბეჭდილი, ხოლო „წითელი“ — ლურჯად. გასაკვირი არ არის, რომ გამოსაცდელები სიტყვას კითხულობენ და უნებლიეთ არასწორად პასუხობენ.

**ტორონტოს უნივერსიტეტის (კანადა) მეცნიერთა ჯგუფმა დოქტორი მაიკლ ინცლიხტის ხელმძღვანელობით სტრუპტესტი მოხალისე სტუდენტთა ორ ჯგუფს ჩაუტარა. ერთ მათგანში ყველა მორწმუნე იყო (როგორც ჩანს, ქრისტიანი), ხოლო მეორეში — ათეისტი. შედეგები საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა — მორწმუნეებმა სწორი პასუხების გაცილებით უფრო მაღალი პროცენტი აჩვენეს. ტესტირებისას იზომებოდა ტვინის ქერქის იმ ნაწილის აქტიურობაც, რომელიც არასწორი პასუხის შემთხვევაში „კრიტიკაზეა“ პასუხისმგებელი. ამან ფსიქოლოგებს ქრისტიანებისა და ურწმუნოების შედეგებს შორის განსხვავების ახსნის საშუალება მისცა.**

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ რწმენა სასიკეთოდ მოქმედებს მორწმუნეზე, რომელიც გაცილებით ნაკლებ სტრესს განიცდის, ნაკლებად შფოთავს და არ წუხს შეცდომის დაშვებისას. „მორწმუნის თავში განგაშის ზარი უფრო ჩუმად რეკს“, — ამბობს მაიკლ ინცლიხტი და კარლ მარქსის ცნობილ გამონათქვამს იხსენებს: „რელიგია ოპიუმია ხალხისათვის“. ფსიქოლოგიის დოქტორის თქმით, მის მიერ მიღებული შედეგები ამ ფორმულას ფსიქოსომატურ დონეზე ადასტურებს.

# თალიბები ვაშინგტონს ემუქრებიან

**რადიკალური მოძრაობა „თალიბანი“ ვაშინგტონზე ტერორისტული იერიშისათვის ემზადება, — განაცხადა თალიბების პაკისტანური ბირთვის ლიდერმა ბაითულა მეხსუდმა. მისი თქმით, იერიშის მასშტაბები მსოფლიოს გააოცებს. თავდასხმა მოკლე ხანში განხორციელდება და შემსრულებლებიც მზად არიან.**

მეხსუდმა დააზუსტა, რომ სწორედ მისი ბოევიკები დაესხნენ თავს პაკისტანის პოლიციის საწვრთნელ ბანაკს 2009 წლის 29 მარტს. მისი თქმით, ამით შური იძიეს პაკისტანის ხელისუფლებაზე, რომელიც „უფლებას აძლევს ამერიკელებს, ავიაიერიშები განახორციელონ მის ტერიტორიებზე.“

**გფბ-ის (ფე-ბე-ერი) თქმით კი, ასეთი განცხადებები ტერორისტებისგან უწინაც გაისმოდა, მაგრამ არავითარი ქმედება არ მოსდევდა. აშშ-ში მეხსუდი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტად მიიჩნევა — ამერიკა მასში 5 მლნ დოლარს იხდის!**

ახლახან ცნობილი გახდა, რომ აშშ-ისა და ავღანეთის ხელისუფლება თალიბებს შერიგებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას სთავაზობს მათი ლოიალობის სანაცვლოდ. ავღანეთში სიტუაციის სტაბილიზაციის საკითხი განიხილებოდა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და 80-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

**კლინტონის განცხადებით, თალიბებს, რომლებიც ავღანეთის ხელისუფლებასთან დაზავდებიან და კონსტიტუციას დაიცავენ, საზოგადოებაში რე-**



**ინტეგრაციის საშულება მიეცემათ. თუმცა, ამისთვის „ყველა კავშირი უნდა გაწყვიტონ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაცია „ალ-ქაიდასთან.“**

თავის მხრივ, კარზაიმ მხარი დაუჭირა აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას განზრახვას ავღანეთში დამატებითი ძალების, ინსტრუქტორებისა და სამოქალაქო დამკვირვებლების გაგზავნის თაობაზე.

**სეგოდნია.რუ**

# უკრაინის მთლიანი შიდა პროდუქტი 30%-ით შემცირდა

**იანვარ-თებერვალში უკრაინის მთლიანი შიდა პროდუქტის ვარდნამ 2008 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 25-30% შეადგინა. ასეთი მონაცემები მოიყვანა ახლახან უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ პარლამენტის მიმართვაში.**

**შედარებისთვის: 2008 წლის იანვარ-თებერვალში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5,8% შეადგინა. მთლიანობაში კი, გასული წლის შემაჯამებელი მონაცემებით, უკრაინის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 2,1%-მდე შემცირდა.**

***„ჩვენ მზად არ აღმოვჩნდით კრიზისისთვის და მისი პირველი დარტყმა ძალზე მტკივნეულად გადავიტანეთ... დავკარგეთ გარე ბაზრები, რომლებზეც უკრაინის ექსპორტის 60% მოდიოდა. ამ ბაზრებზე იყო დამოკიდებული მთელი ჩვენი სავალუტო მოგება და 2 მლნ კაცის დასაქმება მეტა-***



***ლურგიაში, ქიმიურ მრეწველობასა და სხვა დარგებში,“***

— განაცხადა ვიქტორ იუშჩენკომ.

მან აღნიშნა, რომ სახელფასო დავალიანებამ 2008 წლის ოქტომბრიდან 2009 წლის იანვრამდე 1,6 მლრდ გრივნას მიაღწია, ხოლო უმუშევართა რიცხვი ორჯერ გაიზარდა.

ამასთან, პრეზიდენტის თქმით, *„ჩვენს პოტენციალს მოწმობს ერთი სახასიათო ფაქტი: კრიზისამდე უკრაინის ეკონომიკის ზრდის ტემპები 6,5-7%-ს აღწევდა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ევროპაში... დარწმუნებული ვარ, ეს მაჩვენებელი კიდევ გვექნება.“*

პრეზიდენტი მომხრეა ბანკების რეკაპიტალიზაციის პროცესის სწრაფად დაწყებისა, ხოლო 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამისათვის 44 მლნ გრივნაა გამოყოფილი. ბანკების რეკაპიტალიზაციის პროცედურა საბანკო სფეროსადმი ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს, — თქვა პრეზიდენტმა. სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა მეანაბრეებს, არ გაიტანონ დეპოზიტები, რაც ასევე დადებითად აისახება საბანკო სექტორზე.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ირანის გაზსადენმა „ნაბუკოს“ აჯობა

**ირანი ახალ რევოლუციას დაგვპირდა — ამჯერად ევროპის ბუნებრივი აირით მომარაგებასთან დაკავშირებით. ირანული აირი დასავლეთისკენ გადაიგზავნება, მაგრამ არა „ნაბუკოს“ საშუალებით. ირანის ნავთობის მინისტრის გოლიამჰუსეინ ნოზარის 1 აპრილს გაკეთებული განცხადების თანახმად, მუშავდება პროექტი, რომლის მიხედვით ირანის ბუნებრივი აირი ევროპას უნდა მიეწოდოს ერაყის, სირიის, ხმელთაშუა ზღვის, მერე კი საბერძნეთისა და იტალიის გავლით. ეს განცხადება ნოზარმა სირიაში ვიზიტის დროს გააკეთა და მისი ტონით იგრძნობოდა, რომ მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. ასე რომ, რუსეთის გვერდის ავლით ყველაზე ამბიციური გაზსადენის მშენებლობის გეგმა შესაძლოა, გაცამტვერდეს – მისთვის „თავისუფალი“ აირი არ დარჩება.**



ამ სიტუაციაში გაზსადენ „ნაბუკოს“ მშენებლობას, ალბათ, საერთოდ აღარ აქვს აზრი. ევროპელები მისი საშუალებით თურქმენეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და ირანის გაზის ტრანსპორტირებას აპირებდნენ. ახლა პირველი ორი ქვეყანა დასავლეთისაკენ გადასაგზავნ აირს უკვე „გაზპრომზე“ ყიდის, და საკმაოდ სარფიანად. აზერბაიჯანიც ამასვე აპირებს, ირანმა კი სულაც საკუთარი საექსპორტო პროექტის შესახებ განაცხადა. „ნაბუკოს“ გაზსადენისათვის აირი, უბრალოდ, აღარ დარჩა.

„სპარსული გაზსადენის“ პროექტის დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, ირანი პირველ რიგში შეეცდება, თავისი პროდუქცია სირიის ქიმიურ ქარხნებში გადაამუშაოს. შესაძლებელია თხევადი აირის დამზადებაც და სპეციალური ტანკერებით ევროპაში გადაზიდვა. ეს შედარებით ნაკლებ ინვესტიციას მოითხოვს და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ირანმა შესაძლოა, ეს ვარიანტი აირჩიოს, — ვარაუდობენ ექსპერტები.

ეს ახალი მარშრუტი ირანისათვის მეტად მოსახერხებელია. იგი აირის მიწოდებას მეგობარი ქვეყნების გავლით მოახდენს. რატომ არ მოელის ირანი რაიმე პრობლემებს ერაყში, მასთან ხომ სულ ცოტა ხნის წინ ომი ჰქონდა გაჩაღებული? უბრალოდ, ირანი სათავისოდ გამოიყენებს ერაყში ამერიკული აგრესიის შედეგებს. ამერიკელებმა სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაამხეს. ამჟამად ერაყში მეტად ძლიერია შიიტების გავლენა, რომლებიც ირანშიც მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ. ახალი გაზსადენით სარგებლობა შესაძლოა, თურქმენეთმაც მოინდომოს, ეს კი ავტომატურად გადააქცევს ირანს ბუნებრივი აირის მიწოდების რეგიონულ კოორდინატორად.

**რუსეთს ირანთან ნორმალური ურთიერთობა აქვს და შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს გაზსადენის მშენებლობაში. მას კარგი ურთიერთობა აქვს სირიასთან, ამიტომ რუსული კომპანიები ამ ქვეყანაშიც შეძლებენ მილსადენის გაყვანასა და გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობაში მონაწილეობას. მით უფრო, რომ რუსული „ტრანსგაზი“ უკვე აშენებს სირიაში გაზის გადამამუშავებელ ორ ქარხანას, ოღონდ სხვა პროექტების ფარგლებში.**

# მინსკმა მოსკოვს 100 მილიონი სთხოვა

**მინსკი მოსკოვისაგან ფინანსურ დახმარებას ითხოვდა, რათა ურთიერთანგარიშსწორება რუსულ რუბლში მოეხდინა. ამის შესახებ ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემა იუწყება. მისივე ცნობით, ბელორუსმა სახელმწიფო გარანტიით რუსულ ბანკებს 2 მლრდ დოლარის კრედიტი სთხოვა.**

მოლაპარაკებები ამის თაობაზე გრძელდება. რუსეთისა და ბელორუსის პრეზიდენტები მოსკოვში ამასწინანდელი შეხვედრისას მინსკისთვის მრავალმილიარდიანი კრედიტის გამოყოფის საკითხსაც შეეხ-



ნენ. მედიის მონაცემებით, ალექსანდრე ლუკაშენკომ ვერ შეძლო რუსი კოლეგის დარწმუნება, რომ მას ბელორუსიისთვის სასტაბილიზაციო კრედიტი გამოეყო.

ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ალექსეი კუდრინმა მაშინ ჟურნალისტებს აუწყა, რომ ბელორუსიისთვის 100-მილიარდიანი კრედიტის გამოყოფის საკითხი განიხილებოდა. აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა, დამკვირვებელთა თქმით, დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩაივლიდა ბელორუსის პარლამენტის სხდომა, რომელიც 2 აპრილს დაიწყებოდა.

# ლატვიაში კრიზისმა მინისტრების ჯიბეებს დაარტყა

**ლატვიის მთავრობამ გაჭიანურებული დებატების შემდეგ გადაწყვიტა, მინისტრებს ხელფასი 20 პროცენტით შეუმციროს. ამის შესახებ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ვალდის დომბროვსკისმა განაცხადა.**



უწინ ლატვიის იმჟამინდელმა პრემიერმა ივარს გოდმანისმა, რომელიც წლეულს, 20 თებერვალს, გადადგა, ხელი მოაწერა ბრძანებულებას 2009 წლისთვის მინისტრების ხელფასების 15 პროცენტით შემცირების თაობაზე.

ლატვიაში მინისტრის ხელფასი 2,147 ათას ლატს (დაახლოებით 4,294 ათასი დოლარი) შეადგენს.

ევროკავშირში ყველაზე ძლიერ ეკონომიკურ ვარდნას ლატვია განიცდის. 2008 წლის მეოთხე კვარტალში ქვეყნის შიდა მთლიანი პროდუქტის ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 10,5 პროცენტით შემცირდა. დეკემბერში კი მთავრობამ ნაციონალური ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამა მიიღო, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებების ხარჯების 15 პროცენტით შემცირებასა და საგადასახადო წილის ზრდას ითვალისწინებდა.

# საბერძნეთში მასშტაბური გაფიცვებია

**ბერძნული პროფესიული კავშირები გაიფიცნენ. გაფიცვაში მონაწილეობენ ტრანსპორტის, ავიაკომპანიების და სხვა სამსახურის თანამშრომლები. აქციის მონაწილეები ხელისუფლებისაგან მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოებისათვის სუბსიდიების მოცულობის გაზრდას ითხოვენ.**

ორმა ბერძნულმა პროფესიულმა კავშირმა, რომლებიც 2 მილიონამდე ადამიანს აერთიანებს, დემონსტრაციები ათენის ცენტრში გამართეს. პროფკავშირების მიერ ორგანიზებული გაფიცვის დევიზია: „მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების გამო, მუშახელმა არ უნდა გადაიხადოს“.

ავიადისპეტჩერთა გაფიცვის გამო ავიაკომპანია „ოლიმპიკ ეარლაინსმა“ და „ეგეის ავიახაზებმა“ გააუქმეს 95 შიდა და საერთაშორისო რეისი, ხოლო 25 — გადადეს.

გაფიცვისას ათენში მთელი დღის განმავლობაში არ მოძრაობდა საქალაქთაშორისო მატარებლები და ტრამვაი. ასევე შეჩერებული იყო ავტობუსების მიმოსვლა. ქალაქში დღის მანძილზე არ მუშაობდა ბანკები, საავადმყოფოები და ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება.

# საით მიექანება უკრაინა



**„უკრაინამ უნდა გააცნობიეროს, რომ საათში 150 კმ-ის სიჩქარით კედლისკენ მიფრინავს,“ — განაცხადა საერთაშორისო პოლიტეკონომიის ევროპული ცენტრის დირექტორმა ფრედრიკ ერიქსონმა მას შემდეგ, რაც უკრაინის პარლამენტმა უარი თქვა ზოგიერთი ანტიკრიზისული კანონპროექტის მიღებაზე.**

„უახლოეს მომავალში უკრაინას უფრო მეტი სირთულეები ექნება, რადგან 2 თვეში გაცილებით ნაკლები გადასახადები აიკრიფება. ხოლო თუ კიევი საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ფულს არ მიიღებს, დეფოლტი მოხდება,“ — განაცხადა ერიქსონმა.

**ექსპერტის თქმით, „უკრაინაში ბევრი ამით სპეკულირებს და მიაჩნია, რომ კიევი მაინც მიიღებს ამ თანხებს, რადგან დეფოლტი ქვეყანაში მოქმედ დასავლურ ბანკებს წელში გაწყვეტს, რაც, თავის მხრივ, ევროპის სხვა ქვეყნების ეკონომიკაზეც აისახება. მაშასადამე, დასავლური სახელმწიფოების ხელმძღვანელები დეფოლტს არ დაუშვებენო... ასეთი არგუმენტაცია მცდარია.**

არა მგონია, ეს საკმარისი არგუმენტი იყოს საერთაშორისო-სავალუტო ფონდისთვის სახსრების გასაცემად,“ — დასძინა ერიქსონმა.

შეგახსენებთ, რომ 31 მარტის პლენარულ სხდომაზე უკრაინის უმაღლესმა რადამ უარი განაცხადა ტიმოშენკოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი სამი „ანტიკრიზისული“ კანონპროექტის განხილვაზე. **უკრაინის მთავრობის ხელმძღვანელმა კანონპროექტების განხილვის ჩაშლაში ქვეყნის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო დაადანაშაულა.**

**რეგნუმი**

# მიშელ ობამამ ინგლისის დედოფალთან შეხვედრისას პროტოკოლი დაარღვია

**ბუკინგების სასახლეში ელისაბედ მეორესთან შეხვედრის დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მეუღლემ მიშელ ობამამ უხეშად დაარღვია პროტოკოლი და დედოფალს გადაეხვია.**



უცხოური მედიის ინფორმაციით, ინციდენტი მიღების დასრულების შემდეგ მოხდა. **„მიშელ ობამა და დედოფალი ერთმანეთის გვერდით იდგნენ, როდესაც ელისაბედი სიმპათიის გამოხატვის ნიშნად ამერიკის პირველ ლედის მსუბუქად მოეხვია, რაზეც მიშელ ობამამ ასეთივე ჟესტით უპასუხა და გამოსალმებისას უთხრა დედოფალს: „შეხვედრისგან დიდი სიამოვნება მივიღე“, — წერენ უცხოური გამოცემები.**

ცნობისათვის: **ძველი ბრიტანული ტრადიციისა და პროტოკოლის თანახმად, დედოფალთან შეხება კატეგორიულად იკრძალება. თავად დედოფალს შეუძლია, ნებისმიერ მის სტუმარს შეეხოს, სწორედ ამისათვის იცვამს იგი ხელთათმანებს შეხვედრების დროს.**

შეხვედრა ლონდონში „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში გაიმართა. ბარაკ ობამამ ელისაბედ მეორეს საჩუქრად „აი-პოდი“ და ამერიკელი კომპოზიტორის რიჩარდ როჯერსის რარიტეტული წიგნი გადასცა. საპასუხოდ დედოფალმა ამერიკელ სტუმრებს საკუთარი პორტრეტი უსახსოვრა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ჰუმანიზმის წყარო, შესაძლოა, პირველყოფილი რელიგია იყო

**გასული საუკუნის 60-იან წლებში ესპანეთის ერთ-ერთ გამოქვაბულში 50 ათასი წლის წინათ მცხოვრები ჰომო საპიენსის არასრული ჩონჩხი აღმოაჩინეს. დაზიანებათა ხასიათის მიხედვით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ საბრალოს გამოქვაბულის დათვმა ორივე ხელი მოაგლიჯა.**



ასეთი ჩონჩხები ადრეც უპოვიათ, მაგრამ აქ სწავლულები სრულიად მოულოდნელ ფაქტს წააწყდნენ — ტრაგედიის შემდეგ ‘მონადირემ კიდევ 15 წელი იცოცხლა და იმ დროის კვალობაზე ფრიად ხანდაზმული — 40 წლისა გარდაიცვალა. საოცარია, რომ ის სისხლდენისგან არ დაიღუპა, მაშასადამე, ვიღაცამ ნახვევი დაადო. მაგრამ ის ამის შემდეგაც ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად საკვების მოპოვებას. ესე იგი, ტომმა ინვალიდის რჩენა თავის თავზე აიღო.

**ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ უხელო ინტელექტუალი იყო და ზრუნვის სანაცვლოდ ტომი მისგან მნიშვნელოვან რჩევებს იღებდა ცეცხლის მოპოვების, ნადირობის მეთოდების, აღზრდის პრინციპების შესახებ. ანუ იმ შორეულ წლებში არა მხოლოდ ძალას, არამედ უკვე ჭკუასაც აფასებდნენ. თუმცა არსებობს სხვა თეორიაც — ჩვენს წინაპრებში ჰუმანიზმის ადრეული წარმოშობის თაობაზე, რაც ასევე სასიამოვნოა.**

ამ თვალსაზრისს ირიბი მტკიცებულებაც გამოუჩნდა. პალეოანთროპოლოგებმა გამოიკვლიეს დაახლოებით 500 ათასი წლის წინათ მცხოვრები „ჰაიდელბერგელი ადამიანის“ სახეობის წარმომადგენელი გოგონას თავის ქალა. ეს სახეობა ნეანდერტალელთა და, შესაძლოა, თანამედროვე ადამიანის წინაპრად მიიჩნევა. გოგონას კრანიოსინოსტოზი, ანუ თავის ქალას ძვლების ნაადრევი შეზრდა, აღმოაჩნდა. ასეთი გადახრის დროს მზარდი ტვინი ქალას ძლიერ დეფორმირებას იწვევს, საგრძნობლად იმატებს თავის ქალას შიდა წნევა, ბავშვი მკვეთრად ჩამორჩება თანატოლებს განვითარებაში. ცხოველები ასეთ ნაშიერებს ტოვებენ, გოგონამ კი საკმაოდ დიდხანს, თითქმის 12 წელი იცოცხლა. აქედან გამომდინარე, მასზე ზრუნავდნენ, მაგალითად, ხელით აჭმევდნენ. მაშასადამე, ჩვენს წინაპრებში ჰუმანიზმის წარმოშობამ რამდენიმე ასეული ათასი წლით უკან გადაინაცვლა.

**არანაკლებ საინტერესოა მესამე თეორიაც — ეს ჰუმანიზმი კი არა, რელიგიის ჩანასახია. შესაძლოა, ჰომინიდები ფიზიკურ სიმახინჯეს უზენაესი ძალების გამოვლინებად მიიჩნევდნენ და პირველყოფილი კვაზიმოდო მათი წარმომადგენელი, ზოგჯერ კი ტომის მფარველიც კი გახლდათ.**

ამ მისტიკისგან ძალიან შორს არც შუა საუკუნეების ქრისტიანობა წასულა. ოღონდ იეზუიტები საბრალო მახინჯებზე არ ზრუნავდნენ, ეშინოდათ მათი, როგორც ეშმაკის მსახურების, და ხშირად კოცონზეც წვავდნენ.

## მირეკ ტოპოლანეკი:
# ობამას ჯოჯოხეთისკენ მივყავართ

**ევროკავშირის ხელმძღვანელი ამ ნახევარი წლის განმავლობაში, ჩეხეთის პრემიერ-მინისტრი მირეკ ტოპოლანეკი აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ანტიკრიზისული პროგრამის უპრეცედენტო კრიტიკით გამოვიდა.**

ევროპარლამენტში გამოსვლის დროს ტოპოლანეკმა განაცხადა: ეროვნული ეკონომიკის გადარჩენის ამერიკული გეგმა „ჩაფუშავს მსოფლიოს საფინანსო ბაზრის სტაბილურობას“. **იმ დროს, როდესაც ევროპის ქვეყნები ცდილობენ, შემოიღონ უფრო მკაცრი სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკის სფეროში, აშშ ახდენს უზარმაზარი სახსრების ინვესტირებას ეკონომიკური განვითარების პროექტებში. „ეს არის გზა ჯოჯოხეთისკენ“, — განაცხადა ტოპოლანეკმა.**

ასეთი მკვეთრი გამოხდომა გაისმა აშშ-ის პრეზიდენტის როლში ბარაკ ობამას პირველი ევროპული ტურნეს წინა დღეს. ეს ტურნე სწორედ პრაღაში დაიწყო, თანაც „ოცეულის“ სამიტის წინა დღეებში. ყველაზე მთავარია ის, რომ სტრატეგიული პარტნიორის უპრეცედენტო კრიტიკაზე წასვლა ტოპოლანეკმა გადაწყვიტა უნდობლობის ვოტუმის მიღების შემდეგ. ჩეხეთის პარლამენტმა მოითხოვა ტოპოლანეკის მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობის გადადგომა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში კრიზისის მესამე მსხვერპლი გახდა. მანამდე გადააყენეს ლატვიისა და უნგრეთის მთავრობები.

ამ ფონზე გასაგები ხდება ტოპოლანეკის პოზიცია აშშ-ის პროტექციონისტულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. **კერძოდ, მან დაგმო ობამას მიერ გამოცხადებული ლოზუნგი: „იყიდე ამერიკული“. ამან ვოტუმისაგან, შეიძლება, იგი ვერ იხსნას, მაგრამ მის რეიტინგს ჩეხეთის მოსახლეობას შორის, რომლის პოზიციასაც ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განთავსებასთან დაკავშირებით დღემდე უგულებელყოფდა, აუცილებლად აამაღლებს.**



**ქსენია ფოკინა**

# ობამა რუსულ ენას სწავლობს

**1 აპრილს, „დიდი ოცეულის“ სამიტის წინა დღეს, ლონდონში დიმიტრი მედვედევი პირველად შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას. დაგეგმილი ორმოცი წუთის ნაცვლად შეხვედრა საათნახევარს გაგრძელდა.**

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებთ ამერიკელი პრეზიდენტი საკუთარ პოლიტიკოსებზე უფრო მეტად უყვართ. 1 აპრილს ყველა მსხვილი ბრიტანული გაზეთის სათაურები ერთმანეთს ჰგავდა — „დიდი ბრიტანეთი მიესალმება ობამას“ — გვერდით კი ფოტო, რომელზეც ამერიკელი პრეზიდენტი თავის მეუღლე მიშელთან ერთად ლონდონის აეროპორტ „სტენსტედში“ თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოდის. ბორტზე ცისფერზოლიანი თვითმფრინავი სიდიდით ყველასგან გამოირჩეოდა. ობამამ პირველ გლობალურ ტურნეში 500-კაციანი გუნდი წაიყვანა, ხოლო კორტეჟში კოლეგებზე ბევრად მეტი მანქანა ჰყავდა.

**თავიდანვე აშკარა იყო, რომ თეთრი სახლის მეთაურის გრაფიკში დიმიტრი მედვედევთან შეხვედრას განსაკუთრებული ადგილი ეკავა.**

**— ჩვენ ძალზე განსხვავებულები ვართ, მაგრამ უნდა ვეძებოთ ის, რაც გვაერთიანებს, — გაუზიარა ობამამ ბრიტანელ ჟურნალისტებს.**

ივლისში ამერიკის პრეზიდენტი მედვედევის მიპატიჟებით მოსკოვს ეწვევა.

— იმიტომ, რომ ივლისში უფრო თბილა, ვიდრე იანვარში, — გაიღიმა ობამამ და მათთვის, ვინც ამ ნართაულად ნათქვამს ვერ მიუხვდა, განმარტა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დათბება.

— ჩვენ გაცილებით მეტი ისეთი პოზიცია გვაქვს, რომლებიც გვაერთიანებს, — დაასკვნა მედვედევმა.

**ობამამ მას რუსულად გადაუხადა მადლობა, მერე კი ინგლისურად განმარტა:**

**— რუსულ ენას ვსწავლობ, თუმცა ბატონმა პრეზიდენტმა ინგლისური უკეთ იცის, ვიდრე მე – რუსული.**

# ჩინელებმა მოიფიქრეს, როგორ ჩაძირონ ამერიკული ავიამზიდები



**ჩინეთში მუშავდება ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც, ექსპერტთა აზრით, 2000 კმ-მდე მანძილზე მსხვილგაბარიტიანი ხომალდების, მათ შორის, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიამზიდების დაზიანება ძალუძს.**

ახალ რაკეტაში ასახვა პოვა ბალისტიკური შეიარაღების სფეროში არსებულმა ყველა მოწინავე ტექნოლოგიამ. მიზანში ამოღება თანამგზავრის მეშვეობით ხდება, ფრენისას მას შეუძლია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებისთვის მიუწვდომელი მანევრების შესრულება. 2000 კილომეტრის გასავლელად „ავიამზიდთა მკვლელს“, როგორც მას პენტაგონში უწოდეს, მხოლოდ 12 წუთი სჭირდება.

**ამ ინფორმაციამ ამერიკელი სამხედროები შეაშფოთა. ზოგიერთი მათგანის აზრით, შეერთებულ შტატებს ახლადწარმოქმნილი საფრთხის გათვალისწინებით მოუწევს ფლოტის მოქმედების გადახედვა. ექსპერტთა შიში იმან გამოიწვია, რომ ბალისტიკურ რაკეტებს ბირთვული ქობინების გადატანა შეუძლიათ.**

**გამორიცხული არ არის, რომ ხომალდსაწინააღმდეგო იარაღს, რომელიც ახლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იქმნება, საფუძვლად საბჭოთა იდეა დაედო. თავის დროზე სსრკ ცდილობდა ბალისტიკური რაკეტის გამოყენებას რაკეტმზიდად, რომელიც საბრძოლო მოქმედებათა ზონაში „მოსკიტის“ ტიპის რამდენიმე ფრთოსან რაკეტას გაიყვანდა. მოგვიანებით საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ამ პროექტზე მისი სიძვირის გამო.**

# ფრანგებს სარკოზი არ მოსწონთ

**საფრანგეთის 8 პროფკავშირული ორგანიზაცია ერთობლივი საპროტესტო მარშისთვის ემზადება. ამით სურთ თავიანთი უკმაყოფილების გამოხატვა კრიზისთან ბრძოლაში სარკოზის პოლიტიკის, კერძოდ კი, ამ ბრძოლის ოფიციალური მეთოდების მიმართ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, მარტის შუა რიცხვებში საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა 1,2 მლნ-ზე მეტი ფრანგი. პროფკავშირების აზრით კი, პროტესტანტთა რიცხვი 3 მლნ კაცს აღწევდა. ახალი საპროტესტო მარში შრომის საერთაშორისო დღის — 1 მაისისთვისაა დაგეგმილი.**



შეგახსენებთ: 2009 წლის იანვარში საფრანგეთში გაიმართა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების მუშაკთა საყოველთაო ერთდღიანი გაფიცვა, რომლის მონაწილეებმაც პროტესტი გამოთქვეს საფრანგეთში ეკონომიკური ვითარებისა და მთავრობის ქმედებების მიმართ. ბევრ ფრანგს არ მოსწონს, რომ ხელისუფლებამ ბანკებს მრავალმილიონიანი სასტაბილიზაციო პაკეტი გამოუყო, ხოლო ეკონომიკის სხვა დარგებს — გაცილებით ნაკლები.

**საფრანგეთის ეკონომიკა, პირველად 16 წლის განმავლობაში, რეცესიას განიცდის. ევროკავშირის შეფასებით, საფრანგეთში უმუშევრობის დონემ 9,8%-ს მიაღწია, მომავალ წელს კი 10,6 %-მდე გაიზრდება.**

საგულისხმოა, რომ ეკონომიკური კრიზისი და მასთან დაკავშირებული უკმაყოფილება მთავრობის მიმართ 2008 წლის დეკემბერში საბერძნეთში არეულობების მიზეზი შეიქნა. **2009 წლის 14 იანვრიდან კი სწრაფად უარესდება ეკონომიკური სიტუაცია ლატვიაში, სადაც ათასობით ადამიანმა მთავრობის გადადგომა და ვადამდელი არჩევნები მოითხოვა.**

**კრიზისმა უკვე გამოიწვია ისლანდიაში მთავრობის შეცვლა — ქვეყანა ფინანსური გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდა. სახალხო მღელვარებამ აიძულა კონსერვატიული პარტიის ლიდერი ჰეირ ჰოლდი, პრემიერის პოსტიდან გადამდგარიყო.**

**ახლახან პრემიერ-მინისტრ მირეკ ტოპლანეკის მთავრობას უნდობლობის ვოტუმი გამოუტანა ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატამ. ოპოზიციამ ტოპოლანეკის მთავრობა ეკონომიკური კრიზისის პირობებში უმოქმედობაში დაადანაშაულა.**

ევროკავშირის რიგი ქვეყნების კრედიტუნარიანობა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, რადგან ერთიანი მონეტარული პოლიტიკა სხვადასხვა დონეზე პასუხობს ევროკავშირის ძლიერი და სუსტი წევრების მოთხოვნებს, ხოლო ცალკეული ქვეყნების მიერ საბიუჯეტო სახსრებით ეკონომიკის სტიმულირება სამოკავშირეო ხელშეკრულებებითაა შეზღუდული.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სურსათის, ენერგიისა და წყლის კრიზისი 2030 წლისათვის დაგვატყდება თავს



**ბრიტანეთის მთავრობის მეცნიერმა მრჩეველმა არასანუგეშო პროგნოზი გააკეთა: სურსათის, ენერგიისა და წყლის დეფიციტი, პლანეტის მოსახლეობის ზრდის კვალობაზე, გადაიქცევა გლობალურ კატასტროფად უკვე 2030 წლისათვის. ადრე მსოფლიო ბანკი გვაფრთხილებდა, რომ ეკონომიკური კრიზისი შეიძლება, მილიონობით ადამიანისთვის შიმშილად იქცესო.**

მთელ მსოფლიოში მკვლევარები დიდი ხანია, ტეხენ განგაშს მოსალოდნელი, პირველ რიგში ღარიბ ქვეყნებში, სიღატაკის ტალღების შესახებ. „უხმაურო ცუნამი“ — მეტაფორულად ასე აღწერა იგი შარშან გაზაფხულზე გაეროს მსოფლიოს სასურსათო პროგრამის ხელმძღვანელმა ჯოზეფ შირანმა. 2008 წლის შემოდგომაზე გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი აცხადებდა, რომ კრიზისი შეიძლება გადაიქცეს უკანასკნელ წვეთად პლანეტის ბევრი ულარიბესი მცხოვრებისათვის. გაეროს შეფასებით, საკითხი შეეხება მინიმუმ 100 მილიონ ადამიანს.

ამ თემაზე ახალ პროგნოზებს აკეთებს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მთავარი მრჩეველი, პროფესორი ჯონ ბოდინგტონი: 2030 წლისათვის პლანეტის მოსახლეობა გაიზრდება 8,3 მილიარდ ადამიანამდე. შესაბამისად 50%-ით მოიმატებს მოთხოვნილება ენერგიის მოხმარებაზე, მტკნარ წყალზე კი — 30%-ით. კლიმატურმა ცვლილებებმა შეიძლება, კიდევ უფრო გაართულოს სიტუაცია.

### იდეალური შტორმი

ყოველივე ეს მიგვიყვანს „იდეალურ შტორმთან“ — ასე უწოდებს სურსათის მოსალოდნელ საპლანეტო კატასტროფას გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი ჟაკ დიუფი. იგივე გვემუქრება წყალთან და ენერგიასთან დაკავშირებით. რესურსებისადმი მზარდი მოთხოვნა უკვე 2030 წლისთვის მიგვიყვანს „საშინელ შედეგებამდე“.

„იდეალურ შტორმს“ თან ახლავს გლობალური საფრთხე“, — განაცხადა მან ქვეყანათა სტაბილური განვითარების კონფერენციაზე ლონდონში. სრული კოლაფსი არ იქნება, გვამშვიდებს ჯონ ბედინგტონი, მაგრამ პრობლემა დაიწყებს მკვეთრ გართულებას, თუ ახლავე არ დავიწყებთ ამისათვის ზრუნვას. თვალსაჩინოებისთვის საფრთხის მასშტაბებისა და ხარისხის ზრდას იგი ადარებს საბანკო სექტორში დღევანდელ კრიზისს. „ჩემი მთავარი შიში უკავშირდება იმას, თუ რა მოხდება საერთაშორისო მასშტაბით“, — განმარტავს ექსპერტი.

დიდ ბრიტანეთს შედარებით მშვიდი მომავალი ელოდება, ქვეყანაში შეიძლება წარმოიქმნას დეფიციტი, მაგრამ ბრიტანელები უნდა ემზადებოდნენ იმისათვის, რომ ფასები სურსათსა და ენერგიაზე აიწევს. **გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა 2025 წლისათვის წყლის მწვავე დეფიციტს ვარაუდობს მთელს აფრიკაში, ევროპასა და აზიაში. ამ დროისათვის მტკნარი წყლის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით დაეცემა.**

ღარიბ ქვეყნებში შიმშილისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები იყო შარშან საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის დღის წესრიგის ძირითადი საკითხები. ამჟამად, როდესაც ფასები პროდუქტებსა და ნახშირწყლებზე კრიზისთან დაკავშირებით კვლავ დაეცა, ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველი შიშობს, რომ მთავრობებმა შეიძლება წამოჭრილი პრობლემები არააქტუალურად მიიჩნიონ. „ჩვენ უფლება არ გვაქვს, თვითკმაყოფილებას მივეცეთ. თუ ფასები დაეცა, ჯერ კიდევ როდი ნიშნავს იმას, რომ მოვდუნდეთ“, — ამბობს ჯონ ბედინგტონი.

**მას მიაჩნია, რომ სასურსათო და ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა შეიძლება მწარმოებლურობის ზრდით სოფლის მეურნეობაში. ამჟამად მთელი მარცვლეულის 30-40% მოსავლის აღებამდე იღუპება პარაზიტებისა და დაავადებათა გამო. ამიტომ კაცობრიობამ უნდა განავითაროს ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებსაც შეეძლება, წინ აღუდგეს დაავადებებსა და მავნებლებს, აგრეთვე, მოსავლის აღების უფრო სრულყოფილი მეთოდები შეიმუშაოს.**

პროფესორს მიაჩნია, რომ გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტები დაგვეხმარება ნაწილობრივ გადავჭრათ პრობლემა. საჭიროა, აგრეთვე, მომჭირნედ ვხარჯოთ და შევინახოთ წყალი, განვავითაროთ ეკოლოგიური ენერგეტიკა.

**მაგრამ ასეთი გლობალური პრობლემების გადაჭრას დათითოებულები ვერ შევძლებთ, — აღნიშნავს პროფესორი და ევროპას სთავაზობს, განიხილოს ისინი კოორდინირებულად და ყველაზე მაღალ დონეზე. მაგალითად, ევროკომისიაში შემოიღონ მეცნიერი მრჩევლის თანამდებობა, როგორც ეს თავისთვის გააკეთა აშშ-ს ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.**

2008 წლის ოქტომბრის ბოლოს საერთაშორისო კვლევითმა კომპანია Gallup-მა 55 ქვეყანაში მოაწყო გამოკითხვა, რომლის მცხოვრებლებსაც აძლევდნენ შეკითხვებს, თუ რა სიხშირით არ ჰყოფნით მათ საჭმელი. ყველაზე მშივრები აღმოჩნდნენ: ნიგერია, პაკისტანი, მექსიკა, პერუ, ბოლივია, გვატემალა, კამერუნი.

# მთლიანი შიდა პროდუქტი ლიტვაში 10,5%-ით შემცირდება



**ლიტვის ფინანსთა სამინისტრომ კორექტირება გაუკეთა 2009 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზს, რომლის მიხედვითაც, მისი მაჩვენებელი 10,5 პროცენტით დაეცემა. ამასთან, ქვეყანაში უმუშევრობა 13,5 პროცენტს მიაღწევს.**

2008 წლის დეკემბერში ლიტვის ფინანსთა სამინისტრომ 2009 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ვარდნა 4,8 პროცენტით ივარაუდა, მაშინ, როცა ექსპერტების აზრით, ეს მაჩვენებელი 9 პროცენტით შემცირდებოდა.

2010 წელს ლიტვის ეკონომიკის დამავლობა სავარაუდოდ, 2,6 %-ით შემცირდება, უმუშევრობა 15,4 %-ს მიაღწევს, 2011 წელს დაიწყება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 4,3 %-ით; 2012 წელს ეს მაჩვენებელი 4,5 %-ს მიაღწევს.

ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, უახლოეს მომავალში შემცირდება შრომის ანაზღაურებაც, მისი ზრდა მხოლოდ 2012 წლიდანაა მოსალოდნელი. მსყიდველობითი უნარის გაზრდა იმოქმედებს ფასებზე — ისინი დაეცემა, რის გამოც 2009 წელს საშუალო თვიური ინფლაცია 1,2%-ს, ხოლო 2010 წელს მხოლოდ 0,7 %-ს შეადგენს. ინფლაციის პროცესი შესაძლოა, 2011 წლამდე გაგრძელდეს და ფასებმა მხოლოდ 2012 წლიდან დაიწყოს ზრდას.

ფინანსთა მინისტრის ალგიდას შემეტას თქმით, ასეთი პროგნოზები მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის გადახედვისა და ხარჯების შემცირებისკენ აქეზებს.

**მინისტრის თქმით, 2008 წლის მეოთხე კვარტალში ბანკებმა მკვეთრად შეამცირეს დაკრედიტება, დაიწყო საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რამაც მომხმარებლის აქტივობა შეასუსტა. 2009 წლის იანვარში საცალო ვაჭრობის ბრუნვამ ლიტვაში 15,9%-ით იკლო, იმპორტი — 60,9%, ხოლო ექსპორტი 14,6%-ით შემცირდა.**

შეგახსენებთ, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები სხვებზე მეტად დაზარალდნენ მსოფლიო ფინანსური კრიზისისგან. **ნიუ-იორკის ბანკის შეფასებით, ლატვიასა და ესტონეთს იმაზე მეტი ვალი აქვთ, ვიდრე თავად ღირან. მათი საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 130%-სა და 108%-ს შეადგენს**. უკეთესი მდგომარეობა არც ლიტვაშია, სადაც ათობით საწარმომ თავი გაკოტრებულად გამოაცხადა.

ამან კი უმუშევრობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია, რასაც მთელ ქვეყანაში საპროტესტო აქციები მოჰყვა. თანაც, გასულ კვირას მეამბოხეებს შეუერთდნენ პოლიციელები, მეხანძრეები და მებაჟეები.

# ძველი ევროპელები კაციჭამიები ყოფილან

**გერმანიის დასავლეთით, იქ, სადაც ის საფრანგეთსა და ლუქსემბურგს ესაზღვრება, მეცნიერებმა კანიბალთა გრანდიოზული ღრეობების კვალი აღმოაჩინეს. მსოფლიო ისტორიაში მსგავსი მაგალითი ჯერ არ ყოფილა.**

ქვის ხანის სადგომ ჰარკსჰაიმზე არქეოლოგებმა თხრილებში ათიათასობით ძვალი იპოვეს. მათზე აღმოჩენილი დაზიანებები, სწავლულთა ერთსულოვანი აზრით, სიკვდილის შემდეგ არის მიყენებული.



**დაახლოებით შვიდი ათასი წლის წინათ პირველყოფილი ადამიანები ამ ადგილას დამკვიდრდნენ და დასახლება ააშენეს, რომელშიც თორმეტიოდე სახლი იყო. გათხრების პირველი სერია აქ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩატარდა. არქეოლოგებმა მაშინვე მიაქციეს ყურადღება ჩონჩხებზე მრავალრიცხოვან ტრავმებს, მაგრამ ისინი იქ მომხდარი ტომთაშორისი შეტაკებების მოწმობად მიიჩნიეს. 2008 წელს კი ანთროპოლოგმა ბრუნო ბულესტენმა ბორდოს უნივერსიტეტიდან გამოარკვია, რომ ჩონჩხის 2000-მდე ფრაგმენტი მხოლოდ ათიოდე ადამიანს ეკუთვნოდა.**

— ამ ძვლებს ამტვრევდნენ, ჭრიდნენ, ფხეკდნენ, — განმარტა მეცნიერმა, — სხეულებს ანაწევრებდნენ, ხორცს აჭრიდნენ, თავის ქალადან ტვინს იღებდნენ. თხრილში ნაპოვნი დანარჩენი ძვლების შემდგომმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მათაც იგივე ბედი ეწია.

**თუ გავითვალისწინებთ, რომ დასახლება მხოლოდ ნაწილობრივ გაითხარა, აქ, ალბათ, ათასზე მეტი ადამიანია მოკლული და შეჭმული. ნეოლითის ხანის დასავლეთ ევროპაში კანიბალიზმის კვალი საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზეც აღმოჩნდა. თუმცა მასშტაბი ჰარკსჰაიმის დასახლებას ვერც შეედრება.**

გათხრების ადგილას ნაპოვნი თიხის ნამტვრევების ანალიზმა ცხადყო, რომ კანიბალიზმის პერიოდი 50 წელზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. ანუ, როგორც ჩანს, ადამიანებს ხოცავდნენ არა შიმშილის გამო, არამედ რიტუალური მიზნით: ჩვენი წინაპრები ასე განამტკიცებდნენ თავიანთ გამარჯვებას და მოწინააღმდეგის ძალასა და სიმამაცეს ისაკუთრებდნენ.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რუსეთის არმია ახალ იარაღს მიიღებს

**ვინ ემუქრება რუსეთს? ამ კითხვას დიმიტრი მედვედევმა თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაზე უპასუხა — „ნატოსა და აშშ-ის აქტიურობა რუსეთის საზღვრებთან. იუგოსლავიის, ერაყის, ავღანეთისა და სამხრეთ ოსეთის შემდეგ „პარტნიორების“ მშვიდობისმოყვარეობის შესახებ ილუზიები აღარ დაგვრჩა. ნატო აშკარად დეკლარირებს, რომ შესაძლოა, ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას მიჰყოს ხელი. გარდა ამისა, კრიზისი მსოფლიო ეკონომიკას გადააფორმატებს, ადრე თუ გვიან ის გამოცოცხლდება და მშიერი თვალებით შეხედავს ჩვენს რესურსებს. მოინდომებენ კი „პარტნიორები“ ჩვენთან ვაჭრობას? თუ გადაწყვეტენ, რომ მათ წართმევას ძალით ან, უფრო სწორად, ჭკუით — შეიარაღების უკეთესი ხარისხით და ტექნოლოგიური სრულყოფილებით — შეძლებენ? აშშ-სა დ ნატოს ამისთვის საკმარისი შესაძლებლობები აქვთ. ჩვენ კი — ამ გეგმების შეჩერების ძალა და საშუალებები. რა თქმა უნდა, დასანანია, რომ 5 ტრილიონი რუბლი „ვაზნებზე“ დაიხარჯება. ალბათ, მსოფლიო სხვაგვარი რომ ყოფილიყო, ამ ფულის გამოყენება სხვანაირად შეიძლებოდა. მაგრამ სიმშვიდისა და უსაფრთხოებისთვის საზღაურის გადახდაა საჭირო“.**



**რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაზე სახელმწიფოს მეთაურმა არმიისა და ფლოტის მასშტაბური ხელახალი შეიარაღების შესახებ გამოაცხადა. კრიზისის მიუხედავად, სახელმწიფო სამხედროებს 2020 წლამდე 5 ტრილიონ რუბლს გამოუყოფს. ეს ფული სამხედრო ტექნიკის სერიოზულად განახლების საშუალებას იძლევა. — შეწყდეს შეკეთება, საჭიროა ახალი ტექნიკის შეძენა, — განაცხადა მედვედევმა.**

„იზვესტიამ“ გადაწყვიტა, გაერკვია, რით შეიარაღდება რუსეთი.

**სუ-34** — რუსული ავიაციის მომავალი. ეს გახლავთ გამანადგურებლისა და ბომბდამშენის ჰიბრიდი, მანქანა, რომელსაც ერთნაირად ეადვილება უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების შესრულება და მცირე ზომის სამიზნეების წერტილოვანი განადგურება. დღეს ასეთი მხოლოდ სამია. 2015 წლამდე თავდაცვის სამინისტრო 32 ცალს შეიძენს. თვითმფრინავის ღირსებაზე შემდეგი ფაქტი მეტყველებს: ექვსი უახლესი კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა „ტოპოლი მ“ 5 მილიარდი რუბლი ღირს, ხოლო ორი „სუ-34“ 1,8 მილიარდი რუბლი დაჯდა.

როგორც წინა წლებში, ძირითადი აქცენტი ახლაც შეკავების ბირთვული ძალების ხელახალ შეიარაღებაზე გაკეთდება. გრუნტის კომპლექსები „ტოპოლი“ მობილური **„ტოპოლი მ“**-ით შეიცვლება. ამავე დროს, გაძლიერდება სტრატეგიული ძალების საზღვაო შემადგენელიც. 2009 წლის ბოლოსთვის სამხედრო-საზღვაო ფლოტს შეემატება პირველი სტრატეგიული რაკეტმზიდი **„იური დოლგორუკი“** უახლესი საზღვაო ბალისტიკური რაკეტა **„ბულავათი“**.

მეორე პრიორიტეტად შეიძლება ჩვეულებრივი „არაბირთვული“ ფლოტი მივიჩნიოთ. აქ ერთბაშად რამდენიმე სიახლეა: **წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს „ლადას“ ტიპის დიზელის უახლესი წყალქვეშა ნავებისა და დიდი სადესანტო ხომალდის აგება. შეიქმნება ერთბაშად ორი ტიპის სანაპირო მოძრავი მობილური სარაკეტო კომპლექსი „ბალი-U“ და „ბასტიონი“.**

მასშტაბური განახლება მოელის სამხედრო-საჰაერო ძალებსა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას. პირველ მათგანს მასობრივად (50 ცალი) მიეწოდება ვერტმფრენები მი-28 H და კა-52.

**გამანადგურებელ ავიაციაში ახალ სუ-27 CM-ს და მიგ-29-ს მოელიან. ჩვეულებრივი მიგ-ებისგან ის იმით განსხვავდება, რომ საწვავის მარაგი გაზრდილია, აღჭურვილია ჰაერში საწვავის დამატების სისტემით. დგას ახალი საბორტო კომპიუტერი და თანამედროვე მრავალფუნქციური რადარი.**

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები უახლესი საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400 „ტრიუმფის“ მეორე დივიზიონს მიიღებენ, რომელსაც საჰაერო სამიზნეთა ყველა ტიპის განადგურება ძალუძს, იქნება ეს დაბალ სიმაღლეზე მავალი ფრთოსანი რაკეტები, მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატები თუ წამში 5000 მ სიჩქარით მოძრავი ქობინები. **მორიგი სიახლე — სარაკეტო-საზარბაზნე სისტემა „პანცირი“ — რუსული თავდაცვის სისტემის კიდევ ერთი უნიკალური გამოგონება. მისი მიზანში მოხვედრების ზონის სიგრძე 12 კილომეტრია, სიმაღლე — 5 მეტრიდან.**

## პაკისტანში მეამბოხეებმა ნატო-ს ცხრა სატვირთო ავტომობილი გაანადგურეს

ჩრდილო-დასავლეთ პაკისტანში ბოევიკები თავს დაესხნენ ნატო-ს სატვირთო ტერმინალს და ალიანსის კუთვნილი ცხრა სატვირთო ავტომობილი გაანადგურეს. თავდამსხმელებმა ასაფეთქებელი ნივთიერებები და რაკეტები გამოიყენეს. პოლიციასთან მცირე შეტაკების შემდეგ ბოევიკები გაიქცნენ.

ოფიციალური ინფორმაციით, ტერმინალის პერსონალსა და პოლიციელებს შორის მსხვერპლი არ არის, ხოლო თავდამსხმელთაგან დაღუპულებზე ცნობა ჯერჯერობით არ გავრცელებულა.

პაკისტანის პოლიციის წარმომადგენლების ვარაუდით, ტერმინალზე თავდასხმა მოძრაობა „თალიბანის“ წევრებმა განახორციელეს, თუმცა ეს ვერსია ამ დრომდე არ დასტურდება.

# ამერიკელი სამხედროს სკანდალური აღიარება

**ექვსი წლის წინათ მე ვიმყოფებოდი კუვეიტში, ველოდებოდი რა ბრძანებას, რომ შემოჭრილი ძალების პირველ პარტიასთან ერთად გადამეკვეთა ერაყის საზღვარი. იყო აზრი, რომ აშშ-ის ჯარებს შეხვდებოდნენ, როგორც გამათავისუფლებლებს, გამოვლინდებოდა მასობრივი განადგურების იარაღი და ახლო აღმოსავლეთი დემოკრატიას იზეიმებდა. რა უხეში შეცდომა იყო! ერაყი სასაკლაოდ გადაიქცა, აშშ-ში დაიწყო პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობის პერიოდი.**






ჯერ კიდევ ბევრი კითხვა რჩება უპასუხოდ. შეგნებულად და მოტყუებით ხომ არ გვაბავდა ბუშის ადმინისტრაცია ამ ფუჭ ომში? იმისთვის ვხოცავდით ერაყელებს, რომ ამერიკა დაგვეცვა? ჩვენი ჯარები ტერორისტებს ებრძოდნენ? თუ ეს ყველაფერი კეთდებოდა ხელისუფლების გარკვეული ჯგუფის იდეოლოგიურ მითითებათა გამო ნავთობის გულისთვის თუ ისე, უაზროდ?

რატომ ვაწვალებ ჩემ თავს ამ შეკითხვებით, რომელთა პასუხებიც ჩემთვის უკვე ცნობილია?! მე ვიცი, რომ ეს იყო უაზრო ომი, რომელიც ჩვენ თვითონვე გავაჩაღეთ, მაგრამ ამავე დროს ბოლომდე ვერ გავრკვეულვარ, ჩვენმა მთავრობამ ხელისუფლება ასე ბოროტად რატომ გამოიყენა.

**ბევრ ამერიკელს ბოლომდე არ ესმის ერაყის ოკუპაციის შედეგები. საქმე იმაშია, რომ გაღებული მსხვერპლი ბევრი ჩვენი თანამოქალაქისათვის იყო და დარჩა გაუზიარებელი. ამ ომმა მიიღო უდიდესი მხარდაჭერა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებსაც შეეძლოთ, ემსახურათ არმიაში, მაგრამ ეს არ გააკეთეს.** რამდენი ახალგაზრდა და ჯანმრთელი ამერიკელი გამოდიოდა ერაყის კონფლიქტის გაგრძელების მხარდასაჭერად, მაგრამ ამ დროს მათ არ ეყოთ მამაცობა, მიეღოთ უშუალო მონაწილეობა მასში. **ისინი მრავალგზის უწოდებდნენ ვეტერანებს, რომლებიც ერაყში მსახურობდნენ, „გამყიდველებს“ იმის გამო, რომ საზოგადოებას უამბობდნენ, თუ როგორ გააწბილა ისინი ამ ომმა.** ჩემი ამხანაგები მათ „დედიკოს ქორებს“ უწოდებენ, მაგრამ ესეც ძალიან რბილად ნათქვამია. ისინი საზოგადოების ყველაზე ცუდი წევრები არიან, რომლებიც სხვებს მოუწოდებენ, მათ საქმეს შეეწირონ, თავად კი სახლებში სხედან, ამიტომ არ შეიძლება, ითვლებოდნენ ამერიკის ნამდვილ პატრიოტებად. ისინი ბუშისა და ჩეინის საქმის ღირსეული გამგრძელებლები არიან.

**ერაყელი ხალხისთვის ეს ომი სისხლიმღვრელი გახდა. რამდენ ამერიკელს ტკენს ეს გულს? — ცოტას. განა შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის არმია შემოიჭრას და იარაღის ძალით გვაიძულოს ჩვენი ცხოვრების წესის შეცვლა. ეს რომ მომხდარიყო, ყველა ქუჩებში გამოვიდოდით, გამოვიყენებდით იარაღის ტარების უფლებას, ვიბრძოლებდით, დავწყევლიდით და გავლანძღავდით მომხდურს. განა ამიტომ გავხდებოდით ტერორისტები? — ღმერთმა დაგვიფაროს, არა!** მაშ, რატომ აღგვაშფოთა ასე იმან, რომ ერაყელები თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდნენ თავიანთი ქვეყნის ოკუპაციას? განა ასე რთულია ასეთ დროს ადამიანის ფსიქოლოგიის გაგება? — საქმეც ისაა, რომ ჩვენ არ გვინდა თვალებში შევხედოთ რეალობას.

**წარმოიდგინეთ, რომ რუსები ან ჩინელები შეიჭრნენ ერაყში და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ნავთობსაბადოები. მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენ სხვა სიმღერებს ვიმღერებდით. ჩვენ ამ აგრესიას კომუნიზმს ვუწოდებდით. მაშ, რა გვაძლევს უფლებას, ასე რომ ვიქცევით?**

ჩვენს სამხედროებსა და ერაყელ ხალხს, ვინც ეს ომი გამოიარა, წინ მთელი ცხოვრება უდევთ, რათა გაისიგრძეგანონ მომხდარი. იმედი მაქვს, რომ ერაყელებისათვის ეს კატასტროფა რაღაც დადებითს მოიტანს. ერთხელაც იქნება, ერაყი გახდება თავისუფალი და მშვიდობიანი ქვეყანა. თუმცა, მე მგონია, რომ უახლოეს პერსპექტივაში ეს არ მოხდება. რაც შეეხება ჩვენს სამხედროებს, ბევრი მათგანი უბრუნდება თავიანთ ოჯახებსა და მეგობრებს, რომლებსაც მათი არ ესმით და არც უნდათ, რომ გაიგონ. ჩვენი ვეტერანები თავს იმ სამყაროსაგან მოწყვეტილად გრძნობენ, რომელსაც ოდესღაც იცნობდნენ. ზოგიერთი ვეტერანისათვის ამ სიტუაციიდან გამოსავალი განქორწინება, თვითმკვლელობა, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებაა.

არავინ ჰპირდება ჯარისკაცებს, რომ ომის შემდეგ მათ ელოდებათ ვარდებით გადაპენტილი ბაღი. მაგრამ მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეპყრობოდეს მათ ისე ცუდად, როგორც ეს უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ხდება. ჩვენს სამხედროებს უწევდნენ ექსპლუატაციას, იბრიყვებდნენ, უსამართლოდ აიძულებდნენ, ეშრომათ ქანცის გაწყვეტამდე, ედეზერტირათ, ახლა კი სახლში აბრუნებენ. ნუთუ ეს საკმარისი არაა?

**იქნებ, დადგა დრო, თავი დავანებოთ ამ საგანგაშო საკითხების წამოყენებას და წინ წავიდეთ?.. მაგრამ მაშინ რა შეუშლის ხელს მომავალ პრეზიდენტს, გამოიყენოს ჩვენი სამხედროები პირადი მიზნებისათვის? — არაფერი.**

არსებობს პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე? — სამწუხაროდ, არა. **საჭიროა თუ არა, აღვძრათ სასამართლო საქმე ბუშისა და ჩეინის მოქმედებებთან დაკავშირებით? — რასაკვირველია, მაგრამ ეს არ მოხდება.**

თუ იმედი გაქვთ, რომ კონგრესი ან იუსტიციის დეპარტამენტი დაიწყებს გამოძიებას, მოაწყობს მოსმენებს და წამოაყენებს ბრალდებებს ბუშის ადმინისტრაციის წინააღმდეგ, მოგიწევთ უსასრულოდ ლოდინი. ჯორჯ უ. ბუშმა კონგრესში მიიღო უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერა ამ ომის წარმოებასთან დაკავშირებით. იგი უსირცხვილოდ და მრავალგზის გვატყუებდა და ჩვენც ავირჩიეთ მეორე ვადით. ახლა მისი პრეზიდენტობა დამთავრდა. ბუში და მისი ადმინისტრაციის წევრები ცხოვრების დარჩენილ დღეებს თავიანთ შვილებთან და შვილიშვილებთან გაატარებენ. როგორი ირონიაა, მათ ხომ ამდენ ხალხს წაართვეს მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობა!

**არ შეიძლება, არ გაგაბრაზოთ იმ ფაქტმა, რომ აშშ-ს რვა წლის მანძილზე ხელმძღვანელობდნენ ასეთი კორუმპირებული ლიდერები. ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ არავის შეუძლია კანონზე მაღლა დადგესო. ცხადია, რომ ეს სიცრუეა. საკმარისია, შევხედოთ ჯორჯ უ. ბუშს.**

ვიცი, ეს გამოიყურება, — როგორც კიდევ ერთი ხულიგნური სტატია ბუშის მისამართით. მაგრამ კიდევ ვინ არის გაკიცხვის ღირსი ამ ომის მეექვსე წლისთავზე? მიუხედავად იმისა, რომ ბუში იყო პრეზიდენტი, ის უკიდურესად ემორჩილებოდა გარეშე გავლენას და, ალბათ, განიცდიდა ზემოქმედებას ჩეინის, რამსფელდის, ვულფოვიცის და სხვა ინტელექტუალ-ნეოკონებისაგან, რომლებმაც თავიანთი ცოდნა ომის შესახებ მხოლოდ წიგნებიდან შეიძინეს.

**იმედი ვიქონიოთ, რომ ერაყი, ვიეტნამისაგან განსხვავებით, მწარე გაკვეთილი იქნება საიმისოდ, რომ მსგავსი კვლავაც განმეორდეს.**

**ჯონ ბრანსი**
**„Huffington Post“**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კორეელები ამერიკის თვითმფრინავებს ჩამოყრიან



**მსოფლიო დაძაბულ მოლოდინშია: რით დასრულდება შექმნილი სიტუაცია შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ჩრდილოეთი კორეა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის „ტეპხოდონ-2“-ის გამოცდას აპირებს, რომელსაც აშშ-მდე მიღწევა შეუძლია? მოვლენების განვითარების ვარიანტი მრავალგვარია — სამხედრო მოქმედებით დაწყებული, მშვიდობიანი დარეგულირებით დამთავრებული. თუმცა, როგორც ჩანს, იაპონელებმა და ამერიკელებმა გადაწყვიტეს, ურჩი ფხენიანი დააშოშმინონ. და თუ ასეა, მაშასადამე, საქმე ცუდად დასრულდება.**

თუ იაპონია ჩრდილოკორეულ რაკეტას ჩამოაგდებს, პასუხად მძლავრ სამხედრო დარტყმას მიიღებს, — განაცხადა კორეის ცენტრალურმა სატელეგრაფო სააგენტომ, რომელიც ირწმუნება, რომ „იაპონიის მხარემ შეურიგებელი პოზიცია დაიკავა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ რაკეტის გაშვების მიმართ, რათა ჩაშალოს ექვსმხრივი მოლაპარაკებები (კორეის ნახევარკუნძულის ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით), გააქიანუროს ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციის პროცესი და დაასაბუთოს თავისი ბირთვული მისწრაფებები.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადებით, ის ჩამოაგდებს ნებისმიერ ამერიკულ თვითმფრინავს.

**შეგახსენებთ, რომ ფხენიანს განზრახული აქვს, ორბიტაზე გაიყვანოს კავშირგაბმულობის ექსპერიმენტული ხელოვნური თანამგზავრი „კვანმენსონ-2.“ სავარაუდოდ, ამისათვის გამოყენებული რაკეტა-გადამყვანი „ინხა-2“ იაპონიის მთავარი კუნძულის ხონსიუს ჩრდილოეთ ნაწილს გადაუფრენს. ამან ძალზე შეაშფოთა იაპონია, აშშ და სამხრეთ კორეა, რომლებიც თანამგზავრის გაშვებას კორეის სახალხო რესპუბლიკის მიერ ბალისტიკური რაკეტის მორიგი გამოცდის საბაბად მიიჩნევენ. იაპონია მზადაა, ჩამოაგდოს რაკეტა, თუ ის მოცემული ტრაექტორიიდან გადაუხვევს.**

თავიანთ სამხედრო მზადყოფნას არც ამერიკელები ფარავენ. პენტაგონმა სამხრეთკორეულ პორტ პუსანიდან ესმინეცი გამოიყვანა და კიდევ ერთი ხომალდის გაგზავნას აპირებს სარაკეტო ბაზის სიახლოვეს, მუსუდანის კონცხისკენ.

**აშშ-ისა და იაპონიის სამხედრო-საზღვაო აქტიურობა იმით აიხსნება, რომ ამ ქვეყნების დაზვერვამ ჩრდილო კორეის სასტარტო მოედანზე რაკეტის საწვავით მომარაგების ნიშნები აღმოაჩინეს. „მის ჩამოგდებას არ ვაპირებთ, მაგრამ თუ ის ჰავაისკენ გადაუხვევს, ამასაც მოვიმოქმედებთ,“ — განაცხადა პენტაგონის შეფმა რობერტ გეიტსმა და დასძინა, რომ არ სჯერა რაკეტის უნარისა, მიაღწიოს აშშ-ის დასავლეთ სანაპიროს და არც იმისა, რომ ჩრდილოკორეელები იქ ქობინის დაყენებას შეძლებენ.**

ამავე დროს, ორიოდე დღის წინ იაპონიის მედიაში გავრცელდა ცნობა, რომ ფხენიანმა წარმატებით შექმნა გამოსაყენებლად რეალურად ვარგისი ბირთვული იარაღი. **აშშ-ისა და იაპონიის დაზვერვისთვის კი ცნობილი გახდა, რომ ფხენიანმა მრავალწლიანი წარუმატებელი ცდების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, შექმნა პლუტონიუმის ორი ქობინი თავისი ბალისტიკური რაკეტებისთვის. მათ აწყობასა და საბრძოლოდ გამზადებას ორიოდე დღე სჭირდება.**

აქამდე ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მხოლოდ პრიმიტიული და ძალიან მასიური ხელსაწყოების შექმნის უნარი შესწევდა, რომლებსაც იარაღსაც ვერ უწოდებდი. ახლა კი ფხენიანს პირველადი იერიშის ბირთვული იარაღი აქვს...

**სეგოდნია.რუ**

# ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოება შეჩერდება

**ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ნატოს სტაბილური გაფართოება აღმოსავლეთისკენ, რომელიც ცივი ომის დამთავრების მომენტიდან მიმდინარეობს, გარკვეული ხნით შეჩერდება და სამხედრო ბლოკი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე გადაიტანს ყურადღებას. კავშირმა, რომელშიც უკვე 28 სახელმწიფო შედის, დიდი ხანია, მნიშვნელოვან ფაქტორად აღიარა რუსეთის რწმენა, რომ ნატო-ს გაფართოება მისი სივრცის არამეგობრულ დაპყრობას ნიშნავს.**

არცთუ დიდი ხნის წინათ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა ხაზი გაუსვა რუსეთთან კავშირების მნიშვნელობას. „მიუხედავად სირთულეებისა, ამის ალტერნატივას ვერ ვხედავ“, — აღნიშნა მან. ამავე დროს, გფრ-ის საგარეო პოლიტიკური უწყების შეფმა მოსკოვს რეგიონული კონფლიქტების გადაჭრაში დახმარებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, რუსეთის განცხადება, რომ ნატოს გაფართოების პასუხად ის თავის არმიას ხელახლა შეაიარაღებს, უდროო დროს გაკეთდა და კრემლის რიტორიკას ფხიზლად თვალის დევნება სჭირდება.

**ნატოს წინა სამიტის შემდეგ უკრაინისა და საქართველოს იმედები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობასთან დაკავშირებით საგრძნობლად შესუსტდა. ლონდონის სამიტზე ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ლიდერები არ მიუწვევიათ. საქმე ისიც გახლავთ, რომ ნატოს ბევრი ქვეყანა შეაშფოთა თბილისის მიერ სამხრეთ ოსეთში ძალის გამოუყენებლობის შესახებ გაფრთხილების უგულებელყოფამ.**

*უკმაყოფილებას იწვევს, აგრეთვე, ხელისუფლების კრიზისი უკრაინაში, სადაც, გამოკითხვების შედეგების თანახმად, მხოლოდ მოქალაქეთა უმცირესობა უჭერს მხარს ქვეყნის ნატოში შესვლას, — აღნიშნავს „როიტერი“.*

# უდაბნოს „ვეფხვები“

**რუსეთი თავისი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებას არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ დაბიში 1993 წლიდან ახდენს, ანუ პირველივე გამოფენიდან. IDEX-2009-ის სალონზე საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა.**



თავისი ექსპოზიციის მთელი განყოფილება რუსეთმა ყველგანმავალ „ვეფხვს“ მიუძღვნა. ამ მანქანის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც IDEX-ის გამოფენებთან, ისე საემიროებთან. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ამ ქვეყნის სამხედროებმა საკუთარი ყველგანმავალის შექმნა გადაწყვიტეს, რომელსაც ამერიკული „ჰამერი“ უნდა შეეცვალა, რადგან ის უდაბნოსა და ცხელი კლიმატის პირობებში დიდი საიმედოობით არ გამოირჩეოდა. შეიქმნა საგანგებო საკონსტრუქტორო ბიურო, რომლის მუშაობაში წამყვან როლს „გაზ“-ის სპეციალისტები, ოდესღაც საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორების შემქმნელები ასრულებდნენ. ავტომობილმა ომახიანი სახელწოდებით „ვეფხვი“ ამერიკულ „ჰამერს“ ყველა ძირითადი მახასიათებლით აჯობა. მაგრამ რიგი მიზეზების გამო სამუშაოს დასრულება არ მოხერხდა. რუსული „ვეფხვი“ „გაზ“-ში უკვე ახალ ასწლეულში შეიქმნა და ძალოვანი უწყებების დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ხოლო არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მისი ადგილობრივი ანალოგი NIMR (თარგმანში — ვეფხვი) შეიქმნა.

თუმცა, დასავლეთის საავტომობილო ფირმებთან კოოპერაციის მიუხედავად, NIMR ტიპის მანქანებზე მუშაობა პრობლემური აღმოჩნდა. ახლო აღმოსავლეთში რუსული ყველგანმავალით ამიტომაც დაინტერესდნენ და „ვეფხვური“ ექსპოზიცია ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

IDEX-2009-ის ნამდვილ ვარსკვლავებად კი ტულის თავდაცვითი საწარმო და მოსკოვის „ბაზალტი“ იქცნენ. ტულელებმა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სარაკეტო-საზარბაზნე კომპლექს „ჯავშანი 1 C“-ს დაპროექტებაზე მუშაობა დაასრულეს. მისი თავისებურება ის არის, რომ საგანგებოდ გაერთიანებული საემიროების არმიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის შეიქმნა. ახლო აღმოსავლეთში ამჟამად ამ კომპლექსებზე აჟიოტაჟური მოთხოვნაა. რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანას „ჯავშანი 1 C “-ით აღჭურვა სწყურია, რადგან პოლიგონზე გამოცდებით დადასტურდა, რომ ის მართლაც შეუვალია.

„ბაზალტმა“ სხვა გზა აირჩია — ახალი თაობის ყუმბარმტყორცნი „ჰაშიმის“ შემუშავებისა და წარმოებისათვის ერთობლივი რუსულ-იორდანული საწარმო შექმნა. ერთობლივი მუშაობის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს არის მსუბუქი, მოსახერხებელი და, ამავე დროს, უაღრესად მძლავრი ყუმბარმტყორცნი, რომელიც, როგორც ჩანს, ახლო აღმოსავლეთის ყველა არმიაში ძირითად პოზიციებს მოიპოვებს და მრავალი ქვეყნის არმიის შეიარაღებაში დაიკავებს ღირსეულ ადგილს.

# ოქროს ციებ-ცხელება ბრუნდება

**აშშ-ში, როგორც ჩანს, ოქროს ციებ-ცხელება ბრუნდება. უხელფასოდ დარჩენილი ამერიკელები ფულის შოვნის ყველაზე ავანტიურულ მეთოდებს მიმართავენ... მზიური კალიფორნიის სულ უფრო მეტი მკვიდრი მიეშურება ძვირფასი ყვითელი ლითონის საძებნელად, რომელიც კრიზისის პირობებში ძვირდება. ლოს-ანჯელესთან, მთა სან-გაბრიელის რაიონში ყოველ უქმეებზე იკრიბებიან უმუშევარი ოქროსმაძიებელი ამერიკელები.**

XXI საუკუნის ოქროზე მონადირეთა მეთოდები დიდად არ განსხვავდება იმათგან, რომლებსაც მათი წინაპრები საუკუნენახევრის წინ იყენებდნენ, თუ არ ჩავთვლით, რომ ისინი ლითონმაძიებლებით და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიებით არიან აღჭურვილი.

**სამთამადნე აღჭურვილობის გამყიდველთა შემოსავალი ორჯერ გაიზარდა. ოქროსმაძიებლები ამბობენ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა ფინანსურმა კრიზისმა და უმუშევრობამ აიძულა. თუმცა ბევრი მათგანი ირწმუნება, რომ როცა სამსახურს იშოვიან, ოქროს ძიებას თავს არ დაანებებენ, ოღონდ ამჯერად ჰობის სახით.**

გასული წლის ნოემბრიდან ოქროს კურსი, ზოგიერთი საკმაოდ მკვეთრი რყევის მიუხედავად, მტკიცედ მიიწევდა ზევით. შედეგად უნციის ფასი 720 დოლარის ნაცვლად 920 დოლარი გახდა. ხოლო თებერვლის ბოლოს დარეგისტრირდა ოქროს კურსის ნახტომი თითქმის 1 ათას დოლარამდე უნციაზე, რამაც ბევრ მოთამაშეს კრიზისისგან შერყეული ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების საშუალება მისცა.

# ტერორისტებს მუხლებით ამოიცნობენ?

**შეიქმნა მუხლის სახსრის რენტგენოგრამის მიხედვით პიროვნების ამოცნობის ახალი მეთოდი. ასეთი იდენტიფიკაციის შედეგების გაყალბება შეუძლებელია. თითის ანაბეჭდებით ან თვალის გარსის სკანირების შედეგად ამოცნობის ტრადიციული მეთოდები 100 პროცენტით საიმედო არ გახლავთ, რადგან ბოროტმოქმედს შეუძლია თითზე „უცხო“ ანაბეჭდი დაიკრას, თვალში კი კონტაქტური ლინზა ჩაიდგას.**

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის დაბერების შემსწავლელი ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერების მიერ შეთავაზებულ ახალ მეთოდს, როგორც ჩანს, ეს ნაკლოვანებები არ ახასიათებს და პიროვნების ასპროცენტიან იდენტიფიკაციას გვპირდება, რადგან მუხლის სახსრის რენტგენოგრამის მიხედვით პიროვნების ამოცნობის ექსპრესმეთოდის ავტორები ადამიანის ამ ანატომიური დეტალის მკაცრ ინდივიდუალურობაში დარწმუნდნენ.

**რენტგენოგრამის გაკეთება, მაგალითად, თვითმფრინავში ჩასხდომის წინ, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ასე რომ, ახლა დამნაშავეთა, თანდათანობით კი პლანეტის მკვიდრთა უმრავლესობის რენტგენოგრამების კარტოთეკის შეგროვებაღა დარჩა. ორივე ფეხში ტიტანის სახსრები ბევრს როდი აქვს.**

ზოგიერთი ტერორისტული ორგანიზაცია უფეხო ინვალიდებს იყენებს — ისინი თანაგრძნობას იწვევენ, ამასთან, არცთუ სიცოცხლისმოყვარენი არიან და ადვილად ხდებიან შაჰიდები. მაგრამ ასეთებიც ცოტანი არიან. ასე რომ, მონაცემთა ბანკის შექმნა ძნელი არ იქნება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ჭეშმარიტი მიზეზები

## ნაწილი მეორე



**დავუბრუნდეთ ფსს-ს.**
**იმისთვის, რომ დოლარის განუსაზღვრელი ემისია სასაქონლო ბაზარს ტვირთად არ დასწოლოდა (რაც აუცილებლად მოხდება, თუ დოლარების მასა მიმოქცევაში უფრო მეტი იქნება, ვიდრე მსოფლიოში — სასაქონლო აქტივები), ფსს-ს მფლობელთა გენიალურმა გონებამ მოიფიქრა ძალზე ეფექტიანი საშუალება — დოლარის დიდი რაოდენობის ვირტუალურ საქონელში დაბანდების სახით.**

მათ ამისთვის, პირველ რიგში, საფონდო ბირჟა გამოიყენეს. ჩვეულებრივი, ნორმალური ბირჟიდან იგი გადაიქცა ვირტუალურ ბირჟად. **რეალურად საწარმოს აქციებს ნამდვილად აქვს გარკვეული ღირებულება. მაგრამ აქციების მთავარი და ერთადერთი ღირებულება ნორმალურ ბაზარზე განისაზღვრება საწარმოს მოგებით, ანუ აქციონერთა შორის საწარმოს მოგების გადანაწილების გზით შემოსავლის მიღების საშუალებით. რაც უფრო მეტია ჩადებულ კაპიტალზე ყოველწლიური მოგება, მით მეტია აქციის ღირებულება. ასეთი მდგომარეობაა ნორმალურ საფონდო ბაზარზე.**

სულ სხვანაირია ვირტუალური საფონდო ბაზარი. აქ განმარტავენ, რომ მოგება მესამეხარისხოვანია. ანუ 2, 3 ან 5%-იან მოგებას და აქციონერებს შორის ამ მოგების 10, 20 ან 50%-იან გადანაწილებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

აქ მთავარია კაპიტალიზაციის ზრდა და, შესაბამისად, აქციის ღირებულების მატება. მნიშვნელოვანია, რომ თქვენი აქციების პაკეტის ღირებულება იზრდებოდეს. ამაშია ინვესტორის მთავარი შემოსავალი. სინამდვილეში კი ჩადებულია მთავარი სატყუარა არიფებისთვის. და ნუ გაგვიკვირდება, თუ არიფებს შორის ძალიან ძლიერი და ჭკვიანი ხალხი აღმოჩნდება. **ჩვენ გვატყუებენ ზუსტად იმდენად, რამდენადაც თავადვე ვიტყუებთ თავს. სამწუხაროდ, ეს წესი უნივერსალურია, მოქმედებს გამონაკლისების გარეშე და თვით ყველაზე ჭკვიან ადამიანებზეც კი ვრცელდება.**

**დავუშვათ, ბიზნესმენმა იშოვა ერთი ან რამდენიმე მილიონი დოლარი. ის დაიწყებს ფიქრს, სად დააბანდოს ფული; მაგალითად, ააშენოს ახალი ქარხანა. ამისთვის უნდა მოიფიქროს მოთხოვნილებადი ხარისხიანი პროდუქტი, იპოვოს ტერიტორია მშენებლობისთვის, ააშენოს უშუალოდ ქარხანა, დაიქირაოს პერსონალი და გახადოს მაღალკვალიფიციური, იყიდოს ნედლეული, გამოუშვას პროდუქცია, გაუკეთოს რეკლამა, გაყიდოს და ა. შ. ეს ყველაფერი უზარმაზარ ენერგიას, ნერვებს, დროს და მუშაობას მოითხოვს, შედეგად კი ბიზნესმენი ჩადებული კაპიტალის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს მიიღებს. თანაც ყოველდღიური შრომაა საჭირო.**

**მაგრამ აქვე ჩნდება ალტერნატივა — „ტკბილი" საფონდო ბაზარი. არაფრის გაკეთება არაა საჭირო, მხოლოდ უნდა გადაიხადო ფული და შეძენილი აქციების პაკეტების ფასები ყოველწლიურად გაიზრდება, უფრო ზუსტად, თქვენი აქციების თავდაპირველ ფასს ყოველწლიურად „მიუხატავენ" 10-15%-ს. არანაირი განსაკუთრებული სამუშაო, არანაირი თავისტკივილი და უძილობა...**

**ყველაფერი მარტივია და გასაგები, ზუსტად ისე, როგორც ყველა ჩვენთვის ნაცნობ ტექნიკურ მოწყობილობაში.** აბა, როგორ გინდა, არ დაუჯერო მავან და მავან „ეკონომიკურ გურუებს", რომელნიც განგვიმარტავენ, რომ მთავარია არა საწარმოს მოგება, არამედ საკურსო ღირებულების ზრდა და მეტი არაფერი.

მათთვის, ვინც საფონდო ბაზარი ვირტუალურად გადააქცია, ეს მართლაც ყველაზე მთავარია. **საწარმოთა რეალური მოგებიდან გამომდინარე, აქციების შეფასებაზე დაფუძნებულ საფონდო ბაზარს გაცილებით მცირე რაოდენობის დოლარის „უტილიზაცია" შეუძლია, ვიდრე ბაზარს, რომელიც აქციების საკურსო ღირებულებაზეა დამყარებული.** ვირტუალური საფონდო ბაზრის ორგანიზატორებისთვის კი ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც საუბარი რამდენიმე ათეულ ტრილიონ დოლარზეა.

ამიტომ ცხოვრების გასაადვილებლად ძალიან ჭკვიანმა ბიზნესმენებმაც მოიტყუეს თავი და საფონდო ბაზარს ენდნენ. სინამდვილეში კი ასეთ ბაზარზე დიდი შრომით ნაშოვნი ფული ვირტუალურად იქცეოდა.

**მათთვის, ვინც საფონდო ბაზარი შექმნა, დოლარების „მოქაჩვის" გარდა, ეს ბაზარი, ამავე დროს, სხვა, ფანტასტიკურად მომგებიანი საქმეების მოკვარახჭინების საშუალებასაც იძლეოდა და დიდი მოგების შანსებსაც აჩენდა.**

თუ შენ აკონტროლებ ამ ბაზრის საკვანძო მომენტებს, ე. ი. გაქვს სერიოზული შესაძლებლობები, თავად ქმნი ახალ ამბებს, რომელზეც ბაზარი რეაგირებს და თავადვე ადგენ ამ სიახლეების გავრცელების დროსა და თანმიმდევრობას (მით უმეტეს, თუ დოლარის ბეჭდვის უფლებაც გაქვს — ნებისმიერ დროს შეგიძლია გასცე ნებისმიერი მოცულობის კრედიტი პრაქტიკულად განუსაზღვრელი ვადით), ძალიან დიდ ფულს გააკეთებ. თანაც, შენთვის, ბირჟაზე მოთამაშე სხვა არიფებისგან განსხვავებით, ეს ფული ვირტუალური კი არა, სრულიად რეალური იქნება, და მოგებაც არა ვირტუალურ 10-15%-ს, არამედ რეალურ 40, 50, 60... 100%-საც კი მიაღწევს. და ასე გაგრძელდება წლიდან წლამდე.

**მთავარი კი ისაა, რომ ზუსტად იცი, როდის დაამხობ ამ ბაზარს, მას მერე, რაც წინასწარ შენს ფულს გამოიტან. მანამდე კი, წლიდან წლამდე, შეისყიდი რეალურად მომგებიანი აქციების საკონტროლო პაკეტებს, რომ როცა ყველაფერი განადგურდება, რეალური აქტივების ძალიან დიდი ნაწილი შენს ხელში დარჩეს.**

*დანარჩენი მოთამაშეებისთვის საფონდო ბაზარი წარმოადგენს ერთგვარ „რუსულ რულეტკას", ოღონდ უფრო უარეს ვარიანტში, სადაც იარაღის დოლურის 6 ბუდიდან 5-ში დევს ტყვია. ესეც თამაშია და მასში მოგებული არიფებიც არიან, თუმცა მათი რიცხვი ძალიან ცოტაა, ვინაიდან შედეგები თამაშის ამოსავალ პირობებშივეა განსაზღვრული.*

რეალურად, საფონდო ბაზარი უზრუნველყოფილია ფულის 1-2%-ით, ანუ ინვესტორები თავიანთი ფულის მხოლოდ 1-2%-ის უდანაკარგოდ გამოტანას შეძლებენ, რადგან ეს ბაზარი ვირტუალურია, და მისი შექმნისას არავის გაუთვალისწინებია, რომ ინვესტორები ბაზრიდან მასობრივად წასვლის შემთხვევაში საკუთარი ფულის იმ ნაწილს მაინც წაიღებდნენ, რაც შემოსვლისას ჩადეს.

ისეა, როგორც ბანკში, რომლიდანაც მეანაბრეებმა ფულის გამოტანა გადაწყვიტეს. ასეთ შემთხვევაში ბანკი მაშინვე დგება გაკოტრების საფრთხის წინაშე. მაგრამ ნორმალურ ბანკს უნდა ჰქონდეს აქტივები, რომელთა ღირებულებაც მის დავალიანებებს აჭარბებს. **და როდესაც ბანკს არ ჰყოფნის ნაღდი ფული კლიენტებთან ანგარიშსწორებისათვის, დანაკლისი თანხა მან უნდა დაფაროს აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული ფულით. ნებისმიერ შემთხვევაში ბანკი მეანაბრეებს თავიანთი ანაბრის 80-90%-ს მაინც დაუბრუნებს.**

**საფონდო ბაზარზე კი მსგავსი არაფერი ხდება, აქ არავის არავისი ვალი არ აქვს, არც არაფრის მიცემას აპირებს და არც არასდროს მისცემს არაფერს.**

საფონდო ბაზრის საძირკველი აქციის რეალური ღირებულებაა, რომელსაც საწარმოს რეალური მოგება განსაზღვრავს. ეს ღირებულება რამდენიმე ათეულჯერ ნაკლებია ვირტუალურ საფონდო ბაზარზე.

**ამიტომ, როცა ამბობენ, რომ აშშ-მ 700 მილიარდი დოლარი გამოყო საფონდო ბაზრის გადასარჩენად, ექსპერტებს კი მიაჩნიათ, რომ ეს საკმარისი იქნება, საქმის მცოდნე ადამიანებში მხოლოდ ღიმილს იწვევს.**

**ვირტუალური საფონდო ბაზრის გადასარჩენად 100 ტრილიონი დოლარის დაბეჭდვაა საჭირო. მაგრამ რომ დაბეჭდო, დოლარი მომენტალურად ათჯერ და კიდევ უფრო მეტად გაუფასურდება. ამიტომ საფონდო ბაზრის იმ სახით გადარჩენას, როგორიც ის ბოლო ათწლეულებში იყო, არავინ აპირებს. ეს, უბრალოდ, ფიზიკურად შეუძლებელია.**

მან უკვე ითამაშა თავისი როლი, შეასრულა დავალებები, რისთვისაც შექმნეს და ის უკვე აღარ სჭირდება შემქმნელებს.

რა თქმა უნდა, ამ ბაზრის შემქმნელები ძალიან ჭკვიანი ხალხია და ისინი გარკვეულ მომენტამდე მოგვაჩვენებენ, თითქოს ბაზრის გადარჩენისთვის მიმდინარეობს ბრძოლა, და ბაზარი, ხანდახან, რამდენიმე დღით, გაიზრდება კიდევაც (სხვათა შორის, ამით ისევ მისი შემქმნელები ისარგებლებენ, ვინაიდან სწორედ ისინი განსაზღვრავენ ზრდის დროსა და მოცულობას). ასე რომ, ამ თამაშში გამარჯვება შეუძლებელია.

**არასდროს დაფიქრებულხართ, სინამდვილეში რას გვიქადაგებენ „ჭკვიანი" ექსპერტები და არანაკლებ „ჭკვიანი" ანალიტიკოსები ტელეეკრანებიდან აქციების კურსის ზრდის ან კლების შესახებ?**

მაგალითად, ვიღაც ძალიან სერიოზული სახით გამცნობთ რომელიმე ტელეარხიდან, რომ ერთ ბარელ ნავთობზე ფასი 10 დოლარით გაიზარდა, იმიტომ, რომ აშშ-ის ნავთობსაცავებში ნავთობის მარაგი 1 მლნ ბარელით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

ვისთვის იყო ეს „მოსალოდნელი", რა მოცულობით, და რატომ უნდა იყოს ეს „მოლოდინი" მარაგის შეფასების ათვლის წერტილი? ამაზე პასუხის გაცემას არავინ ცდილობს. მაგრამ ეს სხვა საკითხია იმავე სპექტაკლიდან.

ჯერ გავარკვიოთ უშუალოდ ამ 1 მლნ ბარელის ამბავი — brent-ის მარკისთვის, **ესაა დაახლოებით 131 ათასი ტონა (უხეშად რომ ვთქვათ, 2500 სარკინიგზო ცისტერნა) ნავთობი. სინამდვილეში კი ეს ნავთობის ზუსტად ის მოცულობაა, რასაც აშშ 1 საათში მოიხმარს.** 2005 წლის მონაცემებით, აშშ დღეში მოიხმარდა 21 მილიონამდე ბარელ ნავთობს, ახლანდელი მონაცემებით კი — დაახლოებით 24 მლნ ბარელს. **1 მლნ ბარელი უდრის აშშ-ის მიერ ყოველწლიურად მოხმარებული ნავთობის 0,012%-ს. ფულში ეს 1 მილიონი ბარელი ზუსტად 100 მლნ დოლარის ტოლია (1 ბარელი = 100 დოლარს შესაბამისობით), თანაც ეს 100 მლნ დოლარი არ დაკარგულა, არც არსად გამქრალა და არც აორთქლებულა — უბრალოდ, მისი ნავთობსაცავში შეტანა ვერ მოასწრეს.** ეს უკანასკნელი მოქმედება და ის, რომ 1 მლნ ბარელი ნავთობი საცავში არაა, ფაქტად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ საინფორმაციო სიახლეა ბაზრისთვის. **ეს „შემაძრწუნებელი ინფორმაცია" კი მსოფლიოში ყოველწლიურად მოპოვებული ნავთობის მოცულობის 228 მილიარდი დოლარით გაძვირებას გამოიწვევს.**

შეგიძლიათ, თავად შეაფასოთ იმ „ექსპერტების" გონებრივი შესაძლებლობები, რომელნიც გიხსნიან, თუ რატომ გაძვირდა ბარელი ნავთობი 10 დოლარით. იგივე შეიძლება ითქვას საფონდო ბაზრის ფინანსური ექსპერტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციათა 99%-ზე. იმედია, მიხვდით, ვინ და რამდენ სარგებელს ნახულობს ამ ინფორმაციით.

www.arteksgroup.com

გაგრძელება იქნება



**ვირტუალური საფონდო ბაზრის გადასარჩენად 100 ტრილიონი დოლარის დაბეჭდვაა საჭირო. მაგრამ რომ დაბეჭდო, დოლარი მომენტალურად ათჯერ და კიდევ უფრო მეტად გაუფასურდება.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბრაჰმაშირასი — ღმერთების იარაღი თუ ბირთვული რაკეტა?

**„ბოროტი რავანას დამარცხება შეიძლება მხოლოდ ბრაჰმას მიერ შექმნილი ისრით, რომლის მსგავსსაც სამ სამყაროში ვერ იპოვი! — უთხრა ინდრას მეეტლემ რამას და კაპარჭიდან ბრწყინვალე ისარი ამოიღო. ეს ისარი ბრაჰმამ შექმნა, რათა ინდრა სამ სამყაროს დაჰპატრონებოდა, მან კი რამას გადაულოცა.**

**მის (ისრის) წვეროში იყო ალი და მზის მხურვალება,**
**ხოლო მისი დაბოლოება მისმა შემქმნელმა ქარით გაავსო,**
**ხოლო ისრის სხეული შექმნა სივრცისგან, ზომით კი**
**არც მერას და არც მანდარას ჩამოუვარდებოდა.**
**ისარი ყველა საწყისს და ნივთიერებას შეიცავდა**
**და ენით აუწერელ ბრწყინვალებას ასხივებდა.**
**კვამლით გარშემორტყმული შიშს სთესდა ყველა მეომარში...**

**... და მაშინ სტყორცნა რამამ ისარი საშინელი, ყოვლისმმუსვრელი, სიკვდილის მომტანი... შორ მანძილზე მფრენმა ისარმა, რამას მიერ ნასროლმა... დაწვა დიადი ცეცხლით მძლეთამძლე რაკშასი, რომელიც ეტლიანად, მასში შებმული ცხენებიანად ცეცხლში გაეხვია... და დაიშალა ის ხუთ ძირითად საწყისად... მისი ძვალი, ხორცი და სისხლი აღარსად იყო, ისინი ცეცხლმა შთანთქა... ისე, რომ ფერფლიც აღარსად იყო...“**



... აქ უკვე მინიშნებაც აღარაა საჭირო, პირდაპირი ასოციაცია ჩნდება თანამედროვე ბირთვულ რაკეტასთან: რაკეტა ჰგავს „რკინის ისარს“, რომლის ბოლოში არის „ქარი“, ანუ, რეაქტიული საქშენი აპარატი, ხოლო წვერში — პლუტონიუმის ბირთვული ქობინი, ანუ ჯაჭვური რეაქციის შედეგად მისგან გამოყოფილი „მზის მხურვალება“. „უკვამლო ცეცხლის“ შედარება კი გვაფიქრებინებს, რომ საუბარია ძალიან მაღალ რადიაციულ დასხივებაზე, რომელიც თვალით არ ჩანს, მაგრამ წვავს...

ეს არ გახლავთ ამონარიდი რომელიმე ფანტასტი მწერლის მოთხრობიდან და არც ბირთვული უსაფრთხოების სახელმძღვანელოდან.

ესაა ციტატა უძველესი ინდური ეპიკური პოემებიდან „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“, რომელთა პერსონაჟებიც ერთმანეთს „ღმერთის მიერ ბოძებული“ იარაღით უპირისპირდებიან.

როგორც ხედავთ, მინიშნების გარეშეც იოლი მისახვედრია, რომ აქ ბირთვულის მსგავს იარაღთან გვაქვს საქმე. ამ იარაღის სახელწოდება ორივე პოემაში გვხვდება და მას „ბრაჰმაშირასი“, ანუ „ბრაჰმას თავი“ (სხვანაირად — „ბრაჰმას კვერთხი“) ეწოდება.

მაინც, რა იყო ბრაჰმაშირასი?

„რამაიანაში“ ვხვდებით ტექსტს, რომელიც ზუსტად აღწერს ამ იარაღის მოქმედების განსაკუთრებულობასა და სხვა იარაღისგან განსხვავებას:

როდესაც აშვათხამანი ბრაჰმაშირასს გამოიყენებს არჯუნას წინააღმდეგ, არჯუნაც იარაღით უპასუხებს, ოღონდ კი არ ანადგურებს აშვათხამანის მიერ ნასროლ იარაღს, მხოლოდ „შეაჩერებს“ მას, რადგან ღმერთი ინდრა ეუბნება, რომ **„იქ, სადაც ვინმე ბრაჰმაშირასს სხვა იარაღით ჩამოაგდებს *(ზუსტად ასე წერია პოემაში)*, 12 წლის მანძილზე წვიმის ცვარი აღარ ჩამოვარდება!..“** ცნობისთვის: ბირთვული იარაღის გამოყენების ადგილას რადიაციული ფონის შედარებით შესუსტებას დაახლოებით ამდენი დრო სჭირდება. ხოლო წვიმის არარსებობა შეიძლება ნიშნავდეს რადიაციის შედეგად ტერიტორიის უდაბნოდ ქცევას. მოგეხსენებათ, ასეთ ადგილებში მცენარე ველარ გაიხარებს.

ყურადღებას იმსახურებს არჯუნას იარაღიც, რომელსაც ბრაჰმაშირასის შეჩერება და გაუვნებელყოფა შეუძლია. იგი ძალიან წააგავს თანამედროვე რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს, მაგალითად, რუსულ „ს-300“ ან ამერიკულ „პეტრიოტს“, რომელთაც ფრენის ტრაექტორიაზე შეუძლია ბირთვული რაკეტის განადგურება. ასევე, საინტერესოა სცენა, როცა აშვათხამანი თავს იმართლებს ინდრას წინაშე ბრაჰმაშირასის გამოყენების გამო:

„უკიდურესი საფრთხის ჟამს,
სიცოცხლის გადასარჩენად,
მე ავამოქმედე (!) ეს იარაღი,
მაგრამ მისი უკან დაბრუნება
აღარ ძალმიძს.
მაგრამ შენს სიტყვას შევასრულებ,
უკან არ დავიხევ.
ჩანასახს... ქალში მოჰკლავს ის,
დიადი იარაღი ზუსტი ხომ ვერ იქნება,
ჩემს გაშვებულს (იარაღს) უკან
ვერ დავაბრუნებ,
ახლა ამ იარაღს ჩანასახში ჩავცემ,
ო, მბრძანებელო,
მაგრამ შენს სიტყვას შევასრულებ...“

ინდრას სიტყვა კი იყო, რომ ორივე მხარეს დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ბრაჰმაშირასის გამოყენება (ანუ მესამე მხარის მიერ წამოყენებული ბირთვული ცეცხლის შეწყვეტის ულტიმატუმი).

აქ აშკარაა, რომ საუბარია რადიოაქტიურ იარაღზე, რომელსაც ქალის საშვილოსნოში მყოფ ჩანასახზე ზემოქმედება, გენეტიკური მუტაციის მეშვეობით მისი დნმ-ს კოდის შეცვლაც კი შეუძლია. ასეთი იარაღი კი, დამეთანხმებით, არცთუ ისე ბევრია...

საგულისხმოა ასევე ფაქტი, რომ როცა ინდრას მეეტლე (ძველი სამყაროს ოპენჰეიმერი) აძლევს არჯუნას ამ იარაღს, უმკაცრესად აფრთხილებს: **„ეს არაჩვეულებრივი და სრულიად უძლეველი იარაღი არასდროს უნდა იქნეს გამოყენებული ხალხის წინააღმდეგ, რამეთუ ნაკლებძლიერზე (ხალხზე) გამოყენების შემთხვევაში, მას მთელი მსოფლიოს დაწვა შეუძლია. თუ ოდესმე არაადამიანური მტერი დაგესხმება თავს, მაშინ, ო, გმირო, შეგიძლია მის დასამარცხებლად ეს იარაღი გამოიყენო!“**

**შედარებისთვის: აშშ-ის ავიაციამ იაპონიის ჯარის წინააღმდეგ გამოიყენა ბრაჰმაშ... უკაცრავად, ბირთვული ბომბი, მაგრამ უმთავრესად მშვიდობიანი მოსახლეობა ამოწყვიტა.**

აშშ-ის მიერ ხიროსიმასა და ნაგასაკში გამოყენებული იარაღის მოქმედების ეფექტი ძალიან ჰგავს რამას მიერ რაკშასისთვის ნასროლი „ისრის“ ეფექტს: **...და მაშინ სტყორცნა რამამ ისარი საშინელი, ყოვლისმმუსვრელი, სიკვდილის მომტანი... შორ მანძილზე მფრენმა ისარმა, რამას მიერ ნასროლმა... დაწვა დიადი ცეცხლით მძლეთამძლე რაკშასი, რომელიც ეტლიანად, მასში შებმული ცხენებიანად ცეცხლში გაეხვია... და დაიშალა ის ხუთ ძირითად საწყისად... მისი ძვალი, ხორცი და სისხლი აღარსად იყო, ისინი ცეცხლმა შთანთქა... ისე, რომ ფერფლიც აღარსად იყო...**“.

საინტერესოა, რომელ არაადამიანურ მტერს გულისხმობდა ინდრას მეეტლე? ამაზე პასუხი ისევ ძველ ტექსტებში იმალება, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

დავუბრუნდეთ ბრაჰმაშირასს.

„მაჰაბჰარატაში“ ვხვდებით ბრაჰმას იარაღის ბევრ სხვა აღწერასაც, რომლებშიც მას უნებლიეთ ატომურ ბომბს მიამსგავსებთ: **„მბრწყინავი ჭურვი(!), უკვამლო ალის ნათებით მოსილი, გასროლილ იქნა. უცაბედად მთელი ჯარი სქელმა ნისლმა დაფარა, ჰორიზონტის ყველა მხარე წყვდიადში ჩაიძირა, აღიმართნენ ავისმომასწავებელი გრიგალები, ღრუბლები ღმუილით აიჭრნენ ზეცის სიმაღლეზე... მზე თითქოს დაიგრაგნა. სამყარო, ამ იარაღის მხურვალებით გავარვარებული, ციებ-ცხელებიანივით ცახცახებდა. ამ იარაღის ალით დამწვარი სპილოები ელდანაცემნი გარბოდნენ. ათასობით საბრძოლო ეტლი, მეომრები და სპილოები ადგილზე დაფერფლა ამ საშინელმა აფეთქებამ. არავის უნახავს და სმენია რამე, ასეთი იარაღის მსგავსი.“**

ნათელია, რომ ჩვეულებრივ იარაღთან არ გვაქვს საქმე, მით უმეტეს, რომ იგი გარეგნულად **„წააგავდა უზარმაზარ რკინის ისარს, რომელიც სიკვდილის მოციქულივით გამოიყურებოდა.“**

**„მის (ისრის) წვეროში იყო ალი**
**და მზის მხურვალება,**
**ხოლო მისი დაბოლოება**
**მისმა შემქმნელმა ქარით გაავსო,**
**ხოლო ისრის სხეული შექმნა**
**სივრცისგან, ზომით კი**
**არც მერას და არც მანდარას**
**ჩამოუვარდებოდა.**
**ისარი ყველა საწყისს და**
**ნივთიერებას შეიცავდა**
**და ენით აუწერელ**
**ბრწყინვალებას ასხივებდა.**
**უკვამლო ცეცხლით გარშემორტყმული შიშს სთესდა ყველა მეომარში...“**

აქ უკვე მინიშნებაც აღარაა საჭირო, პირდაპირი ასოციაცია ჩნდება თანამედროვე ბირთვულ რაკეტასთან: რაკეტა ჰგავს „რკინის ისარს“, რომლის ბოლოში არის „ქარი“, ანუ, რეაქტიული საქშენი აპარატი, ხოლო წვერში — პლუტონიუმის ბირთვული ქობინი, ანუ ჯაჭვური რეაქციის შედეგად მისგან გამოყოფილი „მზის მხურვალება“. „უკვამლო ცეცხლის“ შედარება კი გვაფიქრებინებს, რომ საუბარია ძალიან მაღალ რადიაციულ დასხივებაზე, რომელიც თვალით არ ჩანს, მაგრამ წვავს.

ერთ-ერთი ასეთი „ისრის“ გასანეიტრალებლად გმირმა მეომრებს მისი ფხვიერ ქვიშაში დამარხვა უბრძანა! ანუ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, რადიაციული ნარჩენები დამარხა. მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი ხალხის დასაცავად, რადგან „რაკეტის“ ნატეხები ზღვაში ჩაცვივდა.

ასევე ძნელი ასახსნელია ბრაჰმაშირასის გამოყენების შემდეგ სასწაულით გადარჩენილი მეომრების საქციელი — ისინი, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა დამთავრებული არაა, აფეთქების შემდეგ სასწრაფოდ გარბიან უახლოესი მდინარისკენ და საგულდაგულოდ იწმენდენ სხეულს, აბჯარსა და იარაღს.

ასეა თუ ისე, ბრაჰმაშირასი, თავისი ყველა მონაცემით, ძალიან ჰგავს თანამედროვე ბირთვულ რაკეტას.

მაგრამ ჩნდება კითხვა — თუ ბრაჰმაშირასი მართლაც რაკეტა (ან, თუნდაც, ბომბი) იყო, რა საშუალებით ისროდა და ამოქმედებდა მას არჯუნა ან რომელიმე სხვა გმირი? მშვილდით ბირთვული იარაღის სროლა ხომ წარმოუდგენელია! თანაც, გასროლის დროს მსროლელი იარაღის ზემოქმედების არეალში არ უნდა ყოფილიყო, თორემ თვითონაც დაზარალდებოდა!

**ამისთვის საჭირო იყო ტრანსპორტი, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა ბირთვული რაკეტებით!**

**მართლაც, „მაჰაბჰარატაში“ და „რამაიანაში“ საუბარია „მფრინავ საბრძოლო ეტლზე“, რომელიც იგივე ინდრამ და შივამ გადასცეს რამას და არჯუნას, იმაზე ადრე, ვიდრე ბრაჰმაშირასს გადასცემდნენ.**

მაგრამ საფრენი აპარატები ცალკე საუბრის თემაა.

**ლექსო ლეკიაშვილი**

# რატომ არ უნდა გიგის ბუმბული?.. უკაცრავად, მერობა?

**ხელისუფლების „ნათელ წერტილად“ მონათლულმა გიგი უგულავამ საკმაოდ გმირული საქციელი ჩაიდინა: იმისათვის, რომ ოპოზიციის ვნებათაღელვა შეენელებინა, მერის სკამზე უარი ნებით (ეს კიდევ საკითხავია) თქვა და გულუბრყვილოდ განაცხადა, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე მხოლოდ დემოკრატიული გზით არჩეული პირები უნდა ინიშნებოდნენო (!).**
**საცხრააპრილო განწყობა ამ განცხადებამ ნამდვილად ვერ შეცვალა და ვერც თბილი თბილისელების გულის მოგება შეძლო ყვითელი ავტობუსით მთაწმინდაზე მოსეირნე მერმა.**



რომ არა მისი განცხადება და უმანკო ბავშვისებრ გაბუშტული ტუჩები, არც გაგვახსენდებოდა ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი, რომელმაც გიგის, ალბათ მართლაც გადაადგმევინა ეს მეტად მწარედ მტკივნეული ნაბიჯი.

ცოტა შორიდან დავიწყებთ. შეგახსენებთ, რომ:

2008 წლის იანვარ-ოქტომბერში სათამაშო ბიზნესის სფეროში გაიცა 906 ნებართვა, საიდანაც მოსაკრებლის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა 18 242 000 ლარი, მათ შორის:

**სათამაშო აპარატების სალონის მოწყობაზე — 655 ნებართვა, საიდანაც მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში შესულია 5 240 000 ლარი;**

**წამახალისებელი გათამაშების მოწყობაზე — 70 ნებართვა, მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ შეადგინა 420 000 ლარი;**

**ტოტალიზატორის მოწყობაზე — 170 ნებართვა, ხოლო ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ შეადგინა 2 040 000 ლარი;**

**გაცემულია ლოტოს მოწყობის 7 ნებართვა - 42 000 ლარი;**

**სამორინეს მოწყობაზე გაცემულია 4 ნებართვა, საიდანაც ბიუჯეტში მობილიზებულია 10 500 000 ლარი.**

გარდა ამისა, **2008 წელს სათამაშო ბიზნესის დაბეგვრიდან თბილისის ბიუჯეტში 27,8 მილიონი ლარი შევიდა.**

აქედან ბიუჯეტში სათამაშო აპარატებიდან 16,5 მლნ ლარია (59,6%) მობილიზებული, სამორინეებიდან — 9,097 მლნ ლარი (32,6%), ტოტალიზატორებიდან, ბინგოებიდან და ლოტოებიდან — 1,4 მლნ ლარი (5,2%), ხოლო დანარჩენი სათამაშო ბიზნესიდან 715,9 ათასი ლარი (2,6%).

გასული წლის შემოდგომაზე თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით დედაქალაქში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი გაიზარდა.

ცვლილებები სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის დადგენილებაში შევიდა. ცვლილებების თანახმად, თითოეულ სათამაშო აპარატზე ყოველკვარტალური გადასახადი 830 ლარი გახდა.

ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე კვარტალში მოსაკრებლის ოდენობა, ნაცვლად არსებული 1800 ლარისა, 2300 ლარი გახდა. 10 ათასი ლარით გაიზარდა კვარტალში სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებზე მოსაკრებელი, რომელმაც 40 ათასი ლარს მიაღწია.

**მოსაკრებლის ოდენობა თითქმის იგივე დარჩა კაზინოსა და სამორინეს თითოეულ მაგიდაზე.**

ასევე, არ შეცვლილა ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებისა და წამახალისებელ გათამაშებებზე დაწესებული გადასახადები.

საკრებულოს (ალბათ) არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას მხარი ფინანსთა სამინისტრომაც დაუჭირა – გადათვალეს, გადმოთვალეს და მოამზადეს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც სათამაშო ბიზნესში სალიცენზიო მოსაკრებელთან ერთად ყოველთვიური გადასახადიც გაზარდეს.

**გამკაცრებული პირობების შემდეგ სათამაშო ბიზნესში ჩართული ფირმების უმრავლესობას დახურვა დაემუქრა. თუ აქამდე მოსაკრებელი სათამაშო აპარატების მოწყობისას წელიწადში 8000 ლარი იყო, ახლა ის 40 ათას ლარამდე გაიზარდა, ტოტალიზატორები კი, 12 ათასის ნაცვლად, 60 ათასს გადაიხდის. შეიცვალა გადასახადები თითოეულ სათამაშო აპარატზეც, რაც მანამდე კვარტალურად 600 ლარი იყო; ტოტალიზატორის თითოეულ სალაროზე კი, კვარტალში, 900-დან 1,800 ლარამდე.**

შეგახსენებთ, რომ სათამაშო ბიზნესში არ არსებობს ლიცენზიები. აღნიშნულ სფეროში საქმიანობისათვის დაწესებულია ნებართვები. საქართველოს პარლამენტში განიხილეს საკანონმდებლო ცვლილების პროექტები, რომელთა მიხედვითაც:

ა) სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთები ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის, ლოტოსა და ბინგოს მოწყობის ნებართვის მიღებაზე იზრდება 2,5-ჯერ. **კერძოდ, ტოტალიზატორის მოწყობაზე სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა არის 12000 ლარი და შემოთავაზებულია მისი გაზრდა 30000 ლარამდე. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობაზე 8000 ლარია და შემოთავაზებულია 20000 ლარი, ხოლო წამახალისებელი გათამაშების, ლოტოსა და ბინგოს მოწყობაზე დაწესებულია 6000 ლარი სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთი და შემოთავაზებულია 15000 ლარი.**

ბ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების ქვედა ზღვარი იზრდება 2-ჯერ, ხოლო ზედა ზღვარი — 3-ჯერ. **კერძოდ, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს თითოეულ სალაროზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთის ოდენობა არის 900-დან 1800 ლარამდე, შემოთავაზებულია მისი გაზრდა 1800-დან 5400 ლარამდე. სათამაშო აპარატზე გადასახადი კვარტალში 150-დან 600 ლარამდეა და შემოთავაზებულია მოსაკრებლის განაკვეთი – კვარტალში 300-დან 1800 ლარამდე, სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე დაწესებულია მოსაკრებლის განაკვეთი კვარტალში 6000-დან 30 000 ლარამდე, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 12 000-დან 90 000 ლარამდე; კაზინოს თითოეულ სათამაშო მაგიდაზე არის კვარტალში 15 000-დან 30 000 მდე, ხოლო პროექტით შემოთავაზებულია 30 000-დან 90 000-მდე;**

გარდა ამისა, თითოეულ სამორინეზე (კაზინოზე) ნებართვის გაცემა განისაზღვრა 5 მილიონი ლარის ოდენობით!.

ძალიანაც კარგი, რა ჯობია იმას, რომ ქვეყანაში და, მითუმეტეს, თბილისში, აღარ იქნება აზარტული ქართველებისთვის ესოდენ მაცდური ადგილები... მაგრამ აქ საქმე სრულიად სხვა საკითხს ეხება – ვის ინტერესებში შედიოდა კაზინოებისა და წვრილ-წვრილი სამორინეების დახურვა?

მართლა ასე შესტკივათ გული მოქალაქეების ჯანმრთელი ცხოვრების წესზე? ნურას უკაცრავად!

ალბათ ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ამჟამად თბილისში ერთადერთი კაზინო ფუნქციონირებს. ეს გახლავთ სამორინე „აჭარა“. მისი მფლობელი კი, ნეტავ, ვინ არის?

გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ სცადა მისი ოფიციალური მეპატრონის გარკვევა. ამისათვის არც მსხვილი გადამხდელებისთვის მიგვიმართავს და არც საჯარო რეესტრისთვის. საჯარო ინფორმაციის მიღება ძალიან მარტივად ვცადეთ: დავრეკეთ სამორინეში და ოპერატორს კაზინოს მფლობელის ვინაობა ვკითხეთ.

როგორც ველოდით, აღმოჩნდა, რომ მსგავსი ინფორმაციის გაცემის უფლება თანამშრომლებს არ ჰქონიათ.

უფრო შორს წავიდეთ...

**კაზინოში დაახლოებით 50 სათამაშო მაგიდაა. როგორც კულუარული ინფორმაციებიდან შევიტყვეთ, ერთ ღამეში თითოეულ მაგიდაზე მინიმუმ 20, მაქსიმუმ 50 ათასი დოლარი რჩება. ანგარიშის მოყვარულთ შეგიძლიათ გაარკვიოთ, ერთ ღამეში რამდენი რჩება მის მფლობელს.**

ამას დავუმატოთ სათამაშო აპარატები, რომლებიც ორ სართულზეა განლაგებული...

**სერიოზული თანხაა, ვერაფერს ვიტყვით!**

**და, ნეტავ, ვინაა ასეთი წარმატებული და უალტერნატივო ბიზნესის მეპატრონე? როგორც ასევე კულუარული ინფორმაციებიდან შევიტყვეთ, ეს ბიზნესი ჩვენი დედაქალაქის მზრუნველი მერს, გიგი უგულავას პირდაპირ უკავშირდება!**

ახლა უკვე ნათელია საკრებულოს ინიციატივაც, გაზრდილი მოსაკრებლებისა და ნებართვების გადასახადების ასეთი ასტრონომიული ზრდადობაც.

**უგულავას პოზიციამ გამახსენა ანეკდოტი დაბოლილ თუთიყუშზე: „...რად მინდა ბუმბული?!“**

**რად უნდა გიგის მერობა, თუ ასეთ გემრიელ ლუკმას ხელიდან გააგდებინებენ და ეს ლუკმა ჯამშიც აღარ ჩავარდება?!**

**ირმა ვარსიმაშვილი**

## მე შაირი არ მინდოდა...

ამ ყველაფერს რომ მოისმენ,
მოგივა ელეთმელეთი,
გასულ კვირაში ბობოყვათს
ზღვაც დანალმეს და ხმელეთიც.

ვერ მოგვიტანა სიკეთე
ჩვენს მეზობლებთან მტრობამა...
პირველად შეხვდნენ ერთმანეთს
მედვედევი და ობამა.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვსაც კი
პრეზიდენტობის ჟინი აქვს,
ბადრიჯნის ფერი გადაჰკრავს
ბეჟან გუნავას „სინიაკს“.

ხელისუფლების შეცვლაა,
თურმე, მთავარი მიზანი —
ჯომოლუნგმისკენ მიიწევს
ვნებანი თორთლაძისანი!

საცოდავ იტალიელებს
თავზე დაენგრათ სახლები,
ირაკლი ალასანიას
კვლავ მხარს უჭერენ „ახლები“.

როგორც კოტემ თქვა: სულ მალე
მოგვენატრება მამათი,
9 აპრილს თუ ამ მთავრობას
არ გავუკეთეთ... შამათი!

შეიარაღდა შსს
აირწინაღი-მასკებით,
აწი ვერაფერს დააკლებ
ნაძველბიჭარი „მასტებით“.

ველარ გაიგებ, ვინ არის —
ქართველია თუ ურია:
გიორგი თარგამაძე და
ჯონდაბა ბაღათურია!

„გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა — წყლისა დენამა“,
საყვარელიძე რამაზი —
აქუბარდიას ცქერამა!

სუყველა ჩვენი მტერია —
ბენდუქიძე თუ იუდა...
ობამა თურქეთს ჩავიდა,
სომხეთიც გააქტიურდა.

უკვე ნერვები მაწყდება
პოლიტიკოსთა ანცობით —
„გრეჩიხა“ ღვინის ბოთლია,
ხაინდრავაა საცობი!

თუ ყველგან სიკეთის ნაცვლად
ბოროტება გაქვს ნათესი,
ველარ გიშველის დალოცვა
მეუფე კალისტრატესი.

**გეგა ბაიტიანი**

რეკლამისათვის დარეკეთ: 38 41 97

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
გამომცემელი ტარიელ გაგნიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5; ტელ.: 38 41 97
მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე:
info@geworld.net; geworld@mail.ru